

114
1945/2

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
სამხატვრო გამომცემლობა

მნათობი

1

თბილისი
1945



მნათობი

სრულიად - საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საბოტაჟებრივ-საპოლიტიკო
ქურნალი

წელიწადი მეოცდარობი

1

58001
4404



19

იანვარი
სახელგანთავსებელი

საქართველოს
სახელგანთავსებელი
ბიბლიოთეკა
45

საკრედიტო კოლეგია:

აბაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
ხაშუკაძე კონსტანტინე
კალაძე კარლო
გაბაშვილი ალიო (ვიზ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
ტაბიძე ბალაჭიროს
ჭიაბელი ლეო
შენგელაია დიანა.

ხელმოწერილია დისაბეჭდად 12/III-45. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 8.
შევ. № 75, ში 01437, ტირაჟი 4700.

სახელგამის ბეჭდულობა სიტყვის კომბინატი, თბილისი, უორესის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მაჩაბლის № 13, შვერალთა კავშირი. ტელეფ. 3-04-54.

პლესანდრი აბაშელი

ღ ე ნ ი ნ ს

გამარჯვებათა ეხედავთ მწვერვალებს,
ვდგევართ უდიდეს დღეთა წინაშე.
ჩვენს გულში შენი სახე ელვარებს,
როგორც სანთელი სარკის მინაში.

ო, რა სიცოცხლის დაეშვა ფარდა!
ო, რა ბრწყინვალე დარჩა სახელი
არ გვინდა გულში ჩავუშვათ დარდად,
რომ სამუდამოდ ჩვენგან წახველი.

გვინდა ჩვენ შორის მუდამ ბრწყინავდე
გმირი ცოცხალი, მხნე და უცვლელი,
აყვავებული გრძნობის სინათლე,
ჩვენის გულიდან ამოუსვლელი.

როცა სტალინის გრგვინავს ბრძანება,
შენი ხმა არის მასში ჩართული
ზეიმის ელვა ცას ეტანება —
შენი სახეც ცად ამართული.

მითქვამს და კიდევ ვიტყვი ასჯერაც,
რომ ვართ ყოველ წუთს შენი მნახველი,
რომ თვალს არა სწამს და გულს არ სჯერა,
თუ სამუდამოდ ჩვენგან წახველი.

მაშ რკინის ძალა ჩვენს ჯარს ვინ მისცა,
თუ ამ ბრძოლაში ჩვენთან არა ხარ?
მაშ ვინ დაიხსნა მშობელი მიწა
და ნტრის საზღვარი ვინ გადალახა?

ვინ შეასრულა შენი ანდერძი,
ვინ შესძლო დიდი ფიცის შენახვა?
წინ ვისი გვიძღვის შარავანდელი? —
დიდო ბელადო, ეს ხომ შენა ხარ!

შენთან მხარდამხარ ბრძოლებში ნაწრობს
 მივეყვებით სტალინს — სარდალს და ბელადს
 და ვგრძნობთ ყველანი შენს სუნთქვას ნაცენტში,
 წინ შენი სახე მიგვიძღვის ყველას.

მიგვიძღვის შენი მტკიცე მარჯვენა
 და შენი დროშა, სხივების მფენი.
 ჩვენი სიცოცხლის ხარ გამარჯვება,
 მარად ცოცხლო, უკვდავო ლენინ!

იანვარი, 1945 წ.

რატონ გვირაძე

სარდლის ბრძანება

მარტოდმარტო ვარ ჩემს ოთახში, ფიქრი მაწუხებს,
ფიქრი, მოწყვეტილ ვარსკვლავებით სხივთა მფრქვეველი.
ლამეა, თვალწინ მესახება ბრძოლისა ველი,
სადაც გმირები შვერდით გლეჯენ რკინის მარწუხებს.

მჯერა გრიგალი ვერ მოღრეკავს ძირმაგარ მუხებს,
ახლოა წამი გამარჯვების, სიამის მგერელი.
დაკარგულ შვილის დაუვიწყარ ფეხისხმას ველი
და უხმოთ ეკოცნი მის ბავშვობის პატარა წულებს.

გარეთ ქარია და თბილისი ქათქათებს თეთრად,
უცებ რადიო სარდლის სიტყვას დაიწყებს მკვეთრად
და გამეხსნება გული დარდით გადანარაზი.

აღტაცებული მსურს ვემთხვიო სტალინის იერს
და მე მგონია, მის ბრძანებას, მართალს და ძლიერს,
ამ ცივს ღამეში სადაც უსძენს ჩემი რამაზიც.

ალექსანდრე მაკაშვილი

1945

გათენდა! კარებს ვაღებ თამამად,
მსურს მოგილოცოთ წელი მრავალი,
კიბეზე ვხედებით შეილი და მამა,
ის—მომავალი, მე—მიმავალი.

მას თექვსმეტი წლის ხალისი მოაქვს,
ფეაღში სიციოცხლის მზე უციმციმებს,
შე ორმოცი წლის მაწეეს სიმჭიმე,
მიშველოს? განა სიბერის დროა?

მე ამ ცხოვრების ვცან სიავკარგე,
წინ სულ გზებია, ირგვლივ მთებია,
ხანი დამავლდა,—კი არ დაეკარგე,
ეგი ჩემს მოდგმას შეჰმატებია.

საკგო კლდიაშვილი

ბნელ ლამეში

მთაწმინდის უბანში, განიერ ხევში ჩაბუდებულ ქალაქის თავზე, ეზოს ჭიშკართან ფიცრულზე სხედან პროვიზორი მაკარი და მისი მეზობელი ფოსტის თანამშრომელი მირიანი. ისინი მორიგებრ და საგუშაგოზე აირწინაღებით გაიოსულან.

აგვისტოს ცხელი ღამეა. სქელი დრუბლები ჩამოწოლილა. ეზოდან გერანის მძაფრი სურნელი აღწევს და ამძიმებს ისედაც შეხუთულ ჰაერს.

ჯერ კიდევ ადრეა, მაგრამ ქუჩაში იშვიათად თუ ვინმე გაივლის. მთელი ქალაქი ჩაბნელებულა. ხანდახან ტრამვაის მავთულეებზე ელექტრონის ფოსფორული შუქი იელვებს და გარემო ადგილს გაანათებს. სიბნელიდან გამოტაცებული რომელიმე შენობა საკვირველ მოჩვენებათ აიშართება ერთი წამით და შემდეგ ყველაფერი ისევ ბნელში ჩაიძირება.

მაკარი დრო და დრო შიშვედ სუნთქავს. არც თუ ისე მსუქანია, მაგრამ სიცხეს ვერ იტანს. უსახლო ბადე-პერანგი აცვია, გული მოღეღილი აქვს, მეტი მოშილიფება შეუძლებელია და მის სხეულს შეება მაინც ვერ უგრძვნია. მირიანი კი თეთრ ხალათშია. ყველა ღილი შებნეული აქვს და ყელსახვევიც შეუტრავს. ალბათ იმასაც ცხელა, რადგან ნამიან შუბლსა და მელტ კეფას ხშირად იშორალებს.

— გაიძვრე, მამაცხონებულო, ეგ ფილონი. — ვედარ ითმენს და უწყრება მაკარი. — ბალმასკარადზე ხომ არ გგონია შენი თავი? მაგ არტახებში რომ გიქქარ, კიდევ უფრო მეხუთება სული.

მირიანი მხოლოდ ყელსახვევს იშილიფებს. იმასაც ისე გაუბედავად, თითქო უზრდელობად მიაჩნდეს. მათ წინ, გაზეთით გადაფარებულ ტაბურეტზე, ღვინიანი ბოთლი დგას, ხოლო საინზე ყინულის ნატეხები და ხილი აწყვია.

მაკარი თლის ატამს, პურის ჭიქებში, ასხამს ღვინოს და ხარბად სვამს.

— ცივია, გაიმება! — სთავაზობს მეზობელს. — სახარჯო ღვინოა, წყალდანასხამი. სამწყურვალოდ უებარია.

მირიანი დალევას ვერ ბედავს. კოლიტსა და გულის სისუსტეს მიზეზობს. სიამოვნებას ვერის ატმისა და ღვინის შეზავებული სურნელი, ერთხანს ყნოსავს და რომ ედუნება აიცილოს, მხოლოდ მოკუმულ ტუჩებით ეხება ჭიქის ნაპირს.

— შენი ვეჭაფერი გამიგია, — ბუზღუნებს მაკარი, — სხეულს სიოს არ აკარებ და ატამს უფრთხი. ბუნების სიკეთეზე უარი გცთქვამს და ამის მა-

გიერ ნიადაგ რაღაც ფხვნილებს ატენი კუპს. საკვირველო კაცი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა.

— რას იზამ, ჩემო კეთილო, უნდა დავთმო. — ნახად ^{გაქვს, შენთან} რაღაც მჭრელი, — ადამიანი პეპელასავით გახლავს. წამიერია ჩვენი სიცოცხლე, ყველა და ყველაფერი მტერია ჩვენი.

— ე, დაიწყო თავისი ფილოსოფია, — ხელს იქნევს მაკარი, — შევარცხენე მაგისტანა სიცოცხლე. თუ ყველა და ყველაფერი მტრად მიგანია, რისი და ვისი იმედით სუნთქავ, შე ოჯახქორო? შეუშვი, ძამიკო, მაგ ვამწულეულ სხეულში ბუნების მადლი და ნახავ, როგორ გადასხვაფერდეს შენთვის ქვეყანა.

მირიანს არ სწყინს მაკარის სიტყვები. უღიმის კიდევაც. იცის, რომ მას მხოლოდ ბუზღენი უყვარს, თორემ გულთ კეთილია.

ქუჩის მეორე მხარეს, ჭიშკრის პირდაპირ ოთახში, ბავშვები ხმაურობენ და ვიღაც ასანთს უყიდებს. ასანთი რომ არის, ადვილი გამოსაცნობია, რადგან სინათლე თრთის და უღონოა. მკრთალ შუქზე მაინც მკაფიოდ ისახება რაფაზე დადგმული ფართო ფოთლებიანი პალმა.

— სინათლე! ეხლავე ჩააქრე სინათლე, — წყრომით მისძახიან გუშაგები. ისინი რამდენიმე ნაბიჯს დგამენ სახლისკენ, მაგრამ ამ დროს ასანთიც კრება და ორივენი, დამშვიდებულნი, ისევ ფიცრულს უბრუნდებიან.

ბნელში მაკარი კარგად ვერ არჩევს ტაბურეტს, მუხლით ედება მას, არყვეს და უკანასკნელი დარჩენილი ატამი მიწაზე ვარდება. სძებნის ჯერ მაკარი, მერე ორივე ერთად, მაგრამ გამხმარი მიწის გორბოხისა და კენჭების გარდა, ხელს არაფერი ხედება.

ძებნას თავს ანებებენ და ერთხანს სდუმან.

მაკარი საერთოდ დუმილს ვერ იტანს. უყვარს სჯა-ბაასი და ხანდახან რომელიმე აფორიზმით რაიმე იზრის შემაგრება. მაგრამ ეხლა, რაც ატამი დაჰკარგა, ცოტა უგუნებოთ არის. ატამი სურნელით ამკობდა ღვინოს, აძლევდა გემოს და წყურვილს უფრო ხანგრძლივად ჰკლავდა, მარტო სითხე კი უგემურად და მუკვე ეჩვენება.

— შდა... — აგერ როდის იღებს ხმას და მოულოდნელად განაგრძობს თითქოს უკვე მივიწყებულ საუბარს. — მეზობელი ხარ და პირდაპირ გეტყვა, არ მომწონს შენი ცხოვრება. გროშად არ დიხს მარტოხელა კაცის სიცოცხლე, კოლიტი კი არა, მიკეირს, რატომ შავი ჭირი არ შეგეყარა აქამდე.

ბნელი რომ არ იყოს, მაკარი დაინახავდა, თუ რა ყველაფრის მპატიებელი ღმილით უსმენს მირიანი.

— ყოველმა კაცმა, შენ ხარ ჩემი ბატონი, სიცოცხლე უნდა ამრავლოს, ცხოვრების ზე დარგოს, იმაზე იფიქროს, რომ შენს შემდეგ შენიანმა შენს ბაღნარს უპატრონოს... არ ჯავრობ ეხლა, რომ ასე იაქედ შებებრდი წუთისოფელს? ვითომ რაო, შენ ჰქვიანი გამოდი და მე ბრიყვი?

— იქნებ ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ...

— მაგრამ რა?

მირიანი სიერცეში თვალებით ფათურობს და აგერ გვიან ხმაჩაწყვეტილი ბუზღენებს:



- მოგეხსენება, ვინ რა ვარსკვლავზეა გაჩენილი...
- ვარსკვლავი... ხი! — ხეხინებს მაკარი, — სთქვა სოლომონ ბრძენმა. ჰო, ჰირიმე, იმის მეტი სხვა დარდი არ ჰქონიათ ცის მნათობებს, არა ქალს მირიან ფერაძე.
- ძნელია, ბატონო, ძნელი გადასაწყვეტია — ოღონაე ხმას იმაღლებს მაკარის გესლით რამდენიმედ გულნაკლული მირიანი. — მქონდა ერაზელ შემთხვევა, მაგრამ ბოლოს....
- ჭალი აღარ გამოგვყვა?
- არა, რატომ, უარს არ იყო.
- მაშ, რა ღმერთი გავიწყრა?
- რა დაფიცო, ვერ გავებდე.
- ტუ! — გულწრფელად აღშფოთებულია მაკარი.
- რას იზამ, ჩემო კეთილო, ასე მოხდა — თავის გამართლებას ზედმეტად სთელის მირიანი. — ზოგს გაუღიმიებს ცხოვრება, ზოგს არა.
- ხი! — ამის გაგონებაზე ისევ ხიხინებს მაკარი, — შე მამაცხოვრებულო, თუ თითონ მუდამ უბღვირე, ის რატომ გავიღიმიებს? ცხოვრებას, ჩემო ძამიკო, მრალს ნუ სდებ, ყველაფერში თითონ ხარ დამნაშავე. ერთი დედაკაცის მოყვანას ასე როგორ შეუშინდი? ხი! აბა ნემეცი რომ ქალაქში შემოგივიდეს, მაშინ ხომ...
- აჰ! — დამთავრებას აღარ აცლის მირიანი — მაგას ღმერთმა ნუ მოჰსწროს!
- იმაზე შენ, ნუ მომასწროს, აგერ მოგადგა დარიალზე.
- აჰ, არა, არა! ღმერთმა დაგვიფაროს!
- ღმერთი ვერაფერს გიშველის, ჩემო ბუზობელო, ჩემსავით შენც ორაჯი უნდა გყოლოდა ფრონტზე და ქვეყანას დამცველი შეემატებოდა.
- მირიანს ამ საყვედურის საპასუხოდ სათქმელი არაფერი აქვს. ერთხანს ორიენი სღუმან, შემდეგ დგებიან, თავის უბანს ათვალაიერებენ და უკანვე ბრუნდებიან.
- ბნელ სივრცეს სხივების ძლიერი ნაკადი აპობს. მიწიდან ნათელ სვეტად ამართული პროექტორის შუქი ცას სწვდება. პირველ ავარდნილ სვეტს უმაღლვე მრავალი მისდევს. დრო და დრო რომელიმე მათგანი ხანგრძლივად ჩერდება ერთ წერტილზე, თითქო რაღაც საეჭვო შენიშნა და გაუდარაჯდა. მაგრამ პატარა, ძილდაფრთხობილი დრუბლის ნაფლეთის მეტი არაფერი სჩანს. სხივები ერთხანს თარეშობენ ცაზე, შემდეგ მიწა სათითაოდ უკანვე იკრებს მათ, პროექტორები ქრებიან და გარემოს ბნელი ეუფლება.
- პროექტორის მკრთალ სინათლეზე მაკარიმ თვალი მოჰკრა ტაბურეტის ფეხთან დაგდებულ რაღაც მრგვალ საგანს. დაიხარა და ფრთხილად ხელი მოჰკიდა. წელან დაკარგული ატამი გამოდგა.
- ამით ნასიამოვნები მაკარი სთლის ნაპოვნ ატამს, ჰყრის ჰიჭებში, ავისებს მათ და სთავაზობს მეზობელს.
- დალიე, ჩემი შვილები მიდღეგრძელებ. ერთი ეგებ იბრძვის, ჰე, იმ მთებში! — ხელს იშვებს მყინვარწვერისკენ, — მეორე კი საღდაც ლენინ-ვრადთან: ვენაცვალე ჩემს ბულა ბიჭებს.

მირიანი უარს ევლარ ამბობს და ერთ ყლავს ბედავს.

— თუ დამიბრუნდენ, ხომ კარგი, და თუ ვერა... — წუფით ნერდება მაკარი — მადლობა ღმერთს ჰქონდეს, — უბატოსნოთ იცნევენ უკვე მანინც ვერავენ იტყვის.

— მშვიდობით და გამარჯვებით დაგიბრუნოს! — ჰქვას ტუნს ადებს მირიანი.

— დალიე. გამოცალე, — არ ეშვება მაკარი — მაგისაგან მოკლულა კაცი არ მსმენია მე. აჲვა დისტილატა, მეტი ძალა მაგას არა აქვს.

მირიანი თავს ძალას ატამს, სცლის ჰქვას და უფრო იმისათვის, რომ მეგობარს ასიამოვნოს, ამბობს:

— მართლაც გემრიელი ყოფილა!

— ვენაცვალე ჩემს ქვეყანას! — შეიღების გახსენების შემდეგ ლირიულადა განწყობილი მაკარი, — ღვინოც კარგი იცის და წყალიც, ყველაფერში მადლი აქვს.

გარემო ხიჩუმეს უეცრად საზენიტო ქვეშეხების ჭეხილი არღვევს. გრიალი თანდათან ძლიერდება. თუ თავი ბნელს მიიჩერდა, შენიშნავს, როგორ სერავენ სივრცეს წითელი ნაკეცები. ქალაქის გარემო გორაკებიდან ქვეშეხები ერთ წერტილს ურტყამენ. იმავე წუთში სხვადასხვა მხრიდან პროექტორების სხივები ცისკენ იჭრებიან. შუქის სვეტები ისე ბევრია, რომ სანაყარდოთ სივრცე აღარ ყოფნით. ისინი ხშირად იხლართებიან ერთმანეთში, ჯვარედინს ხაზავენ და თავის ნათელ, უხორცო კლანჭებში ცდილობენ ჩაიჭირონ ის, ვინც ეთერში მტრულად თარეშობს.

ქვეშეხების გრავინვა შემზარავ ხმად ტრიალებს ცაში. პროექტორების შუქზე სჩანს დამსკლარ ყუმბარების კვამლის ბურთები. მსუბუქი კვამლი ერთხანს იქვე ჩერდება და შემდეგ ნელინელ ეშვება, იშლება და ქრება. მათ აღვილს ახალ ბურთები იკაეებენ და ქუხილი ისევ არყევს ჰაერს.

ქალაქი გასუდრულა. მისი ხმა არსაიდან აღარ აღწევს. გარეთ სიოცხლე ყველგან შეჩერებულა. იქ, სადაც წელან ბავშვები ხმაურობდნენ, ეხლადუმილია. გარინდებული გოგონები ფანჯრებთან სდგანან და ცას შესცქერიან. ამღვრეთლ სქელ ღრუბელს ხედავენ, მეტს ვერაფერს.

— ყოველთვის თითქმის ამ დროს! — პროექტორის შუქზე საათს დასცქერის მირიანი.

როცა წუთით სდუმდებიან საზენიტო ქვეშეხები, ბნელი სივრცის დიდი სიმაღლიდან ყურს პროპელერის ზუზუნნი ესმის. მისი ხმა ბურღავს ჰაერს.

სროლა ისევ ახლდება. კიდევ მეტი გახელებით ეხეთქებიან ცას ყუმბარები, კიდევ დიდხანს არყევს ჰაერს მათი ქუხილი.

როგორც ერთბაშად დაიწყო სროლა, ისე მოულოდნელადვე სწყდება. დიდი სიჩუმე დგება. უკანასკნელი პროექტორების სხივებიც ქრებიან და ისევ ბნელში იძარება ხევი და გორაკები ხევის თავზე.

ქუჩის სიჩუმეში მკაფიოდ მოისმის ფეხის ბაკუნნი, ნერვიული ნაბიჯით ვიღაც დაგვიანებული მიიჩქარის. ოთახებიდან ჯერ მორიდებული, შემდეგ თანდათანობით ამაღლებული ლაპარაკი ისმის და ბოლოს ვიღაც ხშიანად

იქნის. მხიარული ზმა თითქო იმარჯვებს ზნელზე და დამე საშიში არარ სჩანს. მალე ქალაქიც ცოცხლდება. აქა-იქ ელავს ფოსფორული სურსათი — ამოძრავებულ ტრამვაის მავთულებზე. შორიდან, სადღაც დაბლა დაბლა, მკრთალად ბილის სირენა აღწევს.

მაკარის და მირიანს შემცვლელნი მოუვიდათ. საგუშაგოზე სხეები დგებიან.

მირიანი მიჰყვება მეზობელს და მის სახლთან ეშვებოდა.

— გულში ზიჯი არ ჩაგყვეს, — ლონიერად ხელს ართმევს მაკარი და სანამ ლაპარაკს გაათავებდეს, არც ფიქრობს გაუშვას მირიანის გამხდარი ხელი, რომელსაც მარწუბივით ჩასჭიდებია მისი თათი, — საწყენად არ მიიღო ჩემი სიტყვები. მეც ვიცი, თხერი ენის პატრონი ვარ და რა ვქნა. ისე კი, ღმერთმა იცოდეს, კეთილი გულით გითხარი, მეზობლურად, მეგობრულად. გაუღიმე, ძამიკო, ცხოვრებას და მაშინ ისიც გაგიცინებს, თუ არა და, იცოდე, ძაღლივით სადმე ღობის ძირში ამოგძვრება სული.

მირიანი უღიმიან, ითავისუფლებს ხელს და შინისკენ იჩქარის. მაკარის ხელის ჩამორთმევისაგან თითები დაბრუნებული აქვს და ისრესავს მათ, რომ სისხლის მოძრაობა განიახლოს.



აკნის ბულიან

პ თ მ ა

ნაწილი მეოთხე

უკრაინა მძვარს შენთო

1

უკრაინა მტერს შენთო,
 ქარიშხალად გადაიქცა,
 და წამოდგა ხალხი ერთობ,
 ზანზარებდა ცა და მიწა...
 უღრან ტყეში, სიდაც ცეცხლზე
 ფიხს გაჰქონდა ტყაცა-ტყევი,
 ცეცხლთან ისდნენ ორი ქალი,
 ერთი ვაცი.— ღრმა მოხუცი.
 ძილს არაეინ იკარებდა,
 მოესმოდათ სროლა ხშირი,
 მოხუცს ფიქრად უკრაინა
 თვალწინ ჰქონდა გადაშლილი.
 „— ჰე, მოვხუცდი, თორემ ამ დღეს
 განა თქვენთან იქნებოდნი?
 იარაღით შეიღებს და ძმებს
 მხარში ამოვუდგებოდნი!“
 სთქვა მოხუცმა, ცას გაჰხედა,
 დასცქეროდა ციდან მთვარე,
 მას სახეზე აღბეჭდოდა
 მძიმე სევდა, ფიქრი მწარე.
 „რა სთქვი მამა? შენგან განა
 ცოტა ზედება მტერს ზიანი?
 ფრონტებზე გყავს ორი ძმა და
 იბრძვის სიძე პარტიზანი“.
 მოხუცს უთხრა მარინამ და
 მედიკოსკენ მოიხედა.
 „შენ თავი რათ ჩაგიღუნავს,
 რა ვაფიქრებს აგრე ნეტა?“
 — „რა აფიქრებს? ეჰე, შეილო,
 გვახვევია ყველას ფიქრი,
 და მედიკოს ფრთებასხმული
 გურიისკენ ალბათ მიჰქრის.“

დიდი შოთა რუსთაველის
 სიბრძნე თქმული ყველას გვაჯერა,
 წამიყითხავს ჩვენს ენაზე,
 რაც ქართულად მან დასწერა:
 „ჰხამს მამაცი, მამაცური,
 სჯობს რაზომცა ნელად სტირისა,
 ქირსა შიგან გამაგრება
 ასე უნდა ვით ქვეითკირსა“.
 სამკოეთის ხალხებს მტერი
 თავს დასხმია ერთხელ განა?
 დაუპყრია მათი მიწა,
 გაუთელავს ბაღი, ყანა.
 მაგრამ ძალა სიმართლისა
 მოვარდნილა ქარიშხალად,
 დასტეხია მტერს თავს რისხვად,
 მოდებია ცეცხლის ალად.
 დღეს ფაშისტთა ვერაგ ურდოს
 სურს დაიპყროს ჩვენი მიწა,
 გავწყლებით და არ დავუთმობთ,
 რაც სისხლით და ოფლით გვირწყავეს!
 უკრაინის ცა, — გამტყდარი სარკე
 ვერ იზიდავდა მიწას მღელვარეს,
 რადგან ცას შავი ფარდა მიაკრეს
 გადააფარეს მზეს მოელვარეს,
 ქვეყანა იღვა განსაცდელის წინ
 შურისძიება მოედო ალად,
 პარტიზანების რისხვა დაჰქროდა,
 თავზარდამცემი, მთაში და ბარად.
 პარტიზანების რაზმებმა მტკიცედ
 ბრძოლის დროშები ააფრიალეს,
 რწმენა უნთებდა გრძნობას და აზრებს
 მაღალ ღირსების აღამიანებს.

განა მივინებს კაცი იმ ადგილს, თუ კი შემთხვევით არ ჩავარდნილა? განგებ თუ არა, იქ არვინ დადის, იქ ვერც კი მივა ვინმე ადვილად. აი იქ ფრიდონს, სანთელის შუქზე გადაეფურცლა წიგნი ქართული, ორთავე ხელი დაეყრდნო მუხლზე, იყო შემერთალი, ფიჭრში გართული. მიკოლა წმენდდა თავის აეტრომატს, და როგორც პირმშოს ისე უვლიდა, გადახედავდა ძვირფას მეგობარს, ნაღვლიანობა მისი უკვირდა.

„თუმც მტერმა ცეცხლის რკალში ჩაგვეტა, — უთხრა მიკოლამ ძმადნაფიც ფრიდონს, მაგრამ ხომ ხედავ ბრძოლის ხალისით რწმენამ გულები როგორ აგვინთო?“ — ფრიდონ წამოდგა: „ჩემი ფიჭრების, ძმაო, დღეს სხვაა არე, — საგანი, ცეცხლის რკალში მყოფთ, რამდენი სხვები

ცეცხლის ზღვიდან გვეყავს გამოსაყვანი“
შემოსასვლელთან დავარდა ჩრდილი, მიწურში მყისვე მარინა გაჩნდა, შემოპყვეა კიდეც ვილაც ქაბუკი, და ნამგზავრთ ოფლი სახეზე აჩნდათ.

გაისმა: „აი, ხედავთ ამხანაგს, ფაშისტ ჯალათებს გამოჰქცივია, აქ მოუნახავს ტუკში საყოფი და პარტიზანად ჩვენებს სწვევია. შტაბი გვიგზავნის, ამიერიდან ერთი ქართულიც მოგვემატება კავკასიონის მაღალ მთებიდან, და იგი რისხვად მტერს დაატყდება“. მკერდში ჩაეკრა ვაჟაკის ვაჟაკი, გადაეხვია მოსულს მიკოლაც.

„— ვინ ხარ, საიდან? ეგებ გზას აცლი, და მოყოლიხარ მტრის ქარის ქროლვას?“

კითხა ფრიდონმა და შეაჩერდა, თითქოს ლამობდა მისგან გაეგო

შავი ზრახვანი გულს ხომ არ ეღვა ან ეგებ სწადდა მახე დაეგო...

„— მე ქართული ვარ, —
სინამდვილეში

ვიცი სადა ვარ და რატომ ვედი, მეც დღეს თქვენსავით პარტიზანი ვარ, თქვენთან ერთად ვარ ბრძოლის მდომელი“.

სახელი კითხეს: „ტარიელ მქვია!“ მიკოლამ სახე ღიმილთ დაჰფარა, „ახლა ავთანდილ მხოლოდ გვაკლია“ და გულიანად გაღიხარხარა. — აბა ტარიელ, გთხოვთ, მოგვიყვეთ, კავკასიონის ამავი ქელი, ცამდე აწვდილი, ხომ დგას ურყევი და მზე მას მოსავს შარავანდელთ? და ფრიდონის ხმას მოპყვა სინიუმე, მოსულს უცქერდნენ

თვალეზანთებით, ლელვის დროს ძნელი ყოფილა თურმე

სიტყვით გამოთქმა გულის ნაღების. „ომის ამბავი გაისმა ჩვენშიაც როგორც ქუხილი, კავკასიონი დანისლა, ქვეყანამ იგრძნო წუხილი. ბრძოლაში მამაც წავიდა, თოფი ეკიდა მხარზედა, სთქვა: „შვილო, თავი რად გვინდა ვიღრე მტერი დგას კარზედა!“ თითქოს მეძახდნენ შორიდან: „მამა იბრძოდეს, — შენ არა?!“ მოთმენა აღარ მყოფიდა, დროც არ ითმენდა, აღარაა გამოვეთხოვე სატრფოსა, და დამილოცა გზა დედამ, მოთხრა: „გაუპე გული მტერს, ვინც ბრძოლა ჩვენთან ვაბედა.

მტერი მოადგა, მოაწვა და გადმოლაზნა მდინარე, წყნარ დონად ყველგან ცნობილი, მშვიდი და თითქოს მძინარე. ყუბანის ველებს მოედვა, ვითა ღრუბელი შავია,

თითქოს მთებს ჩამონგრეოდეს,
ჩამოწოლოდეს ზეგეია.
მტერს მიზნად ჰქონდა დაეპყრო
ჩვენი მიწა და სახლ-კარი,
კავკასიონი, — ხალხთა მძლე
და საიმედო საფარი.

მთებთან ვიდექით კლდეებით,
ფუტკერდით „ხევის პატარაქალს“,
მზე რომ გვირგვინად აღგება
უნისლოს, ლეჩაქ გადამძვრალს.
„ორთავიანი კალარა“

ზვიადად გადმოგვეტყუროდამ,
ჩვენ მისმა ხილვამ გვიასარა,
ყველა ჩვენგანი მღეროდა:

„ვახტანგ შედე“ ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამივსება რეკა,
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.

ჩაუდგნენ მხრებში მთებს მთები
და აიმართნენ კედლებად.

„ვერ გაითენებს აქ მტერი,
ნაპრალში ჩაეხეთქება“.

ღიადო რწმენის ანთებით
ბრძოლას პირისპირ ველოდით.
დავნალმეთ მთების კალთებში,
გამარჯვებებზე ვმღეროდით!
მოვარდა მტერი ჯავშნებით
და მთებს ყვირილით მოადგა!
ჩქარა დაგვენბდით,
არა და

სისხლს დავაყენებთ ღვიარადა!“
შემოძვრნენ,
შემოაპარენ,
შემოიფარენ
ტყეებით.

აზრადა ჰქონდათ:
„მთებს შეგვრავთ
და საღრეთ შემოვერტყეებით“.
ხეობებს ნისლით ფარავდნენ,
თხრიდნენ, ჯავშნავდნენ
ხერელებსა,

ჩვენსკენ რომ მათ გზა ჰქონოდათ,
რმ ცხრათავიან გველვებსა.
მომხდურებს დაგზედით გულმაგრად:
„ენახოთ, ვინაა,

რა მოღვმისა“

რას ხეხდავთ: ერთს ჩვენს

ნაწილებსა

იმათი ათი გამოღმისა
და ქუხდა, ცეცხლი ელავდა,
კორიანტელი დგებოდა,
ვხოცავდით მტრებს და მაინც წინ
იწვედა და არ დრკებოდა,
ქედებმა ქედებს გახედეს,
გულში აენთოთ კვლავ რისხვა,
არას დროს კავკასიონი
მტერს ასე არ დაუნისლავს?!
და ხმა მქუხარე გაისმა,
ხმა ეავკაცური ქართული,
„ყველამ ერთები აისხას,
ჯავშნებად შემოსალტული.
ვინც აქ შობილა არწივად
ქლდე გულად უძგერო მთის
შვილებს,

ვისაც სიკვდილი დასწივის
და მაინც ვერ შეაშინებს!“
ვინ უნდა იყოს ნეტავი
მთებში მქუქავი მძლე ხმისა,
მტრისთვის გზის გადამკეტავი,
თაუზე დამახერევი მენისა?
შეხმართნენ მთებს მთები:
„ბელადი, — მზისებრ სახისა,
გვიგზავნის აღმზრდელს გმირების
და ძეს ქართველი ხალხისა“.

ბრძოლა ვაჩაღდა, რა ბრძოლა,
გამოუთქმელი ენითა,
შეიძრენ მთები არწივთა
ქარიშხლისებურ ფრთებითა.
ვერ დაემალენ მათ თვალებს
მხეცები ხერეღში ჩამძვრალნი,
ბოცავდნენ, მათგან რჩებოდა
მხოლოდ მტვერი და ნაცარი.
გარბოდნენ. განა არწივებს
ქვემძრომნი გაეკეცოდნენ!
გზაში მუსრავდნენ დუშმანებს,
სადაც კი დაეწოდნენ.
წინ ძე ქართველთა უძღოდა,
არწივი დაუძლეველი.
მტრის სიმაგრენი არ დარჩა
მის მძლე ფრთებს დაუქვევლი“.
„ყოჩაღ, რა ბრძოლა გქონიათ
კავკასიონის არწივებს“

დაეხოცათ, მაშ რა ჰგონიათ,
 რაც ჩვენში სისხლი აწვიმეს!
 წამოიძახა ფრიდონმა,
 ტარიელს ხელი ჩაჰკიდა,
 „ეხლა გვიამბე, — მტერთან ტყვედ
 სად ჩავარდნილობარ, რა ხნიდან?“
 მთვარემ ჩათვლიმა და ღამის
 ნისლი ტყეს გადაეფარა,
 ამბავს ისმენდნენ, არავის
 თვალს ღული არ მიეკარა,
 „მადლობა უნდა აგვედო
 და იქ მტრის ბუდე საცეცხლე,
 დილითვე უნდა ჩაგვეგდო
 ხელში ფაშისტთა სამხეცე.
 ბუნავი იგი დუშმანთა
 აგვეკო, ამოგვექოლა
 და ქარიშხლის ფრთებითა
 მტრის თავზე რისხვად გვექროლა,
 მიწას ევკროლით, ვბობდავდით,
 ეკიდებოდით ნაბრალებს,
 და მივეყებოდით მეგზურის.
 ღამის წყვდიადის ნაკვალევს.
 ჩვენც მივადექით საცეცხლეს,
 მადლობზე ასეე ბნელოდა,
 სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი
 წინ გაათრებით გველოდა,
 ვეფხის ნახტომით ვეკვეთეთ
 მტერს ხელჩართული, ხმალდახმალ,
 ვჩნებდით, ვით ტყეს და ვეძახდით:
 დაგვენებდით ველარსად წახვალთ!
 რა ენას ძალუკს ვადმოგვეუ,
 ანდა რა სიტყვას დაწერილს,
 თუ არა, აი ჩემს სხეულს,
 ამ ჭრილობებით დასერილს
 გაშმაგებული ბრძოლების
 სიკვდილ-სიცოცხლის წუთები,
 შემხედეთ, ფრიცის ნაკბენით
 ამოქმედი მაქვს კუნთები!
 ველზე დავეცი დაქრილი,
 შუჭი ვამიჭრა თვალიდან,
 სისხლისგან ვიყავ დაცლილი,
 ცეცხლი ვაწვიმდა მადლიდან,
 როცა გონს მოველ და ენახე,
 სადღაც ჯორღმულში ვეყარეთ,
 შურისძიებით დამთვრალ მტერს
 ღრმად ზურგში გადავეყვანეთ,

გვარჩევდნენ ბრგეს და კუროტანს,
 რათა გვეზიდა უღელი,
 არ დარჩებოდათ, — ჩვენს უღელს
 ჩვენგანი ქედმოუზრელი.
 ჩვენ კი ვარჩევდით სიკვდილსა,
 საქებარს, სახელოვანსა,
 ვიდრე სიცოცხლეს ნაძრახსა,
 მტრისა მწყალობლად ყოლასა,
 ტყვეებს. გულს გვენთო წადილი, —
 ვაქცევა პარტიზანებთან;
 გზაში ტანჯვათა ატანას
 არაეინ დაიზარებდა.
 მაგრამ ჩაგვაჭრა იმელი,
 მიგვიხვდა მტერი ჩვენს წადილს,
 სიკვდილით გვემუჭრებოდა,
 ჩვენც არ უხრიდით ქედს ნადირს.
 სადღაც წაგვასხეს ანაზღად,
 დაგვაწყვეს კლდისა ნაპირას,
 რწმენამ სიმტკიცე შეგვემატა,
 მზის შუჭი ვადმოგვაფინა.
 სიერცე შევძარიტ ხმებითა:
 „ბელადს სიცოცხლე მარადა!“
 და ვიდრე ტყვია დაგვეცემდა,
 უფსკრულის ფრთები გვფარავდა.
 რამდენ ხანს ვეგდე, ვინ იცის,
 ტყის პირად ტანჯვის თმენითა,
 ვებრძოდი, სიკვდილს, — ელოკავდი
 მიწას გამშრალი ენითა.
 ხმა საიმედო ჩამესმა,
 ხელი ჩამკიდეს, წამიღეს,
 ქოხში დაენთოთ ცეცხლი და
 მეც ცეცხლთან რბილად დამიგეს.
 თავს მადგა ორი მოხუცი,
 მეგონა, — მშობლებს ვენახე,
 არ ვუჯერებდი თავის თავს,
 მათ სამოსს ხელი შევახე.
 დღისით მშალავდნენ თავლაში,
 ღამით ფიქრს წყვდიადს ვანლობდი,
 ჯანს მოველ, ფეხზე წამოვდექ.
 მტერთან კვლავბრძოლას ენატრობდი
 და ერთხელ როცა ტყეს მთვარემ
 შუჭი მოჰფინა მკრთალადა,
 პარტიზანს ველოდებოდი,
 ვინც გულს სიმშვიდეს მმარავდა.
 და აი, ჩემს წინ დალანდა,
 ვისაც ტყის ძმებთან მივეყავდი,

გადაეხვეი ძმურად და
მოვირთე, შევიარაღდი,
მერდს ჩავეკარი მოხუცებს,

გაღამავიწყდა დარღები
მიეჭროდით უღრან ტყეში და
მოგედევდნენ ჩვენი უღრანლები.
მეზღოვნენ

ნაწილი მესამე

მედიკოს ფიქრები

1

ტყე შრიალეზდა, დაჰქროდა ჭარი,
მედიკოს ფიქრი წვეოდა მწარე,
ცეცხლს დასცქეროდა ცრემლიან
თვალით,
თითქოს უშვებდა დედას მძინარეს.
აგონდებოდა მშობლები, და-ძმა,
ეხატებოდა სოფელი თვალწინ,
ჩვენს მაღალ მთებში მტერი თუ
გადვრა
აღბად ჩვენშიაც მხეცივით
ლაძრწის“.

თავჩაქინდრული მოხუცი თვლემდა,
მასაც ეხვია მძიმე ფიქრები,
და მისი გული ტკივილით ძვებდა,
იყო მწუხარე, ანატირები.
თავს ევლებოდა მშობლიურ სახლ-
კარს,

ამოვსებოდა ცრემლით თვალები:
„ნუ თუ მშობლიურ კერას ვერ
ენახავ,
სადაც დამდგარა სისხლის ღვარები?
შვილო, მედიკო, შენ რათ არ
გძინავს?

ასეთი რა გაქვს დარდი, ფიქრები?
ჩვენი იმედის მზე ისევ ბრწყინავს,
ისევ გავხდებით ბედნიერები“.
„—თქვენი ჭირიძე, აბა რას ბრძანებთ,
ასეთ ყოფაში-რა დამაძინებს,
საწყალი დედა ეგებ აწამეს,
ეგება მამაც მიწაში მიწევს“.
„შვილო, ჩვენ გემართებს სიმტკიცე
ნების,

ცეცხლის ანთება გულში იმედად,
არ ჰშინებია ჭართველ ხალხს
მტრების,
იგი ჭირშიაც არ დაიხვედა“
კიდევ რაღაც თქვა იმედიანი,

თავი ჩაქინდრა და ჩაიძინა,
ღღე ჩაიტანა ძილში მზიანი
და სიზმარეთის ზღვამ ჩაიძირა.

2

გაირღვა ტყეში“ ღამის სიბნელე,
გამოჩნდა ორი მოძრავი ლანდი.
ერთს შესდგომოდა მხარში მეორე,
მოესხათ მხრებზე ღამის ნაბადი,
კარავს მიადგენ. მოხუცი შეხვდა.
მედიკო იდგა შემკრთალი სახით,
„ქართველი არის, დაო, ვერ ხედავ?
შეუხვევ წყლულს და წამალს
დააყრი“

სთქვა და მარინა გადაეხვია
ღობილს და მამა ჩაიკრა გულში.
„კავკასიაში მტერი დამარცხდა,
ამ ამხანაგმა გვიამბო გუშინ!“
და იგი მოჰყვა, რაც ჭაბუკს ეთქვა
გმირულ ბრძოლებზე ცად აწვდილ
მთებში, —
როგორ ესხმოდენ სვავთ არწივები,
როგორ აღინეს მათ სისხლის თქეში.
და მიწურიდან გაჰქრა მარინა,
სოფელთან ფრიდონ ელოდებოდა,
საცა დილამდე იმათი რაზმი
მტრის ერთ ბანაკსაც უნდა სწევოდა...
როცა ტარიელს ღრმად ჩაეძინა,
მარინას მამაც ლულავდა თვალებს,
გაბრწყინებოდა მედიკოს სახე,
თავს ევლებოდა მშობლიურ მხარეს,
და სიზარტლის ცრემლი დაღვარა:
მაღე ჩაქრება ომის ხანძარი,
ქვეყანა კვამლით რომ დაუფარავს...
გაიფურჩქნება ისევ მთა-ბარი,
მაღე იზილავს მშობლებს,
მეგობრებს,
გადაეხვევა თავისიანებს,
რამდენ ტკბილ წუთებს იგი იგონებს
და მოგონებით გულს კვლავ იამებს“.

ნაწილი მეთექვსმეტი

სიკვდილი სიკვდილისა



1

ტყვეს თუ სევდას გვრის მძაფრი
ზამთარი,
ტყვის ძმებს უღვივით გულს
გაზაფხული,
ზრძოლის ველიდან მტერი აფთარი
იხეცს და გარბის გულსაღალახურული.
და მეთაური ტყვის ძმებს მიმართავს,
ვაისმის მისი სიტყვა მღვღუნარე:
— „ძმებო, ასწიეთ ხელი ვინც არ
ხართ
მზად შეეწიროთ მშობლიურ
მხარეს?!“
საყვედურების ხმები დაირბა:
„ვინ უნდა იყოს ასეთი ჩვენში?“
ერთმა მათგანმა აიღო სიტყვა,
მათი ჩოჩქოლი წამსვე შეჩერდა:
„რომ გეშინებოდა სიკვდილის განა
არ დაერჩებოდით მონებათ
მტერთან?
შურისძიებამ აქ მოგვიყვანა,
მტრებს რომ ვეზრძოლოთ ბოლომდე
ერთად“.
ხმა მეთაურის ისევ ვაისმა:
„მეც ეგ მინდოდა, თქვენგან რაც
ითქვა,
რამაც სიამის ფრთები შემასხა...
თლონდ ვაქციოთ საქმედ ჩვენ
სიტყვა.
შეხედეთ გორაკს, დნებრს
გადაჰყურებს,
შეხედეთ ციციბლაში გახვეულ
სახლებს,
სადაც შავი დღე უღვამთ
ტანჯულებს,
სად მტერი სისხლის აყენებს
ღვარებს,
ხედავთ გორაკზე ამართულ იმ
ძეგლს,
იგი დაგვეყურებს სევდიან თვალთ,—

იგი ტყვე-ძეგლი ბრძოლაში
გვიწმინდს,
რომ მოვიხადოთ ჩვენ წმინდა
ვალი.
იცით, ვინაა ტყვედ ჩავარდნილი?
ტარას შევჩენყო, დიდი კობზარი,
თქვენ თვალწინ გიდგას მისი
ანრდილი,
დიდი პოეტის,—ხალხთა მოძღვარის.
თქვენ გაოცებით იმ გორაკს
უცქერთ,
პოეტის იმ ძეგლს,— ხალხის
დიდებას,
რომელ ჩვენთაგანს გული არ
უძგერს,
შურისძიებით არ აღენთება?!
ქვეყანას ჩვენსას აოხრებს მტერი,
მილიონების ნაჭედს, ნაოფლარს,
სამშობლოს ფარავს კვამლით და
მტვერით,
და ხალხთა სისხლი ვერ აძლებს
ჭოფაკს.
განა არ იცით ძეგლი ბარბაროსს
დაუნგრეველი როგორ გაღარჩა?
ეგებ მტერს სურუეს რომ
დაიფაროს?
ო, არა ძმებო, აქ ეს არა სჩანს,—
მტერი ვერაგი, მტერი ცბიერი
განუზომელი მუხანათია,
როდესაც ურტყამს ჯარი ძლიერი,
ბილწს ხერხისათვის მოუმართია:
გორაკზე უღვათ საცეცხლე ბუდე,
მიჰფარებიან ძეგლს და ისერიან
ჩვენი ჯარისკენ,— დღეს მათ რომ
უტევს,
(ძეგლს ჩვენ არ ვესვრით, მტრებმა
ციიან)“.
შეაწყვეტინეს მეთაურს სიტყვა:
„არა გეჰონია არასდროს ჩვეყად,
როცა სიკვდილი ჩვენს თვალწინ
იღვამთ“.

Handwritten notes in the left margin: "12044" and "4044".

Handwritten text at the bottom right, possibly a library stamp or archival note.

ჩვენში ქონოდეს ვინმეს შერჩევა.
რას ველოდებით? დრო აღარ

ითმენს!

საცეცხლე ბუდე უნდა დაინგრეს,
პოეტის ძეგლი ისე როგორც დგას,
გორაკზე უნდა ამაყად იდგეს!
მაშინ წინ წარსდება მტკიცე ნაბიჯი
მეთაურმა და მიმართა ტყის მშობს:

„ღიად, არეინ გეყავს ჩვენ აქ
მახინჯი,
ბრძოლა შიშს ჩვენში არ გამოიწვევს,
მზადა ვართ შევხედეთ სიკვდილს
პირისპირ,

მტრებთან ბრძოლაში სისხლი
დავღვაროთ!

ოლონდ მოვესწროთ ჩვენ
გამარჯვებას,

ოლონდ სანშობლო ჩვენი ვახაროთ!
და აი, ახლა დადგა წუთები
სხვა გზა არაა... ან პო, ან არა!

ვინც სიკვდილს უკრთით, ნუ
შეწუბდებით,

დრო აღარ ითმენს, სიტყვები ემარა
ორთა საკითხი წყდება იოლად, —
ერთიც მათგანი დავას არ იწვევს
აქაურია ჩვენი მიკოლა,

ბრძოლისკენ მისი გული მიიწვევს.
ვერ დაეაშორებთ მას ჩვენ მარინას,
ყველასთვის ძვირფას ჩვენს დას,
საყვარელს.

იგი გორაკზე რისხვას აიტანს
და დიპლ კომზარს მით გაახარებს,
დაასახელებთ ახლავე სხვებიც.
მეთაურობას მიკოლას ვანდობ,

მაშ ასე, ძმებო, შეწუდეს სიტყვები,
ასე მგონია თითქოს ვეკამათობთ!
დადგა სიჩუმე, ყველა დადუმდა,
მხოლოდ ქვემებთა ჭეჭა ისმოდა.

ფრიდონ მიუხვდა წამსვე მარინას
თუ მისი გული რითაც იწვოდა
და გაუღიმა პასუხად სატრფოს.
„შენთან სიცოცხლე, შენთან

სიკვდილი!

ღიადმა რწმენამ გზა გაუგონათოს
და ტანჯავც შენთან იქნება

„ეკე, მებრძოლნი თუმც აქ ბევრია,
მე პარტიზანად, ძმებო, დავბურღი,
ეს საქმეც ჩემთვის შესაფერია!“

„მეც მზად ვარ! — იტყვის ტარიელ
ლელეთ, —
აქი ვიამბეთ ჩემი ამბავი, —
მტრთან შეხვედრას პირისპირ ველი,
როგორც გამთხრელი მისი
საფლავის!“

2

როდესაც ღამის დაეშვა ფარდა,
ტყის ოთხ ძმას ერთი და გაჰყვა
ტყიდან,

მაშინ, თითქოს ტყე შეირხა მყისვე,
ჭოველი ბუჩქი მათ წინ თავს ხრიდა.

გავიდა ღამე და დადგა დილა,
ისევ დაღამდა, კიდევ გათენდა,

ყველამ იცოდა, ძეგლთან აღვირად,
ტყის ძმათა ჯგუფი ვერ მიიღწევდა.

თავდადებულთა ბედის ლოდინში,
დღე საუკუნეთ ეჩვენებოდათ,

ფიქრობდნენ მათზე, ხედავდნენ
ძილში

და ყველა გორაკს შესჩერებოდა.
მტერი კი ისევ გორაკზე იდგა,

ძეგლით ფარავდა საცეცხლე ბუდეს,
წითელი ჯარი ფრთხილად, — ერთ
მხრიდან

გორაკს ესროდა, — მხილოდ მის
ზღუდეს.

შემოებარა ტყეს სევდის ნისლი,
ყველა მოიცვა შავმა ფიქრებმა, —

ამბობდნენ: „მტერი ცეცხლს ისევ
ისვრის,

შურისძიებით იგი კვლავ თვრება“.

ამ დროს გორაკზე ცეცხლი ავარდა,
ღამის წყვილიადი გაჰფანტა აღმა,

„ჩაჭრა საცეცხლე! დაეცა მხეცი!“
ტყეს ეს ამბავი გადასცა ქარმა. —

ნაწილი მეშვიდე

კავკასიონთან გზის დაეცა



ქვეყნის

1

კავკასიონთან მტერი დაეცა
და საქართველო ველარ იხილა,
ველარ იხილა
მისი ცა,
მიწა,
მწყურვალმა გული ვერ დაივრია.
და საზარელი ომის ხანძარი
ჩვენში რომ ენთო, — ყველგან ელაგდა,
ვით ზღვა, ქართველი ხალხი
ამდგარი,
შტრისძიებით ჰეჭდა, ლელავდა.

თეთრი მტრედევით ქველდასტეღში.
და ხმა ლილისა ირგვლივ გაისმა. —
ნაპერწყალივით ცვიოდა სიტყვა
იმ გაზეთიდან და იმ ლექსიდან
ლილიმ მიტინგზე რომ წაიკითხა,
„მშობლიურთ კიევო, სიამაყე
ქვეყნისა,
ბრწყინვალემავე მზიურო, დედავე
უკრაინისავე,
შენი გული სიამეც მტრისას ვერ
შეეთვისა,
შენი რწმენა ელვარე სეედას ვერ
დაუნისლავს,
შენსკენ ბრძოლით ვისწრათუო,
ნახვა შენი გველირსა,
მშობლიურთ კიევო, სიამაყე

2

ომის მესამე გაზაფხულია,
ეს გაზაფხული იგრძნო ქვეყანამ.
მწის გულშეკრდი ვადახნულია,
რომ აბიზინდეს ბადი და ყანა.
ყველას გაშლია ზეიმი გულში,
და საზეიმოთ ირთვება ყველა,
რასაც დღეისთვის ელოდენ გუშინ,
დღეს აგუგუნდა იგი სიმღერად.

ქვეყნისავე.
მარგალიტო სამშობლოს, სამკაულო
ქვეყნისავე,
ნეტარების ნაკადო, გულო
უკრაინისავე,
შენზე ქვაც კი ლალადებს და
ზეირთები დნებრისა,
დიდ ბრძოლებში დაჭრილო, გვირო
რკინის მკლავისავე,
სიყვარული შენდამი გულში არ
ეტევისა. —

3

დილით ახალი ცნობა მოფრინდა
და დააყენა ფეხზე სოფელი,
მიტინგზე სწრაფად დათა მოვიდა,
ახალ ამბავის მათუყებელი.
იგი მალღობზე დადგა და ხელებს
იშვერდა წინ და აენტო თვალი:
„უკრაინელებს ვულოცავ კიევს,
ის კვლავ ჩვენია, თავისუფალი!“
შემოიტანეს გაზეთი ხელად,
დილით მიედოთ ფოსტით სოფელში,
ფრიალ-ფრიალით გადადიოდა

მარგალიტო სამშობლოს, სამკაულო
ქვეყნისავე,
საყვარელო კიევო, შენ იმედო
ქვეყნისავე,
მტრისგან განაწამებო, დედავე
უკრაინისავე,
დღეს სალუტი შენს გამო მტერზე
გამარჯვებისა
ყველას გულისძგერაა, იგი ყველგან
გაისმა,
ეს ვაშაა ქართულიც, შენთვის
მიხალმებისა,
საყვარელო კიევო, შენ იმედო
ქვეყნისავე“.

ნაწილი მერვე



იღვრით ჰიზნი ღიად სამშობლოს მშენებელი

მედიკოსი

1

სადაც ხარობდა სოფელი წინად
 და სადაც მოსჩანს დღეს ნასოფლარი,
 მტერს საღრჩობელა დაედგა წყვილად,
 და გაიშობდა ქვეთინი ქარის,
 ძმათა საფლავი იქვე გათხრილი
 შორიდან მოსჩანს პატარა ბორცვად,
 ვერხვი ირბევა ტოტებდახრილი,
 ახლად დარგული შრიალესს მორცხვად
 და გმირია საფლავს ხუთი არწივის
 მზე დიდებისა ანათებს ახლად,
 უკრაინული ქარი დასწივის
 და ვერხვიც თითქოს კოცნის იმ
 საფლავს.

2

ცეცხლის გრივლით გარუჯულ მიწას
 ჭრილობა აზის ღრმა და მრავალი,
 ქვეყანა ასე როგორ დაიწვა?
 ამდენ ცეცხლს როგორ სთესდა
 მტარვალი?
 ჭირისუფლები დაბრუნდნენ ისევე,
 რომ უკრაინა ხელახლად აღსდგეს,
 დანაკლის იგი ისევე აივსებს
 და მზიანი დღით შეიცვლის შავ დღეს...

3

ხშირად უნახავთ ქალი ფერმკრთალი
 ძმათა საფლავზე რომ დადიოდა,
 და იგი ქალი — სოფლის მკურნალი
 ვარდ-ყვავილებით საფლავს ამკობდა,
 ჩამოჯდებოდა საფლავის ქვაზე,
 ხან სხვებთან ერთად, — ხშირად კი
 მარტო.
 როდესაც მთვარე მოწმენდილ ციდან
 ირგულივ შუქს ჰფენდა ტანჯულ
 მიდანოს,
 ამოიღებდა უბიდან სურათს,
 აცქერდებოდა უდიდეს ჯილდოს, —
 წაიკითხავდა: ჩვენს დას, მედიკოს,
 მარად სახსოვრად. მარინა, ფრიდონ“.

4

დნებრის ნაპირას, ვორაკზე მდგარი,
 ძველი მეტყველებს, — ცოცხალი კაცი,

გაბრწყინებია თითქოს მას თვალი,
 მძიმე ბრძოლაში სისხლისგან
 დაცლილს,
 და იგი ძველი დასცქერის ახლოს
 გმირ არწივების ძმათა სამარეს,
 მათი სახელი რომ შეუნახოს
 თაუდადებულთა მშობლიურ მხარეს,
 იგი გასცქერის შორით მისი
 მწვერვალს
 და ისმენს დაღაღს მიდამო მისას,
 გასცქერის მთებს, სად მწვერვალი
 ელავს,
 დღისით და ღამით შუქსა ჰფენს მიწას,
 გასცქერის იგი არწივთა ბუდეს,
 მწვერვალზე ბუდე თითქოს ჰკიდია,
 ფუძედ, სვეტებად კლდენი რომ
 უღევს.

ეს ებჯინება ისე დიდა.
 ბუდე-სასახლე დიდი ბელადის,
 არწივთა მამის სამყოფი ბინა,
 საცა ცხოვრება შეჰქმნა ფერადი,
 შარავანდედით ვინც მოიფინა.
 როცა სამშობლოს მტერი დაესხა
 ყაჩაღთა მოღმის, სისხლით მაძლარა,
 არწივთა მამამ ფრთები აისხა
 და მარად დარჩა მძლე
 წინამძღვარი.

ამოაფრინა თავის ბუდიდან
 და არწივები მტრებს შეუსია,
 გარს შენორტყმული ყოველი
 მხრიდან
 მზეცთა ბრბოები შეუშუსრია.
 ჩვენი სამშობლოს არწივთა ჰიზნი
 გულთა აღმზუნები, დამატკობელი,
 იმღერეთ ყველამ, გამართეთ ლხინი,
 ახალ სამყაროს თქვენ ხართ
 მფლობელნი!
 იმღერეთ ჰიზნი ჩვენი სამშობლოს
 თავისუფლების, ხალხთა ძმობისა,
 იმღერეთ ჰიზნი შრომის და ბრძოლის,
 სიყვარულის და მეგობრობისა!"



სამშობლოს ბილიკებით¹

მთხრობა

1

— ამაღამ სულ აღარ ისვრიან. წუხელ კიდეც იყო კანტი-კუნტი სროლა. ახლა კი მთლად გაჩუმდნენ, ესენიცა და ჩვენებიც. — დაღონებით თქვა პატარა ბიჭმა; თქვა ისეთი კილათი, თითქოს სწყინდა, რომ აღარ ისროდნენ.

პატარა ლ...-ის ყვეთელი შუქი ძნელად ერეოდა სიბნელეს, და ოთახში ბუნდოვანი სინათლე იდგა.

გარეთ უგემურად წვიმდა, ზანტად.

— სოფელში სინამეც იყო, ძაღლებიც კი არ ყეფდნენ. ხალხი გერმანელების შიშით, გერმანელები ხალხის შიშით გარეთ ვერ გამოდიოდნენ. ხალხისთვის აკრძალული იყო დაბინდების შემდეგ გარეთ გასვლა. ფანჯრები ღარაბებით იყო დაჩუქული შუქშენილბვისათვის. ხმაურობა არსად ისმოდა, მხოლოდ ზანტი ჭარი ამრიალებდა ხეებს, სახურავების ჩაღას, ფრთხილად აბრახუნებდა ღარაბებს და კვლების შენობაში, სადაც გერმანელი ჯარისკაცები ცხოვრობდნენ, ხანდახან ისმოდა ლაპარაკი და ლურჯმანი ფესსაცმელების ბრახუნი კიბესა და აივანზე. მერმე ისევ ჩამოვარდებოდა ხოლმე სინამეც.

სოფელში გერმანელები პირველად ამ ორი წლის წინათ შევიდნენ. მაშინ ამ სოფელთან დიდი ბრძოლა არ მომხდარა. წითელმა ჯარმა, გევმის თანახმად, მწყობრად დაიხია უკან და ეს სოფელი გერმანელებს თითქმის უბრძოლველად დაუთმო.

ცოტა ხანს იყო მათი ჯარი ამ სოფელში, სულ რაღაც ორიოდე კვირას. გერმანელები დაღვრემილი დადიოდნენ, სულ მცირე მიზეზით, მხეცად იქცეოდნენ ხოლმე. შეჭამეს სოფელი. არ შეარჩინეს გლეხს ქათამი, კვერცხი, ძროხა, ცხვარი. მოვიდოდნენ და წაიღებდნენ რაც თვალში მოუვიდოდათ. თავიანთი ჩვეულებრივი საქმელი რომ მობეზრდებოდათ, გლეხის საქათმეებსა და საკუჭნაოებს დაუვლიდნენ. ახალგაზრდა ქალები და დედაკაცები თავს თუ დროზე ვერსად შეაფარებდნენ მერე ძნელი ხდებოდა გერმანელების ხელიდან გასხლტომა.

ორი კვირის შემდეგ, როცა ფრონტი აღმოსავლეთისაკენ გადავიდა და ამ მხარეს ძალიან დაშორდა, გერმანელი ჯარისკაცებიც წავიდნენ სოფლიდან. დარჩა მათი აღმინისტრაცია და ცხოვრებაც დაწყნარდა. ხანდახან თუ გამოჩნდებოდა ხოლმე მათი რომელიმე რაზმი, ვხათ მიმა-

¹) ამ მოთხრობის ამბავი მოგვაწოდა უფროსმა სერჟანტმა დ. კვსიშვილმა.

ვალი, ან პოლიცია და მიშინ ხელახლა იწყებოდა შიში, ძარცვები, ძალადობა.

ახლა, ორი წლის შემდეგ ფრონტი ისევ მოადგა ზანდუქს, შიშქერად აღმოსავლეთიდან მოაწვა. უკუშეკრულ გერმანელებს მოსდევდა.

სოფელი ქაობებში იყო. მაღალ ლელის ტყე და საფლობები ერთკა გარშემო. განიერი, წყალმარავალი, დინჯი, ლურჯი მდინარე ჩაუდიოდა აღმოსავლეთით. მდინარის მარჯვენა, მაღალი ნაპირი ძალიან გამაგრეს გერმანელებმა. აქ გადიოდა ერთადერთი მისიადგომი გზა, ყამირი ადგილებიც აქ იყო, და აქ გამართეს გერმანელებმა აუარებელი საცეცხლე წერტები, დადგეს ექვსლულა ნაღმტყორცნები, არტილერია, გამართეს ბლინდაეები, დათხარეს სანგრები, ჩვენი ჯარი ვერსაიდან შეუვიდათ, და ბრძოლას დასასრული თითქოს არ უჩანდა.

მართალი თქვა ბიჭმა. ეს მეორე დღეა, რაც ივლო სროლამ, ამდამ კი მთლად შეწყდა. ჩვენს არმიას აღარ მიჰქონდა იერიშები.

— ალბათ გაუჭირდათ ჩვენებს სოფელში შემოსვლა. ეს შეჩვენებულები ძალიან გამაგრდნენ აქ. — უბასუხა დედამ ისე, რომ თავი არ აუღია წინდიდან, რომელიც ხელში ეჭირა და ქსოვდა.

— მამა რომ აქ იყვეს, იმან იცის ქაობებში გზები, ჩემად შემოიყვანდა ჩვენებს. — თქვა მარიამმა.

ძმამ შეხედა დას. დაინახა მისი შავი თვალები და თმა, თეთრწითური ლოყები, მრგვალი მხრები და ისეთივე ნაღველი ამოიკითხა მის სახეზე, როგორიც დედას ჰქონდა, თვითონ მიშასაც.

ღის სიტყვებმა მიშას თავისი სურვილი გაახსენა... ბიჭმა პირი გააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ ვერა თქვა-რა, — ვერ გაბედა, დედამაც დაასწრო:

— აღარც მაითქვენისა ვიცით რამე, აღარც თქვენი ძმისა. — დედამ ბევრჯერ უთქვამს ეს სიტყვები, მაგრამ შვილები ჩუმად მოუსმენდნენ ხოლმე, რადგან სანუგეშოს გერას უბასუხებდნენ.

— რას მიტყერი? — ჰკითხა დამ.

— ისე... — უბასუხა ძმამ და მერე, თითქოს თავისი სათქმელის დასათვარავად, თქვა: — შვიან.

— პურია და კართოფილი. დღეს შენ წა გივანშენია. — უთხრა დედამ.

— ეგენი მომბეზრდა.

— სხვა რომ არაფერი გვაქვს! დილას ვიდაც სალდათი იყო. კვერცხი და ქონი მთხოვა. უკანასკნელი მივეცი რაც მქონდა. შინ მოიწვედა. შემეშინდნენ არ შემოსულიყო, მარიამი არ დაენახა. მივეცი, მოვიშორე.

ისევ გაჩუმდნენ. ისმოდა ქარის ხაპურობა. საღდაც შემძვრალი კრიკინა კრიკინებდა. მიშა უგულოდ ლეჰავდა ცივ კართოფილს, პირში რომ ეგლისებოდა. დედისაგან მარიამის სახელის ხსენებაზე კიდევ შეხედა ძმამ დას.

— რას მიტყერი?! ეს შესამედ შემომხედე, თითქოს ვერა მცნობდე!

მიშას კი ღის წიდანდელი სიტყვები გულში ჰქონდა და პასუხი ახლა ვასცა:

— რატომ არავენ გავა ჩვენებთან და არ შემოიყვანს? განა მამის მეტმა არავენ იცის ქაობში გზები? მამა მონადირე იყო, მაგრამ სხვებიც ხომ არიან!

— ბევრმა არავენ იცის. ვინც იცოდა, ზოგი ჯარს გაჰყვა, ზოგიც მამა-შენსავით, გერმანიაში წაიყვანეს. ვინც დარჩა, ან მოხუცია, ან შენსავით ბავშვი, — უბასუხა დედამ.

მეჩვენე
მეჩვენე

— მე ვიცი ბილიკები. — გაუბედავად თქვა მიშამ.

— მერე? — შეხედა დედამ.

— შემოძლიან გავიდუ...

— ნუ სულელობ... საღმე ჩაეფლობი ქაობში, სხვა არაფერი გამოვა. ჯერ ბავშვი ხარ.

მიშამ ამოიოხრა. თხუთმეტი წლისა იყო. იცოდა, რომ ბავშვი იყო, თუმცა თავს ბავშვად არა გრძნობდა, მაგრამ როგორ დაემტკიცებინა დედისათვის ეს?

მიშაც დასავით შეთვალწარბა იყო, მაგრამ გამხდარი. სახეზე დარდი ეტყობოდა. ამ დარდს დედა მის სახეზე ხედავდა მასშემდეგ, რაც მამა წაიყვანეს.

— მაგას მეათე წყვილ წინდასა ქაოვ პეტროსათვის, — უთხრა დედას მარიაშამ, — არც კი ვიცი თ ჩაიცვამს თუ ვერა. არის თუ აღარ არის...

დედაც აღბათ ამასვე ფიქრობდა, რომ არა თქვა რა, თავი ჩაღუნა და უფრო გამალებით ამუშავა წინდიჩხირები.

ეზოში ძაღლია შეპყვება. გავარდა რევოლვერი. ძაღლი გაჩუმდა. დედამ წინდის ქსოვა შეაჩერა და თავი ასწია. მარიაში შე, 'თა. ყველამ კარისკენ მიიხედა. გაისმა გერმანული ლაპარაკი — კლუბის შენობიდან ვიღაცამ დაიძახა და ეზოდან პასუხი ვასცეს. მერმე ორიოდ წუთით მიწყნარდა ყველაფერი, ეს ორიოდ წუთი დედა-შვილებს დიდ დროდ ეჩვენათ, რაც თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ ვიღაც, ვინც გაისროლა, უკვე წასულიყო, ვასცლოდა ამ კარმიდამოს, და ხიფათი ასცდენოდა სახლს. ეს იყო იმედის გრძნობა, რომელიც არა სჯეროდა შიშით დაძაბულ გონებას.

კარი დააკაკუნეს.

არა, არ ჩაიარა ხიფათმა!

დედამ თვალით ანიშნა მიშას კარები. თვითონ კი ქალს ჩამოუღვა წინ, უკან-უკან წაეიდა, მარიაშაც უკან-უკან დაახვევინა და ლუმელსა და კედელს შუა კუნჭულში დამალა.

კარებში გამოჩნდა ჩასუქებული, დიდთავა, თვალბედაჰყეტილი გერმანელი უნტერი. ხელი თეძოზე ეღო, რევოლვერის ბუდეს ისწორებდა.

ხმაურობიხა და სროლის შემდეგ, გერმანელის მოსვლა მოულოდნელი არ იყო, მაგრამ მაინც რაღაც ხარი ჰქონდა. მისი მოსვლა კარგი ნიშანი ვერ იქნებოდა — სულ ცოტა, გაძარცვას მაინც მოასწავებდა.

მიშამ, ოჯახში ერთადერთმა მამაკაცმა, მოსული ვაჟეაცურად შეათვალღერა, მერმე დედას გადახედა. მოხუცი ფერწასული იღვა კუთხეში, ეფარებოდა შეიღს და შეშინებული თვალებით ისიც გერმანელს უტკბრდა.

გერმანელიც, თითქოს რაღაცით შემკრთალი, გაჩერდა კართან და ხმას არ იღებდა. ეს უფრო საზარელი იყო. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, მძიმე, შიშინანი.

გერმანელმა თვალი გადაავლო იჭაურობას — პატარა ლამფის მკრთალ შუქს, ცალ გვერდზე შებოლილ შუშას, პურსა და მოხარულ კართოფილს მაგიდაზე, გარედან დარაბეზდახურულ ორ პატარა ფანჯარას, უძრავ,

უხანძარი თვალებით, პირქუშად, რომ იცქირებოდა, ფერწაულ დედა-
შვილს. ამ სანახაობამ თითქოს შეაყოყმანა გერმანელი, მაგრამ უნდა ერთი
წამით, მერე გაიჭნია გერმანელმა თავი და დაიძაბა. გერმანელი

— მატყა იაიცა, მასლა. დავაი ბისტრო! — ფეხი წინ წადგა და ოთახის
შუაში გაწერდა. ეს აღარ იყო წელანდელი შემკრთალი ადამიანი. ეს ახლა
იყო გამარჯვებული, ძალის მქონე, თავზედი, მრისხანე კაცი.

მობუტმა რაღაც წაილულულა, ხელები გაასავსავე, — არაფერი მაქვსო.
მიშა ისევ იქ იდგა, კართან. მარიაშმა სული განაბა, მაგრამ გული ისევ
უჭკერდა, რომ შეეშინდა ქალს, მისმა ხმამ არ გამცესო.

წუთით ისევ სიჩუმე ჩამოეარდა. ისმოდა მხოლოდ კრიკინის ხმა.

— ნემს! — დაილულულა დედაკაცმა.

გერმანელი ფეხების ბრახუნით მივიდა კარადსთან, გააღო და შიგ ფა-
თური დაიწყო. რაღაც გადმოვარდა და გატყდა. ყველა შეკრთა. უნტერმა
დახედა ნამტვრევებს, ხელი ჩაიჭნია და მობრუნდა. თვალი მოკერასკივრს.
ახლა თავს და ფანცი-ფუნცი ამოყარა, რაღაც ჩაიღო ჯიბეში. ერთბაშად,
ხელის ერთი მოძრაობით, თითქოს მალაფდა კიდევ, თავზედობდა კიდევ.
დედამ შეხედა მიშას. შვილმა მის თვალებში წაიკითხა — დეე, რაც უნდა
ქნას, ოღონდ მოგვზორდეს.

ალბათ, მოსაწონი ვერა ნახა რა უნტერმა სკივრში. მოშორდა მას და
მობუტისაკენ გადადგა ფეხი. მისი ფეხის ხმა როგორღაც ძღბერი იყო,
თითქოს განგებ არტყამდა ფეხებს, რომ ხმა დიდი გამოსულიყო. ეს მრ-
ახლი ავსებდა სიჩუმითა და შეკრთომით სავეს ოთახს და აძლიერებდა
შიშს.

— დავაი კუშატი! — თქვა უნტერმა და, უცებ, მთელმა მისმა სხეულმა
გაკვირვება გამოხატა. თვალები დაეჭყიტა უნტერს, სახეზე საამოვნებებს
ლიმილმა გაუთამაშა.

— აა! — და რაღაც თქვა თავის ენაზე. მერე ხელი წაავლო მობუტს.
იქით გადააყენა და კუნჭულში შეიხედა. ხელები გაიწვდინა, ფეხი გადალ-
გა მარიაშისაკენ, ლუღლუღი დაიწყო და კიდევ გაიღიმა. ღიმილში სინაზე
და თავზედობა იყო. მარიაში მიხედა ამ ღიმილს — თუ წებით არა, ძალით.

დედა მივიდა გერმანელთან. გერმანელმა არც კი შეხვალა, უსიტყვოდ
გაუქნია იდაყვი და მკერდში გაართყა. მობუტს ეტკინა, მაგრამ ადგილი-
დან მაინც არ დაიძრა. უნტერმა მკლავები დაუჭირა მარიაშს და საკოცნე-
ლად გაიშვირა ტუჩები.

მიშამ დაინახა დის გაფართოებული სახე. შავი, დიდრონი თვალები უფრო
გაფართოებოდა. შიგ ზიზღის და შიშის გიჟური ნაპერწკალი ერთო. ქალმაც
გაიშვირა ხელები და გერმანელის მკერდს მიაწვია. არყის სუნი ეცა ქალს.
კუნჭულში გაიშართა ბრძოლა და ყველამ იცოდა რომ ეს ბრძოლა დედის,
მიშასი და მარიაშის დამარცხებითა და უნტერის გამარჯვებით უნდა გათ-
ვებულყო.

მიშას კანკალი აუტყდა. მის თვალწინ ხდებოდა ის, რაც ბავშვის გონე-
ბამ ჯერ ბუნდოვანად იცოდა. ბავშვი ხედავდა თავისი ოჯახის შეურ-
ცყოფას, დედისა და დის უმწეობას და იცოდა, რომ ოჯახში ერთადერთი
მამაკაცი მხოლოდ თვითონ იყო. ქალი უხშირდ იბრძოდა. დედა კანკა-
ლებდა.

მიშა ვერარას გრძნობდა შეურაცყოფის გარდა, ვერარას ფიქრობდა დის დაცვის მეტს, ვერარას ხედავდა ცულის მეტს, ღუმელქვეშ რომ იდო, იქ, სადაც მიშა ყოველთვის დადებდა ხოლმე შეშის დაბრუნების მუცელს. ცული იქ იდო, სისწელეში და მან თავისი ყვითელი, ხმაურებისგან გასუპული ტარით როგორღაც ერთბაშად, თავისთავად გაუღიმა ბავშვის გონებას და არა თვალებს.

გერმანელმა მოახერხა და ტუნებით მისწვდა ქალის ლოყას. კოცნასთან ერთად გაისმა ქალის ზიზღიანი ხმა:

— ფუჰ!

ქალმა ხელი მოისვა ლოყაზე — ნაკოცნი ადგილი მოიწმინდა.

მიშამ იგრძნო, რომ თავს ველარ იმორჩილებდა, და სამუდამოდ დაახსოვდა თუ როგორ დაიკუნა, ხელეზე დაიფურთხა ჩვეულებისამებრ, ცულის ტარს შავრად მოსჭიდა ორივე ხელის თითები, რამდენიმე ბიჯი გადადგა და ასწია ცული. ისიც კარგად დაახსოვდა, რომ ფეხის თითებზე აიწია, რადგან გერმანელზე დაბალი იყო.

რბილმა რაყებმა და დარტყმის ძალამ ცულის ტარი გაიარა და მიშას მკლავებში გაიყრიალა.

ღედამ შეჰკივლა, და მიხვდა მიშა, რომ ახალი საშინელება მოხდა. რა მოჰყვებოდა ამას, იმ წუთს ვერ წარმოიდგინა, შავრამ იგრძნო დიდი ხფათის აუცილებლობა და შეშინდა.

თავგატეხილი გერმანელი კუნჭულიდან გამობარბაცდა, მოახერხა რევოლვერის ამოღება, დამიზნება და ველარ მოასწრო, წაიქცა. მთელი სახლი შეირყა. რევოლვერი პიერში გავარდა. ლამფა ჩაქრა.

მიშამ იგრძნო — ღედამ მხრებში ჩააგლო ხელები, კართან მიიყვანა, გაალო კარი, გარეთ გაავლო შვილი და მიაძახა:

— წადი, ბოსტნებზე გადაიარე და დაიშალე.

ღედის ხმაში მუდარა, ბრძანება და უშიშობა იყო. მიშა დამორჩილდა ღედას.

2

ლეიტენანტი დოლენკო მთელი ნაწილის საყვარელი იყო. ადამიანს ხიბლავდა მისი მუდამ მოციინარე, ოდნავ მოჭუტული, შავად ლურჯი თვალები.

ლეიტენანტი დოლენკომ იცოდა დროზე ზუმრობა, დროზე — გაცხარება. თვითონ ყოველთვის სუფთად ეცვა და თავისი ხელქვეითებისაგანაც ამასვე ითხოვდა. მისი ბრძანება, მომღიმარი სახით ნათქვამი, არავის ეხამუშებოდა, მაგრამ ყოველთვის ბრძანებად რჩებოდა. მისი სატყვეიერი პატაკი უფროსებისადმი — ისევე შერბილებული იყო იმავე ღიმილით, თითქოს ბავშვური ზუმრობა გამოსტყვივოდა მის სატყვეებში, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ პატაკი, პიტაკი იყო, სამხედრო პატაკი, სერიოზული და საქმის საყვარულით სავსე.

მაგრამ სულ მთლად გამოიცვალა ლეიტენანტი დოლენკო, როცა გერმანელებმა ომი დაიწყეს. მის თვალებში ჩაქრა ღიმილი და მრისხანება აინთო. მისი მუდამ მოღიშარი ტუნები გახვედა, ერთმანეთს მიეწება. შიგ აღარ ანათებდა თეთრი, თანაბარი, მძივივით აკინძული კბილები, რომლე-

ბიც წინათ ქალური სინაზით ანათებდნენ მის შავ თვალ-წარბს, მოკლედ შეკრეპილ უღვაშებს, თეთრწითურ ლოყებს. მისი სახე ახლად პირქვეში და მრისხანე გახდა და ეს მრისხანება იმდენად ძლიერდებოდა, რომ იმდენად უკან იხევდა ჩვენი ჯარს, და როცა დოღეენკომ უკანდახევით უკანასკნელად გაიარა თავისი სამშობლო სოფელი, ეს მრისხანება უკვე სივედ იქცა. მთლად სიტყვაძვირი გახდა ლეიტენანტი. ენა თითქოს მარტო ბრძანებისა და განკარგულებისათვის ჰქონდა, სხვა არაფრისათვის. სამაგიეროდ სხვა თვისება გამოიჩინა — გამბედაობა, ბრძოლაში საზრისიანობა, ბრძოლისაკენ ღრთვა. პოლკში თუ გამოჩნდებოდა რამე სახიფათო საქმე, დოღეენკო უმაკველად ჩაერეოდა ხოლმე და ცდილობდა, თუ მეთაურობა არ ერგებოდა, საქმის შესრულებაში პირველობა მაინც არაეისთვის დაეთმო.

ორი წლის შემდეგ ისევ მიუახლოვდა თავის სოფელს. მოვიდა აღმოსავლეთის მხრიდან.

ორი დღე ებრძოდა პოლკი ამ სოფელში გამაგრებულ გერმანელებს. მაგრამ სოფელი ვერ აიღო. მტერი კარგად იყო გამაგრებული.

სარდლობამ შეწყვიტა იერიშები. სხვანაირი ხერხების ძებნა დაიწყო.

დოღეენკო უფრო გააირქმუნდა. კოპები შეიკრა. წინათ თუ ითმენდა უკანდახევას, ითმენდა გულისტკივილით.

— ვიცი, გონებით ვიცი, რომ ეს უკანდახევა საჭიროა და იგივე გამარჯვებაა, მაგრამ ჩემი გული ვერ ითმენსო. — იტყოდა ხოლმე. ახლა კი როცა თვალწინ ხედავდა თავის სოფელს, სულ რამდენიმე კილომეტრით რომ იყო დაშორებული გაშლილ მდლობზე, ხედავდა გზას, რომლის გავლაც სულ მოკლე დროში შეაძლებოდა, ხედავდა ნაჩვევ ჭალას, ბალებს, ბოსტნებს, დიდრონ ცაცხეებსა და მალად ალვის ხეებს, თითქოს მოსდიოდა მათი სუნნი, სამშობლოს სურნელება, გული მართლაც ველარ უთმენდა. გული ხანდახან როგორღაც გასწევდა ხოლმე სოფლისკენ, უნდოდა ამღვარიყო, დასდგომოდა გზას, შინ მისულიყო და ამ დროს დოღეენკო ისე გაინძრეოდა ხოლმე, თითქოს აი, მართლაც ადგება და გზას გაუდგებო, მაგრამ ამ გრძნობას გონება ერთბაშად აქრობდა, და დოღეენკო სულის ტკივილს იგრძნობდა ხოლმე.

ყველა ხედავდა, რომ ლეიტენანტი დაღონებული და გაჯავრებული იყო და რაღაცას ფიქრობდა. მისმა მეპრძოლებმა გამოცდილებით იცოდნენ — როცა მათი მეთაური ასეთ გუნებაზე იყო, უმაკველად ახალ გეგმას საზრისობდა და მალე შეუდგებოდა მის განხორციელებას.

ბოლოს მივიდა თავის პოლკოვნიკთან.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ!

— ვისმენთ! — პოლკოვნიკი მიხვდა, რომ გამბედავი და მთელი ნაწილის საყვარელი ლეიტენანტი კარგ რამეს ეტყოდა.

— მე აქაური ვახლავართ. აი, სწორედ იმ სოფელი. იქა მყვანან დედა, მამა, ძმა, და. მამა მონადირეა. ბევრჯელ ვყოლივარ სანადიროდ. კარგად ვიცი ჭაობებში ბილიკები. დანარჩენი თავისთავად გასაგებია. მეტი რაღა მოგახსენოთ.

პოლკოვნიკმა თვალბში ჩახედა ლეიტენანტს.

— ესე იგი გსურთ სოფელში შეეპაროთ გერმანელებს.

— ცხადია.

- მეც მაგისტანა რამ ზერხსა ვფიქრობ. მგონია სხვა გზა არ არის!
- სხვა გზა უფრო ძვირად დაგვიჯდება.
- კი, მაგრამ...
- მაგრამ რა?

ერეკლეული
ბილიკებით

— ვაი, თუ ბილიკები გამაგრებული ჰქონდეს მტერს? მაშინ ხომ ტყუილ-უბრალოდ დაგვეღუპება ხალხი.

— შეუძლებელია ის ბილიკები იცოდნენ გერმანელებმა. ისინი იმათ ვერ აპოვნინდნენ.

— იქნებ სხვა ვინმემ აპოვნინა?

დოლენკო შეერთა და გაწითლდა. გონების თვალთ ვადათვალა მთელი სოფლის მოსახლეობა.

— ჩვენს სოფელში მაგისტანა არავინ არის.

— ვინ იცის? სიფრთხილვა საჭირო, — ჩაილაპარაკა პოლკოვნიკმა.

— მე ვიცი. თუ არა და როდემდის უნდა ვიყვნეთ აქ. ბლინდაეებში ჯდომით ხავსი მომეკიდა.

პოლკოვნიკმა გაიღიმა.

— კარგი, წადით. მოვიფიქრებ.

დოლენკოს თავისი გეგმა მარტივი და ადვილი ეგონა იმდენად, რომ პოლკოვნიკის სიტყვებზე გაწითლდა და გაჯაერებული გამოვიდა მისი ბლინდაეიდან.

— რა მოფიქრება უნდა! ყველაფერი ცხადია დღესავით.

3

მიშა ჭაობის პირად იდგა ხშირ ლელში და ყური სოფლისკენ ჰქონდა. ცუდი ხელში შერჩენოდა. სოფელში დიდი ჩოჩქოლი იყო. ისმოდა ყვირილი. რამდენჯერმე გაისროლეს. ჩანდა ჯიბის ელექტროფანრების შუქები. ძაღლებიც იყეფებოდნენ.

— შეტებენ — გაიფიქრა მიშამ. შიშით, გნაერეოლა. — რა მოუვიდათ დედას, მარიამს? — ახლა იგრძნო რაღაც დანაშაული მათს წინაშე, — შეუ-რაცყოფას გადაეარჩინე, მაგრამ მათი სიცოცხლე ხიფათში ჩავაგდო, — გაიფიქრა, და მთელმა მისმა სხეულმა უცბად გასწია სოფლისკენ. ისე ეჩვენა, თითქოს დედისა და დის დაცვის საქმე ჯერ არ დაუმთავრებია, ახლა უნდა განაგრძოს და ბოლომდე მიიტანოს და, მართლაც, ბავშვური გამბედაობით გადადგა ფეხი.

ერთბაშად ცა განათდა. მიშა შეერთა. გულმა შეჰზარა. ალიონი იქ იყო, სადაც მათი სახლი იდგა. მიშამ ნაბიჯს უმატა. გარბოდა, რამდენადაც ნებას აძლევდა ჭაობის შერყევი ნიადაგი და ტალახი.

ცა წითლად კრთოდა. განათებული რუხი ბოლი გადაეფარა სოფელს. მიშა ბექობზე ავიდა, სოფლის მოედნის პირდაპირ, ხეებს მიეფარა და მოედანს გადახედა.

გერმანელები ხალხს მოერეებოდნენ. ბევრი უკვე მოეყვანათ. შეიარაღებული ჯარისკაცებიც დარბოდნენ ქუჩაში, სცემდნენ ხალხს, ყვიროდნენ. ისმოდა ტირილი.

— მთელი სოფელი დავღუპე! — გაიფიქრა მიშამ, — მაგრამ რა ჩემი ბრალია?

ხანძრით განათებულ მოედანზე დაინახა დედა და და, ხელშეკრულნი, ჯარისკაცი სცემდა მათ.

მიშამ ვერ გაუძლო ამ სანახაობას, პირი იბრუნა და, ~~დაიქცა~~ დაიქცა, ისევ ჭაობთან მივიდა. გული გამალებით უცემდა, სულმთავრად დაფიქრდა.

მასშემდეგ რაც ცული მოიქნია, თავს უკვე ვაჟაკად გრძობდა. ის პატარა მიშა აღარ იყო, ამ ერთი საათის წინათ უსიტყვოდ რომ დამორჩილდა დედას, რომელმაც წითელი ჯარის ბანაკში წასვლამ აუქრძალა. ახლა დამოუკიდებელი მამაკაცი იყო, გამხედავი, ძლიერი.

რაც მოხდა, მოხდა. ამას აღარაფერი ეშველება. საჭირო იყო მოქმედება, დაწყებული საქმის გაგრძელება. ერთადერთი ხსნა წითელ ჯარში იყო. აი იქ, ამ ჭაობის იქით. და გაიქცა...

ამინდი ხელს უწყობდა. ფარულად მიდიოდა. ასეთ ამინდში, — ქარში, სიბნელეში, უგზო-უკვლოდ, ჭაობში, მღვეარი ვერ დაედევნებოდა. მიშა გაბედულად მიდიოდა, არ ერიდებოდა ლელის აშრიანობას, — სულერთია ქარი აშრიანობდა.

უკან რჩებოდა დამწვარი სახლი, დატყვევებული დედა, და ბაბი.

ხშირ ლელში რომ შევიდა, სიარულს უკლო, სიფრთხილით აბიჯებდა, ჩადგანაც გზა ნაკლებად ნაცნობი ხლებოდა.

ამ ბილიკზე წინათ ნადირი უფრო დადიოდა, ვიდრე ადამიანი, მგლის, დათვის, მელიის ნავალია. ახლა კი, რაც ბრძოლა დაიწყო, სროლამ დააფრთხო ნადირი და აღარა ჩანდა.

ერთბაშად წინ ადამიანის ხმა გაისმა. მიშა გაჩერდა, ყურები ცქციტა. სუნთქვა შეეკრა, არ ეგონა თუ ამ დროს აქ ადამიანს შეხვდებოდა.

ვინ უნდა იყოს? გერმანელები არ უნდა იყვნენ. იქიდან მომავალი გერმანელი ვერ იქნება. სოფლელი ვინმე? დიდი ხანია სოფლიდან არავინ გასულა. დღეს ყველანი შინ იყვნენ. შეიძლება გერმანელი მშვერავები არიან? მაგრამ ვინ ასწავლიდა მათ ამ გზას?

მიშა ბილიკიდან გადავიდა, ხშირ ლელში შევიდა და ცულს ხელი მაგრა მოუჭირა. წყალი მუხლებამდე შეადგა შხაპუნით.

მიშა კურდღელივით გაინაბა.

4

პოლკოვნიკმა საღამოთი დაიბარა ლეიტენანტი დოლენკო და თანხმობა მისცა.

დოლენკომ, ბრძანებას რომ დახედა, სიხარული იგრძნო. ერთბაშად გამოიცვალა; თითქოს ხელახლა დაიბადა ის ლეიტენანტი დოლენკო, რომელიც წინათ იყო, ომის დაწყებამდე. თავისი გეგმა მარტივი და ადვილი ასასრულებელი ეგონა და წინდაწინვე ხედავდა იმას, რაც უნდა მომხდარიყო.

ლეიტენანტი წინ მიუძღოდა თავის ასეულს. ფრთხილად მიდიოდა, რევოლვერით მარჯვებულნი. შესაძლებელია მტერს წავაწყდეთ, ამას არა ფიქრობდა — დარწმუნებული იყო, აქ გერმანელები არ იქნებოდნენ. მას აფიქრებდა ბილიკის დაკარგვის შესაძლებლობა. რამდენი ხანია აღარ გაუფლია ამ გზებზე. პატარა იყო, როცა მამას დაჰყავდა ამ გზებზე. ეს

ამ ათი წლის წინათ იყო. მას შემდეგ თვითონ დოლქენკოც გამოიკვლია — ბევრი რამ დაავიწყდა; ჭაობიც გამოიცვლებოდა — ვინ იცის, სიბერე გადაინაცვლა წყალმა ალაგი, სად ამოიწია ახალმა კოლბოხებმა, სიფრთხილე იყო საჭირო, და ლეიტენანტი იმდენად თვის მესხიერებას კარგად უფრთხობდა, რამდენადაც ჭაობიან ადგილას სიარულში გამოცდილი ადამიანის ალღოს.

წყნარი, მოზუზუნე, ცივი ქარი მძიმედ აქანებდა წვიმით დასველებულ ლელს. ჩალა თავს აქნევდა, იღუშალად შრიალებდა.

ასეული სულგანაბული მისდევდა თავის მეთაურს. მებრძოლებს ფეხები ლიპში ეფლობოდათ. სიარული ძნელი იყო. ნესტი და ქარი ძვლებამდე სწვდებოდა.

ლეიტენანტმა იცოდა, რომ სახიფათო წუთებში, დაძაბულად მომუშავე ტვირის შეიძლება ბევრი რამ მოელანდოს. ამიტომ ფრთხილობდა, არ მოგტყუებოდა.

და, მართლაც, არ მტყუებდა. ლელის შრიალა და წვიმის ხმაურობაში ცხადად გაარჩია რაღაც სხვაგვარი ხმა — წყლის ჩქაფანი და ლელის სულ სხვანაირი შრიალი.

— სდექ! — უბრძანა ასეულს. მერე წინ გადახტა და საეჭვო ალაგს დააკვირდა.

შიში, გაკვირება და სიხარული ერთმანეთში აერია მიშას: — სდექ! — რუსული კომანდა იყო.

— არის მანდ ვინმე თუ არა? — იკითხა ლეიტენანტმა.

კილო ნაშდელი უკრაინული იყო, თავისი სოფლისა, ხმაც თითქოს ეცნო მიშას. მაგრამ ყურს არ დაუჯერა. დარწმუნდა კი, რომ მის წინ გერმანელი არ იყო.

— მე ვარ! — დაიძახა მიშამ.

— ვინ შენ?

ხმა უეშველად ნაცნობი იყო, თითქოს დავიწყებული, მაგრამ მახლობელი.

— დოლქენკო, — თქვა მიშამ თითქოს გაუბედავად, თითქოს იმედოვნადაც.

— როგორ თუ დოლქენკო! გამოდი, დაბენახვე. ხმაზე გცნობ, მიშა ხარ.

— პეტრო! მეც ხმაზე ვიცანა.

უმცროსი ძმა ყელზე ჩამოეკიდა უფროსს.

— აქ რა გინდა? — ჰკითხა პეტრომ.

— თქვენთან მოვდიოდი. შენა?

— შე ასეული მომყავს სოფელში, გერმანელებს უნდა დავეცნეთ თავს. რა ამბავია იქ, წელან რა იწოდა სოფელში?

— ჩვენი სახლი. ჩქარა, წავიდეთ, გზაში გიაბობ ყველაფერს.

ლეიტენანტი თვითონაც ჩქარობდა.

პეტრომ თითქოს მშვიდად მოისმინა ძმის ნააშობობი. მიშას უკვირდა ეს სიმშვიდე.

ერთ ხანს ჩუმად მიდიოდნენ. პეტრო ფიქრობდა, საზრისობდა. მიშა აღარაფერს ფიქრობდა. მთლად მიენლო უფროს ძმას, მის ასეულს. სიარულს აძნელებდა იარაღი — დაზგიანი ტყვიამფრქვევი, ვაზნებით სავსე ყუთები, ხელყუმბარები.

— რა ოხერი ამინდია, — წაიჩურჩულა ერთმა მეგრძელმა. — ცეცხლი.

— არაფერია. მალე გავფურცდებით. გერმანელებს კი მთლად დასცხებ-
ბათ. — ხუმრობის კილოთი უბასუბა ლეიტენანტმა. *გერმანელები*

ძმის გულმშვიდობით ისედაც გაკვირვებული მიშაშხალს მისი კაცობა.
გააოცა პეტროს ამ სიტყვებმა და კილომ: ამ დროს, როცა ასეთი დიდი,
სახიფათო საქმის ასასრულებლად მიდის, დედა და და საფრთხეში ჰყვან-
ნან, პეტროს მაინც შეუძლია ხუმრობაო!

— ასე უნდა. მე რომ ასლა ტირილი დავიწყო, მაშინ ან საქმე როგორ გა-
ვაკეთო, ან ეს ხალხი როგორ გავამხნევო. შენ ეს მითხარი, შტაბი სადა
აქვთ? — ჰკითხა პეტრომ.

— სკოლის შენობაში.

— კარგია. ადვილად მისადგომ ადგილს ყოფილა. სალდათები სალდა
არიან?

— კვლების შენობაში, სოფელში ცოტანი არიან. დანარჩენები წინა
ხაზზე ჰყავთ, სანგრებში.

— დედა და მარიაში სად წაიყვანეს, თუ იცი?

— არ ვიცი.

— რაც ისინი დაინახე მოედანზე, მასშემდეგ სროლა ზომ არ გსმენია?

— არა.

— მაშ ჯერ არ დაუბრუნებიათ. ასე მალე არც დახოცავენ. მძევლად
შეინახავენ ჯერჯერობით. სოფელს მოსთხოვენ შენს თავს. თუ ვერ გი-
პოვნეს, მაშინ დახოცავენ.

— მაშ მე წაეალ, გამოვეცხადებდი.

— საჭირო არ არის. ჩვენ მოვდივართ. შენ კი რომ გამოცხადდე, შენც
მოგკლავენ და იმათაც. ვიცნობ გერმანელებს.

— სულელები! — ცოტა სიჩუმის შემდეგ წაილაპარაკა პეტრომ, ეტყო-
ბოდა თავისი ფიქრების შედეგად.

— ვინა? — ჰკითხა ძმამ.

— გერმანელები. ასეთ დროს, როცა შექმენილბვა აქვთ, მტერი გარს
ახვევიათ, ისინი ხანძარს აჩენენ, მილამოს აჩირაღდნებენ. კიდევ კარგი
რომ წვიმიანი ამინდია, საბურავები სველია და ქარი სოფლიდან ჰაობის-
კენ ჰქრის, თორემ მთლად გადიწვოდა სოფელი.

სოფელთან ლეიტენანტმა თავისი რაზმი შეაჩერა.

შულამე გადასული იყო. სოფელი დაწყნარებულიყო და ეძინა. მაგრამ
ეს ძილი არ იყო. ეს იყო შეშინებულის განაბვა.

— პაპა ივანე ზომ ცოცხალია? — ჰკითხა პეტრომ ძმას და თავით ანიშ-
ნა სულ განაპირა სახლი.

— ცოცხალია.

— მოდი, ჩუმიად დაუკაკუნე, იქ მომიყვანე.

ლეიტენანტმა ყური დაუგდო სოფელს.

საკვირველი იყო. იმის შემდეგ, რაც სოფელში მოხდა, გერმანელები
როგორღაც არხეინად იყვნენ. სოფელში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ალბათ არ
ვშინოდათ, ფიქრობდნენ ხიფათი არსაიდან მოგველისო.

— მით უკეთესი. — გაიფიქრა ლეიტენანტმა.

ხანძრის სუნი, წვიმისაგან დასველებულ ნახშირს რომ ასციოდა, ხამუშ-

ხამუშად მიჰქონდა ქარს. ლეიტენანტის ყნოსვა იპერდა ამ სუნს. ის იყო საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ მინდვრებზე მტრისაგან გამაფრთხილებელი და აოხრებული მრავალი სოფელი და ქალაქი. საკუთარი სჯილვის უფროსი სუნი მთელი სამშობლოს ხანძრის სუნი იყო ლეიტენანტისაგან ამის დაწყების შემდეგ ამ სუნმა დააღონა ლეიტენანტი დოლენკო, ჩააჭრა მის თვალეში და სახეზე მხიარული ნაპერწკალი. უცნობი და მოულოდნელი არ იყო პეტროსათვის ყველაფერი ის, რაც ამ დამეს მოხდა სოფელში. ცეცხლი, სიკვდილი, ნგრევა, აწროგება მოსდებოდა მთელს რუსეთს, და არ უკვირდა დოლენკოს, რომ ეს ხვედრი მის სახლსაც არ ასცდა. ამიტომ არ ღელავდა.

მოვიდნენ მიშა და პაპა ივანე. პაპამ უამბო: პეტროს დედა, და და ასოდე სხვები გერმანელებმა დაამწყვდიეს კოლმეურნეობის მელორეობის ფერმაში, სოფლის გარეთ, ხალხს კი გამოუცხადეს, — დაშინავე თუ არ მოგიყვანიათ, ან თუ თავისით არ მოსულა, დილაზე საღორეს ცეცხლს წაუქვიდებთ და ყველას დაწვავათ.

— კარგი, — მოკლედ უპასუხა პეტრომ, — ახლა ჩვენ ყველამ ვიცით რა უნდა ვქნათ. თქვენც გვიშველეთ. შენ, პაპავ, ეს ორი კაცი მიიყვანე საღორესთან და ჩაასაფრე. დანარჩენი თვითონ იციან. მიშა, ხომ იცი სად არის გაბმული ტელეფონის მავთულები?

— ვიცი.

— პო და, წადი იქ, სადაც მავთულებია, ხეებში, უფრო ბნელ ალაგას დაწყვიტე მავთულები. ცული თანა გაქვს? გაიგე?

— გავიგე.

— თოფი მომეცი. — სთხოვა პაპამ.

— ზედმეტი არა მაქვს. კეტი აიღე. აბა, გასწით.

5

სკოლის ბაღში ბნელდა. ღრუბლებისაგან ისედაც ჩაშავებული დამე დიდრონ ცაცხეებსა და ვერხვებს უფრო ჩაეშავებიათ.

კუნაბეტი ჰფარავდა ორ წითელარმიელს, რომლებიც კატის ნაბიჯით და გულადად მიიკვლევდნენ გზას უცნობ, უცხო ადგილას.

სკოლის შენობა თეთრად ელავდა ამ სიბნელეში. არმიელებმა შორიდან მიაკვლიეს მას ერთ წვრილ ოჭროსფერ ზოლზე, რომელიც ფანჯრის დარბაზში გამოპარულიყო და მიწაზე გაწოლილიყო გრძლად. ეტყობოდა მხოლოდ ამ ერთ ოთახში ენთო სანთელი. შენობის თეთრ კედელზე შავად მოძრაობდა ადამიანის აჩრდილი. გუშავი იყო. მობუზულიყო, ხელები სახელოებში შეეყო და ნელა დადიოდა. ორივე წითელარმიელი ქურდულად უახლოვდებოდა გუშავს.

დოლენკომ თითქმის სულ ახლო გაუარა თავის კარმიდამოს. იცნო ყველაფერი — ხეები, ქა, დამწვარი ღობე.

— აი ჩემი ნასახლარი, — უთხრა თავის წითელარმიელებს. არავინ უპასუხა. პეტროს ეს არ გაუკვირდა. ეამა კიდევ. ამაში პრისხანება დაინახა. კლებთან ოთხი კაცი ჩაასაფრა.

დოლენკო მიდიოდა სოფლის გარეთ, ლელებსა და ხეებში, სოფლის მთავარი ქუჩის გასწვრივ. ყური სოფლისკენ ჰქონდა. ეშინოდა იქ არაფერი მომხდარიყო იმაზე უმალ, ვიდრე თვითონ მივიდოდა ადგილზე. მან

გზადაგზა, აჭა-იქ, ისეთ ადგილებში, სადაც გერმანელებს გაქცევა შეეძლებოდათ — შევეტომატეები ჩაასაფრა.

ყველაფერი ერთსა და იმავე დროს უნდა მომხდარიყო, მაშინ როცა ლეიტენანტი შუშუნატი ნიშანს მისცემდა. პოლკსაც მუშაობდა და წყო იერიში გალმიდან.

როცა ყველას თავთავისი პლაგი მიუჩინა, ლეიტენანტმა დოლჟენკომ ერთხელ კიდევ შემოუარა სოფელს, ყველაფერი შეამოწმა და მთავარ ძალებთან მივიდა, მდინარის პირას, მტრის საცეცხლე წერტების უკან რომ ჰყავდა ჩაასაფრებული.

— სძინავთ, ძალიშვილებს! — გაიფიქრა მან. როგორც შემოპარს გული მოსდიოდა გერმანელების ასეთ უღარდებობაზე.

საათს დახედა. ალბათ პოლკოვნიკიც ასე უცქერს ახლა საათს და დღე-ღამეს, ღელავს იმიტომ, რომ არ იცის რა ხდება სოფელში. დოლჟენკო კი მშვიდად არის, რადგან იცის, რომ ყველაფერი რიგზე აქვს.

ცაში ავიარდა წითელი ცეცხლის ბურთი. ვრძლად აუშვა მალა თეთრი ბოლის კუდი და შურდულის მსგავსად დაეკიდა ჰაერში. მიდამო შორს გაანათა.

ბაღში გაისმა რბილად დარტყმის ხმა. ხმა მოკლე იყო, შემკრთალი, თითქოს ფუტურემ გამოსცაო — კონდახმა ცხვირპირი ჩაუღწია გუშავს. გუშავი დატორტმანდა და, არც კი დაუკვენესია, ისე დაეცა ტალახთან ბილიკზე.

წიხლმა წეამტერია კარი. შეაზანზარა მთელი შენობა სკოლისა. ორი ხელყუმბარა ერთად შეფრინდა შტაბის ოთახში, და აფეთქების ხმამ გრგვინვით გაიარა სოფელი.

ლეიტენანტი დოლჟენკო სიხარულით წესტა ერთ ადგილას.

— ყოჩაღ, ბიჭებო!

სოფელში სროლა ატყდა, მდინარის პირადაც. სროლაზე სცნობდა ლეიტენანტი, თუ ვინ ისროდა, მისი რომელი ჯგუფი და სად. უხაროდა.

— ყოჩაღ, ბიჭებო!

გაღმა დაიწყო ანთება წითელმა ცეცხლებმა. ხან აქ, ხან იქ, ამოფეთქდებოდა ხოლმე ცეცხლის პატარა ენები. ლეიტენანტი ხედავდა ამას და ხედებოდა თუ იქ, გაღმა დარჩენილი მისი რომელი ამხანაგი ისროდა ზარბაზანს, ნალმტყორცს. ატკაცუნდა ტყვიამფრქვევებიც და მაწყურებელი ღამე მთლად ახმაურდა, გაცოცხლდა.

გერმანელები გაოგნებულნი დარბოდნენ, რაღაცას ყვიროდნენ, უთავბოლოდ ისროდნენ.

მზე ჯერ სრულადაც არ იყო ამოსული, როცა დაღლილი, გაოფლიანებული, ტალახსა და თიფის წამალის ბოლში მოსვრილი ლეიტენანტი დოლჟენკო უკვე ნელი ნაბიჯით მიდიოდა სოფლის მთავარ გზაზე. მთელს დამის სიარულის, მოძრაობის, მღელვარებისა და ბრძოლის შემდეგ, მხოლოდ ეხლა იგრძნო დაღლა, როცა ყველაფერი გათავდა და თავისი პოლკი სოფელში შემოსული დაინახა.

თავის სახლისაკენ მიდიოდა და, თუმცა იცოდა, რომ სახლი დამწვარი იყო, მაინც ისეთი გრძნობით მიდიოდა, თითქოს იქ დაისვენებდა, შინ, საკუთარ ოჯახში, დედის კალთასთან, დის მზრუნველ სიხარულში. მიდიოდა დამშვიდებული, თავაწეული, თითქოს არც კი ახსოვდა რაც მოხდა,

ვერც სიხარულსა გრძნობდა, აღბათ იმის გამო, რომ წინდაწინვე იცოდა, რომ გაიმარჯვებდა.

შერვეული იყო ამ აზრს და სიხარული უკვე წინდაწინვე ^{ერყინული} ~~გაქრული~~ აღიქმავდა.

უკან მისდევდნენ მებრძოლები, ესენიც, დაღლილნი, მოსვრილნი, დასველებულნი, მაგრამ ამაყნი, გახარებულნი და მხნენი.

სოფლები ჰკრეფდნენ დახოცულ გერმანელებს და ურმებით გაჰქონდათ სოფლიდან. ქუჩა საესე იყო გახარებული ხალხით. დოლენკოს გაუკვირდა კიდევ — ასე ერთბაშად ვინ მოაწყო ეს საქმეო.

— ბერია? — ჰკითხა ერთ დედაკაცს.

— ვეზიდებით. არა ვთვლით. — გაიღიმა დედაკაცმა.

ლეიტენანტმა დაამწყრივა თავისი ასეული, გადახედა და გადათვალა. ას ოცი კაცი წამოიყვანა და ას ოცდაერთი დათვალა, ეს ას ოცდამეერთე მიწა იყო, თავის ცულიანად.

— დაიშალენით! — უბრძანა მებრძოლებს და თავისი სახლის ნახანძრევთან მივიდა.

დედა და და მიეგებნენ.

— არა ეტირი, შვილო — უთხრა დედამ, — სახლს, აღარც მამაშენს, არაფერს, არაფერს. შენა გნახე გამარჯვებული.

პაი ჭკუისაგან

ჩაცკის მონოლოგი

(ტვანაკნელი მოქმედების მე-14 გამოსვლიდან)

ჩაცკი (მცირე ღუმლის შემდეგ)

გონს ვერ მოვსულვარ... ბოდის ვიხდი
მესმის და მაინც ვერაფერს მიუხვდი.
თითქოს სურთ კიდევ განმიმარტონ გულის დამწველი,
აზრი მერევე... რაღაცას ველი!

(მგზნებარედ)

ვახ ჩემს სიბრძავეს! შრომის ჯილდოს ვისში ვეძებდი!
ვისკენ მოექროდი! ვთრთოდი! ჩემს თავს ვაიმედებდი
ბედნიერების სიახლოვეთ! — დღეს ვის წინაშე
სათუთ სიტყვებით გადავშალე გულის სინაზე!
თქვენ კი... თ, თქვენ კი... დმერთო ჩემო, ვინ აირჩიეთ!
როდესაც ვფიქრობ, თავბრუ მესხმის... ვინ ამჯობინეთ?
რათ შემიტყუეთ იმედებით? რათ არ მიჩინეთ,
რატომ პირდაპირ არ სთქვით, რათ არ შემატყობინეთ,
რომ ყველაფერს მას, რამაც განელო — მწარედ დასცინეთ,
რომ თქვენში ხსოვნაც კი გაცივდა — ხსოვნაც კი ყველა
იმ გრძობებისა, რაც ჩვენს გულებს ანთებდა წინეთ,
რაც ჩემში რღნავ, ვერც სიშორემ ვერ შეაწელა,
ვერც გართობამ და ვერც აღგილთა ხშირმა გამოცვლამ!
ვსუნთქავდი მათით მარად, მათით სიცოცხლე მსურდა!
რომ გეტქვათ ჩემთვის, რომ უცები ჩემი ჩამოსვლა,
ჩემი დანახვა, სიტყვა, ქცევა — თქვენ უკვე გჭულდათ —
იმავე წაშში აღვეკეთავდი მე თქვენთან კავშირს
და, ვიდრე ასე, სამუდამოდ დაგშორდებოდი,
იმის გაგებას მეტად აღარ შევეცდებოდი,
ვინ იყო თქვენთვის საყვარელი და სათნო კაცი!

(დაცინვით)

სად მოფიქრების შემდეგ თქვენ მას შეურიგდებით!
ან კი ღირს თავის შეწუხება, დარდი და წყენა?
აბა განსაჯეთ: ნაზი მოვლით და ყურისგლეებით
ხომ ძალგამთ იგი თვინიერ ქმრად აღზარდით თქვენა,
გზავნით საქმეზე, იმსახუროთ — ვით სახლის ბიჭი
და თავდაბალი მორჩილების აღუძრათ ნიჭი!
ქმარი — მსახური, ცალის ტვირთქვეშ მომხრელი მხრების —



აი მადალი იდეალი მოსკოველ ქმრების
 კმარა! მე კიდევ ვამყოფ აწ თქვენს დაშორებას!
 თქვენ კი ბატონო, მამავ, — მთვრალი ჩინით და ჯვრებით
 მაგ თქვენს ბედნიერ უმეცრების ბურანში თვლემას
 გისურვებთ... მე თქვენს დასიძებით არ გეშუქრებით!
 არა, სხვა ვინმე გამოჩნდება — თქვენი რჩეული:
 სალამდობალი, საქმის კაცი — მოქნილ თვისებით,
 ქედმოზრილობას, მორჩილებს ღიძს მიჩვეული,
 რომ ის მომავალ სიმამრს ჰგავდეს ყველა ღირსებით!
 დიახ! მე ესლა გამოფხზიზლდი სრულად და რიდე
 ბურუსიანი ოცნებების — თვალთ მოვირიდე!
 და აწ ურავო არ იქნება, რომ ერთიანად,
 ჭალიშვილის და შამის მიმართ, ვით შეპყვრს იმათ,
 თან იმ სულელი საყვარლის და მთლად ქვეყნის მიმართ, —
 გადმოვანთხო ჩემი გულის ხოლმა მთლიანად!
 ვისთან ვიყავი! სად ჩამავდე, ბედო მუნთალო! —
 სუყველა მდევნის! ყველა შვიცხავს! სულთამხუთავო
 ბრბოვ, სიყვარულში მოღალატე გამცემლებისა,
 ხოლო მტრობაში — დაულალე გარეწრებისა!
 მოუდრეკელი ყბედებისა, უხაშ ჭკვიანთა,
 ცრუ-გულუბრევილო, გაიძვერა აღამიანთა
 ბრბოვ, შენ აყვია დედაბრების, ბერიკაცების უხამში ნაწები
 მიხრწნილი ვნით გაუგონარ ჭორებს რომ ჰბადებ —
 ხმაშეწყობილად შენ მე გიყად გამომაცხადე!
 თქვენ მართალი ხართ: ვინც მოასწრებს თუნდაც ერთი ღლით
 თქვენს შორის ყოფნას, თქვენთან სუნთქვას ერთის ჰაერით
 და მას გონება მაინც ისევ საღი დარჩება, —
 ცეცხლის აღიდან უვნებელი ის გადაჩება!
 შორს მოსკოვიდან! აქ მომსვლელი მე ადარა ვარ!
 წავალ, მოვებნი ქვეყნად კუნჭულს თქვენს ცის გარეთა —
 შეურაცხველ წმინდა გრძნობის შესაფარავად!

კარეტა ჩქარა, ჩემი კარეტა
 (გადის)

თარგმანი სიმონ შავალიძის მიერ.



კაცხის სვავის საიღებლო

ნ ა თ ვ ე რ ი ა

„... ზრამსა შინა არს კლდე იყვანილო, ვითარცა სვეტი. ფრიად მალაღ. შას კლდის თხემზე არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა აღება კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღსვლისა“...

ვახუშტი.

მალა მზერით კისერი მომეღალა. ახლა მიწაზე დავექე გულაღმა და ასე ვუძმწერ.

აკაკი ბელიაშვილიც ასე მოიქცა.

ღრმა მოხუცი — შამშე ბუჭუხიშვილი კი ცალფეხმორთხმულა მომადლოდ ჩამოჯდა და ხან ჩვენ შემოგვხედავს, ხან სვეტს.

სოკოსებრი, ვეება კლდე-სვეტი აღმართულა ჩვენს წინაშე. წელში გამოყვანილ და მკერდში სიახო მოცემულ პიტალოს, წახნაგები ჩამოტყსა. უზარმაზარ ცერივით უკმეხად აღმა აშოტილი დგა და პირქუშად ათვლემს.

ყოვლად მიტვალს, ხეების ჩრდილ-ფოთოლი თავზე ფათანაკევით მოუგდია, ხოლო ფოთოლნარში შიგადაშიგ ადამიანი ხელით ნაშენი კედლები გამოსჩანს.

არა, ეს ყოველივე ზმანება არ იყო, ნაშენი გარკვევით სჩანდა, ხოლო ქოგარში — თლილი ქვაყ ირკვეოდა.

შამ იქ — სვეტის მიუწვდომელ თხემზე, ჩვენი წინაბრები ყოფილან, უცხოვრიათ, უღვაწიათ, უშენებაათ...

თვალი მოგწყვიტე სვეტს და კაცხის ხეობა გავხედე. მთა-გორაკებზე, ხეხილთ შორის, სჩანდა სოფელი. სამხრეთ-დასავლეთით კაცხ-საღვითია, ჩრდილოეთით დადი კაცხი, აქედან მოვიდა შამშე... იგი ყველაზე უხუცეს-სია-სოფელში და ყველაზე უღინჯესიც. აი ესლაც დინჯათ თუთუნს ახევეს. ქამნანაზ, შეყვითლებულ ფრჩხილ-თითებს წელი კანკალი შეჩვენეიათ. სატყვა და მოკვეთილი და უყოყმანო იცის. ოდნავი ხრინწით ჩაგუბებულ ხმათ გვითხრობა:

— არვის მოსწრებია იქ ამსვლელი, ვერც ვინ ავა! მსმენია პაპათაგან — განმზრახველი დაბრმავებულა უმაღ. ძლიერია სვეტი. საკვირველმოქმედია სვეტიცხოველი! სვიმონ მეგვეტას ძალითაა შეუქვალის ვერც თქვენ ახვალთ, ფუქი განზრახვაა, ხიფათს არ გადგვიდოთ, შეილებო!

დავხუჭე თვალები, ვუსმენ მოხუცის თხრობას და გუმანში ვეთანხმები.

— აკაკი, ახლა მესმის შენი ქაბუკობია დროინდელი ოციება, კაცხის სვეტია საადუმლოს ამოცნობის მწვეფე სურვილი! მართლაც და ჩვენც ხომ ამ სურვილმა მოგვიზიდა აქ?

...და ბილიკი, რომელმაც კაცხის სვეტას ტერფამდე მოგვიყვანა, მესაიერების წიაღში ულოდნელად იშლება პირუკუ...



ქალაქში სიცხე იყო, სოლოლაკის კლდე თორნესავეთ ჩამოხურდა. ოთხნაშვილი მოვიტენით, მუშაობას თავი ვანებე და უმიზნოდ ქუჩაში გავედი.

არც გამოვიგია როგორ ჩავედი რუსთაველის გამზარზე. დანრდილულ ხეივანა გავეყვი და ახალ სასახლესთან შევეჩერდი. იქით მზის გული იყო და მეზარებოდა მხურვალე და სილბილე შეპარულ დუღაბფენილის გადავლა.

პარი არ იბროლა სრულიად. მალა შევხედე — იქ ზემოთ, სასახლის, ფონებ მეთვ საართულის სახურავზე დროშა ეკიდა და ტოკავდა. შაშ, იქ ქარია, სიგრილე! დროშას უკან კი მამადავითი მოსჩანდა. იქნებ წაიდე? გავიფიქრე, მაგრამ აღარ დამცალდა... ნაცნობი ხმა ჩამესმა უეტრე:

— ლეან, სწორედ დაგეტბო, შენ კაცხის სვეტი თუ გავიგია ოდესმე?

— კაცხის სვეტი? არა... პასუხი გავეც და მხოლოდ შემდეგ შემზრუნდი. ჩემ წინ მწერალი აკაკი ბელიაშვილი იდგა. მამინვე ყური ვცქვიტე. ჩვენ ორიგენა მთებისა და უცნაურ მოგზაურობათა მოტრფილენი ვართ, ერთადე ხშირად ვყრფილვართ და ურთიერთის მისწრაფება კარვად ვიცი.

— კაცხის მაცხოვარი მამენია, ქიათურის მახლობლად არის; იიც ვიცი, შენ სტენია — აკაკი წერეთელს უთქვამს — კაცხში ზეც არ ამოდისო სწორი, ცნობილი კრიტაკოსი კაცხელი — კიტა აბაშიძე გაუქენწლავს... მაგრამ კაცხის სვეტი კი არ მამენია.

— კლდეა სვეტად აფუდებული, ზედ ეკლესია სჩანს, იქ კი ვერავინ ასულა. წინათ მინახავს, ჰაბტკობას დროიდან მისი საიდუმლო ოცნებად დამყვა. — აკაკიმ ოფლი მოიწმინდა.

— მალალია? — ცნობისმოყვარეობით შევეკითხე.

— აი იმ სასახლეზე მალალი! — ზელით დროშისაკენ მიმიფითა. რუსთაველას გამზარიდან ზეაგვდდ სასახლის დროშას. აკაკიმ ირიბად შემომხედა და ნიშნი მომიგო:

— რას ატყვი?

— უცნაურია. გავიკითხოთ, ვნახოთ ვახუშტი...

...გავიკითხე უფრო გავაკვირვა. შეუღარებელ ვახუშტის ნაღვაწში, წინაოქმაში მოყვანილი სტრიქონები ამოვკითხეთ.

1895 წლის „კვალში“ გიორგი წერეთლის წერილიც ვნახეთ და აქვე სურათიც კი ვიხილეთ „გვეყნის ერთ საკვირელებისა“, როგორც გიორგი წერეთელი კაცხის სვეტს უწოდებს. სურათიდან ვეება კითხვის ნიშანივით შემართული იმზირებოდა ქედულრეკი სვეტი... თითქოს შეუვალ მოწმედ და ვეშაგად უღვა მწევე საიდუმლოს.

დაეწყეთ მზადება. მალე „მესვეტეთა“ ჯგუფიც შედგა. მე და აკაკი, მთამაელელობის დამსახურებული ოსტატი — ალექსანდრე ჯაფარიძე და ანალგაზრდა არქიტექტორი ვახტანგ ცინცაძე. არქიტექტურის-საქმეთა სამმართველოს უფროსმა არჩილ ქერდიანმა და სიძველეთა დაცვის განყოფილების უფროსმა დავით ლომაძემ ამ საქმისადმი დიდი გულისხმეარება გამოიჩინეს, ზელი მოგვიმართეს და გამარჯვება გვიეტრევეს. დანარჩენი ზღაპრულ სასწრაფით მოხდა.



საქართველოს
წიგნების კავშირი

მატარებელი, შორაბანი, ქიათურა, მანქანა, იმერეთის მთავრობები, ზეგნები და ამა კაცხურას ხეობა. შორით უკვე სვეტიც გამოჩნდა.

უახლოვდებით და იზრდება განცვიფრება, მივიღივართ და აზრდება კითხვის ნიშანი.

ვიწრო ბილიკი აღმართს მისდევს. კაცხურა ქვევით ჩამოგვრჩა. აქა-იქ სიშინლის ყანები, ბუჩქნარი, ტყე-ღრე. ჩვენს პირდაპირ გამოფიტული კირქვია კლდეები, უზარმაზარ კედლებად აღმართულნი, მაგრამ ეს ყოველივე საკმაოდ მოშორებით, ხოლო წინა გორაკის თავზე, განმარტოებით, როგორც ვეება სოკო, — კლდე-სვეტია აღმართული. გვერდით, ძირიდან ათასწლოვანი ცაცხვი, თითქოს მას გორიხად შესტოლებია, თითქმის ნახევრამდე აყოლია, მერე კი ჩრდილით აუხსდაკრულს, იმედი დაუკარგავს და გატბუნებული წელში გახრილა, ახლა სვეტს მუხლმორთხულ მავიდრებლად და მლოცველად შესტყობია.

ბილიკი ტყე-ბუჩქნარს მიჰყვება. აქ ყველგან სიძველის სურნელი სუფევს, ყორეისი, თითქოს ნასოფლარი. მომალლოთ ბუჩქნარიც სხვაფერობს. ბზა გაჩნდა. სვეტის ირგვლივ ყველგან ბზა არის გამეფებული. ბზა და ხანდაზმული ხეები. უშუალოდ კლდის ტერფთან — აღმოსავლეთით — მცირე ვაკე-მოედანი და იქვე ეკლესია მცირე, უგუმბათო, კეთილ-ნაშენი. ეკლესიის წინ დიდი ლოდია, მიწაში ჩაზრდილი. დღეობების დროს თურქე ამ ლოდზე, სვეტის წინაშე, დედელთმსახურებას აღასრულებდნენ. მის თხემამდე ეს უახლოები მანძილია და შეუღლ ორმოც მეტრს უღრის. ყველა დანაჩენ მხრივ კი ფრიალო ბევრად შალაია, ხოლო ზოგან ას მეტრსაც აღმატება.

დიდხანს ვუთვალთვალეთ. ვარს შემოეუარეთ არა ერთ გზით. მოველეთ შიდაშო. შევხედეთ, შევამოწმეთ ყოველმხრივ. ყველგან უკარები პიტალოა, ძირებში ეხად ვაღმოსული და არც არას შესაეალი არსაიდან.

ვერ შევამჩნიეთ გერავითარი ნასახი ძველ ასავლისა, ვერც ასვლის გეგმა დავსახეთ.

აი ესლაც აღექსანდრე ჯაფარიძე ვანის გორაკიდან ქოვრით ზეერავს კლდა აღნაგობას, ბზარებს, ოღნავ შიბებს, ოღნავ ნაშრეებს. ვახტანგ ცინცაძე უკვე ზომავს და გეგმავს სვეტის ფერლებს, ძირა ნაგებებს. მე და აკაკი ვერ ისევ მრავალ თქმულებებს და ზეპირ ვადმოცემებს ვიწერთ... სოფლიდან რამდენიმე მოხლცი დავიბარეთ, საერთოდ სვეტის ძირში ვადმოვებარდით. მოვიტანეთ კიბეები, თაკები, პალოები და სხვა ზელსაწყონი.

დღეს ქარიანი დარი დაიჭირა, მაგრამ ჩვენ მაინც დავტრიალებთ სვეტს. მრავალჯერ მოვუარეთ ვარშემო. ვავუზოქეთ. ვადავილეთ. ეს აქ რ უ გო-ს ვ ე ტ ნ ო ე პ უ ტ ე მ ს ტ ვ ი ე ჩ ე ნ შ ე ი ა დ რ ე ს ხ ე ვ ე ბ ა ც მ ო უ ხ დ ე ნ ი ა თ, თ ე მ ც ა ს უ ლ ს ხ ვ ა ზ რ ა ხ ვ ი თ და მიხნით.

აი თითისტარი, ზედ ნახვევ შალია ძაფით. ვილაც მლოცველს ირგვლივ ძაფი შემოუვლია სვეტისათვის.

კლდის სამხრეთ მხარეს, უვალ ადგილზე, ბზებს შორის, ვიპოვეთ თინის ორხელის ნატეხები, ვფიქრობ ზევიდან არის ჩამოვარდნილი და ეს „უტყვი მოწმე“ ზედ ასვლის სურვილს უფრო მიმწვავებს.

ოდნავი ილღო აფულეთ სვეტს. ახლა უფრო ახლოს მოვისინჯეთ. <sup>სახე-
თიდან შევაცოცდით სვეტის ძირიდან ოდნავ გამოჩნულ კლდეს მისავე
ანატეჩის. აქ გადაწვევით კიბეების მიღმა და ვიწრო წიგნი-
ლო დახვეწვა.</sup>

მაგრამ არც ერთი კიბე არ გასწვდა. მაშინ გადავხვით ორი კიბე. დააბ-
ლოვებით რვა მეტრამდე გამოგვივიდა. ძლივს ავაყუდეთ და კლდეზე თოკ-
ბალოებით მივაბაგრეთ. ამ შემთხვევაში დიდი დრო და ძალა წაიღო.

ალექსანდრემ თოკი შეიბა და კიბის თავზე შეძრა. მაგრამ დარი ფუქ-
ლები. დღეს ხშირი პირის ბანა აუტყდა მზეს, ბოლოს შესაძნა წვიმაც წა-
მოვიდა, სვეტის ისედაც გლუვი კედლები ჩამოასველა. ქარიც მატულობს.
ავეთ ქარში კიბის თავზე ყოფნა სახიფათოა. ვუტყვი. ზვერვას და სვეტის
ძირს აღმოსავლეთ ნაპირს შევიყუდრეთ. აქ კლდეში ამოკვეთილ-ჩამსენებუ-
ლი, ხოლო შემდგომ მონგრეული, სენაკისებრი სამყოფელი სჩანს. აქვე
ზედ კლდეზე ამოკვეთილია დიდ რკალში ჩასმული ჯვარი. იგი უდაოთ
ბოლნისის ჯვარის ტიპისაა და გარკვეულ თარიღის ფარგლებს გულის-
ხმობს.

ჩვენი სვეტზე მოსვლა უკვე ბევრს გაუცია სოფელში, ზოგნი მოვიდნენ,
გვიანხლეს „განწირულნი“ და „ხელალებულნი“. მწუხრისას ქარი უფრო
გაძლიერდა, აღარც წვიმამ გადაიარა ცხადია, დღეს ხელი უნდა შევეშვათ
კლდესთან ჭიდილს.

ღამე გვიწინა სვეტ-ქვეშ ვადიოთ, რომ დილით ადრე განვაგრძოთ შრომა,
მაგრამ წვიმა და ქარი ხელს გეშლის. სოფელელებიც გვებატოებებიან. არც
ქარეები გვაქვს წამოღებული. გადავწვევით ქვევით ჩამოსვლა. იქ წისქვი-
ლია, იქ დავრჩებით, ან დიდ კაცში გავალთ. ისიც ახლოა. შე წისქვილი-
საკენ ვიწვევ. წისქვილი — კლუბია გზა-ჯვარედინზე. აქ იყრის თავა სოფ-
ლის ავ-კარგი, მითქმა-მითქმა, იგავ-ზღაპარი, ძველი და ახალი ამბავ-
საბარი.

იმდენა გამიბართლა. წისქვილში შევხვდი კაც-სალიეთელ მოხუცს —
სეიშონ შახარაშვილს... იგი კარვად თავშემოსახული მოხუცია, სამკუთხო-
ვან შოშიერ წვერისა და მოხუცისათვის მეტად ცოცხალ თვალების მქონე.
სიტყვა სვეტზე რომ ჩამოვუგდე, მაშინვე მეწისქვილეს გასძახა:

— სილოვან-ჩემო, ერთი თუთა და დამასვევინე.

მივხვდი, რომ გრძელისა და, მისი აზრით, მნიშვნელოვან ამბის თხრობას
აპირებდა.

თუთენი აუჩქარებლად დაახვია, ქაღალდის კიდეს ენა გადუსვა, ცეცხლ-
დაკვეთილი აბედი დაადო და გააბოლა. მერე ჩემ მომარჯვებულ ქაღალდსა
და თანქარს ირიბად გადმოჰხედა და მნიშვნელოვნად ჩაახველა. ეს რიშნავ-
და, რომ — მზად იყო ჩემს სამსახურად. მეც არ დავაყოვნე.

— სვეტობაზე, თქვენ დიდ სენიის სახელობის დღეობაზე თუ ყოფილ-
ხართ ოდესმე, პატრიცეშულო სვიმონ?

— იმე — ყოფილყარ? იმდენი კეთილი დღე თქვენ და თქვენ მეგობ-
რებს შეგვებართ, რამდენი მე სვეტის ძირას დრო მიტარებია, რამდენი
ყანწი და ქრჭილა დამხცლია, რამდენი საკლავი შემეწარავს!

— მორწმუნე ხართ?

— მორწმუნე კი ვარ, მარა, მარხვას ვერ ვეგუებო, იმე, რაღა მოვიკლებ
რამეს, თუ კი მექნება კაი საქმელ-სასმელი? ჰო, მოვეცა ლხენა, სვეტობა-

ზე ფსონი ვიცოდით. ენა მიბუედება მოგონებასას... ეპ, გამოიხატა ჩემი დროის ხალხი... მარა, ასეღაზე კი ხელი აიღეთ!... — უცერევე შემოკვებია სვი- მონმა, — ამარა, ძლიერია სვეტი! ჩემზე მოდლებულ ხაუჭაფეფე... მემონია, ფრთს უცდია, წინდაწინ ძალია მოსაკრებათ, ორმოცდაათს უკვე მსხვერპლ- ტამია, ჰოდა თქვენი კი ჯგაფი გუწერიათ მარა... — სვიმონმა გაწყვიტა თხრობა, სათითოდ ჩაგვათვალერა და მოულოდნელად შეგვეკოთხა: — იმე, ცოლ- შვილი გყავთ?

— როგორ? დაიდება თუ გამზრახველი?

— ანა რა მოუფიქვდა! ერთიც უნდა გითხრათ, სილოვან, შენც მომის- მინე... — შესძახა მეწისქვილეს.

ეს იმერული ზრდილობა იყო, ამით გეაგრწონინა, რომ რასაც გვეტყვის, სრული შემადარებეა და არა ტრახახი უცხო მგზავრებთან.

— კარგა სნის ამბავია, მწიფობას დრო იყო, ქეაეიხიდან მოვდროდით შე და ჩემი ცოლის და, აი ნინია ედენტი, — სიტყვა ჩაუბუსტა მეწისქვი- ლეს, — ჰოდა, სერს რამ გაუმოგადექით, კვი გაყოლა დამე იყო, ბიელი და უმთვარო, უცებ შუქი, გაელმნდე სვეტის თავზე.

— შუქი, სვეტის თავზე! — ჩაეწერე და განზრახ ხმამალა გავიმერე. მიმხედა მოხუცი:

— შე ვიცოდი, რომ ამ მხარეს მოსახლენი არ იყვნენ, ნანიკააც შეჭა- ხედე. ძალი კინაღამ გადამერია, ლოცვა დაიწყო, დიან სვეტის თავზე სან- თელხ ენთო!

...იმ მოხუცს უცნაურად ცოცხალი თვალები ჰქონდა, მოხუცისათვის მე- ტად ცოცხალი.

დამე სკოლაში ვთავით. შესანიშნავი მასპინძლები გამოგვიჩინდნენ მასწავ- ლებლები: ლოცვებლა ცერცვაძე, ელიკო აბაშიძე, შალვა კუბატაძე და სხვანი. გვიან გამოიღარა.

დამე მთვარიანი იყო და მას შუქზე, გაღმა, მიუწევდომელ სივრცეში ზეიადღად ამოტილი, იღუმალებათ ნაცურ სვეტი მოსჩანდა. სვეტი ბუნე- ბისა და ადამიანის მიერ ტახტადდებულ და შეუვალ.

მეჩრე დილით ადრე აედექით, მაგრამ მასპინძლებმა არ გამოგვაშვეს, ხოლო, რთვა დაბოლოს სვეტისაკენ გავემტრენით, სოფლიდან ბევარი წა- მოგვეყენნ.

ამ გარემოებამ შეგვაფიქრია. ასეთი ძნელი ასელის განხორციელება მოწმეთა გარეშე უკობია. წინსვლასაც არ ჩქარობ და უკან დასახელებ გაქვს. ამ კი, ახლა მთელი სოფლის წინაშე ძალაუნებურად სამეკორო-სა- სიცოცხლო ბრძოლა უნდა ვიშართოს ჩვენსა და სვეტის საუკუნოებრივ შეუვალობას შორის, ადამიანურ შეუბოვარ გაბედულობასა და არა ნაკ- ლებ ადამიანურ მისტიურ შიშს შორის, მეცნიერებასა და ცრუმორწმუნეო- ბას შორის, ხოლო ფიზიკურად ადამიანსა და ბუნების შორის, ჩვენ დასა- ხევი გზა აღარ გაგვიჩნდა. თითოეული ჩვენგანი ეგრძნობდით ამას, მაგრამ არას ვეტყოდით ურთიერთს.

გამოიღარა. მშემ ააშრო სვეტის სისველე და იგი ეხლა ჩვენს წინაშე სდგას ტანგაბამილა და შშრალი.

უკანასკნელ მომზადებას ვამთავრებთ. ავტოციდით გამიჯნულ კლდეზე, კიბის ძირს მივწყდით, აქ ალექსანდრემ ფეხსაცმელები გაიხადა, წინდების ამარა დარჩა, წელზე თოკი შეიბა. ჩამდენიმე პილო და სალტე მერიმარაჯა, მაჯაზე კლდის ჩაქუჩი შეეპი და მისი თოკის ბოლო მძვინვარეობდა. მყარად შეიკვრივებოდა თოვ-პალოებით მიმზარებული კლდეზე, მაგრამ ალექსანდრეს მაინც ვიცავ, აქ სიფრთხილს არავც თუ თავი, ფრჩხილიც არ უნდა სტკიოდეს. კიბის თავზე ავიდა ალექსანდრე, თავისი თოკი მალა გუშინვე დამაგრებულ პალოებში ჩასხლიტა და მერე ფრთხილად კლდეზე ავტოცდა. ხელეების ლოლიავით ნაზნარ მიჰხელა და პალო მოუშარჯვა. კლდის თავზე ჩაქუჩი ხმა გაისმა როყოოდ.

სვეტთან გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო.

პირველი ზედა პალო მყარად ჩაჯდა. ალექსანდრემ სალტე ვაუყარა და ამ სალტეშიც ჩასხლიტა თავისი თოკი. ახლა საიმედოდ არის გამაგრებული, რადგან თოკის მეორე ბოლო ქვევით ჩამოღის და აქ ჩვენ ვიცვით, ძუნწად. საქიროებისამებრ ვუშვებთ. ფიქალზე შეკაცდა ალექსანდრე, მოეჭიდა უცნაურად შეზნექილ ლაგვარდანს, თოკი ნაპრაღს ააყოლა და ზედ მოექცა, კლდეს აეტმანსა. ლაგვარდანით კლდის წახნაგის შემოვლი იწყო. ახლა სანახევროდ ვხედავ მას; მხოლოდ მარცხენა ნაწილს.

ალმოსავლეთ მხრიდან შეათვალთვინა ოსტატმა სვეტი.

— ჰა, როგორი სჩანს? — ვეკითხები და მის თოკს ვიმოკლებ.

— მხოლოდ აქ თუ ვედივ. შევული ბზარი ახდევს.

ალექსანდრე შემობრუნდა; შეიხუნა და მე მომიცადა. ახლა მე ავდივარ ირიბად გადებულ კიბეზე. მეც წაფიყარე სამთო ფეხსაცმელება და კიბეს ფრთხილად ავეყვი. აღრიყება კიბე; ირხევა ჩემი ტანის მოძრაობათან ერთად. თეძლს ჩნებსლიტავ კიბის საფეხტრებს შორის. ოციოდ მეტრის ქვეშოდ, სვეტის ტერფთან, მოშვებულ კლდის ნამახვრევეს გამჩნევ. რატომღაც ერთ პერალესილ ქვას ვხედავ ყველაზედ მკაფიოდ. კიბის თავიდან ვი, მისი დრეკალობის, თუ ჩემი სიმძიმის გამო, კელავ ქვეები სცივია. მათი ხმა ღოლის ზავა-ბუვივით, ამოისმის ქვევდან.

— ჰეჰეი, მანდ არეინ იყვეს!

— არა! იარე! — მესმის ვახტანგის ხმა. ახლა იგი დგას კიბის ძირში ჩემ დააკავად.

კიბის თავზე მე საფუძვლიანად მოვეწყე. კლდეზე მივებიტრი თოკით. აქ უნდრ ვავმავრად და აქედან უნდა დავიცვა ალექსანდრე. აქ დიდხანს მომიხდება კლდეზე მიჯაჭვა ან გადელივით ჩამოკრდება. ალექსანდრეს სალტეებისა და პალოების ახალი შარავი ავეუზაენე. წვრილი საბელიც ავტანე, იქნებ დასკირდეს. შეეთანხმლით ძახილებში, დავიკავეთ ადგილები. ალექსანდრე იწყებს კლდის ძვიდის მოვლას, ასე რომ, მე მას ველარ ლავინახავ, მას აკაკი მხდავს სვეტის ტერფის აღმოსავლეთით მდებარე გორაკიდან, ჩემსა და აკაკის შორის ცაცხვის ათასწლოვანი გუმბათია, ამიტომ აკაკი ვახტანგს აწვდის ხმასა და ნიშანს, ვახტანგი კიბის ძირიდან მე შემოშახუნებ, მე და ალექსანდრეს კი მხოლოდ თოკის მეშვეობით გვაქვს ურთიერთობა. ველარ ვხედავ, თოკით ვგრძნობ მას მოძრაობას და ვგონებ, მისი გული ძვირასაც.

— თოკი — სადღაც ზევით ხმა ისმის და მერე როგორც ჰეჰე: — თო-

კი ქვედა მხარე ეხმაურება სვეტის კედელს. ეს უკვე აქვს, როგორც და ლეიკით თვალს ადევნებს ალექსანდრეს.

— თოკი, ლევანს! ეს ვახტანგია გამიჯნულ კლდის უკვე წყვეტილ ბოლოში.

მე თოკი უკვე მიშველებული მაქვს, მაგრამ მარჯვს ვინახავ შოაანოკლებელს: რომ მოსხლტეს მეწინავე, დიდზე აღარ ჩაეკიდოს. არის რაღაც მეექვსე გრძნობა, — თოკის გრძნობა. მთაში ნაშობი გრძნობაა ავი. ქვეშეცნულად ხან მოვწეე, ხან ოდნავ მოვეშუებ თოკს, ხან ხელში დავიმარტავებ, მარჯულებს მოვსისჯავ... თოკი კი გველზოკერასავით იკლავება, მიცოცავს, სალტეებს ასდევს, ლავგარდანის კეხს მიჰყვება და ძვიდეს იქით უჩინარდება. იქიდან ჩაქურჩის ხმა ისმის.

ახალ, მორიგ პალას აქედებს ალექსანდრე.

კლდეს ყურს მივადებ და თითქოს მესმის შის ხროადის ნაწიბურებში როგორ იჭრება რკინის სოლი. ხმა ხალასი აქვს. მას მყარად მოდებდა პალა, სანუგეშოა, რადგან ხიფათი მატულობს თავისთავად. შეეუღალ მძლავრად აღის შეწინავე. უფრო გრძელდება თოკი. იღლება კუნთი, მძიმდება ხერხემალი, უფრო ჩლუნვდება ნებისყოფა და ყურადღება. საათს დავსვდე, როცა ალექსანდრე კლდებზე გადავიდა ორის ნახევარი იყო, ახლა უკვე საში საათია.

დავიღალე, სისხლის დენა შემიფერხდა, სანახევროდ ჩამოკიდებულ მდგომარეობაში მყოფს. ღლიაებში ჩამეჭიდა თოკის არტახები, შევრამ ვიცი, რომ ალექსანდრეს, როგორც წინშეაღას, ბევრად უმძიმეა და ურთულესი ამოტანა აქვს, ტიტანური დამაბულობა და ნების სიმტკიცე მშარებებს და კიდევ ახლავს.

არა, საათს აღარ ვუშვებ, არც ვიცი რამდენა დრო გავიდა, არ ვიცი, რა ხდება ზევით. ჩემი ფიქრი მხოლოდ თოკია, თოკი უშუალოდ ფიქრის გაგრძელება თუა და პირდაპირ გულის სიღრმეს თუ გამოება.

შეცრავ ზევიდან ქვების ბნიალი მოიშა. ხვეტის აღმოსავლეთ ფრიალის მცირე ნაშვავი ჩამოეფარცხა და ქვემოდან მის გრიალს ხალხის დავუბუღლი გმინვა მოჰყვა.

თოკი შევამოკლე, შევეგულისხმე თოკს.

— არა, არ არის სამარცხო!

— ცოტაც! ცოტაც! გაიშა აკაცის ხმა.

— ცოტაც! ცოტაც! იმეორებს ჩემს ქვევით ვახტანგა. ალექსანდრეს ვერც იგი პხელავს.

— ცოტაც! ცოტაც! მეც ვიმეორებ, ჩემათ, ჩემთვის, ჩურჩულით... და უკრავ ქვემოთ საერთო ძახილმა დაიჭუხა. ტაში შემოპყრეს, საყვირი და ღალი აახშიანეს.

ტაშის ცემა მტრედის გუნდის გაფრენასავით შემოფარფატდა ჩემთან. გულზე მომეშვა. მას ასულა!

— ავიდა! ავიდა! კვინიხამდე ასულ ხმით გაკვივის ვიღაცა. ალექსანდრე, შესაძლოა ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის პირველი ადამიანია, რომელიც ავიდა სვეტზე!

რას ნახავს? რას დაიძახებს პირველ სიტყვას? ყველანი მოველით განაბულნი და ხმაგაკმენდილნი.

— აბა, ლევანი თეთრი თოკი დამაგრებულია, მეორე თოკიც ამოუშვი...
 მერე გამოჰყევი, — მოისმა ალექსანდრეს ხმა ზევიდან.



ველარ მოვითმინე:

— რა ნახე? კლდეს შეეძახე აღმა.

— რა ნახე? ქვევით გაიმეორა ხალხმა.

— აქ რამდენიმე ნაგებობაა, ერთი აკლდამაც სიანს... აბა თოკი ამოუშვი-
 ვით! — და სვეტის თავიდან, ჩემ გვერდით, წვრილი საბელის ერთი თავი ჩა-
 მოცოცდა და, ჩაიჭიმა.

— ვახტანგ! ჩემი თოკის ქვედა თავი მიიბი, — ჩაეძახე ქვევით. მე ეხლა
 დაცვა ზემოდან შექნება, ასე რომ ასევე საგრძნობლად მიადვილდება.

დაღლილი ვეარ, მაგრამ ისეთი ძლიერი ზიდა მიპყრობს, რომ დასვენება-
 ზე ფიქრიც არ მომსვლავა.

ერთი კი ჩაეძახე:

— შენ რას იზამ, ვახტანგ? იქნებ აღარ ღირდეს ხიფათის გამრავლება,
 ალექსანდრემ დაათვლიეროს!

ვახტანგ ცინცაძე მთამაგლეულია, მაგრამ ასეთ ძნელ კლდეებზე არ ვიცო
 თუ შეხვედრავ ასევე, და რაც მთავარია, ფრონტზე მას ორი ჭრილობა
 აქვს მიღებული, აგრეთვე ფეხის კანტუზია. სახიფათოა მისი ასევე. მე
 სიტყვაც არ მჭონდა დანთავრებული, რომ ვახტანგმა შემომძახა:

— შესამე, ჩემი რიგია რათქმა უნდა, ამოვალ. ანისთვის წამოვსულვარ,
 უთუოდ ამოვალ, რათაც არ უნდა დამაჯდეს... ზუსტად ავზომავ ყველა-
 ფერს... ფიქრი ნუ ვაქვს... კეთილად იარე!

მისმა პასუხმა მეც გამამხნევა:

— აბა მოვდივარ! აქნაზე ზემოდ და თოკი მიგისინჯე, ალექსანდრეს მყო-
 რი ხელი ვიგრძენ. ლავარდანის ვიწრო შიბზე ომ შევზოხდი, სვეტს ლა-
 ვაშვიით გავექარი და სული მოვითქვი. მეტად სახიფათო აღვიღავა, მაგრამ
 აქ ისე დამბული ხარ, არც ხიფათი და არც სიცოცხლე არ გამსოვს. სახე
 კლდისავენ მაქვს, მობრუნებაც არ შემიძლია, ასე რომ — რუხი კირქვის
 მეტს ამ სამყაროში ველარას ვხედავ.

ქვევიდან მესმის ათაწლოვან ცაცხვის შრილი... უფრო ქვევით, საღდაც
 ხალხი იყო... წელან ყრიაშელობდა, ხშიანობდა. ახლა აღარ ისმის მისი ხმა
 და სამყაროში თითქოს მარტო მე და სვეტი ვართ. ედება სვეტი და მე, მის
 შუა-ტანზე მიტმასნილი, ჩრდილად ჩაერთული, ერთი ციცქნა, ხიწვის ნა-
 წილი. და თითქოს ოდნავ ტაბობს სვეტი. ჩემ გულია ეკმასთან შეწყო-
 ბილად, შექვრებულად ტაბობს სვეტი.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვისვენებდი, აქნებ ეს რამდენიმე წამი იყო, იქ-
 ნებ — საუკუნე, უეცრად კი გამოვფხიზლდი, ჩემს თავთან სულ ახლო
 ხელიკმა გადირბინა, შეუღულ ნაშრეგზე შეხობდა, ნაწიბურს ამოვფარა. თავ-
 დაღმა მყოფს მუჭ-რუხ-მწვანე კული ქვევით ჩამოჰკიდებოდა და ასე ამაგრუ-
 ლი ავად მიმხერს, თავის სამყაროში შემოჰკრას თუ შედავება.

აქ ყოველივე უცნაურად სჩანს და თი ხულიკი თითქოს უბრალო ხელიკი
 არ არის, არამედ რაღაც სხვა, გაცილებით მნაშენელოვანი, საბედისწერო
 და მანე უკუღმარობა.

თოკი მოვზიდე და მოვუქნიე. უმაღლესი გადიარგა უნასი. თოკის მოძრაობამ
 სჩანს სვეტის თავამდე მიადწია...

— ჰა, მოდინარ?

— მოედევარ!

სვეტის აღმოსავლეთ ზერდს მოეკეცე და შეეულ ბზარში ჩაქვილ პალოსთან შეედემი, ახლა უშუალოდ სვეტის ძირა მოედინე... ზემოდ შეეულ ბზარს ორი თოკი მისდევს. ერთი თეთრი მწვენი მარცხენადი თოკია და მე მას მიეყვები, მეორე შავი—იგი დამხმარე—დამცველი თოკია, იგი შე წელზედ მეჭვა შებმული. მესამე პალოს რომ მივალწიე, წილში გადავიხნიქე და ზევაზედ — ალექსანდრე დავინახე სვეტის თავზე, კლდეზე გადმომდგარიყო, ჩემი თოკი მხარზედ გადაეშვა. ჩემს დასახვერად, ქვემოდ მიმინოსავით იხედებოდა მისი კიჟური რატონდაც მეტად გრძელი მომჭრევი და ვგონებ კისრის ძარღვებზე დაკიმული ჰქონდა.

— თოკზე დავეკიდე და ახლა ქვემოთ ჩავიხედე. ქვედა საყდარი მცირე ქვეყთივით მოსჩანდა. განზე — ბორცვებზე ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხალხი, ალბად დიდ-პატარა, მე კი აქედან ყველანი პატარებოდ მეჩვენებოდა, მაგრამ ჰორი უცნაურობე, ამ „პატარებს“ — დიდ, ვეება გააართოთ უფრო თვალები უჩანდათ, და თითქოს მხოლოდ მათ თვალზე უხედავ ზევიდან. ცოტა შეეკრთი, თავი ვებრუნე და უკანაქველ ნაკვეთზე ასევე განუგრძე. ალექსანდრემ თოკი მოიმოკლა.

— მანდ არ, ენდო, ქვა იშლება. პალო კი მყარად არის. თოკს ენდი და ვხედავ ალექსანდრეს უკან უკვე შენობის კედელი სჩანს, ხეებიც, მტების ფოთლებსაც ვარჩევ... ხოლო მათ უკან ოქრო-ვარაყიანი ნაამხრალი მზე ადამიანისა და სვეტის ზევით შეფერად მშეობა.

კვლავ გავიბრძოლე და ნაშენ კედლის ძირს მივალწიე.

— კედელი იშლება! გამაფრთხილა პირველმა „მესვეტემ“... მართლაც ორიოდ ქვა, რომელთაც ხელი მოვდე, მოქანდა და სადღაც ქვევით გრიალი ჩაიტანა. სვეტის თავთან ერთი წამით პერაში ჩაეკიდე, ძალუბად მოეწურე თოკი და კედლის თავზე მოეჭეცე. პირდაპირ მცირე ეკლესიის გადმონგრეულ საკურთხეველში შეეკერი.

ესეც სვეტის თავი, ალექსანდრე ხელს მართმევს მაგრად, ქვემოდან ძაბილი და დოლის გრიალი ისმის.

მამ ნამდვილად ამოესულვარ... უცნაური, რომ ქვევიდან მოღწეულმა ხალხის ხმამ ყველაზე უფრო მანუგეშა და დამარწმუნა. სვეტის თავზე უკვე ორი „მესვეტე“ ედევით.

— უცნაური სანახაო ვიყავით: ორთავეს კლდეზე ზოხვით წინდები დაჯგუფდა, მკლავები დაკაწრული გვექონდა, თხები აგვეშლოდა, ხოლო მზედაერულ სანებო სიხარული გვითამაშებდა. ხავსმოდებულ თაღის ქვაზე დაემუხლე და მიმოვიხედე. მუხისა და რცხილის ჩრდილებში ორი ეკლესიის ნანგრევები იდუმალად განისვენებდნენ.

სულმა წამილია — ერთი-ორი ნაბიჯი წავადგი, მაგრამ ქვევიდან მოღწეულმა ძაბილმა შემაჩერა.

ალექსანდრემ შავი თოკის ჩაშვება იწყო. ქვემოთ ვახტანგი იცდის და „იწვის“.

მივედი მოხასთან და თოკი გაეამარე, დაცვაზე დავდექ. ალექსანდრეს საქმე შეეუშუბუქე. ახლა ორივენი დაცულნი არიან. თოკს ერთნაირად და ერთდროულად ვამოკლებთ. ხან შეეჩერდებით. მაშინ — სადღაც სვეტზე გაქრული ვატსანგი ისვენებს. და ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს ქვეს ქიდან, უძირო სიღრმის ქიდან ვეზიდებით.

მალე სვეტზე სამნი ვიყავით. სამი „მესვეტე“! უმალ „მესვეტეთა“ და „სვეტ-ქვეშელებს“ შორის თოკის საშუალებით „საპაერო“ მიმოწერა გაიმართა.

თითქმის ყოველი სვეტ-ქვეშელი — „მესვეტობას“ ნატრომს.

ერთის ამოყვანა გადაწყვიტეთ. მარჯვე ახალგაზრდაა, ტანმოვარჯიშე, შესძლებს. ხიფათიც ნაკლებია, თოკებს მყარად ვამაგრებთ მუხანზე. აქ კი, სჩანს, საყდარია ნანგრევების გაწმენდა მოგვიწევს. მოგვეხმარება. თან აღგილობრივმაც უნდა დაადგას ფეხი ამ „ყოვლად უვალ“ სვეტის თავს.

თოკებით ჯერ ბარგი ამოვზიდეთ. ჩანთები, ბარები, წერაქვები, ფუხსაცმელები სოფლიდან ახალ-ახალი ჯგუფები მოდიან. ქვედა ბილიკზე ჭიანჭველებივით მოლოდავენ და უკვე ძღვენი მოაქვთ. ხილი, ხაჭაპურები, ყოველგვარი სასიამოვნო. ჩვენ კი, დაღლილნი, წყალს ვეხვეწებით.

— ჰეჰე! თოკი ეს იმას ნიშნავს — „რაღაც“ მოდის. თოკზე ჩანთას შევუბამთ. მე წერილს ვუგზავნი აკაკის: — „წერილი პირველი, სვეტის თხემიდან“. ვთხოვთ, რომ ქვეშ დაჩრეს, არ ამოვიდეს, რადგან ჩვენ სვეტის ტყვეობაში მყოფთ, ქვევით გამოცდილი კაცი და მამული უთუოდ გაჭირდება. ჩვენ კი აქ ლამის ვათევთ.

აკაკიათვის ეს დიდი „დაჩაგვრია“, მაგრამ საქმისათვის ეს მსჭვებლა საჭიროა.

შუტუ ფოფხაძეს მან შეაბა თოკი, დაარიგა, წესი აუხსნა. კიბეზე დამცველად დაუდგა და გამოუშვა. შუტუ მარჯვე გამოდგა და უხიფათოდ ამოვიდა.

ჩვენი თოკის ოჯინჯარი კი ფიცხლად მოქმედობს. ქვევიდან ხელსაწყოებს ახლა საბნები და წყალი ამოჰყვა, თან წერილობითი მოლოცვები და ათასი სურვილები. ჩვენ უკვე შრომას შევეუდგებით, დაეწყეთ ბეჯითი დათვალაურება-გამოკვლევა. მაგრამ ქვევიდან, არ გვაცლიან, წამოაღწუმ გვეძახიან. სათითაოდ უნდათ გენახონ, თითქოს არ სჯერათ, რომ ჩვენ ყველანი ცოცხლები ვართ, ყველანი აქ სვეტის თავზე ვიმყოფებით და ლამეც უნდა ვათიოთ აქვე.

აი ისევ საყვარი დააქუხეს. გადაგხედეთ. ქვემოდან ღოქს გეაჩვენებენ.

— ეჰე, ახლა კი ყველას გვეყოფა წყალი და ალექსანდრე ჩანთას უშვებს. ღოქს საბანი შემოახვიეს და ისე ჩაგუდგეს ჩანთაში. თან ახალი ძღვენი მოგვივიდა, თუმცა სურათზე უარს ვაცხადებთ, საკმაოდ გვაქვს.

როცა ღოქი ამოვიდა, ჯერ ალექსანდრე დაეწაფა; რაღაც საეჭვოდ მალე მოიკლა წყურვილი და მე გადმომცა. გამოვართვი:

— ეჰ, შენ არ გწყურებია!

— არა, ჯერ არა, მერე... და როცა შოკსევი, მაშინ ჩაეწვდი ალექსანდრეს პასუხს. ღოქში შეჰანიშნავი ღვინო იდგა.

— ეჰა, რა მასპინძლობა სცოდნია იმერეთს!

...ჩემათ ესაქმიანობთ. სვეტის თხემზე მაინც საუკუნობრივი მყუდროება სუფევს, ხოლო ქვემოდან ხალხის ერთიმული მაინც აღწევს ჩვენამდე. მრავალი წათამამებელი მსურველი ამოსვლას იხევება. მაგრამ მე წინააღმდეგი ვარ. ყველანი დაღლილნი ვართ, განსაკუთრებით ალექსანდრე-

ყოველი ზედმეტრ ვაცი ათეყეებს ხიფათს. თხემზეც მცირე ადგილია სიგრძე თექვსმეტი ნაბიჯი აქვს და აივანე საშუალოდ ცხრა.

ერთმა მაინც სულ აგვიკლო. ხუთჯერ ჩაირბინა სოფელში და ხუთჯერ ამოვიდა, აკაცისაც მოაწერინა. მეტად მოგვეძალა ხეწმანით. ბოლოს თავიდაც წერილი ამოგვიგზავნა. ალექსანდრემ რომ წაიკითხა, შევატყვე უმაღ გალხვა და დიდ თოკის ჩასაშვებად იწყო მზადება. წერილა მე ვადმომცა უსმოდ. შიგ სულ უბრალო რამ ეწერია: „ახალგაზრდები ხომ ყოფილხართ, ხომ გესმით ჩემი სკლის კვეთება, ერთად-ერთი თხოვნა შემისრულეთ, თოკი ჩანოუშვით პეტრეს სახელზე“.

ალექსანდრე უკვე თოკს უშვებდა „პეტრეს სახელზე“, უარა ვეღარც მე მოვახერხე. თოკის ბოლო ავიღე და დაცვად დავდექ. მალე მესხეთიც — პეტრე კუპატაძეც ამოვიყვანეთ.

ბარგი სვეტის რხემის უეწროვს ადვილას მოვითავსეთ. აქ ხავსით მოფარდავული წააფრთვლევნი რამ სჩანს.

შრომა გავინაწილეთ უმაღ. ვახტანგი სვეტის თხემის ზოგად გეგმას იღებს. შუბრუ უძველეს ეკლესიის დანგრეულ ქვაბულში გამოყვანილ საკურთხეველს ასუფთავებს. ალექსანდრე და პეტრე — მცირე, უკეთ შემონახულ ეკლესიის დარბაზს ქვა და მიწისაგან ათავისუფლებენ. მე კი, მათ ქვეშ, დასავლეთის მხრივ გამოყვანილ ღია აკლდამას ვწმენდ. შესავალიან მუხლმაგარი მუხა ამოსულა და მის ფესვებს აკლდამასთან შეუღწევიათ.

აკლდამას ნაღსებრა შესავალი აქვს, შიგ შესანიშნავ თაღად არის გამოყვანილი. კარგადაც შენახულა.

შესავალი თავიდანვე ღია ყოფილა და ქარს კარბად შიგ შეუტანია შლამი და დამბალი ეყერო.

როცა გამოვწმინდე და მოვთხარე — ადამიანის ჩონჩხს წაფაწყდი, მუხის ფესვებში გაკვალოთულს და მყარად ჩაწულს. ძლივს ამოვეწერ ფესვები, ძლივს ამოვთხარე.

ერთი ჩონჩხია, ძლიერ გამოფიტული. თავის ქალა სრულიად დაშლილა. სჩანს თავი გასავლისაკენ, ე. ი. დასავლეთისაკენ ჰქონია. იქვე თიხის ჯამის ნამსხვრევე ვნახეთ. იღბათ უკანასკნელ მესვეტის ჩონჩხია და მას დამარბვა აღარც ჰღირსებია. სიკვდილის მოახლოვების ეამს, თავად თუ შესულა აკლდამაში, იქ მიწოლილა სიკვდილის სარეცელზე და ისევ დავგზავდა, იქნებ ათას წელიწადს შემდგომ, მუხის ფესვებში ჩახლართული და ჩაქდებული.

ღამის ბინდი თითქოს სვეტის ძირიდან ამოცოცდა, ჩვენ ნაკვალევს თუ ამოჰყვა. მეტად დავიდაღეთ. ჯერ ასეთი დამბულობა, ამოსვლის ეამს, მერე ქვების ზიღვა, მიწის თხრა. ახლა შემის დამზადებას შეეყავით სეღი: სვეტის თხემი ოღენზე იქნებ შიშველან იყო, ახლა კი ხშირანარს მოუცეავს. გაგზვხეთ ზოგვან, ერთი ხმელი ნეკერჩხალიც წამოვაქციეთ და ორი კოცონა ავანთეთ: დასავლეთით და სამხრეთით. კოცონების მახლობლად იქვე უკანასკნელ მესვეტის აკლდამასთან, სუფრა გავშალეთ და ბარველ სსურად მისი შესანდობარი შევსეთ. და აღმათ სვეტის თხემზე პირველად გატყდა მარბვა. ძხვებნი შეეწვით. ასეთი მრავალფერი და მრავალსტუმრიანი სუფ-

რა, ალბათ არაოდეს უხილავს თხემს. არც ასეთი კოცონი. აღის ტყვეობა სწუდებიდა მუხის ლორთქო ტოტებს და ნაპერწყლვებად იკარგებოდა აიკი-ტყეში. ჩვენი კოცონის საბასუბოდ აოფლდნენ ზარის ხმა შეფხვრულად გვიმზერდნენ. ახლომახლო სოფლებიდან ვარკვევით სჩანს, თუაქლუაქლუა თელი დაადგა სვეტს. ახლა კი კაცს-სალიეთელი მოხუცი სვიმონ მასხარა-შვილი სვეტის თავზე ნამდვილად დაინახავდა შექს.

სქთნი ვლახდათ ცეცხლს და ჩვენი ჩრდილები უცნაურ ზმანებად წვე-ბოდნენ ხან სვეტის მიღმა, ხან აკლდამის ხაო-მოდებულ კედლებზე. ყვე-ლას რაღაც ზეაწეული და ზეიადი გრძობა გველობდა. აქ ყოველი ბგერა და სიტყვა სხვა-ნაირად ეღერდა და გამოიამოდა.

ერთი რამ შევამჩნიე კიდევ: ჩვენი საუბრის კილო ან ჩურჩული იყო, ან ზედმეტად ხმაშალი. შემდეგ გვიამბეს — ჩვენი ხმა თურმე გაღმა სო-ფელშიც ისმოდა ვარკვევით.

დიდხანს ვინახდით ინახად.

მალე საცეს მთვარეც ამოცურდა და ბრინჯაოსფერ ღამეში გაწოლილმა გარემომ სრულიად მისტიური სახე მიიღო. გვიან, მეტად გვიან მოვიკალა-თეთ. ორნი იქვე დანჯნენ ცეცხლთან. შე, ალექსანდრემ და ვახტანგმა კი სვეტის უფროვნის ადგილას, ჰარბ ხეისით ჩაფენილ მცირე ტაფოზში ჩა-ვაგეთ საბნები და იქ ჩავეწვიეთ. მე ვიწრო ადგილი შემხვდა და მუხლებს რომ ვაგვირთავდი სვეტის მიღმა მჭონდა გაშოტვილი ფეხები. ყველანი მივეყურით. არ ვიცი მეგობრებს ეძინათ თუ არა, ვფიქრობ, ყველანი უც-ნაურ ზმანებაში უფრო ვაკავით წასულნი. მეტად უჩვეულო იყო ეს ღამის თევა. საღდაც სვეტის თავზე. ცისა და დედამიწის შორის. თითქოს ტა-ატობდა სვეტი და მთვარიან ცაზე ჩამოკიდებულ საქანელა-აკვანს უფრო ჰგავდა, ან უკუღმა ამობრუნებულ ჰას, დედამიწას თუ გვიგულვებთ თე-ლია კილოდ, კუთხას საზომად.

...და თითქოს ახლაც ყურში მესმის ღრმად მოხუცის ალექსანდრე კუბა-ტაძის, აღსარებასავით იღუმალად ნათქვამი გადმოცემა.

„ოღესლაც სვეტის თავიდან — კაცის მაცხოვრამღე ჯაბე ყოფილა გაბ-მული და ლოცვად რომ დაღვებოდა მესვეტე, ანაშნებდა კაცის მაცხო-ვარს, იქაც მუხლის თავებს მოიდრეკდნენ შლოცველნი“..

არა, არ მძინავს. შორით ვეშნურ კაცის მაცხოვარს. აქამდე სამიოდ კილომეტრია. ძლივს ვარკვევ მის წარმტაც ალაღმას და მას, ზეცაში აზი-დულს, თითქოს სვეტის ფარგი აქვს თავდაღაც.

...და შორიდან მესმის ზარის ხმა. ეს ზარი ახლა სკოლაში ჰკილია და იქიდან თუ გვეხმაურებიან სვეტქვეშელნი. ღრმად მოხუცა კუბატაძე კი გულის ყურთან თითქოს განაგრძობს ეღუმალ თსრობის:

„ღამით, როცა მთვარე განსაყუთრებით ნათელია, სვეტას თავზე გამოჩნ-დება ქალი, მიმოხვეტავს თურმე სვეტის თავს და ძუძვს ქვემოდ გად-მოჰყრის“.

მთვარე-ნათელი ღამეა ახლაც. დღეს ჩვენც ბევრი „ძუძვი“ გადავყარეთ ქვემოთ. იქნებ არა მარტო ჩვენ... იქნებ ახლაც დადის აქ საღამე ზღაპრული ქალი და უკვირს, რომ აქ სხვანი ღიასაზლისობენ ამ ყამად...

უღსმენ, გულისყურით უღსმენ ღამეს.

...და შორიდან გარკვევით ისმის — კივის ვიღაც! გაბმნით, გაუთავებლად. შიგა და შიგ ასულს თუ მოიბრუნებს მომყვინი. ქალია, რაღაცა უნდა. ქალის ხმა გარკვევით ისმის. და მისტიურ ძარწოლით აღსაყვანად ჩაქუჩს შემოაქვს ეს კივილი, მხრავლებს მას და ვერც გაარკვევს, როგორ მხრადან მოისმის იგი.

...და თითქოს ჩემ გულის ყურთან ჰკივის ვიღაც:

— ჰაუ! ჰაუ! ჰაუ! ჰაუ!

იქნებ სმენა მატყუება? ან ათასწლოვანი გადასული ყოვლი მესმის?

— შეტუ, გესმია?

— რა? შეშეკითხა ცეცხლთან მწოლი შეტუ ფოფხაძე.

...და მე აღარ ვიცი განვავარძო საუბარი თუ არა? ნუ თუ სმენა ასე მატყუებს?

— ეინ ჰკივის?... გესმის?

— ჩვენი სოფლის დედაკაცებია, ყანებში აფრთხობენ მაჩვენებს.

— ჰაუ, ჰაუ, ჰაუ! ერთი მეც გადავძახე სვეტის თავიდან.

შეტუ ფოფხაძემ კი ცეცხლს შეუკეთა, კოცონი უფრო ძლიერ ააგაზგინა.

გადავხედე აღექსანდრეს და ვახტანგს. თვალდახუცებული იწვნენ და მათ სახეზე მუხის ფოთლებში გაცრილი მთეარაა და კოცონის აღის დამრტლი შეჭი ერთად ეფინა.

კრძალვით გავიხედე აკლდამისაკენ. იქ, მის შესავალში, უკანასკნელ სვეტის ძელები აწყვია, კოცონის შეჭმე მათ ნათლივ ვხედავ, ხოლო აკლდამის ნალისებრი შესავლის ქუფრი კი გამოუცნობ კოთხეად სდგას. ასეა მუდამ, ერთი დიდი გითხვის ნიშანი რომ გაიხსნება, სხვა მცირე კითხვები წიწილებივით მომრავლდებიან.

...და თითქოს აი ახლა, როცა ყველა ვაძინებთ, აკლდამის ქუფრიდან გამოვა ვინმე მწირი, უკანასკნელი მესვეტე, რომელსაც დამარხვაც არ ღირებია, რომლიც ძელებში მუხის ფუკვებია ტყეეობიდან ძლივს ამოვახსენით... გამოვა, აკრეფს თავის გამოფიტულ ძელებს, ისეე გადაიკვამფ ჯგელოს ჩოხას, აღერდს თუ შეიბამს ქამრას მაგიერ, მისწვდება ჯამს, ნამახვრევები მის სახტუმალთან რომ ვიპოვეთ, შეაკოწიწებს, აიღება გამოთვლებულ ჯამს და მარანში წავა. აი აქ კლდის ზღურბლზე, სვეტია დამარეც ადგილას რომ მოუწყვია, წყალს ამოიღებს, თუმც, შესაძლოა. ამ ქვევარებში ათას წელზე მეტია წყალი არ მდგარა... შესვამს მწირი-მესვეტე, ათასწლოვან წყურვილს მოიხალბუნება.

კვლავ მივწევი. მოვიკალათე. ბურანში წაველ. რომელიღაც ეაცხელი მოხუცი კი კვლავ მაწვეთება ყურში: „ჩვილობაში გარდაცვლალ ბავშვს, აკნითურთ მოიტანენ და ჩაფლავენ სვეტის მახლობლად“.

ბავშვობაში მე არაოდეს არ ვწოლილვარ აკვანში და ეს ნატყრად დამარჩა მოწიფულობის ეამსაც.

და აი ახლა თითქოს აკვანში ვწევარ და სვეტის ტანი მარწევს ნელი, საამო ტატიო.

— ჰაუ! ჰაუ! ჰაუ!

საღლაყ აზრი: მიღმა გაჰკივიან ქალები და აფრთხობენ მაჩვენებს...

დილით საყვირის ზმამ გაგვადვიდა. შუტუსა და პეტრეს უფროსებთან ერთად, თოკით, საყვირიც ამოუტანიათ და უთეხია მტკიცე მსახურ ხეობას მიაწვდინეს „მსვეტეთა“ ზმა. ასეთი ზმა სვეტის თხემს, რა თქმა უნდა, არაოდეს სმენია. უძალ ავდექით.

კაცხურას აქა-იქ, მსუბუქ ლეჩაქად ნაელი ებურა, ეს ნაელიც მალე გაუჩინარდა.

— ჩაბერე შუტუ, ჩაბერე! მხესა და ხილულ სამყაროს შეეგებე! შეეზმიან!

დილის სისხამზე, ჩვენი საყვირი სვეტის სიმაღლიდან, ხან მეხვიით გრგვინავდა, ხან კი საწყალობლად მიმოსტიროდა.

იმ დილით ახლო-მახლო სოფლებშიაც ადრე აიშალენ.

სვეტისავენ ხალხმა ადრიახად იწყო დენა.

სვეტმა ორი დღეობა იცოდა: სვეტობა, ანუ სვეტიცხოვლობა, აღდგომის შემდგომ პირველ პარასკევს და კოხინჯურობა 7 მაისს. ასე ყოფილა ძველთაგან, ხოლო მეოცე საუკუნეში სვეტის სახელს ერთი თარიღი და „დღეობა“ შეემატა—30 და 31 ივლისი. ჩვენი ასვლის თარიღი!

— ჩაბერე, შუტუ, ჩაბერე!

არც პირი დაგვიბანია, არც საკმელი გვიჭამია. ავდექით და უძალ მუშაობა დაიწყეთ. შრომა დაგვიფადა: შრავლად ამოგკრიფეთ ჯამ-ქურტულების ნამსხვრევები, ერთი ქოთანნი კი, თითქმის მთელი, ჩამხობილი ადგა საყდრის კუთხეში.

ვიპოვეთ მცირე ზომას, სამწუხაროდ დამსხვრეული. სურა—ჩინებულ ნაქეთობისა, ხოლო საყურთხველის გაწმენდის დროს ავმოჩნდა სურათოვნად ჩამოსხმული ბრინჯაოს შანდალი თუ ჯვარსადგარი. ქვაბულის საყურთხვევლში კი კრამიტის ნამტვრევება და გგონებ კეცის ნატეხიცი ვიპოვეთ. კლდის კიდეზე მარანი ნაწილობრივ გადანგრეულა, ერთი ქვევრი შუაზე გადასკდარა, გადაჩეხილა. ახლა გაპრბილ გლობუსის შთაბეჭდილებას სტოვებს. ოთხი კი მთელია, ხუთ-ხუთ ჩაფს ჩაიტეგს. ქვის ბადიმიც კი ეხურა ერთ-ერთს. ქვევრები სავსეა ევეროთი და ლოკოცინებუთ. შიგ შუქი ჩავანთე და ჩავძახე კიდევაც. ჩემმა ზმამ შემაძრწუნა. მუდმივ ლოცვით გაბოხებული ზმის ანარეკლი გამოიღო ქვევრმა. ასეთი ზმა თუ ჰქონდა უკანასკნელ მესვეტეს!

ქვევიდან წყალი და დილის საუზმე მოგვივიდა. აჯაკიმ დასაველეთის მხრივ სვეტის ფერღზე ამოჭრილი ქვაბულის მდებარეობის დასაზუსტებლად გიგმაც ამოგვიგზავნა.

ეს ქვაბული ხუთი მეტრით ჩვენს დაბლა არის, სწორედ მარნის ქვეშ. ალექსანდრეს შევებით თოკი და როგორც ქაში ისე ჩავესვით. ამ მხრივ სვეტის სიმაღლე ას მეტრზე მეტია.

მალე ალექსანდრემ ნიშანი მოგვცა და ამოვწიეთ.

ამოგვიტანა ქვაბულის ნახაზი. ის ცალკერი აღმოჩნდა. ზელოვნურად ამონაკვეთი. სწამს, იქაც ცხოვრობდა ზერი. წესით აქ ყველაფერი უნდა გადიოხაროს, პირველადი სურათი აღდგეს. მაგრამ ეს ჩვენ ძალას აღემატება.

უკვე მოშუადღევდა. ვატანგმა აგვგვამა დაამთავრა, ჩანაბატებიც შუად

არის, ფოტო-სურათებიც. წინასწარ გათბრებსაც მოკრიბო. ^{უკვე} დროა ჩასვლაზე ვიფიქროთ. ალბათ ყველა ვფიქრობთ ჩასვლაზე, მაგრამ გული ფაქტურა გაურბია.

როცა გადვიხედავ ქვევით და სიმაღლეს მოვზომავს, ^{მეტი} მეტივერსა მესანჯერს, იქნებ შეათაჯერაიც, ისევე ჩემი თრთოლვა დამივლია ძარღვებში.

ქე უნდა ჩავიდეთ. დიახ წინ ასევე დიდი სიძნელე და, შესაძლოა, განსაცდელი მოგველის. მაგრამ მეტი გზა ხომ არ არის. მართლა შესვლაცხად ხომ არ დაგერჩებით?..

უკვე დავიწყეთ ბარგის ჩაშვება. ზოგ რამეს პირდაპირ ვაგდებთ. მაშინ შემზარავი დგაფანი ამოდის ქვევიდან და გულისყურს კბენს. ხომ შესაძლოა თვითუღმა ჩვენგანმაც გაიღოს ასეთი ღვსფანი!

ფიქრი ფიქრს გაურბას მაშინ...

მე და ვახტანგი აკლდამაში შევძვერიეთ. ფოტო-ფირებს უნდა დატენა ხოლო სიძნელე სამარისაა ქვბული. დაბალია აკლდამა, შიგ გამართვა არ შეიძლება. ჩამწდარი ვართ. ძველთა-ძველი შავი ობი და ხაო ჰფარავს მის შესანიშნავად გამოყვანილ თაღებს. იატაკად კი პირდაპირ კლდე აქვს. კოთხეებში თითქოს ნაქვარტლს ვამჩნევ, იქნებ აქ ცეილის სანთელა ერთო მწირ-მლოცველს...

გამოვგმანე შესავალი. აბლა უკუნა მრუმეი ვამეფდა აკლდამაში. და თითქოსა საუკუნეთა უფსკრულში წავედი თავყირა.

ვახტანგი ფოტო-ფირებს ტენის. მე კარგად შესმის მისი სუნთქვა და ხელის ფათური.

ვახტანგებულა და უმოძრაო ვუსმენ სიძნელეს. და გულის ყურიო ვვარმობ, რომ აქ კიდევ ვილაყ არის ჩვენს გარდა, კიდევ ვილაყ! ვილაყ მესამე და ის ვილაყ არის მთავარი ქირისუფალი, მასპანშელი და ნამდვილი პატრონი სვეტისა, ჩვენ კი მოველით, შემოვიჭვრიით მის სამყაროში და მისი ათასწლოვანი მყუდროება დაეარღვიეთ.

უნიშნო მრუმე-სიძნელე იდგა, როგორც უთქმელი საყვედურა.

და ერთი გესლი მესხიერებაამაც მაწვია, თვალწინ წარმომიდგნენ კაცხელი მოხტეები და ერთად ამეორებდნენ ყველანი: „გინც ხვეტს შეკმედა, უმაღ დაბრმავდა! უმაღ დაბრმავდა!“ თვალს ვახელ და უნიშნო მრუმეა ირგვლივ.

იქნებ დავბრმავდი? იქნებ მე დაეკარგე სინათლე და აქ აკლდამა არათერ შეაშაი?

ყურა მივაპყარ. ვახტანგი სღუმს, აღარც სიქმიანობს.

— ვახტანგ, გათავე?..

— სინათლე მინდა, სინათლე! და მის პასუხში ვივრძენ, რომ იგიც ამდაგვარ გრძნობით იყო შეპყრობილი.

ხელი გამოვკარ აკლდამის საფაღს, საბანი ჩამოვგლიჯე. შექე შემოიჭრა და სიოს საღბუნი, თან აღექანდრეს ხმა:

— აბა, „მესვეტენო“, გამოდით, უკვე დროა დავიწყეთ ჩასვლა! გამოვძვერიით აკლდამაღან.

ისევე შევაფროვე უკანასკნელ მესვეტის ძელები და აკლდამაში შევაწყვე-მერე წერილი დაეწერე: ჩვენი ვინაობა, მიზანი და ყოფნის თარიღი. შუშის ქილაში ჩავკეცი წერილი, ზევიდან თუნუქის კოლოფი დავახურე და აკლდამაში ჩაადე.

თლილი ქვებით, მშრალად ამოვაშენეთ აკლდამის შესავალი, უკანასკნელ მესვეტეს, იქნებ ათასი წლის შემდგომ ელირსა წესიერი დამარბვა და აღბათ კიდევ ბევრი დრო გაივლის, სანამ ვინმე კვლავ შეაფუფუნებს უკანასკნელ მესვეტის ძელებს და ამოცუ სატყუნის მკვლელობით დასრულებულ წერილს...

ყველაფერი ჩავგზავნეთ ქვევით, ბოლოს ფეხსაცმელებაც გავიხადეთ და ჩავუშვით. ახლა კი შევბედეთ ურთი-ერთს. მუხაზე გამოვებით თოკები, მე წელზე შევიბი. პირველი უნდა ჩავიდე. უკანასკნელად მიმოვხედე სვეტის თავს. დიახ, ისევ ისე: თექვსმეტი ნაბიჯისიგრძე, ცხრა—სივანე, ორგვლივ გალაგანი შემოვლებული, ზოგან ჩანგრეული უკვე და არსაიდან არ სჩანს ამოსავალი.

აღმოსავლეთით კლდისა და კედლის შორის თითქოს აღაყადის ადგილია დატოვებული. აქედან თუ გადმოდგებოდა მესვეტე და ზალხს დაწახვებოდა დღეობის დროს. აქედან თუ გადასახავდა გვარს სვეტქვეშე სისყაროს.

ახლა უფრო მაღლა, უფრო შორს გავხედე. აღმოსავლეთით, გაღმა მაღალი კლდე, სამასიოდ მეტრის დაშორებით. დასავლეთით ნაწილი მასაც ფრიალო აქვს.

ჩრდილოეთით, შორს ცის კიდეზე — საწალიკეს ედია. ხლოს ყანები და ტყე. ქვემოთ ააქარებული კაცხურა, ხოლო მაღლა დიდი კაცხი, ბაღებში შეჩრდილული. აქვე — ქედ-გაყოლებით დიდა გამოქეპბული და ციხე. კაცხურა დასავლეთისაკენ ჩასდევს ხეობას მერე სამხრეთობს და იქ მთის გულზე კაცხის მაცხოვარი და სოფლები.

ხარბად ვუშვებ გარემოს და თითქოს პირველად ვხედავ, ან იქნებ უკანასკნელად. ხომ შესაძლოა, თოკმა მიღალატოს, ან ქვა ჩამოსხლტეს, ან ათასი მარცხი...

თოკს ვისინჯავ წელზე და გარემოს ხარბად ვუშვებ.

მერე შევობრებს შევხედე. ყველანი თავის ადგილზე იყვნენ. ალექსანდრე მხარზე თოკ-გადავლებით კლდის კლესთაი იდგა. ვახტანგ მუხასთან თოკს სდარაჯობდა. შუტუ და პეტრეც თოკის ბოლოს შესჭიდებოდნენ, მეც მიცადენ და ალექსანდრესაც.

— აბა წავედი! და საყდრას ჩამოშლილ საკურთხეველში შევდგი ფეხი. კლდის გადავადეპი, გადავხედე. ქვეშ მოზიდული ხალხი შეენიშნე. აშკარად გავარჩიე, ზოგნი მუხლებზე იდგნენ. ხელები აღებყროთ სვეტისაკენ. აღმათ ჩვენ მშვიდობიან ჩამოსვლას შესთხოვდნენ სვეტის ძალას.

თოკი მოვისინჯე და პირი ვიბრუნე კლდისაკენა ნაშალ კედელზე ჩავდგი ფეხი. უმალ ჩამეშალა და ჩავეცადე.

ქვებმა ჩაიტანეს გრიალი და ქვემოდან, როგორც პუბუ, ზალხის გმინვა მომწედა.

მაგრამ იმედი მაქვს, თოკი მაგარია, ზემოდაც მაგრად არიან.

— მოუშვით შავი თოკი! თეთრ თოკს ჩავეკიდე და ჩავყევი. თეთრი და შავი თოკი ერთმანეთს ჩაეკლაკნა და ჩაეხლართა. თითქოს უფსკრულის თავზე თეთრი და შავი გველი ებრძოდა ურთიერთს.

ყველაზე უფრო ლავგარდანთან გამიჭირდა, რადგან ირბად უნდა გავიდ-
დეთ და დაცვა გვერდიდან მრჩება, თუ მოვსნლტი, შავი თოკი გამოიტაცებს
და ქალივით სვეტის ქვედა ეხზე, ღავეკიდები.

— მოაქამეთ თეთრი თოკი!

— თეთრი თოკი იმეორებს ქვევიდან ერთობლივი ხმა. თავად ხალხიც
ახლო მოიწევს სთიაქოს.

— ძირს არცინ იყვეს!

— არა, არა! მშვიდობით ჩამოდა მესმის პასუხი.

თეთრი თოკი დაიჭიმა. ჩავეჭიდე და ლავგარდანს გავყვე. ალექსანდრე-
მაც კლდის კიდეს შავი თოკი გადაატარა, წარცხნივ გამოასწორა. აბა ცო-
ტაც და კიბეს მივწვდებო, მაგრამ აქ კი ფეხს ველარ ვიკიდებ.

— აბა თოკს ჩავეკიდე!

— მიდი და ალექსანდრე ზევიდან მიმინოსავით მადგას. ჩავეკიდე და
ფეხით კიბეს დაეკებე.

— მარცხნივ! ასე, ცოტა კიდევ! ხმა უკვე კაბის ძირიდან მესმის. სულ
ახლოს მესმის ქვედა ხმა.

ჩაეღვი ფეხი კიბეზე.

— კიბეზე ვარ, თოკი მოუშეით! და ისევ იგი კიბის ნაცნობი დრეკადო-
ბა. ჩავთვალე საფეხურები — ოცდაშვიდია. ესეც კიბის ძირია. რამდენიმე
ახალგაზრდა შემეგება. აქ ამოცოცებულან, გამოიჯნულ ვლდეზე.

თოკი შევიხსენ. ჩემი ფეხსაცმელები ვნახე, უმალ ჩავიცვი, კლდეზე ჩავ-
ცოცდი და სვეტას ძირას გავჩნდი.

ხალხი შემომეგება.

პირველი „ბეგევეტი“ გავიდა ხალხში: ცოცხალი, უფნებელი და არც თუ
ბრმა.

— გამარჯობათ!

შემომეხვეინენ, მილოცავენ. ცნობისმოყვარეობა უკრთით თვალბში.
მოხუცებსაც შეავიწყდათ თავის მტდღევებული სიდარბაისლე — და ათას
რასმე მკითხავენ. პაახუსაც არ მაცლიან, არც მე არც ურთ-ერთს. აქ არის
აკაკი, ხელს მართმევს, თბილად მილოცავს. იგი ვგონებ ყველაზე მეტს
ღელავს, მაგრამ არ იმჩნევს. ბეჯითად იღებს ჩამოსვლის სურათებს.

ზემოდან ისევ ქვეს ზრიალი მოისმა. მაშ ჩამოდის შემდეგი. ყველანი
განზე გავედით. იქიდან ვუშვართ. მართლაც უცნაური სანახავია. მალა,
მეტად მალა, თოქზე ჩამოკიდებული კაცი მოსჩანს. ხან შეკრატელივით
გაიშლება, გაილაგება, ხან მოიკეცება, წელში დადრკება. ხამუშ ფეხებს
ჰაერში უმწეოდ ასავსავენს, დაბლა საყრდენს ეძებს.

მე — ხალხში ჩანდგარმა ახლა ვიგრძენ შიში და ძრწოლა. ერთი მოხუ-
ცი დედაკაცი მძიმე სამზერს თვალს ვერ უმართავს, ხელს აიფარებს თვა-
ლებზე და ჩიფჩიფებს ლოცვას. მერე ცნობისმოყვარეობა წაძლევს და ცა-
ლი თეადით მაინც შეძხედავს.

— აი სასწაული ამას ჰქვია! ჰკვირობს მოხუცი ალფესი ბრეგეაძე.

— რას მოვესწარი! საარაკო სიზმარ-ცხადის ამბავია! უდასტურებს ალექ-
სანდრე კუპატაძე.

— მადლიანი ხალხი ყოფილა! ღმერთო, მშვიდობით ატარე! მესმის და
ეს ყველაფერი თითქოს სიზმარში ხდება.

შეტუ ფოფხაძეც ჩამოვიდა, ახლა მას შემოეხვია ხალხი: იხტე კვირობს და ახალ გამოფხიზლებულსა ჰგავს, ჯერ კიდევ სიხშირის ბრწყინიდან ვერ გარკვეულა.

ახლა პეტრეც კლუბაძე ჩამოდიან. რამდენჯერაც ფეხი დაეხრებოდა კომდენი შეპყვილებენ ქალები, აქ მისი ნათესავეები ბლომად არიან.

ახლა ებატანგი მოდის. მან ტანმსუბუქად ჩამოლია კლდე. ლავგარდანზე ოდნავ შეისვენა. ისე მიეჩვია სიმაღლეს, რომ თავისუფლად ჰგარძნობს თავს. კიბე არც კი ჩამოეთავებინა, რომ შეიხსნა თოკი და ზევით შესახბა. ზევით კი უკანასკნელი „მესვეტე“ იდგა და ჩვენ გვიშურდა.

— კი მარა ეს უკანასკნელი როგორ უნდა ჩამოვიდეს?

— ის რაღას იხამს, შეილო! ჩიფჩიფებენ მოხუცები და კრთებიან. ალექსანდრემ შავი თოკი ქვემოდ გადმოიჭნია. კლდის ფერდზე ვეება გველივით ფაიკლაქნა თოკი და ჩამოვარდა.

— იმე თოკიც ჩამოავლო?! იქ ხომ არ აპირებს დარჩენას?! ალექსანდრემ ახლა ზედა ჯუნა გაიხადა და გადმოსტყორცნა და იდგა იგი სვეტის თავზე: მყარი და შოშმინი. ალბათ ასე თუ გადმოდგებოდა ოდესმე იგი მესვეტეც. ასე თუ მოევლინებოდა, როგორც ახლა, მუხლ-მორთხმულსა და განცვიფრებულ ხალხს. შევაკვირდი ალექსანდრეს და თუ არ ვცდები, თუ არ ვჭაჩბებ უხარმამზარი თეთრი წვერი შევამჩნიე მის სახე-მკერდზე. შებრუნდა ალექსანდრე. ნახვრევეს მიეფარა. ალბათ თეთრი, ძირითოკი შემოავლო მუხბა. ორად ნაკეც თოკის წესით უნდა ჩამოვიდეს. და ჰა დაეიღა კლდის ადაღმაზე. თოკის ორივე ბოლო მას აქვს, თოკის შუაწელი კი ზემოდ მუხბზე არის მოდებული. ყოველ პალოსთან თოკს იმოკლებს, ერთ თავს ჩამოსწევს ხოლმე. ზედა პალოს თოკს გამოაცლის, საღტესაც აძრობს. მხოლოდ პალო რჩება, როგორც ჩვენი ასკლის ნაჭედი მოწმე. ალექსანდრე ისე მსუბუქად მოდის, ისე თავისუფლად არის ფრიალოზე გადმოკიდებული, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე სვეტზე ეკიდება ხალხი სულგანბული შეპყურებს. მოხუცები მალ-მალ პირჯვარს იწერენ, იქნებ შესაწირავსაც უკვეთენ სვეტის ძალას.

— ჩემი თვლით რომ არ შენახა, არ დაეიჯერებდი! მაგას უსათუოდ ცალი ფერდი მთლიანი აქვს.. არწივის გული უჭამიათ! უბნობს ყველაზე უხუცესი და უდინჯესი შამშე ბუჭუბიშვილი და აქვე, ყველას წინაშე სვეტზე ამსვლელთა შესახებ ახალ ლეგენდას ჰქმნის.

პირიდან პირში გადადის მოხუცის ნათქვამი და ლეგენდა იზრდება, ფერხორც ისხამს, ხალხი სიბრძნითა და ფანტაზიით იმოსება. ჩვენ ახალ თქმულების დაბადების მოწმენი და მონაწილენი ვიყავით.

უკანასკნელი „მესვეტეც“ ჩამოვიდა კლდიდან და ხალხში გაერია. გაუჩინარდა კიდევაც შემოსუფულ ხალხში. იგი ამ ხალხის შეილია და ამ ხალხის სახელით და გულით ავიდა სვეტზე.

დღესაც მოვარემ დაასწრო დაღამებას.

დიდ კაცხის სკოლის აივანზე ვართ, ჩვენ ახალ ნაცნობ-მეგობრებს შორის. ტკბილათ ვბაასობთ. მოკლედ ვაჯამებთ ჩვენს მიერ ნანახა, ნაგრძნობს თუ ნაფიქრს. წინასწარ დასკვნებს ვსაზღვრავთ.

ეს ყოველად უცნაური და, ვფიქრობ, უნიკალური სვეტი, სვეტიცხოველი, დეთაებად ქცეული პიტალო, სჩანს, ოდესმე ფალოსის კუროტთან იყო დაკავშირებული. ამა ჩვენ მიერ შეგროვილი მრავალი სვეტიცხოველიც დასტურებს. ხოლო შემდგომ ქრისტიანობამ გამოიყენა სვეტი-სვიმონ შესვეტის სახელს დაუკავშირა და ორი საყდარიც ააგო მის თხემზე.

საყდრების არქიტექტურისა, კლდის ძირში გამოკვეთილ ბილინიას ჯვრის ტიპისა, აკლდამის ნალიებზე შესაფლია და აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთისა და ჭურჭლებს მიხედვით დასტურდება ეკლესიათა დადი აიძველე და მათი აგების თარიღი მე-7 საუკუნის აქეთ, ვგონებ, აღარ გადმოინაცვლებს. და თუ ეს ასეა, შესაძლოა ათასმა წელმა განვლო უკანასკნელ შესვეტთა შემდგომ და მხოლოდ მეორე ათაწლეულს დამლევს ადამიანის მოდგმამ კვლავ შეარღვია სვეტის თხემის მყუდროება, მისი საიდუმლოება საუკუნოება გამოიტაცა.

შორით გავხედავ. იქ ხეობის თავზე „არს კლდე, აყვანილი ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი, მის კლდის თხემზე არა ეკლესია შვირე, არამედ ვერდარა აღვალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღსვლისა“.

ასე მძაფრად განუცდია სვეტის საიდუმლო, დიდ ქართველ მეცნიერს ვახუშტის.

გავხედავ სვეტს, იგი იაეთივე მიუყარები და შეუვალი სჩანს. ზედ ოცნების თვალთ, ჩვენ მიერ აღმართულ დროშას ვამჩნევ. იგი ნიშანია სვეტის საიდუმლოს ამოცნობისა. ჩვენ მხცოვან ვახუშტიზე ბედნიერნი აღმოვჩნდით. დიახ, ჩვენ ახლა ვუწყით, კარგად ვუწყით „ხელოვნება-სვეტ-ზე-ასვლისა“.

და როცა ქამთა სიღრმეებს ასე უშუალოდ და თვალდახელ შეეხები, არის ამაში რაღაც გამოუთქმელად უცნაური. ადამიანის გამოუცნობ სტიქიონიდან იღუმალი გრძნობა ამოდის, აზრებსა და ფიქრებს ეუფლება და შენ გრძნობ, რომ შენზე უფრო უმჯობესი ხარ, შენზე უფრო მაღალი, უფრო ზეიადი, შენზე უფრო უკვდავიც თითქოს!

ნინო ჭავჭავაძე-გრიგორივა

1

არა თავადი მალხაზი,
ივერთა მეთვისწული,
იყო იმისა ნატვრა და
ოცნება დაფარული;
არა ჭართველმა ვაჟკაცმა,
რისხვით რომ შესძრა მთები,
დაახრევიანა თავი მას
ტრჟიალის გამვლანებით.
არა იქ, სადაც მიიღტვის
ალაზნის ტალღა სწრაფად,
პირველად ბაგე ვაეისა
მის ბაგეს დაეწაფა;
მას სიყვარული დაუქნა
და აუყვავდა სევდა
ჭალაქში, სადაც ხალისი
ნადევლს ყოველთვის სძლევენ.
სადაც საზანდარს წარსული
ოცნებით ეხატება,
ხშირად მუსიკა გაისმის,
ბაირალები ჩნდება.

2

მე შემხედრია ტფილისში
ზოგჯერ მის ახლოს ჯდომა...
გაზაფხულის სხივს აჩენდა
სიტურფის შემოდგომა.
არც მოწყენილი, არც ლაღი
იჯდა ყოველთვის წყნარად
და მის სახეზე მშვიდობა
იხატებოდა მარად.
ვერც შუალამის ბალების
მროკავი ბრწყინვალეობა,
ვერც დაფლავების გრიალი
და ბუკთა აყეფება,

ვერც უსულგულო სიცილი,
ვერც კორები და კილვა
ვერ ახერხებდნენ ფარულ
შისი ოცნების ჩრდილვას.
თითქოს დიდება, სახეზე
მას შეუქს რომ ჰფენდა თვისას,
იცავდა სულის სიმშვიდეს
და ფიქრს წარსულზე მისას,—
ან მასზე, ვისაც შეასვეს
შხამი ბოროტი ძალის,
ვინც უანდერძა სევდა მას
და რწმენა იდეალის...



3

საათი მახსოვს, როცა შორს
ვარდისფრად შეფერილი
გამოჩნდნენ თეთრი მთები და
ბალებს დაეცა ჩრდილი.
როცა იხვევდა კვამლს თითქოს
მეტეხი, კლდეზე მდგარი,
და მწუხრის ბინდში შეცურდა
წმინდა სიონის ჯვარი...
მას, აივანზე მჯდომარეს,
ძირს დაეხარა თავი,
ცრემლი შევნიშნე სპეტაკი
თვალეების დამნისლავი.
მე დაუვიწყარ წარსულზე
სიტყვა ვუხსენე რიდით
და დაეურღვეე სნეულ სულს
მით ფიქრთა დენა მშვიდი...
მეგონა, მე მის თვალბში
ამოვიკითხე მაშინ
ამბავი მალვით გაელილი
იმის წყნარ ოცნებაში:—

4

„რუსთა ხელმწიფის ბრძანებით
თეირანს წამოსული,
გზად იგი ჩვენსას გაჩერდა,
რომ დაესვენა სულით.
სანუკვარ სტუმარს დაუხვდა
მამა, ვით მეგობარი.
აღრეც გაეღო მას ჩვენი
პურადი სახლის კარი...“



მაგრამ არ იყო მოღზენით
 იგი ჭადრის ქვეშ მჯდარი,
 სადაც ჩვენ ხშირად გვიმღერდა
 მოხეტე საზანდარი;
 სადაც მოსჩქეტდა ღვინო და
 ყალივნის ბოლი თრთოდა,
 ნათელ ნისლიდან ცხოვრება
 ჩვენს სტუმრებს უღიმოდა...
 იყო მღუმარე ის, როცა
 ჩვენი აივნის ჩრდილში
 ჩნდებოდა შუქი მთვარისა,
 როგორც სიზმარი ძილში...
 მისი ძლიერი გონება,
 მისი მხურვალე სული
 იყო უღრმესი ფიჭვებით
 ყოველთვის დატვირთული.
 მას ტაშს უქრავდა ამოდ
 შშობელი ჩრდილოეთი,
 იქ არაფერი დასტოვა
 მან ცივი ზამთრის მეტი;
 იქ არაფერი დასტოვა
 გაყინულ გულთა გარდა,
 მარტოდენ ჩემი სული აქ
 სულს მისას შეეფარდა...
 მე იმას დიდხანს ვუყვარდი,
 და იგრძნო ლხენა დიდი,
 როდესაც მიხვდა, წამწამებს
 თუ მის წინ რატომ ვხრიდი.

5

„მალე ერთმანეთს მივეცი
 საკურთხევლის წინ ხელი...
 ტფილისთან ერთად ხარობდა
 თითქოს ქვეყანა მთელი,
 დამით ზურნის ხმას უწყვეტლივ
 ჩვენსკენ აფრენდა ქარი,
 ისმოდა ხმა დაირისა
 და ტაშისცემა წყნარი...
 დიდხანს ელავდნენ მას შემდეგ
 კიდევ ცეცხლები შორი,
 როცა ლამპარი ავანთეთ
 და ერთად დავჩრით ორი...
 არ სწყვეტდა ცეკვა-თამაშსა
 ეს ღამე მოციმციმე,
 როცა სულს მისას მოსცილდა
 ფიჭვების ტვირთი მძიმე,

როდესაც მის წინ ბრწყინავდა
წყარო ნეტარი გზების:
ალერსიანი მზურა და
ბეჭედი ქორწინების.



6

ბოლოს დესპანი მეფისა
თეირანს გაეშურა...
მშვიდობით, ჩემო ტრფიალო!
გულს ნისლი დაეხურა.
როგორც წყვილიაღში ფიქრობენ:
როდის ინათებს, როდის?
ასე ველოდი, ველოდი,
არ დაუღლივარ ლოდინს...
ჩემს მორწმუნე სულს ჯერ კიდევ
ესხა ოცნების ფრთები
უცებ... მოჰკლესო, ის მოჰკლეს
ხალხში გაერცელა ხმები.
ცდილა უბედურ ტყვე-ქალთა
იგი შინ დაბრუნებას
და ველარ ვადაურჩაო
ურჯუქთა გააფთრებას.
გეამი იმისი, ბრბოს მიერ
წაბილწულ-გალანძლული,
აქეთ მოაქვთო კრიალა
ურემზ დადებული.
ყოველი მზრიდან ვისმენდი
ამ აშბავს შესაზარსა...
ურმით კი როდი მრადვა
იგი ტფილისის კარსა, —
არა, მის ცხედარს პატივი
უფრო მეტი ხედა წილად:
ის ექვსცხენიან ბალდახინს
მთებში მოჰქონდა ფრთხილად.
იგრეთვე ახლდა მის კუბოს
თან დაფნის გვირგვინები,
ხიშტწამოცმული თოფები,
შუბები, ზარბაზნები...
ბოლი სდიაოდათ ჩირაღდნენა
და იღვიძებდნენ მთები
გზაზე ბორბლების გრიალით
და მგალაბელთა ხმებით...
მე შესახვედრად გაგელი,
ჩემთან — ტფილისი მთელი;
მახლდა გულაჩუყებული
ხალხი, ცრემლების მღვრელი.

ბანებზე მდგარიც ატირდნენ,
როს შემოდონდა გული...
ო, უკან რატომ ჩამორჩა
მას ჩემი სიყვარული!



7

და დავასვენე იქ, სადაც
კლდე დაშვებულა მთიდან,
სადაც საფლავებს დარაჯად
უღვას დავითი წმინდა:
იქ, სადაც უმაღ, ვიდრე ჩვენს
ფანჯრებზე შექი ჩნდება
საკურთხეველი რიყრაყის
ნათელით აენთება;
იქ, სადაც ზოგჯერ ზამთარში
ღრუბლები თავს იყრიან
და გაზაფხულის მნატვრელნი,
ჩემად ცრემლებსა ღვრიან;
სითყენაც ხუთშაბათობით,
ზარის აღრიან ხმაზე,
ქართველნი ქალნი ჩადრებში
ბილიკით მივლენ მთაზე.
ხან დიდ სიციხეში მიდიან,
ზოგს უნდა სთხოვოს შეილი,
ზოგს უნდა გამოიბრუნოს
ქმარი გულგამოცვლილი...
იქ არის მავზოლეუმო
და — მცირე ძღვენი ქერივის —
ჩამობნელებულ გვირაბში
ზეთის ლამპარი ღვივის,
ორი სიმწარე შეადგენს
ლოღზე წარწერის საგანს:
გებუდა ვაი სიყვარულისგან
და ვაი ქეთისაგან".

თარგმანი ქონსტანტინე ზინინაძისა.

მონადირე

ნოქვლა

ჩამავალმა მზემ ერთხელ კიდევ აააღმასა ხოშორი თოვლით დაფარული მთის მწვერვალები და ძოწის ფერზე მოპტინა მიდამოს, შემდეგ კალთაში ჩაიკრიფა დღის ცხოველმყოფელი შუქი და მთის გადაღმა ჩაესვენა. დაპბერა ბორიომ, ღრუბლის ქულები წამოშალა და საჯიბზეც მთას მოახვია.

— სანადიროდ კარგი დარი გამითენდება, — ჩაილაპარაკა დარის შესამოწმებლად გამოსულმა თედორე ქვეციხელმა, როდესაც საჯიბზეც მთის თემს ვახედა.

ძნელია ახალ გამოხატულზე ამ მთის დამორჩილება, მაგრამ უფრო ძნელია ვაქაცის გულისთქმის შეჩერება. ვის არ სმენია მთიან რაქაში თედორე ქვეციხელის ვაქაცობა. არა ერთი და ორი ჯიხვი შეუწირავს მამაცი მონადირის აუცდენელ მიზანს. და აი ვხლაც, როდესაც ხანგრძლივი ავღრების შემდეგ ცამ გადაიკარა და გაუვადი ნისლი ჩამოხსნა მთის კალთებს, თედორეს ვული აეცსო სურვილით, ვიდრე გაზაფხულის მზეს მთლად არ ჩამოუღღვია ნაზამთრი თოვლი და ყინვა, ერთხელ კიდევ მოასწროს სანადიროდ ასვლა.

შებრუნდა სადგომში, კოტადან ჩამოხსნა ორღესული და ის იყო გამოსვლას აპირებდა, რომ კერიის წინ საჩეჩელთან ჩამჯდარმა დედამ სიტყვა დააწია:

— ო, თედორე, საით მიდიხარ? საცაა ვახშობა მოაწეს.

— მალე მოვალ, დედუკა, მოგისწრობთ ვახშამზე, — და ამ სიტყვასთან საძირკველს გადააბიჯა.

— პაუ ყურშაუ, ყურშა! — ქიშკართან მისულმა მიიძახა ძაღლს. ერთგული ყურშა გადაეელო ღობეს და პატრონს წინ დაუხედა.

გადასჭრა სანახშო, მოღია შარა და კვამლით გაბოლილ სახლთან შეჩერდა.

— ჯამათა! შინა ხარ?

ძახილზე გაიჭრიალა კარმა და ქალმა გამოხედა.

— თედორე, შენა? ჯამათამ ცხენები წაიყვანა სარწყულებლად, არ დაბრუნებულა. მოდი შინ, კარზე რას დამდგარხარ?


— შინ რა მინდა, როცა შენ აქა ხარ? არც თუ შენი ძმა მინდოდა.

მარუნამ თავი დახარა და სირცხვილის დასაფარად თავსაფრის ყურით დაიფარა სახე.

— კარგია მარუნავ, რას იბურავ მაგ სახეს. რათ მარიღებ თავს?!

— არა, არ გარიღებ, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ისე, რა ვიცი...—და ცოტა ხნის დუმის დამდეგ დასძინა:—მალე, თედორე, გეტყობა, სანადიროდ მიდიხარ, ტყვილად არ დასწრებო...


— ჰო, საჯიხვეზე მივდივარ, მარუნა, ჯიხვს ჩამოგვერი შენსავით ლამაზს.

— საჯიხვეზე?! ნუ, ჩემო თედორე, არ მინდა ჯიხვი და არც შენი გასაქირი.

— გასაქირი?!—ჩაიღიმა ვაეკაცმა, უღვაშქვეშ გამოაჩინა ბროლივით თეთრი კბილები და მწყაზარი თვალი ქალს შეანათა.

— ჰო, მაგრამ... ამაღამ თუ აპირებ წასვლას?

— უთენიეთ, რომ მზის ამოსვლას იქ შევეგებო. უშენოთ არ მინდოდა წასვლა.—და თედორემ ძალუმიდ მიიზიდა მარუნა.

— დაგვინახავენ, დაგვინახავენ,—ერთი შეებრძოლა მარუნა და ხელიდან გაუსხლტა. შეებრუნდა კარისკენ, აელანდა კედელს და აფორიაქებულმა გულმა ღვით დაბრუნება უსურვა სანატრელს.

მიდის თედორე, ბარაქიან ნაბიჯით ამოკლებს მანძილს და მარუნას სახეს თვალთახედვიდან არ იშორებს. უხუტს მკლავი, მარუნას წელს რომ ჰქონდა შემოსალტული. თბილი ყრუოლა უელის ტანში და რომ მათრობელ გრძობას არ წაერთმია ვაეკაცისათვის მუხლის სიმაგრე, ძალს დაუწყო წაქეზება, რომელიც პატრონს ხან გაუსწრებდა და ხანაც ჩამორჩებოდა.

სოფლიდან საჯიხვემდე არ იყო შორი გზა. თედორემ უკვე მიალწია კლდის ძირამდე. მარდად გადადიოდა ფერდობიდან ფერდობზე და რაც უფრო მალა იწევდა, მით უფრო მეტი სურვილი იპყრობდა—მას. არა, დღეს გული საესეა სიყვარულით, დღეს გულს უფრო მეტი უნდა. აქ ხომ სხვა დროსაც ამოსულა სანადიროდ. დღეს კონცხისკენ უნდა გაიკვლიოს გზა, ხომ ამბობენ, რომ ეს კონცხი ჯიხვთა ბუდეაო.

კარგა ხანს ათვალეირა კონცხი, ყოველმხრივ მოსინჯა, მაგრამ ასვლა არას გზით არ ხერხდებოდა. დაღონდა, ჩამოჯდა კლდის ძირში და ფიქრს მიეცა. ყურშია შეიგრძნო პატრონის უგუნებოდ ყოფნა და ისიც გვერდით მოუჯდა. თედორემ დიდხანს უსვა თავზე ხელი ერთგულ ნაგაზს. შეკრული შუბლი ანაზღათ გაეხსნა და უცნაურის სხივით გაეგვო თვალი. ყურშას ყბებში წაავლო ორივე ხელი, ჩახელა თვალელებში და ჩახაძახა.

— ხომ ამოხვალ, ჩემთან, აი იმ ქვაფიქალზე? ყინულს ამოვჩხვ, ყურშაუ, საფეხურს გავეყეთებ და მაშინ...

ძალმა ისეთი მზერა გაადევნა თედორეს თვალს, რომ უთუოდ მიუხედავადილს.

— ოღონდ ფეხი მოვიკიდო, სიბ ქვაზე გადავიდე და მერე ალბათ არ გამიჭირდება.

მოდიოდა თედორე სახლისკენ და გზა-გზა ცას შეჰყურებდა ახარებდა თხელ ნისლში თითო-ორილა ვარსკვლავის მბეჭუტავი შუქის გამოჩენა—მეტ ყინვას მოელოდა.

დიდი ხანია სწავისმოდ თავი მოიყარა გიორგა ქვეციხელის კვლამა. გიორგა, ოჯახის თავი, ცეცხლის პირას საეარცხულში ჩამოხჯდარი, ქალამნებს ბლანდავდა. იქვე შეილიშვილი ბერუნა ცეცხლისაგან მკრეჭოწებულ ლოყებს ბაბუას ჩოხის კალთას აფარებდა და ეტიკტიკებოდა ჯერ კიდევ ბერხემალ-მაგარ მოხუცს.

— ბაბუა, ხომ შემიკვრავ ქალამნებს, აი, ამისთანას, შენ რომ გაცვია?

— ჰო, ჩემო ბერუნავ, უფრო ლამაზებს შეგიკვრავ. — და გიორგამ ჩიბუხს მოსწია. ვერ გააბოლა, ცეცხლი ჩამქრალიყო. — შენ ცეცხლი მომაწოდე, ქალამნები ჩემზე იყვეს.

დედუკა კი ისევ საჩეჩლის კბილებს აწკარუნებდა და მუშკივით რბილ ფანტელებს კალათაში აწყობდა. მოარგვალა ფანტელა, საჩეჩელი გვერდზე გადასდგა, მოიხსნა წინსაფარი და რძალს მიუბრუნდა, რომელიც ბუჯერთან მიმდგარი, ვახშმის თადარიგში იყო.

— ხვარამზე, ხელი გადაგვაბანიე. ის ბიჭი მარუნასთან თუ შერჩა ეახშმად.

ხვარამზემ ჩამოატარა დოქით წყალი და ჯვალოს ხელსახოცი. ცეცხლის წინ დასდგა დაბალი სამფეხი სუფრა. ის იყო დედუკამ დეველფში ჩამდგარი ლობიოიან ქოთანს ამოღრია ციციხეი, რომ ეზოს ჭიშკარში შემოსულმა თედორეს ომაზიანმა ხმამ შემოაწია სადგომში.

— მოვიდა, ენაცვალოს დედუკა, — თავისთვის ჩაილაპარაკეს დედის ტუჩებმა.

შემოალო კარი. სადგომში შემოსულმა მოიხალა თექვს ქელი და ფართე შებლზე წაბლისფერი თმა-ხეშუქი ჩამოეყარა.

— სად იყავი, თედორე?

— საჯიხეიეს ქვეშ.

— თუ?... — და გიორგამ ღიმილი უღვაშებში გააპარა.

— არა, მამა, საჯიხეიეზე ვიყავი. ხვალ კარგი დარი იწუნება სანადიროდ.

— მოეხსენი საფარსაგო საქმეს. დარდს ძალით ნუ მიჩენ, — და დედუკამ სახეუ ჯამი მიაწოდა.

— შენ რალა მოგივიდა, ქალო, ამოდენა ვაეკაცს სადარლო რა სჭირს. შენ ის გირჩეენია არყით გაუხუროს ძარღვი.

დედუკამ უსიტყუოდ მიაწოდა ქმარსაც და შვილსაც მკნავეის არყითსავსე კათხა, თითონაც გაივსო და შვილების კარგათ ყოფნა შესთხოვა იესო მაცხოვარს.

არყით ძვალ-შეშობარი თედორე მოკრძალებულ რძალს გაეხუმრა.

— რაო, ხვარამზე, რას მოგიწყენია? დეთისმშობლის მადლმა, თუ ორ დღეში არსად განჩნდა დათუნა, შენ თვითონ ჩაგიყვან კაეკაცს.

— განჩნდება, აბა რა მოუვა. კაეკაცს მე რა წამიყვანს.

მოათავეს ვახშამი. ხვარამზემ ალაგა სუფრა და ცეცხლაირას მთელემაჩრე ბერუნა დასაძინებლად აიყვანა.

— რა დროს აპირებ, თედორე, წასვლას?

— ციხკარს იქ მიინდა მიუსწრო.

— ჰო და ერთშირ ძილს მიინც მოასწრებ.

გიორგამ კერძის ქვაზე ჩიბუხი დაბლერტა, შემდეგ ახალუხის ჯიბიდან ამოიღო სითუთუნე ქისა, გასტენა ჩიბუხი, თედორემ პატარა ნაევერჩხალა ხელით მიაწოდა, გააბოლა და დასძინა:

— საჯიხვიეს მთამ წატყუება იცის. ჭკუთ იყავ. მონადირეს თვალის გარდა, გონებაც უნდა უჭრიდეს, თვარა ნადირობა პირველ დღესვე წაახდენს კაცს.

ყველამ მიიჩინა, თედორემ ჩამოხსნა ქორეთთან დაკიდებულ მთაზე, საითთაოდ შეამოწმა ვაზნები და „ფალასკაში“ ჩააწყო. იქვე, კერიის წინ, გაიშალა დათვის ტყავი, თავქვეშ ამოიდვა წალდი და ორღესული და მიწვა თვალის მოსატყუებლად.

პირველ მამლის ყვილზე ფრთხილად გამოაღო თედორემ კარი. გამოვიდა და თან ყურში გამოიყოლა. მთვარის ცივი შუქი ნათელსა პვენდა ჩაძინებულ გარემოს და გზას უადვილებდა ღამის მგზავრს. მარუნას სახლს რომ მიუახლოვდა, გულმა კედარ მოუთმინა და ნელი ღიღინი წამოიწყო. სარკმელში თითქოს სინათლეც კი შენიშნა, გულზე უფრო მეტად აუტოკდა და ღიღინი ხმა-დაბალ სიმღერაში გადავიდა.

როდესაც საჯიხვიეს კლდეს მიადწია, მეორედ იყვილეს მამლებმა. უკანასკნელ ფერდობზე რომ ავიდა, ყურში ყურები წალურსა და ერთ ადგილას გაქვავდა. მცირე დაყოვნების შემდეგ ისეღმა და თოვლიან ბორცვს დააცხრა. მოულოდნელ თავდასხმისაგან შემკრთალი კურდღელი ორ ნახტომზე შეჩერდა, თავშესაფარს დაუწყო ძებნა. თედორეს არ ეამა უთენიეთ აუტოკლის შეხედრა. პატარა ხანს ჩაფიქრდა, შემდეგ ბრაზმორეულმა გადმოიგდო მხრიდან თოფი და დაახალა.

— რომ გვეროდეს შენი ავი ფეხის, ხომ უკან უნდა დაებრუნდე? — ჩაილაპარაკა და კურდღელს გვერდი აუქცია. ყურში გააყვირა პატრონის უგულობამ, ბევრი უტრიალა სასიკვდილოდ დაეარდნოდ კურდღელს, შემდეგ პატრონს დაეწია, რომელიც საცალღებო ბილიც გაჰყვა და პატარა ოლეების დახმარებით კონცხის ძირამდე მივიდა.

ქვა-ფიქალთან მისულმა ქურქის სარტყელში ჩამაგრებული წალდი ხელში მოიმარჯვა და დაიწყო ყინულზე საფეხურის ამოჩხვება. პირველ საფეხურზე ფეხი მოიმარჯრა, იმრო ქარქაშიდან ორღესული და ყინულზე საბიჯგრად გამოიყენა. მარცხენა ხელით ორღესულზე დაყრდნობილი, მარჯვენით ჩეხავდა საფეხურებს და თანდათან მალღამ მიიწევედა. მოლია კედლად ამოლტილი ქვა. კონცხზე გასულმა მკერდი ვადიშალა, ღრმად ჩაისუნთქა და სიამის სხივით აელევეწული თვალი გარემოს მოავლო.

კლდის ძირში ჩაჩბუნვილი ყურში პატრონს თვალს არ აშორებდა და ღროღადრო შეჰყავდა. თედორემ მიუხედა ერთგულს და გასამხნეებლად ვადმოსძახა:

— ჰუ ყურშიუ, ყურში ჩემთან!

ყურშია ერთხელ კიდევ შეჰქეფა და ყინულის საფეხურები გაჭირვებით აიარა.

ცისკარმა კარგა ხანია თავის ბრწყინვალემა ღლის სინათლეს დაუთმო და ამომავალმა მზის სხივებმა ზეცა წითლად შეღებეს. ჩქარობს თედორე უნდა, რომ მზის მხურვალეებას ჩაასწროს, მაგრამ ჯიხვის კვალს ვერ შიგნო. დაუტია ყურშია. მის ხელში იგრიალა თოფმა. სროლის ხმა ეხოშ მთიდან-მთაში გადაიტანა და ბოლოს ისევ საჯიხვიეს დაუბრუნა. ხმაზე

დამფრთხალი ჯიხვი კლდეს მოადგა. ყელმოღერებულმა გოგონებმა გადმოხედნენ მიუპატივებელ სტუმარს. თედორეს თვალი მოსტაცა სანახარბამ. კარგა ხანს უყურა და სროლა ვერ შებედა, ენანებოდა, შერჩენდა მონადირის გულმა ბევრი აღარ დააყოვნა, ესროლა და ჯიხვი დაეკრძა კლდებზე. ერთი ჯიხვის მოკვლამ გაიტაცა თედორე. ერთს მეორე მოჰყვია, მეორეს მესამე და წახალისებულმა ვერ შენიშნა შუადღის ჟამი. როდესაც დაბრუნება დააპირა, საკმაოდ მოხურებულ მზეს გაელღვო აჩეხილი ყინულის საფეხურები და ქვა-ფიქალზე წყალი ეონავდა. თედორე შეკრთა, ასვლისას არ მოელოდა მზის ასეთ მცხუნვარებას. მთელი ღამით არ უნდოდა კონცხზე დარჩენა, მაგრამ ეხლა ღამის გათევაც ვერ იხსნიდა, რადგან გაღვობილი ყინული კლდიდან ძირს დაექანა. ტყუილად აწყდებოდა კონცხის ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს. ხსნა არსად სჩანდა. გადავიდა სამხრობა, ჩრდილოდან—შავი ღრუბელი წამოიკრთა და ცის გუმბათი დაჰფარა. სულ მალე თქვენიც დაიწყეს და უამისოდაც კლდებზე ჩაღვობილი ყინული მთლად ჩარეცხა.



ტყუილად ელოდა დედის გული თედორეს. ტყუილად ელოდა მარტონა სასურველს. კლდეს შერჩენილი, დაბლა ჩამოსვლას ვერ ახერხებდა. ღრუბელმა და წვიმამ შეშინებული დედის გული უფრო ააფორიაქა და კარზე გამოსული თვალს არ ამორებდა ჰიშკარს.

ჩამოწვა ბინდი. ელოდნენ ვახშობისას, ელოდნენ ნავახშმევს. იყიელეს მამლებმა ერთხელ, მეორედ და თედორე კი არსად სჩანდა. მთელი ღამე კერძას არ მოშორებია გარგა, დედუკა და ხვარამზე. დედის გული შიშის ზარს აეტანა და ქმარს ჯიუტობას აყვედრიდა.

— რომ ვერ მოგტეხე. არ მინდოდა გაშვება და აი ნახავ, თუ ის ბიჭი გასაჭირში არ ჩავარდეს.

გიორგა გაბმით ეწეოდა ჩიბუხს და ხმაამოუღებელივ მისჩერებოდა მოგიზგიზე ნაკოდს. ბოლოს ვედარ გაუძლო ნადევლს და წამოიღვა.

— ჰაუ, დაგვთქვია. წავალ, შევეგებები, — და გიორგა კარისკენ გაემართა.

— ჯამათას გაუარე. მარტო ნუ წახვალ. იქნებ რა უჭირს, — მიიძახა კარზე გასულს დედამ.



დაძახილი არ დასჭირდა. მოახლოვებული ფეხის ხმაზედვე გაიღო კარი და მარტონა შეეგება. მარტონა თედორეს მოელოდა და გიორგას დანახვაზე შეკრთა, შიშისაგან მუხლი მოეკვეთა. გიორგას ხელი რომ არ შეგებებოდა, ალბათ იქვე დაეცოდა.

— ბიძია, ასეთ დროს ტყუილად არ მოხვიდოდი. რა გასაჭირი დავგადა?

— გასაჭირი არაფერი, ჩემო რძილო, — დაძლია თავს და კვლავ გაეხუმრა გიორგა. — ბიჭი არ დაბრუნებულა, მეშინია, ხიფათს არ წააწყდეს, მინდა შევეგებო. ჯამათას გაეყოლებ.

— შინ მობრძანდი, ბიბია. ახლავე გავალეძებ,— და მარუნამ შესასვლელად გზა უტია.— ბიბია, ყურში თუ დაბრუნდა?— კვლავ ჩაეკითხა მარუნა.

— არც ყურში მოსულა, ცოტა ეგ შიშმედებს. თუ რამე ^{გამაჯობია,} რაიქვს ხომ არ შეემთხვეოდა.

— თოფის გრიალი მთელი დღე ისმოდა კონცხიდან.

— კონცხიდან?! — და ეხლა-გი შეშინებულმა გიორგამ წვერზე მოისვა ხელი.

მინარე ჯამათას ჩასწვდა მათი საუბარი. წამოდგა, ქურჭი ჩაიცვა და გამგზავრების წინ დას არაყი მოსთხოვა.

საჯიხვიეს ქვეშ რომ მივიდნენ, უკვე კარგა გათენებული იყო. თედორესთვის რომ ენიშნებინა თავის აქ ყოფნა, ჯამათამ თოფი დასცალა. თოფის ხმამ გამოაღვიძა ქვის ძირში ყურმასთან ჩაძინებული თედორე და თოფის სრალითვე გასცა პასუხი.

აქამდე მოღუშულ გიორგას სიზარულის სიწითლემ გადაუარა სახეზე. შვილის ნახვის იმედი მოეცა. საპასუხოდ ეხლა თვითონ დასცალა თოფი და საჯიხვიეს კონცხს შეხედა და რა იხილა კლდის პირზე ამართული შვილი, შიშმა მთელ სხეულში დაუარა. საბრალო მოხუცი მოთიბულივით დაეცა ძირს. მიხვდა შვილის გასაჭირს.



ელვასავეთ შეიკრა სოფელში თედორეს ამბავი და დიდი და მატარა ფეხზე დააყენა. ხალხი არ შორდებოდა საჯიხვიეს კალთებს, რა ხერხს არ ხმარობდა, რომ დაეხსნათ ვაჟკაცი, მაგრამ დღე დღეს მისდევდა და რაც უფრო ხანი გადიოდა, გაზატხული უფრო შედიოდა ძალაში, კონცხი უფრო მიუწვდომელი ხდებოდა.

გაველურდა თედორე, შიმშილმა სძლია. ჯიხვის უმ ხორცს დაეტანა, მაგრამ ჩქარა ესეც სანატრელი გაუხდა, რადგან მეტი წილი დახოცილი ჯიხვებისა დაბლა ხრამში ჩაიჩვენენ.

აჩრდილად ქვეული საბრალო მშობლები თეთრად ათენებდნენ ღამეს. არ შორდებოდნენ კონცხის ძირს, მაგრამ საყვარელ შვილს ვერც საქმელს აწვდიდნენ და ვერც დასახსნელ გზას უკვლევდნენ.

შიშშილმა დასცა ვაჟკაცი. აღარა პჭონდა ძალა ფეხზე დგომის, აღარც მშობლების და ხალხის ესმოდა რამე. ქვაზე ჩამომჯდარი, დარდს მიცემული, უაზროდ უყურებდა ყურმას, რომელიც პატრონს წყლიან თვალს არ აშორებდა. უეცრად უცნაური ცეცხლით აენთო თვალები თედორეს, გვერდზე მიგდებული ორღესული ხელში მოიმარჯვა და ყურმას გამეტებით მოუქნია. ერთგულმა პირუტყვმა ზოილიც ვერ მოასწრო ისე სწრაფად მოექცა თავი ტანს. თედორემ ისეთივე შეშლილი სახით გამოთატრა ყურში, ჯერ კიდევ თბილ სისხლში აურია ხელი, დასწვდა ხორცს, ეგონა შესძლებდა შექმას, მაგრამ პირთან მისატანი ხელი ჰაერშივე გაუქვავდა. დიდხანს უყურა საყვარელ პირუტყვს და დაწვები ცრემლმა დაუღობო. ეს პირველი ცრემლი იყო ვაჟკაცის თვალთავან გადმონადენი. კრიკა შეეკრა, პირთან მისატანი ხორცი კლდიდან სტყორცნა და რომ ამ

საცოდობისათვის მზერა აეცდინა, კლდეს მონაგლეჯი ქვა-ფიქალი ყურ-
შას ზედ დაათარა.

ყველამ იცოდა, რომ საყვებს მოკლებულ თედორეს ^{ეჩიქნულა} შიშველით სიძველი-
ლი უახლოვდებოდა და სასოწარკვეთილმა ჯამათამ შესძახა:

ყურშა დაკვალი, დაკვალი
იქნებ შეგერგოს რამეთა.

თედორემ დაწვიდან ცრემლი ჩამოიწმინდა და გულამომჯდარმა ჩა-
მოსძახა:

— ყურშაო, ჩემი ყურშაო,
შავი და შავი დღისაო.
დავკალი, ჩემო ჯამათა,
გული არ იღებს ქამათა.

დაღონდა ხალხი. გრძობდნენ, რომ იღუბებოდა ვაჟკაცი, მაგრამ სა-
შველს ვერსით ხედავდნენ. და აი, ეხლა-ლა მოაგონდა ჯამათას თავისი
და მარუნა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში სახლში ჩაქეტილი სინწრისა-
გან ზოგს იგლეჯდა და ცრემლით სეტყუავდა ღოყებს.

ჯამათა ერთბაშად მოსწყდა ადგილს, თავქვე დაეშვა. იქ მყოფნი ყვე-
ლა გააევირვა და ზოგმა კიდეც მიძახა: — მათ, ჯამათა, სად გარბინარ,
ჯამათა, სადა?

მაგრამ ჯამათას არც ესმოდა შათი ძახილი. სული წინ უსწრებდა ფეხ-
მარს.

ვიდრე ხალხი, ჯამათას უეცარი წასვლით აფორიაქებული, დაშოშმინდე-
ბოდა, ხვარამზემ თვალი მოაკრა ფერღობზე ამომავალ დაძმას. ვეღარ მო-
უთმო გულმა და მახლს ასძახა.

— ჩემო მახლო, კარგი და მშვენიერი მოდის. იქნება მისმა დანახვამ
გულს დარდი გადაგიჭარვოს.

თედორემაც შეასწრო თვალი თეთრ მანდილს, რომელიც კლდის ძირის-
კენ მოისწრაფოდა. უნდოდა დაეძახა მისთვის, ხმით მაინც შეგებებოდა
საყვარელ ადამიანს, რომ მარუნამ უკვე მოაღწია კონცხის ძირს, მოიხს-
ნა მანდილი, გამოაჩინა სევდისაგან შესული ფერმკრთალი სახე და
ცრემლნაგებარი ხმით შესძახა:

— თედორე, ჩემო თედორე,
როგორც ასულხარ კლდეთაო,
ისე ჩამოდი ქვეთაო.

თედორეს აემღვრა თვალი, ვეღარ გაუძლო ვარაშ და გაშმაგებულმა
სტყორცნა კლდიდან წალდი და ორღესული. შემდეგ მოიხსნა „ფალასკა“
და თოფთან ერთად ისიც ნაპრალს ჩააბარა.

შიშით შებყრობილი ხალხი ზმის ამოღებას ვერ ახერხებდა და სუნთ-
ქვა-შეგუბული კონცხს არ აშორებდა თვალს.

თედორემ მოიხადა მარუნას ნახელავი თქვის ქედო, ჩიოკრა გულში, შემდეგ ძალუმად ჩამტეხა ხელში, ერთი შესძახა: «ეაჰმე, მარუნა!» და კლდიდან გადაეშვა.

ხალხს ერთი შეკვივლება აღმოხდა გულიდან და წინ წახილული ასევე გაქევედნენ.

ვერაინ ვერ ბედავდა გლდესი ჩაჩეხილთან ახლოს მისვლას. არც თუ გიორგა და დედუჯა მიუშვეს. მხოლოდ მარუნა გაუსხლტა ძმას ხელიდან, მონიგლიჯა მანდილი და ნაპრალს მიაწყდა, მაგრამ ახლო ვერც ის მივიდა. გაქევედა ერთ ადგილზე, საშინელებამ ცრემლი გაუყინა თვალში. დიდხანს უყურა, შეკვივლა: თედორე, ეს შენ არა ხარ, არა! და ღკანვე დაიხია. შემდეგ გონებაარეული თვალი კონცხს მიაპყრო — არც იქ იყო თედორე. დაიგმინა და ის იყო ნაპრალში აპირებდა გადაჩეხვას, რომ მოწაში ჩარჭობალ თედორეს ორღესულს მოჰკრა თვალი, წაეტანა და პირბასრზე მკერდი გაიბო. სიკვდილს შებრძოლებულმა, გახედა კონცხს, ცივი ღიმი გადაეკრა ბაგეზე: «ჰაუ, თედორე, აკი დამპირდი ჯიხვს ჩამოგვერი შენსავეით...» და სიტყვის დასრულება არ აცალა გულის ყაფაზიდან მომსკდარმა სისხლმა.

რომეო და ჯულიეტა

სუთმომკვებელიანი ტრაგედია

მომკვდენი პირნი

ესკალუბი — ვერონას პრინცი.

პარისი — ახალგაზრდა კეთილშობილი, პრინცის ნათესავი.

მონტეგი }
კაპულეტო } ორი ერთმანეთის მოჭიშპე ოჯახის თავი.

სხვა კაპულეტები.

როზეო — მონტეგის ვაჟი.

მერკუციო — პრინცის ნათესავი და როზეოს მეგობარი.

ბენვოლიო — მონტეგის ძმისწული და როზეოს მეგობარი.

ტიზალტი — ჯან კაპულეტის ძმისწული.

ლორენცო }
იოანე } ფრანკისკანელი ბერები.

ბალთაზარი — რომეოს მსახური.

სამსონი }
გრეგორიო } კაპულეტების მსახურნი.

პიეტრო — ჯულიეტას გამდელის მსახური.

აბრამი — მონტეგის მსახური.

ეკიმბაზი.

სამი მუხუციე.

ფარეში პარისისა.

ოფიცერი.

ფარეში.

ქალბატონი მონტეგი — მონტეგის მეუღლე.

ქალბატონი კაპულეტო — კაპულეტის მეუღლე.

ჯულიეტა — კაპულეტის ქალიშვილი.

გამდელი ჯულიეტასი.

ვერონას მოკალაქენი, ორივე ოჯახის ნათესავები, დარაჯები, მსახურები, გუნდი და ნიღბოსნები.

მოქმედება სწარმოებს ვერონაში. ერთი სურათი მიხუთე მოქმედებიდან — მანტუაში.

პროლოგი

(შემოდის გუნდი).



გუნდი — აი ამბავი, თუ როგორი ბუდი სწევია ტურფა ვერონას ორ ძველ თჯებს, ცნობილებს დიდად, მამათა შუღლი ახალ მტრობად გადაქცევიათ და წმინდა სისხლით შეუბღალავთ ხელება წმინდა. შეებედ ვარსკვლავზე სავალალოდ ამ ორმა გეარმა ორი, ნათელი სიყვარულის ვარსკვლავი შობა, შემდეგ საბრალო მოჯნურების ბუდის ავდარმა, მათმა სიკვდილმა საბოლოოდ შესწყვიტა მტრობა. გულის მკვლელია სევდიანი ამბავი მათი! თუ ვით ნახავენ ძველი მტრობის მოსასპობ წამალს, თუ ვით მოკვდება ორ პავში ძველ მტრობისათვის, — ამ ორ საათში დაინახავთ ყველაფერ ამას. და თუ რაიმეს ვერ მიხვდარბართ ჩვენს წინათქმაში, თვალი ადევნეთ მოქმედებას, მიხედებითაა შინ.

(ვალის გუნდი).

მოქმედება პირველი

სურათი I.

სახალხო მოედანი ვერონაში. შემოდინ ხმლებითა და ფარებით შეიარაღებული

სამსონი და გრეგორიო.

სამსონი — გრეგორიო, იცი, რას გეტყვი? ნახშირით არავის გავამურა-
ნოთ თავი.

გრეგორიო — რაღა თქმა უნდა, თორემ მენახშირეებს დაგვიძახებენ.

სამსონი — შე ის უნდა შეთქვა, როგორც კი ვინმე გვაწყვინებს, მაშინვე
ხმალი ვიძროთ.

გრეგორიო — სანამ ცოცხალ ხარ, შიშით საკინძეში არ ჩაძვრე.

სამსონი — როგორც კი საჩხუბრად აღმშრავენ, მყის ვეკვეთებო.

გრეგორიო — მაგრამ ისე ჩქარა აროდეს აღძრები, რომ ეკვეთო.

სამსონი — მონტეგის ძაღლის დანახვაც კი საჩხუბრად აღმშრავს.

გრეგორიო — აღძვრა დაძვრაა. მამაკობა კი ის არის, ერთ ადგილას გა-
ჩერდე. ასე რომ თუ აღიძვრები, დაიძვრები და გაიქცევი.

სამსონი — მათი ძაღლის დანახვაზე შართლაც გავჩერდები. მონტეგის
შსახურებისა და მოახლეების წინაშე კედელივით დავდგები.

გრეგორიო — ეს კა იპას ამტკიცებს, რომ შენ ჯაბანი მონა ხარ; მხო-
ლოდ სუსტები ეფარებიან კედელს.

- სამსონი — შენ მართალს ამბობ. ჰო-და რაკი ქალები სუსტი ქრატულები არიან. მარად კედელზე აჭექყენ. მეც მონტეგის მსახურთ კედლიდან ვადმოეყრი, ხოლო მოახლეებს კედელზე შოვაჭექყ.
- გრეგორიო — მაგრამ ჩხუბი ჩვენს ბატონებს აქვთ, ჩვენ კი მათი მსახურები ვართ მხოლოდ.
- სამსონი — ეგ სულერთია. მე უნდა ვაჩვენო მაგათ, რა მტარვალთა ვარ. კაცებთან რომ ჩხუბი მომივა, ვოგოებსაც არ შევიბრალე: სულ თავებს წაეცილი.
- გრეგორიო — როგორ, ვოგოებს წააცილი თავებს?
- სამსონი — მაშა. ან ქალწულობის კოკორს ავაცილი. როგორც გინდა, ისე გაიგე.
- გრეგორიო — მაგას ის გააგებს, ვინც გამოსცდის.
- სამსონი — ისინი გაიგებენ, ვიდრე მაგრად ვარ. ეს კი ყველამ იცის, რა ნაქერა ხორციანცა ვარ.
- გრეგორიო — კარგია თვეში არა ხარ, თორემ სულ წყალწადებულ იქნებოდი. აჰა, მონტეგის ორი მსახურიც. ხმალი იმისშელე!
- (შეზოდან აბრამი და ბალთაზარი).
- სამსონი — ჩემი ხმალი უკვე მზადაა. ჩხუბი დაიწყე, მე შენს ზურგში ვარ.
- გრეგორიო — როგორ. ზურგს შემაჭტევ და გაიჭტევი?
- სამსონი — ჩემსას ნუ შიშობ.
- გრეგორიო — აჰ, რა, მე შენთვის ვშიშობ.
- სამსონი — ისე მოვიტყეთ, რომ კანონი ჩვენს მხარეზე იყვის: ვეცადოთ იმათ დაგვიწყონ ჩხუბი.
- გრეგორიო — როცა ჩავუვლით, მე შევეუბლევრ, მათ კი ისე მიიღონ, როგორც ენებოთ.
- სამსონი — არა, როგორც ვაბედევნ. მე ცერზე ვიკბენ მათ დასანახად და თუ აიტანენ, სირცხვილიც მაგათ.
- აბრამი — ეგ ჩვენს დასანახად იკბინეთ ცერზე, ბატონო?
- სამსონი — მე ჩემს ცერზე ვიკბინე, ბატონო.
- აბრამი — ჩვენს დასანახად იკბინეთ ცერზე, ბატონო?
- სამსონი — (ჩუმად გრეგორიოს) კანონი ჩვენს მხარეზე იქნება, თუ ჰოს ვიტყვი?
- გრეგორიო — (ჩუმადვე) არა.
- სამსონი — არა, თქვენს დასანახად არ მიკბენია, მაგრამ მე ჩემს ცერზე ვიკბინე, ბატონო.
- გრეგორიო — იქნემ ჩხუბი გსურთ, ბატონო?
- აბრამი — ჩხუბი? არა, ბატონო.
- სამსონი — იქნება გსურდეთ? ჩვენ მზად ვახლავართ. იცოდეთ, ჩვენ ისეთივე კარგი ბატონის მსახურები ვართ, როგორც თქვენ.
- აბრამი — მაგრამ არა უკეთესის.
- სამსონი — აჯრე იყავს. ბატონო.
- გრეგორიო — (ჩუმად სამსონს) — სტევი, უკეთესის! აგერ ჩვენი ბატონის მოკეთეც მოდის.
- სამსონი — დიხაც უკეთესის.
- აბრამი — მიჰპარავ!

სამსონი — მაშ გამოდი, თუ ვაჟაკი ხარ! ჰე, გრეგორიო, გაიხსენებ შენა მგარი დარტყმა.

(ჩუბს დაიწყებენ. შემოდის ბენვოლიო.)

ბენვოლიო — აბა, გაშველდი! ჰე, ბრიყვებო! (ხმლებს გააგვრებინებს) ხმლები ჩააგეთ! არ გესმით, რასა სჩადიხართ.

(შემოდის ტიბალტი.)

ტიბალტი — როგორ, ხმლით იბრძვი აშ სულმდაბალ მსახურთა შორის? თვალი უსწორე, ბენვოლიო, აღსასრულს შენსას.

ბენვოლიო — მე იმას ვცდილობ, დავამშვიდო. ხმალი ჩააგეთ ან მაგ მახვილით მომეხმარე, რომ გავაშველო.

ტიბალტი — როგორ, ჩუბობ და შინც ყბედობ დამშვიდებისთვის? მე მძულს ეგ სიტყვა, ისევე მძულს, ვით ჯოჯოხეთი, როგორც მონტეგთა მთელი გვარი და ვით შენ მძულხარ. თავი დაიკავ, ქალაქნაე!

(ჩუბს დაიწყებენ.)

(შემოდის ჩამდენიმე კაცი ორივე გვარიდან. ისინი ჩუბში ჩაერვიან. შემდეგ შემობრბის სამი თუ ოთხი მოქალაქე კატებით.)

მოქალაქენი — აბა კეტები... ნაჯახები... შუბები აქეთ! დასცხეთ კაპულეტს! დაანარცხეთ! მონტეგებს დასცხეთ!

(შემოდან მოხუცი კაპულეტი მანტიით და ქნი კაპულეტი)

კაპულეტი — რა ხმაურია? ჩემი გრძელი ხმალი მომეცით!

ქნი კაპულეტი — ხმალი კი არა, ყაფარჯენი. ხმალი რად გინდა?

კაპულეტი — ავი გითხარით, ჩემი ხმალი. მოხუცი მონტეგ მოდის აქეთ და მემუქრება მე თავის ხმლითა.

(შემოდან მოხუცი მონტეგი და ქნი მონტეგი.)

მონტეგი — ო, არამზადა კაპულეტო. ნუ, ნუ მაკავებ. ხელი გამიშვი!

ქნი მონტეგი — შენ მტრისკენ ბიჯსაც არ წარღვამ.

(შემოდის პრინცი ესკალუსი.)

პრინცი ესკალუსი — მფოთის ამტენო, მყუდროების მოძულე მტერო, მეზობლის სისხლით შემბლალველიო საკუთარ ხმლისა ნუთუ არ გესმით? პოი, კაცო, მზეცთა მოდგმისა, ვინცა დამლუპველ მტრობისა ცეცხლს აქრობთ თქვენივე სხეულებიდან მოჩქეფარე წითელ შაღრევით.

წამების შიშით გემუქრებით, ეს იარაღი, სისხლიან ხელით რომ გიპყრიათ, შორს გადასტყორცნით და მოუსმინეთ ვანრისხებულ პრინცის განაჩენს.

უკვე მესამედ ჩუბმა, მონტეგ და კაპულეტო, თქვენი ბრიყველი/მითქმა-მოთქმით გამოწვეულმა, ჩვენი ქუჩების მყუდროება არივ-დარია.

ვერონას მცხოვრებთ ღირსეული სამკაულები შეაცვლევიანა თანგმოდებულ ძველი შუბებით, რომ შემპუსერელი თქვენი მტრობა მით შემეპუსრათ. აწ თუ როდესმე გაგიბედავთ ქუჩაში ჩუბები,

სიცოცხლის ფასად დაგიჟდებით კვლავ დამშვიდება.

ახლა ყველანი, ვინც აქა ხართ, დაიშალენით.

თან გამომყვები შენ, კაპულეტ, შენ კი, მონტეგო,
გამოცხადდები სამსჯავროში დღეს შუადღისას
და იქ მოისმენ ჩვენს განაჩენს. კიდევ გიცხადებთ,
დაიშალენით, თორემ ყველას სიკვდილით დაგსჯით!

(გადის ყველა, გარდა მონტეგოსა, ჭ-ნ მონტეგოსა და ბენეოლიოსა).

მონტეგო — ნეტა ვიცოდე, ძველი დაეა ვინ განაახლა?

მითხარ, ძმისწულო, აქ იყავი, როცა დაიწყო?

ბენეოლიო — მე რომ მოვედი, თქვენის მტრისა და თქვენსა მსახურთ

შევე დაეწყით ერთმანეთთან დაეა და ჩხუბი.

გასაშველებლად მივაშურე, მაგრამ უტყარად

ანჩხლი ტიბალტი შემოვარდა შიშველის ხმლითა,

რომელსაც რვა თავის ირგვლივ ატრიალებდა

და ჰკვეთდა ბაერს, — ამით სურდა ჩემი გაწვევა, —

მაგრამ ქარი კი ოვის სისინით მას დასცილოდა.

ჩვენი ჩხუბის დროს ხალხმაც იწყო თანდათან დენა;

დაიწყეს იმათ ურთიერთთან გუნდ-გუნდად ბრძოლა,

ვიღრემდე პრინცი ორივე გუნდს განაგუნდავდა.

ჭ-ნ მონტეგო — ნეტავ რომეო სად აქნება? დღეს არ გინახავს?

მიხარია, რომ ამ ჩხუბის დროს არ იყო აქა.

ბენეოლიო — ერთი საათით მასზე აღრე, ვიდრე წმინდა მზე

აღმოსავლეთის ოქროს სარკმელს გადნობდავდა,

მტანჯავმა ფიქრმა გამოიყვანა სახეტიალოდ.

მაშინ ვიხილე, ქალბატონო, მე თქვენი ვაჟი

ლელეების ქალას, ქალაქისა დასავლეთ მხარეს,

დილაადრიან გამოსული დაქეირნობდა.

პირდაპირ მისკენ გავეშარეთ. იმან კი თავი

ამარიდა და მიიშალა დაბურულ ტყეში.

საკუთარ განცდით რაკი ვიგრძენ იგი მოეცეა

ისეთვარ ვნებებს, რომლის დროსაც გესტოს მარტო ყოფნა,

მე ჩემს გუნებას გავეყევი და სიამოვნებით

მას მოვერიდე, ვინც ცდილობდა ჩემს არიდებას.

მონტეგო — ბევრჯერ უნახავთ აღრე დილით ქალაში იგი.

თურმე დილის ნაშ უმატებდა საკუთარ ცრემლებს

და ღრუბელთა ჯარს ამრავლებდა ღრმა ამოხვრიდ.

მაგრამ როდესაც ცხოველი მზე აღმოსავლეთის

შორეული მხრით დაიდგრება და როს აგრორას

სარეცელიდან ის გაჰფანტავს ჩრდილის საბურველთ,

ჩემი გულშიმე ვაჟიშვილი სინათლეს ელტვის,

სახლში მოვა და იკეტება თავის ოთახში,

დახურავს ფანჯრებს, ნათელ დღის შუქს ვარედ განდენის

და ასეთვარად ის შეიქმნის თავისთვის ღამეს.

ასეთი ქცევა იმას შეებედ ბოლოს უქადის,

კეთილი რჩევით თუ როგორმე არ ავაშორეთ.



ბენეოლიო — მაგრამ მიზეზი იცით ამის, ძვირფასო ბიძა?

მონტეგი — არა, არ ვიცი. ვერც ვაივებ იმისგან რამე.

ბენეოლიო — შეეცადეთ კი რაიმე გზით გამოგეტყუათ?

მონტეგი — მე თითონ ვცადე, მეგობრებოც ბევრს შეეცადე, მაგრამ თვითვეა თავის გულის შესაძღვლად, და თუმც არ ვიცი, ეს რამდენად მართებულია, ისე არ უყვარს გამელაგნება თვისის ფიქრების, ისეთნაირად გულდასშული და მდუმარა, როგორც კოკორი, რომლის გულსაც ღრღინს ავი მატლი, ვიდრე ტყვილ ფურცლებს ვაფტრქენიდეს ჰაერში რა და ვიდრე ღდას მზეს ვადუშლიდეს სიტურფეს თვისას. ვაგვაგებინა ამ ნაღველის მიზეზი ჩვენა, მაშინ წამალსაც მოვნახავდით მის მოსარჩენად.

(შემოდის როშეო).

ბენეოლიო — აგერა ისიც. გამეცალეთ. მე მიზეზს ვკითხვ მას სევედისას და თუ არ მითხრა, ნაწყენს დამტოვებს.

მონტეგი — ნეტავი ბედმა ვფიქრობოთ და სინამდვილე ვაგვაგოს მისგან. ჩვენ წავიდეთ, ჩემო მეუღლე.

(ვადიან მონტეგი და ქ-ნი მონტეგი).

ბენეოლიო — მშვიდობის დილა, ბიძაშვილო.

როშეო — ნუთუ ამდენად

ნორჩია ჯერ დღე?

ბენეოლიო — ცხრა დარეკა მხოლოდ ეხლახან.

როშეო — ეჰ, ნაღველიანი საათები როგორ გრძელდება!

ის მამაჩემი ხომ არ იყო, შენ რომ ვაგშორდა?

ბენეოლიო — დიახ. საათებს რა ნაღველი ვიგრძელებს ასე?

როშეო — მის არ ქონება, რის ქონებაც ვახდიდა მოკლეს.

ბენეოლიო — მაშ მრჯნული ხარ?

როშეო — მოკლებული.

ბენეოლიო — როგორ, სიყვარულს?

როშეო — მის თანაგრძნობას მოკლებული, ვინაც მე მიყვარს.

ბენეოლიო — ეჰ, სიყვარული, ასე ტყვილი რომ სჩანს შორიდან, მტარავალი არის სინამდვილით და მწამებელი.

როშეო — ეჰ, სიყვარული, თუმცა თვალეზაზეულია,

უთვალეზიდაც ვაიგნებს გზას თავის მიზნისკენ.

სად ვისადილოთ? აჰ, ვაიმე: რა ჩხუბი იყო?

თუმცა ნუ მეტყვი, ყველაფერი გადმომცეს უკვე.

ნამ ამდენს შფოთს ჰქმნის მძულვარება, სიყვარული — მეტს,

ო, შფოთიანი სიყვარული ო, ზიზღი ტრფობის!

არაბობა წარმოქმნილი არაბისაგან.

მძიმე სილაღე და ზვიადი ამაოება,

ზნელი ქაოსი ლამაზ სახის ქმნილებათაგან,

ნათელი კვამლი, ცივი ცეცხლი, ტყვიის ბუმბული,

ავადმყოფური სიჯანაღე, ძილი ფზიზელი,



რომელიც სულაც არ ჰგავს ძილსა, — ასეთ სიყვარულს,
გრძნობა მოკლებულს ვგრძნობ მე ეხლა. არ გეცინება?

ბენვოლიო — არა, მე უფრო მეტირება.

რომეო — კეთილთ სულთ,
მერე და რისთვის?

ბენვოლიო — იმად, რომ შენს სულს ტანჯულს ვხედავ.

რომეო — ასეთი არის შეცოდება სიყვარულისა.

თვით საკლთარი მწუხარებაც მე უღეს მიმძიმებს
შენ კი უმატებ შენს წუხილს და იაგ თანაგრძნობით
უფრო აღიდებ ისედაც დიდს ჩემს მწუხარებას.
სიყვარული ხომ კვამლი არის, ოხვრათა ორთქლი.

თუ გზა მიეცა ცეცხლს დანათებს მიჯნურთ თვალებში,
თუ დატანჯა, ცრემლების ზღვად იქცევა მაშინ.
მეტი რა კიდევ? გონიერა სიგიჟე არის,
ნაღველის ელდა, სიტყბოება მაცოცხლებელი.
მშვიდობით იყავ, ბიძაშვილო!

ბენვოლიო — მეც წამოგყვები

და თუ დამტოვებ მაწყენინებ ამითი დიდად.

რომეო — მე ჩემი თავი დამიკარგავს, განა აქა ვარ!

რომეო ნუკი გგონიერა შენ — ის საღდაც არის.

ბენვოლიო — კარგი, ნუ ხუმრობ და მითხარი, ვინ გიყვარს ასე?

რომეო — მაშ გითხრა კენესით?

ბენვოლიო — კენესით? არა, ნუ ხუმრობ, მითხარ.

რომეო — მაშ, სთხოვე სნულს, ნუ იხუმრებს, ანდერძი გითხრას.

ეს უადგილო სიტყვა უნდა ავადმყოფს განა?!

არ გეხუმრები, ბიძაშვილო, მე ქალი მიყვარს.

ბენვოლიო — ნიშანში სწორად მომიტყუამს, მეც მასე ვფიქრობდი.

რომეო — კარგო მსროლველო, მშვეენებაა იგი, ვინც მიყვარს.

ბენვოლიო — მით უფრო კარგი, კარგსა ნიშანს კარგად მოხედება.

რომეო — მაგრამ მაგ ნიშანს ახლა კარგად ველარ მოარტყი.

არ დაიჭრება კუპიდონის ისარით იგი,

რადგანაც არის აღჭურვილი ღიანას სიბრძნით

და იარაღად აქვს ძლიერი უმანკოება,

ტრფობის სუსტ ბალღურ ისრისაგან უვნებელია.

არ დაგანანებს, დააშტერდე ურცხვი თვალებით

სასიყვარულო ამო სიტყვებს ყურად არ იღებს

და ვერც თვით წმინდანთ მაცოთნებელ ოქროთ შეტყდენ.

ეკ, მდიდარია თუმცა თავის მშვენიერებით,

მაგრამ ღარიბიც, რადგან როცა მოკვდება იგი,

იმის მშვეენებას ეს სიმდიდრეც გააყვება თანა.

ბენვოლიო — ნუთუ შეპტყია სოკვილიამდე უმანკოდ დარჩის?

რომეო — ჰო, ამ სიძუნწით კი ბევრი რამ განიცდებდა.

რადგან შენ იცი, სილამაზის დამშვევით ძალზე

შთამოწავლობა მოაკლდება კვლავ სილამაზეს.

ის მეტისმეტად ღამაზია, ჭკვიანიც მეტად.

რომ ჩემის ჩაგვრით თვით სამოთხე მიიღოს ბედად.



- იმან შეჰფიცა არ უყვარდეს და მე შეკდარს თინა
 მარგუნა წილად, რომ ცოცხალმა ვითხრათ ეს თქვენა.
 ბენეოლიო — მე დამოჯერე, დაიფიქვე იმაზე ფიქრი.
 რომეო — ესეც მასწავლე, ფიქრი როგორ გადავიფიქრო.
 ბენეოლიო — თავისუფლება მიეც თველებს: სხვა ლამაზ ქალებს
 შეხედე ესლა.
 რომეო — ეგ კი უფრო მომაგონებს მე
 მის სილამაზეს. აღმატებულს სიტურფეს მისას,
 როგორც ნიღბები, ლამაზ ქალთ რომ შუბლს უკოცნიან
 და თვითონ თაღნი იმ სიტურფეს მოგვაგონებენ,
 რასაც თვით ფარვენ. აბა, მითხარ, ვით დაიფიქვენს
 ბრმა თავის ძვირფას დაკარგულ განძს, თავის თვალის ჩინს?
 მაჩვენე თუნდა ქალი ეშხით აღმატებული,
 მისი მშვენიება მხოლოდ წიგნად გამომადგება,
 სად წაევიციტხავ, ჩემი ტრფობა ვით აღემატა,
 იმ აღმატებულ სილამაზეს. მშვიდობით იყავ!
 ვერ შემასწავლი, თუ ვით შევძლებ მე დაიფიქებას.
 ბენეოლიო — ან შეგასწავლი, ან მოვეცდები შენი მოვალე.
 (გაღიან).

ხურათი II.

ქუჩა იმივე ქალაქში.

შემოდინ კაპულეტის, პარისის და კაპულეტის მსახურნი.

- კაპულეტე — ჩემებრ დასაჯეს მონტეგაცა. შე ასე ვფიქრობ,
 არ არის ძნელი ამ ხნის ხალხმა მშვიდად ვიცხოვროთ.
 პარისი — სამწუხაროა, რომ ასეთსა დარბაისელთა,
 ვით ორივე ხართ მიჩნეული, სულ ჩხუბი გქონლათ.
 მაგრამ რას მეტყვით ჩემს თხოვნისას, ბატონო ჩემო?
 კაპულეტე — გავიმეორებ მხოლოდ იმას, რაც წინათ გითხარ.
 ჯერ ჩემი ბავშვი ქვეყნის აგვარეს არ იცნობს კარგად,
 არ მოსწრებია იგი ჯერე წლის თოთხმეტჯერ ცვლას.
 ორი ზაფხულიც გაატაროს თავის ნებაზე
 და მხოლოდ შემდეგ ვიფიქროთ მის ქორწინებაზე.
 პარისი — მაგაზე ნორჩიც ბედნიერი დედაა ბევრი.
 კაპულეტე — აღრე გათხოვილთ სწორედ აღრე ელვებათ მოლო.
 ყველა ნუგეში ამის გარდა მიწამ წამართვა,
 ეს ერთი დამრჩა ქვეყანაზე გულის იმედი.
 თქვენ ეარშიყეთ პარის, ქალის გული მოიგეთ,
 ჩემი სურვილი ნაწილია მისი თანხმობის.
 თუ დაიყოლებთ თქვენს ნებაზე, არჩევანს მისას
 დავეთანხმები, დაეუბოწმებ მხურვალე ლოცვით.
 მე მამაბაბურ წვეულებას ვმართავ ამალამ,

მოწყვეული მყავს საყვარელი სტუმარი. ბევრი, თქვენც იმათ შორის ერთით მეტი და სასურველი, ყველაზე მეტად — სტუმართა რიცხვს ერთს შემატებდნენ. ჩემს ღარბ სახლში დაინახეთ ლბინში ამაღამ ქვეყნიურ ვარსკვლავთ, ცის მნათობებს, რომ აბნელებენ, და ისეთივე ნეტარებას იგრძნობთ ჩემს სახლში, რასაც ჰაბუკის მოელვარე გული განიცდის მორთულ-მოკაზმულ გაზაფხულის მოახლოებით, რომელიც ზამთარს, აკოქლებულს ფეხდაფეხ მოსდევს. თქვენ მოუსმინეთ იმათ ყველას, ყველა გასინჯეთ და აირჩიეთ, ვინც რჩეული ხევეს მათ შორის. ჩემს ქალსაც ნახეთ ქალთ კრებულის გასამრავლებლად, თუმც შეიძლება სილაშაზით სულ არ ვარგოდეს. ახლა წავიდეთ. (მსახურს აძლევს ქალადს) შენ კი, ბიჭო, ტურთა ვერონას შემოივლს და მათ მოძებნი, ვინც აქ სწერია, უთხარ, ზემით ჩემი სახლი მოელის ყველას.

(გადიან პარსი და კამლუტი).

მსახური — უნდა მოვნახო, ვისი გვარებიც აქ სწერია. აქ კი სწერია, შეწადემ არშინი დაიჭიროს ხელში, ხოლო თერძმა სადგისი, მეთევზემ ფუნჯი აიღოს, მღებებმა ბადე. მაგრამ გამომაგზავნეს აქ, ვინცა სწერია, ის მონახეო, არ ვიცი კი რა დასწერა, ამის დამწერმა. წავალ და ისევ ნასწავლ ხალხს ვკითხავ. აჰა, ესენიც ბედზე გამოჩნდნენ.

(შემოდინ რომეო და ბენვოლიო).

ბენვოლიო — ერთ ცეცხლს მღელვარეს გაანელებს მეორე ცეცხლი, ტკივილს კი ისევ გააყუჩებს ტკივილი მწველი. დადექ, თავი მოაბრუნე, თუ თავბრუ გესხმის და უნი ტანჯვა შეამცირე სხვა სატანჯველით. სხვა საწამლავი უფრო მწვავე შეასვი თვალებს და საშინელი ძველი შხამი გაჰქრება მალე.

რომეო — ეს მრავალძარღვა მისწრებაა სწორედ მაგისტვის.

ბენვოლიო — რას ამბობ, რისთვის?

რომეო — მაგ გატეხილ წვივისთვის ვამბობ.

ბენვოლიო — რა მოგივიდა შენ, რომეო, ხომ არ გაგიჟდი?

რომეო — გიყი არა ვარ, მაგრამ გიყზე უფრო ძლიერად ვარ შებოქოლი, მოკლებული ყოველგვარ საზრდოს, ნაცემ-ნაგვემი და დილეგში დატყუებულნი. (მსახურს) გამარჯობა, მეგობარო!

მსახური — გაგიმარჯოთ, ბატონო ჩემო! ეს მიბრძანეთ, კითხვა თუ შეგიძლიათ?

რომეო — დიახ, ვკითხულობ უბედობას ჩემს ვალად ბედში.

მსახური — ეს თქვენ იქნებ უფიჯოდ ისწავლეთ. მე გგკითხებით, დაწერილის წაკითხვა თუ შეგიძლიათ?

რომეო — შემოძლია, თუ ენა ვიცი და ასოებს ვცნობ.

მსახური — თქვენ პატიოსნად ბრძანეთ, მშვიდობით იყავით!

რომეო — დაიკადე, მეგობარო, მე შემიძლია წავიკითხო. (ჯულიეტას)
სინიორ მარტინო თავისი ცოლითა და ასულეებით; გრაფი ანსელმი და
მისი მშვენიერი დები; ვიტრუვიოს ქვრივი, ქალბატონი; სანტა-სელაჩენ-
ციო თავისი ტურდა ძმისწულებით; მერკუციო და იმისი მშვენიერ ტანში;
ბიძაჩემი კაპულეტი ცოლითა და ასულეებით; ჩემი მომხიბლავი ძმისწული
როზალინა; ლივია; სინიორ ვალენკაო და მისი ბიძაშვილი ტიბალტი;
ლუჩიო და კეკლუცა ელენე. (უკანვე უბოძნებს ქალაქს) მშვენიერი
კრებულაა, მაგრამ სად არიან მიწვეულნი?

მსახური — ზემოთ.

რომეო — ვისთან?

მსახური — ჩენს სახლში ვახშმად.

რომეო — მაგრამ ვის სახლში?

მსახური — ჩემი ბატონის სახლში.

რომეო — სწორედ ეგ უნდა მეკითხა შენთვის პირველად.

მსახური — ახლა ისედაც მოგახსენებთ. ჩემი ბატონი დიდი და დოვლათიანი
კაპულეტი გახლავთ და თუ მონტეგის გვარისა არა ხართ, გიხოვთ,
| თქვენც მობრძანდეთ და ერთი ქიქა ღვინო მიირთვათ. მშვიდობით იყა-
ვით! (გადას).

ბენვოლიო — კაპულეტების მაგ ძველებურ ლხინში იქნება

შენი ბრწყინვალე როზალინა. იქვე იქნება
ვერონას ყველა მშვენიერი, ჩენც იქ წავიდეთ
და ბედნიერი თვალთ კარგად შეადარე შენ
იმისი სახე მას, რომელსაც მე დაგანახებ,
მაშინ ნამდვილად დარწმუნდები, რომ შენი ბედი
ყვავი ყოფილა და ტყუილად გეგონა გედი.

რომეო — თუ ეს თვალეები მაგ ცრურწმენას მიიღებს ნებით,
ჩემო ცრემლებო, ნაკვერჩხლებად იქეციოთ მაშინ,
დაწვიოთ, დადაგეთ შენიღბული ეს მწვალებლები,
რომლებიც დღემდე არ დამორჩვალან ცრემლების ზღვაში.
შენ ამბობ, თითქოს იყვეს სადმე მასზე ნარნარი.
ყოველის მხილველ მზეს არ უნახავს იმისი დარი.

ბენვოლიო — ჯერ არ გინახავს სხვა მშვენება იმასთან ერთად,
ამიტომ იგი დაუსახავს შენს თვალებს ღმერთად.
ახლა კი სცადე და სასწორის ორ ბროლითა თასს
პიეცი ნება ის მშვენება შეუწონოს სხვას.
ლხინში გაჩვენებ მე სხვა ქალწულს, ვინც ისე ელავს,
რომ შენს ხატებას გაახუნებს, გაჩვენებს ბნელად.

რომეო — მოგყვები, მაგრამ სხვა ქალწულთა სამზერად არა,
მე ჩემი სატრაფოს სილამაზით დაეტკებები მარად.

(გადაიან).

სურათი III.

ოთხი კაპულეტების სახლში.



შემოდან ქნი კაპულეტი და გამდელი.

- ქნი კაპულეტი — ძიძა, სად არის ჩემი ქალი? ჩემთან მოუხმე.
- გამდელი — მე იმას უკვე მოვახსენე, გეფიცებით იმ უმანკობას, რაცა მკონდა თორმეტი წლისას. სად არის მაინც ჩიტუნია, პატარა კრავი? ღმერთო მიშველე, ჯუღიეტა სადა ხარ, ქალო? (შეშოდს ჯუღიეტა).
- ჯუღიეტა — აჰ, მოვედი, ვინ შეძახდა?
- გამდელი — დედა გეძახდა.
- ჯუღიეტა — მე აქ ვახლავართ, ქალბატონო. რა გნებავეთ ჩემგან?
- ქნი კაპულეტი — აი რა მსურდა... მაგრამ, ძიძავ, მარტო დავტოვე, საიდუმლოთ მსურს ვესაუბრო... თუმცა დაბრუნდი, მომაგონადა, რომ ჩვენს საუბარს უნდა ისმენდე. შენაც ხომ იცი, ჩემი ქალი უკვე მომწიფდა.
- გამდელი — საათობით მაქვს გამოთვლილი მაგისი ხანი.
- ქნი კაპულეტი — თოთხმეტისა არ არის ჯერე.
- გამდელი — თუგინო თოთხმეტ კბილს დავდებ სანაძლეოდ, რომ თოთხმეტისა არ არის. თუმცა ამას ისე ვამბობ, თორემ ჩემდა სავალალოდ ოთხი კბილია შეშრჩა. პეტრეპავლობამდე რამდენი დღეა?
- ქნი კაპულეტი — ორი კვირა თუ ცოტა მეტი.
- გამდელი — მეტი არის თუ ნაკლებია, პეტრეპავლობის წინა საღამოს თოთხმეტისა ვახდება, ვიცი. ეს და სუსანა, — ქრისტიან სულთ აცხონებს ღმერთი, — ტოლები იყვენენ. ღმერთთან არის ახლა სუსანა, უღირსი ვიყავ მე ისეთის კარგის ყოლისა. ჰო, მას ვამბობდა, რომ წინადლით პეტრეპავლობის იგი ვახდება თოთხმეტისა, ეს კარგად მახსოვს. თერთმეტმა განვლო წელიწადმა მიწისქერის შემდეგ, მაშინ კი იგი იმ-ის იყო ძუძუს მოვწყვეტეთ. მე ეს ამბავი არასოდეს დამავიწყდება, წლის ყველა დღეზე უფრო კარგად მახსოვს იგი დღე. ძირმწარა მქონდა წაცხებული მე ძუძუს თავზე და მწეში ვიჯექ, კარგად მახსოვს, სამტრედეს გვერდით. თქვენ და ბატონი ბრძანდებოლით მაშინ მანტუას. ჩემს მახსოვრობას დახეთ ერთი! — ჰო, მას ვამბობდი, როცა პატარამ ჩემი ძუძუს თავზე ძირმწარას გემო იგემა და ემწარა და როცა შემდეგ საბრალო ბაღლმა გაანება თავი რძის წოვას, სწორედ იმ წუთში შეტორტმანდა ჩვენი სამტრედე. რაღა თქმა უნდა ღმერთს შევთხოვე ფეხის სიმარდე. თერთმეტი წელი გავიდა იმ შემთხვევის შემდეგ.



მაშინ ჯულიეტა თავისუფლად დგებოდა ფეხზე, დარბოდა კიდევ, აქეთ-იქით დაბაჯბაჯებდა, ეს იმით მახსოვს, რომ ძიწისძვრის თითქმის წინაღობა პატარამ შუბლი გაიტება. ჩემმა მეუღლემ, — ღმერთმა აცხონის, კაცი იყო გულმხიარული! — მაშინვე ხელში აიყვანა და დაუყვავა.

„პირველ დაცემ? არა უძახეს, როდესაც ჰქონდა შეტი გეჭებდა, დაცემი მაშინ გულაღმა, ასე არ არის, ჯიულა?“ პაწაწა ბრიყვმაც თავი ანება ტირილსა და, — წმინდანებს ვფიცავ! —

„პო, ასე არის“ — უპასუხა. ძეხვით, ხურობა ვით შველის ზოგჯერ. თუნდ ათასი წელი ვიცოცხლო, დამერწმუნეთ, რომ არასოდეს დამავიწყდება; „ასე არ არის?“ შევეკითხა, სულელმა ბაღდამაც თავი ანება ტირილსა და „პო“ უპასუხა.

ქ-ნი კ ა პ უ ლ ე ტ ი — კარგი, გეყოფა. გეგედრები, ახლა დაჩუმდი. გამდელი — ახლავ, ბატონო. მაგრამ როგორც მომავონდება, როგორ შესწყვიტა ტირილი და „პო“ უპასუხა, სიცილს ვერ ვიჭერ. თანაც კიდევ, მგნდეთ მე, ამას კენჭის ოდენა კობი იჯდა; მძიმედ დაცეა.

„ცხვირი დაქარი?“ შევეკითხა ჩემი მეუღლემ: „არაფერია, როცა დიდი ქალი გახდები, მაშინ შენ ზურგით დაცემი. ასე არ არის?“ ისიც გაჩუმდა და მიუგო: „პო, ასე არის“.

ჯ უ ლ ი ე ტ ა — მაშ შენც გაჩუმდი, ამას ვთხოვ, ჩემო ვაღია.

გ ა მ დ ე ლ ი — აჰ, გაჩუმდი. არას ვიტყვი, ღმერთი გფარავდეს. შენ სულყველაზე მშვენიერი ბავშვი იყავი, ვინც ოდესმე მე გამოზრდია. ნეტავი ღმერთი შენს გათხოვებას მომასწრებდეს.

ქ-ნი კ ა პ უ ლ ე ტ ი — მეც მისთვის მოველ, გათხოვებაზე მინდა სწორედ მოგესაუბროთ. ჩემო ასულო ჯულიეტა, ვსურს გათხოვება?

ჯ უ ლ ი ე ტ ა — მე ამ ღირსეულ საქმისთვის არც მოცნებია.

გ ა მ დ ე ლ ი — ა, ღირსეული? ერთადერთი ძიძა არ ვიყო, მაშინ გეტყოდი, რძესთან სიბრძნეც შეგიწოვია.

ქ-ნი კ ა პ უ ლ ე ტ ი — უკვე დრო არის, რომ იფიქრო გათხოვებისთვის. იქ, ვერონაში, ბევრი ქალი, შენზე უმცროსი, ოჯახის შვილი, ღირსეული უკვე დედა. ჩემსას თუ ვიტყვით, დედა ვიყავ მე, უფრო აღრეც, მაგ შენს პასაკში, რომელშიაც კვლავ ქალწული ხარ. მოკლედ რომ გითხრა, შენს თავსა მთხოვს მამაცი პარის.

გ ა მ დ ე ლ ი — კაცი, პატარა ქალბატონო, პოი, რა კაცი! მთელ ქვეყანადა ღირს, სანთელივით ჩამოსხმულია.

ქ-ნი კ ა პ უ ლ ე ტ ი — ვერონას ზაფხულს არ უნახავს მგავსი ყვავილი.

გ ა მ დ ე ლ ი — ნამდვილსა ბრძანებთ, ყვავილია, სწორედ ყვავილი.

ქ-ნი კავალეტი — აბა რას იტყვი? იმ ვაებატონს არ შეიყვარებ?

პარისს ამაღამ იხილავ აქ, ლინინს დროს ჩვენთან.

შენ წაიკითხე იმის სახეს ნათელი წიგნი,

გასინჯე კარგად სილამაზის კალმით ნახატი,

ყოველი ნაკეთი ერთმანეთს თუ ეხმატყვილებდა.

და თუ კითხვის დროს შეგხვდეს რამე გაუგებარი,

მაშინ თვალეშში წაიკითხე და ის ავახსნის.

სრულქმნილ მშვენიებად რომ შეიქმნეს ის ტრფუბის წიგნი,

მას უნდა ჩასმა ასეთივე მშვენიერ ყდაში.

თევზიც ხომ მუდამ ზღვაში ცხოვრობს, და ეს გახსოვდეს,

მშვენიერება გარეგანი ამაყობს მაშინ,

როდესაც ბურავს სილამაზეს შინაგანს იგი.

უფრო მით არის ღირსეული ბევრისთვის წიგნი,

რომ ოქროს ზღაპარს ოქროსავე ყდები ეხმავენ.

გაიზიარებ შენ ამგვარად მის საბაღობელს,

თუ მას გაბყვები, ამით შენიც არაფერს იკლებს.

გამდელი — იკლებს? იმატებს! დედაკაცებს კაცი ასუქებს.

ქ-ნი კავალეტი — მოკლედ მითხარი, ნახავ პარისს და შეიყვარებ?

ჯულიეტა — ვნახავ, თუ ნახვით შეიყვარებს მნახველი ნახულს

და თანაც თვალეშს ნებას მიეცემ, რამდენსაც შეტყვიო.

(შემოდის მსახური).

მსახური — ქალბატონო, სტუმრები უკვე მოვიდნენ, სულრა გაშლილა,

გთხოვთ შობრაქანდეთ.

თქვენცა გთხოვენ, პატარა ქალბატონო. ძიძას სწყევლიან საკუჭნაოში.

აურზაური აქვთ.

მე წავალ, იქაურობას მივხედავ. გემუდარებით გამოწყვეთ.

ქ-ნი კავალეტი — აი მოგყვებით. (მსახური გადის). ჯულიეტა, გრაფი

შენ გელოდება.

გამდელი — წადი, ეძიე ნეტარი დღე და ღამეები!

(გადის).

სურათი IV.

ქუჩა.

შემოდის რომეო, მერკუციო, ბენევილიო, ხუთი თუ ექვსი

ნიღბოსანი და მერიარაღდნა

რომეო — უნდა ვთქვათ რამე საბოდიშოდ სახლში შესვლისას,

თუ უბოდიშოდ და უსიტყვოთ შევიდეთ შიგა?

ბენევილიო — უკვე წავიდა დრო ასეთის უხესიტყვაობის.

ჩვენ არ მიგვიძღვის კუბიდონი თვალახველთა,

რომელსაც ხელთ აქვს თათრის მშვილდი ვარაყიანი

და რომლის ნახვა ქალეშს აფრთხოვთ, ვით საფრთხოვბელა.



- ან კი რად ვინდა ჩვენ პროლოგი დამზადებული,
 მაგრამ ერთი თქმული, მოკარანის ნაჭურჭლევი.
 ეს საცეცხლო როგორც უნდათ, ისე მიიღონ.
 ჩვენ კი ვიცეცხვებთ ერთ ცეცხლს და გამოვბრუნდებით.
- რომეო** — მე ვე ლამპარი მომეცით აქ: სული დამძიმდა
 და აღარ მალმძის ვინტუნაო, ლამპარს დავიჭერ.
- მერკუციო** — კარგო რომეო, უსათუოდ უნდა გაცეცხოთ.
- რომეო** — არა, მე არა, დამერწმუნეთ. თქვენ საცეცხლოდ
 თხელდანიანი წაღები გაქვთ. ჩემი სული კი
 ტყვიისა არის და მიწაზე იმგვარად მაკრავს,
 განმარევიც მიძიმის.
- მერკუციო** — მიჯნური ხარ, შენ გამოართვი
 ფრთები: კუმდიონს და აიჭერ უჩვეუ საშალღს.
- რომეო** — ისე მკაცრად ვარ მე დაჭრილი იმისგან ისრით,
 რომ აღარ მალმძის შალა აჭრა მის მსუბუქ ფრთებით,
 შემორკილი ვარ ისე ძლიერ, რომ შწარე ნაღველს
 ვერ გავშორდები, ტრფობის მძიმე ტვირთი ჩამძირავს.
- მერკუციო** — მაგრამ ჩამძირეთ დაამძიმებ თვითონ სიყვარულს
 და მძიმე ტვირთს მიაყენებ ასეთ ნაზ საგანს.
- რომეო** — ტრფობაა ნაზი? ტლანქი არის, მოუხეშავი,
 შმაგი, მრისხანე, ეკალივით იჩხელიტება ის.
- მერკუციო** — თუ ტრფობა ტლანქად მოგებყრობა, ტლანქადვე მოეპყარ,
 ჩხელეტის სანაცვლოდ შენც უჩხელიტე და დაანარცხე.
 აბა მომეცი ეს შალითა, სახეს მოვარგო (იკეთებს ნიღბს).
 ნიღბს—ნიღბი! რას დავეძებ, როგორ დამზრახვენ,
 დაე, გაწითლდნენ ჩემს მაგიერად ნიღბის წარბები.
- ბენეოლიო** — დავაკეცუნოთ, შევიღეთ და შესვლისთანავე
 ყველა ჩვენგანმა თავის ფეხი ამოძრაოს.
- რომეო** — ლამპარი მომე, იატაკი, ლერწმით ნაფენი,
 გულმხიარულმა უქნარებმა ლესონ ფეხებით.
 მე დავუჯერებ მამამაპურ ანდაზას ძველსა,
 სანთლის დამპერი ფიქნები და შორიდან გიციქერთ.
 მაშინ თამაშიც უჩვეულო კარგი იქნება.
 ეჰ, მყიდ მიღის ჩემი საქმე.
- მერკუციო** — მყიდ თავვია,
 მაგრამ თუ მართლა მყიდ მიღის შენნი საქმენი,
 მაშინ ჩვენ თვითონ ამოგათრევთ მყიდ ლაფადან,
 აი მაგ ბატონ პატივეცემულ სიყვარულიდან.
 სადაც ჩაფლულხარ ყურებამდე. ახლა წავიდეთ,
 ტყუილად ვხარჯავთ დღით სინათლეს.
- რომეო** — ნეტავ რას ამბობ?
- მერკუციო** — ბატონო ჩემო, მე მსურს გითხრათ, რომ ამ ყოყმანით
 სიციცხლის ნათელს ისე ვხარჯავთ, ვით სანთელს დღისით.
 მაგრამ ღასთანხმდი რჩევას ჩვენსას, რადგანაც მასში
 ხუთჯერ მეტია სიბრძნე, ვიდრე ხუთის ტყუაში.

რომეო — ჩვენი განზრახვა ისაა, რომ ლზინში წავიდეთ.

იქ წასვლა კი არ არის ბრძნული.

მერკუციო — მერე და რატომ?

რომეო — წუხელი რაღაც დამესიზმრა და იმისათვის.

მერკუციო — სიზმარი ენახე მეც აგრეთვე.

რომეო — შენ რაღა ნახე?

მერკუციო — რასაც ტყუიან ასე ხშირად მეოცნებენი.

რომეო — სანამდე სძინავთ, სიმართლეა მათი სიზმარი.

მერკუციო — აჰა, მაშ შენთან დედოფალი მეტი ყოფილა.

ეს გახლავთ სწორედ ფერიათა ბებია ქალი.

სიდიდით მეტი არც კი არის აქათის ქვაზე,

რომელსაც თითზე ატარებენ მამასახლისნი.

ძს შებმულია ატომების ბაწია ეტლში

და მიძინებულთ უღიტინებს ცხვირში საამოდ.

ობობას გრძელი ფეხები აქვს მის ეტლს ბორბლებად,

ბორბლის საფრად კი კუტკალის კოპწია ფრთები.

ქანანდა ხმარიბს აბლაბუდის უნაზეს ჭაოვილს,

ხოლო ცალკულად — შთვარის მკრთალ და მიბნედილ სხივებს.

მათრახის ტარად მას ჭრიჭინას სუსტი ძვალი აქვს,

შოლტად კი — მუდამ ნაზი ფიბრი. მეეტლედა ჰევას

რუხი ზიფთანათ შემოსილი პატარა კოლო,

უფრო პატარა, ვიდრე მრგვალი მატლი, რომელიც

დაძვრება ზარმაც ქალწულების თითის ფორებში.

ეტლად ფუტურო თბილს უმზადებს დურგალი ციყვი

ანუ მოზუცი მატლი — მისანთ ოსტატნი ძველნი.

ასე ამგვარად იგი დაჰქრის ღამიდან ღამით,

ხან მიჯნურთ ტვინში შეიჭრება და მაშინ იმათ

დაესიზმრებათ ხიყვარული. კარისკაცთ მუხლებს

ჩაუჭროლებს და დასიზმრებს მდაბლად მოდრეკას.

მსაჯულთა თითებს ჩაუვლის და ჭრთაშს მოაჩვენებს.

ღიაცთა ტუჩებს რომ ჩაუბუნს, კოცნას ასიზმრებს,

ზღმურ ვლით უფარავს ხშირად ტუჩებს მრისხანე შები,

რადგან სუნთქვა აქვთ მოწამლული შეპარყინულით.

ხანდახან მეტი დიდებულთა ცხვირზე ჰენაობს,

მაშინ სიზმარში მათ წყალობის სუნი ეცემათ.

ზოგჯერაც კიდევ მძინარე მღვდელს ცხვირთან მიუტანს

უკვე შეწირულ გოჭის კუდას და უღიტინებს,

ახალი მრევლი ესიზმრება მაშინ ამ ხუცესს.

ხან ჯარისკაცსაც მოეხვევა მეტი კისერზე,

მაშინ ჯარისკაცს ესიზმრება, თუ როგორა სჭრის

უცხტელს ყელსა. მოაჩვენებს ესპანური მახვილს,

მიწის საფრებსა და ღრმა თასით სადღეგრძელოებს.

და წამსვე ყურთან დაფდაფის ხმა. წამოვარდება,

გამოიღვიძებს, ღიანხავს რამ დააფეთა,

ორიოდ ლოცვის იბუტბუტებს და მიძინებს.

ეს მეტი გახლავთ, ღამით ცხენებს უფარს რომ უწნავს,



ბალანს აუწეწს და ვაი მას, ვაი იმის დღეს,
ვინც მის გამოსხნას მოინდომებს. სწორედ ეს არის
ის კუდიანი, ვინაც ქალწულთ, თუ კი შეასწრებს
გულადმა მწოლთა, დააწვება თვითონ ზევიდან
და შეასწავლის მუდღეობის ქაპანის ზიდვას.
ეს ის მებია...



- რომეო** — მერკუციო, გეყოფა, კარგი,
გაჩუმიდი მეთქი, სისულელეს ყბედობ შენ ახლა.
- მერკუციო** — შენ მართალი ხარ, მე სიზმრისას ვლაპარაკობდი,
რაც არაფერი არ არის სება, თუ არ ნაყოფი
ფუჭი ოცნების და უსაქმო, მიცლილი ჭკუის.
ისეთგვარადვე მერყევი, როგორც ჰაერი,
და ქარზე მეტად ცვალებადი, რომელიც აგერ
ვალერსება ჩრდილოეთის ყინულის უბეს.
მაგრამ უეცრად განრისხდება, გამოიჭროლებს
და პირს დაიჭერს ცვარნაკურბ საშხრეთისაკენ.
- მენელიო** — სწორედ ვგ ქარი გვიბნევს თავვზას. ვახშამს იქ უკვე
შორჩებოდნენ, ჩვენ კი ვყოვნდებით აქ მეტისმეტად.
- რომეო** — მე იმას ვშიშობ მეტისმეტად აღრე არ იყვეს,
რადგანაც ავი წინათგრძნობა მაფიქრიანებს,
რომ ჩემს ვარსკვლავზედ დაკიდული ვალალი ზედი
ამალამინდელ ლხინთან მწარედ ამოქმედდება
და ვგ სიცოცხლეს სედიანი მით დასრულდება.
თუმც ღმერთმა, ვისაც ხელთ უპყრია ცხოვრების საჭე,
წარმართოს ჩემი იალქანი, როგორაც სურდეს.
აბა, წავიდეთ, ყმაწვილებო!
- მენელიო** — მამ დაჰკათ დოლსა!

(გაღიან).

ხუჩათი V.

დარბაზი კაპულეტის სახლში.

სცენაზე შემუსიკენი არიან. შემოდინ მსახურნი.

პირველი მსახური — ქვაბ-ქოთანა სადღა დაივარგა, ალაგებს რომ
არ მშველის?

თეფშის ფხეკია! ის თეფშის ფხეკია, ისა!

მეორე მსახური — როცა ყველა სუფთა საქმე მხოლოდ ერთ ან ორ
კაცის ხელთა და

მათაც ჭუჭყიანი ხელები აქეთ, აი ესაა ჭუჭყიანი საქმე.

მირე. მსახური — აბა, ეს სკამები გაიტანე, განჯინა გვერდზე მიდგი,
თეფშების თადარიგიც გეჭიროს.

თუ ღმერთი გწამს ცოტა ნამცხვარიც შეინახე. თან, თუ გიყვარღე,
მეკარეს უთხარ სუსანა გრინდსტონი და წელი გამოჰზავნოს.

მეი, ანტონიო, ქვაბ-ქოთანაც, არ გესმით?

შესამე მსახური — ჩენც მზად ვართ, ბიჭო.

პირე. მსახური — თქვენ გეძებენ, გეძახიან, გელოდებიან დიდ დროებაში.

შესამე მსახური — მაგრამ ჩენც ხომ არ შეგვიძლია ეტყუე და იქაყ. აბა ცოცხლად, ბიჭებო! ვინც მეტს იცოცხლებს, იმსჯელებს.

(მსახური გადის. შემოდის კაპულეტო, ქანი კაპულეტო, ანტონიო ტიბალტი და სხვა მისპინძლები სტუმრებთან და ნიღბოსნებთან ერთად.)

კაპულეტო — აბა მობრძანდით, ბატონებო. ამ ქალებიდან

ვის ფებს ბებურა არ აწუხებს, იცეკვებს თქვენთან.

ქალბატონებო, ვინ გაზედავს უარს ცეკვაზე?

აბა, რას იტყვით? პრანქიობას ვინაც დაიწყებს,

გეფიცებით, რომ მას ექნება ფეხზე ბებრები.

გენიშნათ განა? ბატონებო, აბა მობრძანდით!

მეცა ვყოფილვარ თავზე ნიღბჩამოფხატული,

ლამაზ ბანოვანთ სწორედ ყურში ჩაეხურჩულებდი

ტკბილსა და იმოდ სასმენ ზღაპრებს. ეს წასულია,

იგი დრო ახლა წასულია, დიახ, წასული.

აბა, მობრძანდით, ბატონებო! მემუსიკენო,

დროა დაუკრათ, გოგონებო ფეხი გაუსვით!

მეტი სინათლე, ჰე ბრიყვებო! ადგილი მეტი,

ეს შავიდები გვერდზე მიდგით. ბუნარში ცაცხლი

განელეთ, აქ მეტისმეტად ცხელა ისედაც.

დახე, როგორი მხიარული გაათობა იწყეს.

აჰ, ბიძაშვილო კაპულეტო, შენ მანდ იჯექი.

ჩენი ცეკვის დრო გაჰქრა უკვე. აბა, ჩამდინი

ხანი გავიდა, ნიღბები რომ გვეკრა ბოლოდროს?

მეორე კაპულეტო — ლეთისმშობელს ვფიცავ, ოცდაათი წელი გავიდა.

კაპულეტო — რას ამბობ, კაცო, ეგ ბევერია, მაგდენი არა:

სწორედ სამებას შესრულდება ოცდამეხუთე,

რაც ლუჩენციო დაქორწინდა. ჩვენ კი ნიღბებით

უკანასკნელად იქ ვიყავით.

მეორე კაპულეტო — არა, მეტია

უფრო დიდია იმის ვაჟი, ოცდაათისა

იქნება უკვე.

კაპულეტო — შენ ამისას რას მეტყვი ახლა,

რომ ორი წლის წინ ამას ისევე მეტრევე ჰყავდა?

რომეო — (მსახურს) — ვინ არის ის ქალი, ხელი რომ გაუწოდა აი იმ ქაბუქს?

მსახური — ვერა ეცნობ, ბატონო ჩემო.

რომეო — მისგან სწავლობენ, ჩირალდინნი როგორ ანათონ.

ისე ჰკიდია ღამის დაწვებს მშვენიება მისი,

როგორც ძვირფასი ბრილიანტი ეთიოპელის ყურს.

ჩვენ უღირსნი ვართ ამა მშვენიების, ის ძვირფასისა

ქვეყნისთვის მეტად. თოვლისფერი მტრედი ყვავებში

ისევე მოსჩანს, როგორც იგი თავის ტოლთა შორის.

გათავდება თუ არა ცეკვა, შე მასთან მივალ

და ჩემს უხეშ ხელთ ნეტარსა ვყოფ მისი შეხებით.

უყვარდა ვინმე ჩემს გულს დღემდე? თვალნო გამოტყდილო,
წმინდა მშვენიება თქვენ აქამდე არ დაგინახავთ.

ტიბალტი — ხმაზე უტყობა მონტეგია. შენ ჰეი, ბიჭო, ეგეცინულია
აბა, ეგ ხმალი მომაწოდე, ერთი შეხედვით, გეგეცინულია
გეგეცინულია
როგორ გაბედა არამზადამ ჩვენთან შემოსვლა?
ისიც ნილაბით! მასხარადა და აბუჩად იჯდება
ჩვენს ბრწყინვალე დღეს. ვფიცავ მეტეი ჩვენს ოჯახს და გვარს,
ცოდვა არაა, რომ სიკვდილი მივეუზლო მაგ გვარს!

კაპულეტი — რა მოგივიდა შენ ძმისწულო? ვის ურისხდები?

ტიბალტი — შეხედე, ბიძავ, ჩვენი მტერი, წუწუკი მონტეგია
აქ შემოსულა, რომ დასცინოს ჩვენს ბრწყინვალე დღეს.

კაპულეტი — რომეო არის ეს ყმაწვილი?

ტიბალტი — ის არის სწორედ,
წუწუკი რომეო.

კაპულეტი — დაეხსენი, ჩემო კეთილო,
შეხედე როგორ ღირსეულად უჭირავს თავი.
მაგის ღირსება ვაეკაცური და გაზრდილობა
საამაყოდ აქვს მთელს ვერონას, უნდა გამოგტყდეთ.
ნებას არ მივცემ, რომ ჩემს ჰერტეშ მას უჯიათად
ვინმე მოეპყრას, თუნდა მთელი ქალაქიც მომცენ.
მამ შენც დაეხსენ, თითქოს სულაც არ შეგგინიშნოს.
ეს მე მსურს ასე და ჩემს სურვილს თუ პატივსაც სცემ,
მაშინ დამშვიდდი, მზიარული სახე მიიღე
და სხვა დროისთვის გადასდე შენ ეგ შრისხანება,
აქ უადგილო, ლზინისათვის შეუსაფერი.

ტიბალტი — მაგრამ საფერი, როცა სტუმრად არამზადა გყავს.
მე არაფრისთვის არ დაეზოგავ.

კაპულეტი — შენ ხელს არ ახლებ.
გეუბნები, არ ახლებ, არა. შეხედე ერთი
ამ თავგასულ ბიჭს! მასპინძელი შენ ხარ აქ თუ მე?
იქით გამშორდი, ხელს არ ახლებ. ღმერთო მიშველე!
ჩხუბი ატეხოს უნდა ახლა სტუმართა შორის.
დავიდარაბის ატეხა ვსურს? ამას დახედეთ!

ტიბალტი — ეს შერცხვენაა, ბიძაჩემო, ჩვენი შერცხვენა.

კაპულეტი — წა, იქით წადი, გამეცალე! შენ თავხედი ხარ.
არა ხარ განა? ეს ანხლობა კარგს არას შეგყრის.
აჰ, შეურჩები? ყოჩაღ, კარგი დრო მოგინახავს.
(სტუმრებს) კარგადა ბრძანეთ, გეთანხმებით. აჰ, შე ყოყონავ.
თუ არ დაიშლი... (მსახურთ) ჰა, სინათლე, სინათლე მეტი!
ვით არ გრცხვენია? მაგრამ ახლავ გაგაჩუქებ მე.
ერთი შეხედე. (სტუმრებს) მეგობრებო, გამზიარულდით.

ტიბალტი — ნაძალადევი თავდაპყრა და მწველი ბრაზი
ერთმანეთს ებრძვის, ტანში მივლის მე. ერუანტელი.
ახლა კი წავალ, გავეცლები, მაგრამ ბოლოს მას
ეს ტკბილი ლზინი ეგემება მწარე ნაღველად.

(გადის).

რომეო — (ჯულიეტას) თუ ჩემ უღირს ხელთ შეურაცხვეს წმინდა მწვენება,

თავანაცემი ვისაც ჭევენად არა ჰყავს სწორი, მაშინ ამ ტუჩებს, ორ მწირ მლოცველს მიეცი ნება გამოისყიდონ ცოდვა ჩემი ნაზი ამბოხით.

ჯულიეტა — შენ მეტისმეტად შეურაცხყოფ, მწირო, შენს ხელებს, მათი მოქცევა ღვთიურია, ფაქიზე, სწორი:

წმინდანებიც ზომ ეხებიან ხელით მლოცველებს, ხელით შეხება არის მათთვის წმინდა ამბოხი.

რომეო — მერე ტუჩები არ აქვთ წმინდანთ ან იმ მლოცველებს?

ჯულიეტა — დიახ, მლოცველო, რომ ტუჩებით ილოცონ მხოლოდ.

რომეო — ჩემო წმინდანო, მაშ ამ ბაგეთ მიბაძონ ხელებს, მიეცი ნება, თორემ იმედს დაეკარგავ ბოლოს.

ჯულიეტა — წმინდანნი სდუმან მაშინაც კი, როს უსრულებენ მუღარას მთხოვენით.

რომეო — თუ მასეა, ნურას მეტყვი მე მანამდე, ვიდრე ჩემი თხოვნის ნაყოფს ვიგებებ. (ჰკოცნის) შენმა ტუჩებმა მოაცილეს ცოდვა ჩემს ბაგეთ.

ჯულიეტა — მაგრამ ის ცოდვა ჩემს ტუჩებზე გადმოიყვია აქეთ.

რომეო — შენ ჩემი ცოდვა? ო, რა ტყბილი საყვედურია.

მაშ დამიბრუნე იგი უკან. (ჰკოცნის)

ჯულიეტა — საღმრთო წერილში

თუ ისწავლე ასეთი კრცნა.

გამდელი — დედა გეძახით. (ჯულიეტა გადის).

რომეო — მერე ვინ არის მაგისი დედა?

გამდელი — ნუთუ არ იცით?

მაგისი დედა ქალბატონი ვახლავთ ამ სახლის.

კეთილი არის მეტისმეტად, ბრძენი და ჭველი.

მისა ქალი კი, ვისთანაც ახლა თქვენ საუბრობდით,

მე გამოვზარდე. მასაც ვეტყვით, რომ ეს ქალწული,

ვისიც გახდება, დიდ განძეულს მიიღებს იგი.

რომეო — მაშ კაპულეტი არის იგი? ჰოი, ვაებავ!

ჩემმა სიკოცხლემ გაისტუმროს უნჯა მტრის ვალი.

ბენვოლიო — აბა, წავიდეთ. თავშემცევა უკვე თავდება.

რომეო — ცშიშობ, რომ მასთან მწუხარება იწყება ჩემი.

კაპულეტი — ჯერ დაიცადეთ, ბატონებო, ნუ ეშურებით.

უბრალო რამე გასართობი გვექნება კიდევ.

მინც არ იშლით? მაშ მშვიდობით, მადლობას გწირავთ.

მადლობა ყველას, ბატონებო, მშვიდობის ღამე.

აბა, ლამპარები! მაშ წავიდეთ, ჩვენც მოვისვენოთ.

ჰეი, ძმობილო, გვიანაა მღერა, გეფიცები.

(გადის ყველა, არადა ჯულიეტა და გამდელი).

ჯულიეტა — ჩემო ვადია, ჩემთან მოდი. მითხარ, ვინ არის აი ის კაცი, იქ რომ მიდის?

გამდელი — ის კაცი ვახლავთ

ტიბერიოს ძე და შემკვიდრე.



- ჯულიეტა — ის ვიღა არის,
იმ კარიდან რომ გადის ახლა?
- გამდელი — ღმერთო, ეს, შგონი,
ახალგაზრდა პეტრუჩიოა.
- ჯულიეტა — მას რომ მიჰყვება,
აი იქ, დღეს რომ აქ იცეკვა?
- გამდელი — მაგას კი ვერ ვცნობ.
- ჯულიეტა — წადი, გამიგე მისი გვარი, ჩემო გადი
და ცოლიანი თუა იგი: ციესა სამარეს
გადაუქცევ მე საქორწინო სარეცელად მაშინ.
- გამდელი — რომეო გახლავთ, ერთადერთი ძე თქვენი მტრისა.
- ჯულიეტა — იქ გაიდურჩქნა ერთადერთი, პირველი ტრფობა,
სად ერთადერთი და მძულვარე ჩვენა გვაქვს მტრობა.
ის შეტად აღრე ვნახე, გვიან ვიცანი მტრად,
ვია, წყეულ მტრის სიყვარული მერგო მე ზედად.
- გამდელი — რაო, რას ამბობ, ჯულიეტა?
- ჯულიეტა — არაფერს, ძიძა,
ლექსი მასწავლეს ცეკვის დროს და იმ ლექსს ვამბობდი.
(შინიდან ეახიან ჯულიეტას).
- გამდელი — მოვიდვიართ კიდეც. მამ წაეიდეთ. ყველა წაეიდა.
(გადიან).

შედეგები მეორე

პროლოგი

შემოდის გუნდი.

გუნდი — მოკვდა ის ძველი გატაცება, ის სიყვარული;
ნორჩი შემცვლელი გამოუჩნდა გრძნობას გათელილს.
იგი ნათელი, ვისთვის ძველად კედებოდა გული,
ჯულიეტასთან აღარ არის უკვე ნათელი.
რომეო უყვართ, მასაც ტრფობის ცეცხლი ედება.
ორთავ ჰკლავს მზერა და ორთავე იდაგვის ანით;
ვაეი აშვარად ქალის სახლში ვერ გამოჩნდება
და ქალმაც უნდა მოიპაროს შეხვედრის წამი.
თუკი ჩავარდა, თუ გაიგეს ნამდვილი გვარი,
თავს 'ვერ დაიხსნას მიჯნურისთვის ჩვეული ფიცით.
ჯულიეტაც ხომ იმაჟ ცეცხლით არის დამწვარი,
მხოლოდ ესაა ენმაკობა ნაკლები იცის.
მაგრამ პა, ვნება გადაქცევა საოცარ ძალად,
და დრო უშველის ნახვის სიტყბო იგემონ კვალად.

(გადის გუნდი).

სუბათი I.

მოედანი კაბულეტების ბაღის წინ.



შემოდის რომეო.

რომეო — ვით, ძალმძის წასვლა, როცა გული ისევ აქ მრჩება?
მაშ მძიმე მიწავ დაბრუნდი და ჰპოვე შენი მზე.

(გადახტება ბაღის კედელზე).

შემოდან ბენვოლიო და მერკუციო.

ბენვოლიო — ეი, რომეო, ბიძაშვილო!

მერკუციო — ბრძნულად მოიქცა,
თავს გეფიცები, შინ წავიდა დასაძინებლად.

ბენვოლიო — არა, ის ამ გზით გამოიქცა და გადაახტა
ბაღის გალავანს. მერკუციო, შენც დაუძახე.

მერკუციო — თილისმით შეეკრავე. ჰე, რომეო, ხუმარავე, შმაგო,
ენებავე. ტრფიალო, ოხვრის სახით გამოგვეცხადე.

მითხარი თუნდა ერთი რითმა, მე დაგუჯერდები,
სიტყვი: „აჰ, ვაიმე მიჯნურთ ბედი“ — რითმად კი „მტრედი“.

ალერსიანი სიტყვა უთხარ ჩემს ნათლიდედს
ვენერას ანუ მეტსახელად შეარქვი რამე
მის ბრმა მემკვიდრეს, იმის ჩვილ ძეს ადამ კუპიდონს,
ვინც ისე მარჯვედ მოაჩვედრა ისარი, მეფეს
კაფეტუას რომ შეაყვარა გლახაკი ქალი.

მაგრამ არ მისმენს, მაიმუნმა სული დალია.
რადგან ასეა, მაშ მიგმართავ აბლა თილისმას;
მაშ გაფიცებ შენ როზალინის ელვარე თვალებს,
იმის მალალ შუბლს და ალისფერ ტუჩებს გაფიცებ,
გაფაკებ იმის კოპწია ფეხს, მოხდენილ წვივებს,
მთრთოლავ თეძოებს და ყველაფერს იმის მოსაზღვრეს,
რომ გამოცხადდე ჩვენს წინაშე შენ შენის სახით.

ბენვოლიო — თუ გაგიგონა, გააბრაზებ, იცოდე, შენა.

მერკუციო — არ გაბრაზდება იგი ამით. მე რომ მომეჩხო

აეი სული და მეტქვა მისთვის, ის ჩამდგარიყო

რომეოსა და მის ქალბატონს შორის, ვიღერემდის

თეთონვე ქალი გააგდებდა, — მაშინ სხვა იყო.

ჩემი განზრახვა წმინდაა და პატიოსანია:

მისი ტრფიალის დაფიცებით მსურს გავაფხიზლო.

ბენვოლიო — წავიდეთ, იგი მოეფარა დაბურულ ხეებს,

რომ ამ მხიარულ ნეტარ ღამეს გაენდოს მარტო;

ტრფობა ხომ ბრმაა და სიბნელე შეპფერის კიდევ.

მერკუციო — ის ბრმა რომ იყვეს, ნიშანს ველარ მოახვედრებდა.

რომეო ახლა ზღმარტლის ბუჩქის ქვეშ ჩამოჯდება.

დაიწყებს ნატვრას, მისი სატრფო იმ ხილად იქცეს,

გოგონები რომ ეშმაკურად ზღმარტლს ეძახიან,

როცა ჩუმ-ჩუმად ერთმანეთთან ლაზღანდარობენ.

მართლაც, რომეო, მართლაც მოხდეს და ის ვადიქცეს

გაშლილ და ღია... (ან -სხვა რამედ); შენ კი მსხლად იქცე.

მშვილობით იყავ. ჩემს რბილ საწოლს მივაშურებ მე,

მინდვრის საწოლში გავცავდები, ვერ დავიძინებ.

წამო, წავიდეთ. არ მოდიხარ?

ბენედიო — წავიდეთ, შაშა.

როცა კი იცი, ვერ იბოვი—ამაოდ ეძებ.

(ვადიან).

(გაბრძნობა იჭნება)

თარგმანი ინგლისურიდან
შახტანუ ზელიჩისა.

ქართველები ბრძოლის ველზე

ქართული
ბიბლიოთეკა

პოლიო აბრამია

ღიღებუ

ლამაზი ქალაქია ზუგდიდი.

იგი წარსულიდანაც კობწიათ გამოიყურება.

ზუგდიდიდან ვრცელდებოდა კულტურა ძველ სამეგრელოში. ლაკადისა და ბარის სოფლების მკვიდრნი ზუგდიდელებს ბაძაფდნენ: ჩაქმაში, მოლხენაში, ცხენოსნობაში, ზრდილობაში.

ზუგდიდმა უმწიკვლოდ შეინახა ძველი ოდიშური სასაუბრო ენა, იგი დღესაც ბუღბულის საამურ სიმღერასავეით ატკბობს სმენას.

სხვაგვარია აქაური მისალმება, ქვეყა, სიტყვა-ბასუხი. ზუგდიდს რაინდული ტრადიცია მოსდგამს.

ზუგდიდელი ისე ნაზად საუბრობს, რომ გინდა სულ უსმინო. აქაურნი უჩვეულო სათნოებით წარმოსთქვამენ ზოღმე:

„— ჩქინ სტალინი.“

„— ჩქინ ბერია...“

ამ სიტყვების მოსმენისას სრულიად არ არის საჭირო მეგრული ენის ცოდნა. თქვენ საესებით გრძნობთ იმ სიტბოს, რომელსაც ამ სიტყვების წარმოთქმის დროს ვანიცლის თქვენთან მოსაუბრე.

ეს გამოთქმა მუსიკის ნარნარი ჰანგია — დამატკბობელი. ზოლო მუსიკას — განმარტება არა სჭირდება. იგი ყველასათვის გასაგებია.

ლამაზია ზუგდიდი...

ფეოდალური ეპოქის სამეგრელოს სამი დიდებული ძველი დგას აქ მთავრის საზამთრო რეზიდენცია, კარის თეთრი ეკლესია და სამეგრელოს სიძველეთა დაცვის სახელგანთქმული მუზეუმი.

სხვა ყველაფერი ახალია აქ. ზუგდიდი ახალი ტიპის სოციალისტური ქალაქია. როცა ენგურის ქალაქის ფაბრიკის მაღალი მიღები ფარშევანგის ფრთებივით მიაფენენ შავ ბოლს მტრედისფერ ცის კიდეს, თქვენ უმაღლვე რწმუნდებით, რომ აქ მძლავრად ისმის ჩვენი სამშობლოს ინდუსტრიის შეუჩერებელი მაჯისცემა.

ზუგდიდი დღითიდღე იზრდება, ფართოვდება. ქალაქს ემატება ახალი ქუჩები, მოედნები, უბნები. ოღესდაც მისი ცენტრიდან საკმაო მანძილით დაშორებული სოფლები დღეს ქალაქის ფარგლებში შემოდიან. ქალაქურ წესზე იგეგმებიან ისინი. აქ ყველა მიმართულებით გაყვანილია სააეტრომობილო გზები. ქალაქში ჩნდებიან მრავალსართულიანი ქვის შენობები.

ზუგდიდს — ოდიშის უძველეს ქალაქს, ბრწყინვალე წარსულს აქვს. იგი უფრო ნათელი და დიდარი მომავლისკენ მიჰყავთ ბოლშევიკებს, ვიდრე მისი წინააღმდეგობა. მიმზიდველია ზუგდიდის ყოველი უბანი მდინარე ჩხოვეთის ნაპირებზე. მოღმა. ოღები, ოღები, ოღები — ყველგან, სულ ახალ-ახალი... სხვა უბნებს არც სამხრეთ-დასავლეთი უბანი ჩამოუყარდება. აქაც განიერ ქუჩებს ამ-შეენებთ კოპწია ოღები, ბაღჩები, ბაღები, ყვავილნარები. საოცარია, რამდენი ყვავილია სამეგრელოში — ზამთარ-ზაფხულ, განუწყვეტლივ. ყველაფერი ეს ჩვენ დროშია გაკეთებული. წარსულში აქ არაფერი იყო თვალსაჩინო. ეს უბანი არსად არ არის მოხსენებული არც ქრონიკებში, არც მატრიანში. მას ეძახდნენ — საჩილაჩავოს. ხოლო ჩილაჩავეები — უბრალო გლეხები იყვნენ. ასეთი ზალხის ისტორიას არა სწერდნენ ძველს დროში.

აქ მე მოვედი მხოლოდ დიდი სამამულო ომის ეამს — 1944 წ. დეკემბრის 15-ს... ახლა ზამთრის პირია. გარეთ ცივი ქარი ჰქრის. ახლა მთელს ოდიშში გუფუნებენ ბუხრები. აქაც მუხის ვუნძი აგდია ბუხარში და ცეცხლი ღვივის... მე კი ვწერ ამ სტრიქონებს... ვწერ ვინმე მეხოტბე ჩემი ლამაზი სამშობლოს დიდი ებოქის შეილთა საგმირო საქმეებით შთაგონებული. ვწერ და უდიდეს სიამოვნებას ვგრძნობ... ვიცი, ეს ჩემი პატარა ქრონიკები მოკრძალებულ სტრიქონებად შევლენ საბჭოთა ზალხის დიდი სამამულო ომის დიდს ისტორიაში. გაივლის ეამი, შეიძლება ბევრი რამ მიეცეს დაეიწყებას, მაგრამ ჩვენს დღეებს ვერაფერს დაივიწყებს...

გარეთ ისევ ჰქრის დეკემბრის ქარი. ირწყვიან ალეები, ტანდრები, ვერხები... შრიალებენ, შრიალებენ ლიმონისა და მანდარინის ბაღნარები... ვინ შეარქვა ამ მხარეს საჩილაჩავო?



... აი ახლა ჩემს წინ ჯორჯოზე ზის ილია ჩილმჩავე — ქაცი ბევრი ჭირისა და უფრო მეტი ვარამის მომსწრე. მე ვეკითხები მას შორეულ ამბავს, ძველ ამბავს: ნანახს, გაგონილს. ვეკითხები მისი წინაპრების თავგადასავალს: საიდან მოვიდნენ, როდის დასაჩლდნენ აქ? ბერიკაცმა ზეასწია გათეთრებული წარბები, განცვიფრებით შემომტკერის. უკვირს: მისი სიცოცხლის მთელი ოთხმოცი წლის განმავლობაში ასეთი შეკითხვებით არავინ მოსულა აქ. მის მახსოვრობაში ჯერ არავის არ გამოუკითხავს ჩილაჩავეების ვინაობა, მათი სადაურობა. ახლა რა მოხდა? მე ვგრძნობ მისი თვალუბის შეკითხვას: — ვინა ბრძანდებით თქვენ, ბატონო? საიდან მოსულხართ? რათა ხდით საქვეყნოდ — ჩილაჩავეების ავ-კარგს? ვინ დაგაგალათ ეს? ვის რათ სჭირდება, თუ როდის დაჰკრა აქ ზარი პაპაჩეშმა — გვატი ჩილაჩავემ? რა მომავოლებს ხელახლა ამ ათასჯერ ნაამბობს?!

ბერიკაცი შეჰქანდა ჯორჯოზე... წელანდებურად ისევ განაგრძობს თავის საქმეს: დოქიდან წყალს ასხამს რიყის ქვაზე; ლესავს და ლესავს თავის წალდს... ვატყობ ლაპარაკი უმძიმს, მაგრამ არ ვეშვები, მიწა მიამბობს: ნანახი, გაგონილი, განცდილი...



... იყო ოდესღაც კაცია დადიანი — მრისხანე ბატონი, მას შემდეგ, მას შეადგენდა მთელს ამ მხარეში გადაშლილი: საყანე ადგილები, სათოვრები, ზოდებუნები — სანადირთი და სანავარდონი. კაცია თავით არ თოხნიდა, არ თესდა, არცა მყიდა. მის მაგიერად ყმები მუშაობდნენ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე. კაცია დადიანი მაინც ცხოვრობდა ტკბილად, უდარდელად მიჰყვებოდა თავის დღესა და წუთითყოფელს. დღემუდამ ცხენზე იჯდა, სულ დელოლი ჰქონდა: ოდიში, სამურხაყანო, აფხაზეთი. დადროდა შინაყმების თანხლებით: ცა ქუდათ მიაჩნდა, დედაძიწა — ქალამნალ.

თავადი იყო კაცია დადიანი და თავადურადაც იქცეოდა. ჩილაჩაეები — კაციას ყმები იყვნენ, როგორც მოისურვებდა ისე მოექცეოდა მათ: ზოგს — მიმინოზე გაცვლოდა, ზოგს — ანაკლიაში მიჰყიდიდა თათარს. გამკითხავი არავინ იყო. ამ ყმებში სხვაზე უფრო ღმობიერად ეპყრობოდა — გვატი ჩილაჩავას. ეს იყო კაციას ერთადერთი ვაჟის ვამეყის გამზრდელი. მას მორდუს ეძახოდა კაცია. გვატი გონიერი, გამჭრიახი და ენამახვილი კაცი იყო. ჩილაჩაეები „სადადიო კაცს“ ეძახოდნენ მას. კაცია დადიანი ისე არსად წაივდიოდა, რომ გვატი არა მხლებოდა თან. როცა კაციამ თავისი ცხოვრების დიდი მანძილი მოათავა და სიბერეში შესდგა ფეხი — განიზრახა დაესაჩუქრებინა გვატი, როგორც მორდუ და ბატონისანი შინაყმა. გვატი სიხარულით ცას ეწვია. წინასწარ გრძნობდა, რომ კაციას საჩუქარი ღირსეული იქნებოდა. ამ ამბის გამო ჩილაჩაეებიც ცერებზე შედგნენ — იქნებ ჩვენც რამე ჩამოვრჩეთო...

ერთ მშვენიერ დღეს კაციამ შინიდან გაიყვანა მორდუ. არავინ იცოდა, საით მძლიოდნენ კაცია და გვატი. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ერთ ტრიალ მინდორზე გავიდნენ. კაცია ერთგან შედგა. მერე მიუბრუნდა მორდუს:

— ჩემი შეილის კარგად აღზრდისა და ჩემი ერთგული სამსახურისათვის დღეიდან განთავისუფლებ ყმობიდან... ახლა ირბინე ამ მინდორზე, უარე სულ გარშემო — ვიდრე დაიღლებოდე... რასაც შემოირბენ, ის მიწაც შენი საჩუქარი იყოს. დაესახლე აქ და გამრავლდი...

გვატი ჩილაჩავა საკუთარ ყურს არ უჯეროდა. ამის გაგონებაზე სხვა ჩილაჩაეებიც სახტად დარჩნენ — თავი სიზმარში ეგონათ. გვატი თითქოს ვაჯექელდა, რადაც უჩვეულო ძალღონის მოზღვაეება იგრძნო. ეგონა, მინდორს კი არა ცხრა მთას შემოურბენდა ირგვლივ, ეგონა არასოდეს არ დაიღლებოდა. მუდამ მონობაში მყოფ გლეხს სწყუროდა თავისუფლება, უნდოდა მიწა... გვატი ჩილაჩავა შემართულად იდგა, მზად იყო. ნონის კალთები ქამარში ჩაიტანა, სახელოები დაიკაბიწა, ყაბალანი შეიბნა, უფრო მაგრა წაიკრა. როგორც კი მისცა დადიანმა ნიშანი, გვატი უმაღვე მოწყდა ადგილიდან და შველის ნახტომებით გაექანა წინ. ირგვლივ შემოკრებილმა ჩილაჩაეებმა ყიფინა დასცეს. უნდოდათ ამით უფრო გემხნეეზინათ გვატი, უნდოდათ, რომ უფრო შორს ერბინა: მდინარე ჩხოუშვიამდე, იმის გაღმა... გვატის არ გაუგონია მათი ყიფინა. იგი ქარზე უსწრაფესად გარბოდა.

იმ უსსოვარ დღიდან ამ მხარეს საჩილაჩავოს ეძახიან.



ყველაფერი ეს შორეული ამბავია, შლაბარივით ნაამბობი, თაობიდან თაობაზე შემირად გადმოსული, თორემ ისტორიაში არსად არაა აღნიშნული, მისი ილიაჩილიაქად არც კი იცის, რა სწერია ისტორიაში. მას სკოლის კარგიც არ უნახავს. ილიამ ცხოვრებას ისტორია თოხითა და კავით შეისწავლა. გლეხმა პირობაზე კარგად ცხოვრობდა. ორსი იყვებო მთელი; დათა და ილია მათ შალიან უყვარდით ურთიანეოვ. გაურახე ათასოდეს არ უფიქრიათ, მაგრამ მაშინ — ბუნე ილიაჩიას ნასახლარზე ორი ოდა დადგეს, ერთიძეოროა გვერდით. სულ ახლარ, კარმიდათ გაართეა ხეხილით დამყვანულს, ოდესის აივანს კიბეებიდან კოიდარით მოპფინეს ვახიერი ესო და მუგლიდ-ორპირის გხსს პირად საერთო კიმაკარი დაქიდეს. ოდიძეოი აველი იველუთის მიხედვით იმ ბოძე, რაჟელხედაც კიძეარი ეკიდა, ნალი შიპედეს, ხოლო მახლობლად, მალალ სარზე ცნების თავის ქალა წამოაცვეს. მოოვც ადამიას ავი თვალით არ უხდა შეხედსა ოჯახისათვის. მეოე იქორწინეს მთემა. საცოლეკებად სპთხო ადამიანები შეარიხეს. რძლეთ, — ეფრო და მაივო, — გაძრე, ავ-კარგეს მცოდნე ქალევი გაშოდეკეს. იმისი დეივიტ შეეთვისხენ ერთმანესს, არასოდეს არ უწყხივნებიათ ერთიშეორისათვის, აუვი სიტყვა არ წამოცდებიათ, ქმრებს ევიბრებოდეს კოიდეოროს სიყვარულნი. მთელი ოჯახი სიამტკებილობით ცხოვრობდა.

მთაბაში მთობა ჰქონდათ ილიაჩიებს. მათ მხოლოდ ერთი დარი აწუხებდათ. დათა და ეფრო უძეოთ ბერდებოდნენ.

რა ეყვით მერე? თუ დეკრთმა საკუთარი შვილი არ მისცა, ვანა ილიას და მაივოს ორი ვევი შალვა და კონდრა, ნათი შვილები არ იყვნენ? ვანა რომელ დედამას შეიძლება უყვარდეთ თავიანთი პირშო იმაზე უფრო მეტად, ვიდრე დათასა და ეფროს უყვარდათ შალვა და კონდრა? ან რომელ ვევიშვილებს შეუძლიანთ დაიხეომონ მშობლებისადმი პატივისცემა და სიყვარული იმაზე უფრო მეტად, ვიდრე შალვას და კონდრას უყვარდათ ისინი?

მათი სიყვარული ნამდვილი მშობლიური იყო.

დათასა და ილიას არაფერი ჰქონდათ გაუფილი. იმიტომ კი არ დადგეს ერთ ეზოში, ერთიძეოროს გვერდით, ორი ოდა, რომ ცალცალკე ეცხოვრათ. ათა, ისინი სხვას ფიქრობდნენ: ვინ იცის, იქნება ჩვენმა ცოლებმა ვერ იგუონ ერთმანეთი, იქნებ არ მოისურვონ ერთ ჰერქვეშ ცხოვრება... ნათქვამია. დედაკაცმა თუ გაიწია — ყევირიც ვერ დააკაებდსო... ჰო და, ასე რომ მოხდეს, მაშინ? მაშინ სადლა უნდა ვეძებოთ ბინაო?

ამისი ეშინოდათ მძებს, მხოლოდ ამიტომ დადგეს ორი ოდა... მაგრამ რძლებმა მაგრა შეჭკრეს პირი. მართალია მოსაჩვენარად თითქოს ორი ოჯახი იყო, სინამდვილეში კი ერთი ოჯახი ჰქონდათ მძებს ჩილაჩიებს. ბოლოს, როცა უფრო ხანში შევიდნენ დათა და ეფრო, მოითათბორეს და სულ მინაკეთრეს კონდრა, იშვილეს იგი... ამით ოჯახში არაფერი შეცვლილა, ისევე ძველებურად ერთად ცხოვრობდნენ ყველანი.

ცოლქმარი — დათა და ეფრო დამტირებულს, გულზე მიწის დამყრელს ეძახდნენ კონდრას. ნატრობდნენ მის დაეაქაცებას, მის დაქორწინებას... ამ ნატურაში გადავიდა იმ ქვეყნად დათა ჩილაჩავა...



იზრდებოდნენ, ვაჟაკდებოდნენ შალვა და კონდრა. ეჭვიანობის წაბაძვით ისინიც სულში უძვრებოდნენ ერთმანეთს. ბუნებრივი ძალები იყვნენ, კომკავშირში აღრე შევიდნენ. ყველგან და ყოველთვის გამოირჩეოდნენ სხვებში: ყოფაქცევით, საქმით, ზრდილობით.

შეადწლელის დამთავრების შემდეგ კონდრა ოჯახზე მოდგა. შალვამ სწავლა განაგრძო — ზუგდიდის პედაგოგიური სასწავლებელი დაამთავრა. მასწავლებლობდა სოფ. ოდიშში, სოფ. ქითაყარში, სოფ. ქკაღლაშში. ამის შემდეგ იგი მუშაობდა რაიკომის ინსტრუქტორად. მერე დანიშნეს ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილედ. იმავე დროს იყო პარტიურის მდივანიც. შალვა ყველგან პირნათლად ასრულებდა ბოლშევიკის წმინდა მოვალეობას. სკოლასა და ოჯახში მიღებული კარგი აღზრდა ისე შეუღწა ცხოვრებას, რომ მას დიდათ აფასებდნენ: პარტია, საზოგადოება, ამხანაგები, მეგობრები...

ბედნიერი ოჯახი ჰქონდა ილია ჩილაჩავას. მოხუცებულების საზრუნავს ახლა მხოლოდ შალვას დაქორწინება შეადგენდა.

რომელი გოგონა იტყოდა უარს ილია ჩილაჩავას ოჯახში რძლად შესვლაზე? დღე ერთი იყო და ცხრა შუამავალი მოდიოდა. ვის არ ეუბნებოდნენ, სადაური ქალი არ შესთავაზეს შალვას: კარგი დედამამის შვილი, მზითვიანი, ზრდილობიანი, ნასწავლი, მეოჯახე, ნათესავეების მოყვარული, მაგრამ არ იქნა და არა... უარზე იდგა შალვა, არც ერთი არ ინდომა...

ეფრო და მაშვიკო გამოცდილი ქალები არიან, ცხოვრებაში ჩახედულნი. ამით რა გამოეპარებათ? მიხედნენ — აქ საქმე სხვაგვარად უნდა ყოფილიყო.

— ალბად უყვარს ვინმე და წრ გვიმხელს, — უთხრა ერთხელ ეფრომ ჩემად თავის რძალს.

— მეც მაგრე მგონია, უყვარს და თქმისა ურიდება, — ყურში წასჩურჩულა მაშვიკომ.

ამაზე შეთანხმდნენ ქალები. ჩემად მოითათბირეს, მერე შეეკითხნენ შალვას... შალვამ შორს დაიჭირა, არაეინ არ მიყვარსო.

აქ პირველად იტყოდა შალვამ აღმზრდელების წინაშე. ამის გამო შერცხვა თავისი თავისა, საზე აელეწა, მაგრამ თავი შეიკავა, წრ შეიმჩნია... სულითა და გულით არ უნდოდა მათი მოტყუება, მაგრამ სხვა გზა არ იყო... რა უნდა ექნა? ამდგარიყო და ეთქვა, რომ ერთი გოგონა მოეწონა ნარაზენში? ამ ჩაის ბუჩქით გადამწვანებულ სოფელში ქალიც იმდენი იყო რამდენიც ჩაის ვარდი, ყველანი კარგები, ერთი-მეორეზე უკეთესები... და იმ მათ შორის ერთი მოეწონა ყველაზე უფრო. ეს მოხდა რამდენიმე კვირის წინ. სულ რამდენჯერმე გაიარეს ერთად, კრების შემდეგ. მავნოლისა და ევკალიპტის ზეივანს მიჰყვნენ მოკრძალებით. მათ შეხედრას არაეინ დახწრებია... კოლხიდური კაჟარია დამე იყო. მალა ცა იყო გადაშლილი, ვარსკვლავებით გადაწინწყლული, მთვარის შუქით გადაეერცხლილი. ძირს კი სუფევედა სიჩუმე დაბრუნეველი.

შალვა ჩილაჩავასა და ვენერა ჯანაშიას გულითად საუბარს არაეინ დასწრებია არც იმ დამეს, არც სხვა დროს. შალვა არაეის არ უმხელდა გუ-

ლის ნადებს. ჯერ ნადარტველ მიიჩნდა ამისი გამკლავება. — ვერ იცის, როგორ იქნება საქმე?.. ჯერ კარგად არ ვიცნობ, არც იგი მოცნობს კარგად... ვინ იცის, რას იტყვიან ჩვენები?

შალვას აფონდებოდა დედის თხოვნა:

— შეილო, დაგენაცვლოს დედა, ისეთ ვინმეს არ დააღვა თვალი, რომ ვიდრე მაყრები ეზოდან გადავიდოდნენ, განზე მოინდომოს მუგუზალის გატანა... ჩვენს ოჯახს არ შეუფერება ეს...

დედის ეს სიტყვები ყოველთვის ახსოვდა შალვას. ამიტომ უფრო ფრთხილობდა, თორემ თავათაც კარგად იცოდა, რომ მისი ქორწინების უამი უკვე მოწეულიყო...

შალვას სულ ვენერა ედგა თვალწინ. სულ ნასზე ოცნებობდა... — კარგი გოგონა, სწორედ საშენოა! — ურჩევდა ერთი გული... — შენები რომ ვერ შეიგუოს, რომ ვერ შეუთვისდეს?.. მერე გვიანდა იქნება! — ეუბნებოდა მეორე გული...

ორქოფობდა შალვა, მალავდა ვენერას.

მალავდა, მაგრამ ერთი რამ დაეწყდა შალვას. ხალხი ამბობს: „ფოთლებსაც თვალები აქვთო, ფოთლებსაც აქვთო — ყური და სმენა“.. ზო და — აი ფოთლებმა გადაუჩურჩულეს ერთმანეთს, თუ ნიავმა წაიღო ამბავი ერთ მშვენიერ დღეს რძლები: ეფრო და მაშეკო ნარაზენში ამოყვნენ მეურნეობის მანქანას. ეფრომ და მაშეკომ გასდიეს უჩინარ ბილიკებს — იკითხეს, გამოიკითხეს — ვისთან ხედავთ უფრო ხშირად შალვას? ვისთან დადისო, სამსახურის შემდეგ?.. გაიგეს ყოველივე. ერთხანს შორიდან უთვალთვალეს ვენერა ჯანაშიას, მერე გაიციეს, გამოესაუბრნენ: ჰკითხეს ამბავი ამ მთისა, იმ ბარისა. მოეწონათ ქალი. მერე დაკითხეს შალვა. იგი აწითლდა, ამჯერადაც უარის თქმა დააპირა, მაგრამ ქალებმა ხმა არ ამოაღებინეს. ეფრომ და მაშეკომ ვენერა ჯანაშია თვითონ წაიყვანეს საჩილაჩაგოში და რძლად დაისვენეს.

ოჯახში შემოვიდა ახალი სიხარული. ვენერა ნატერისთვალი გამოდგა, ყველას შეაყვარა თავი — შინ და გარეთ...

ახლა კონდრას ჯერი იყო... მაგრამ ომი ატყდა საღლაც ცხრა მთისა და ცხრა მდინარის გადაღმა...

შალვა ჩილაჩაგა კავკასიონის მთების გადაღმა დაუხვდა საქართველოს ბონარებისაკენ დაძრულ ურდოებს. შალვასთან ერთად აქ მზარდამზარ იბრძოდნენ კავკასიელი რჩეული ვაჟკაცები, რუსები, უკრაინელები.

ისინი აქ დაუხვდნენ მტერს და დიდი სტალინის ბრძანების თანახმად დარიღის კარიბჭეებთან ახლოსაც არ მიაკარეს დუშმანი. დასცხეს ვაჟკაცურად — ციდან, შთიდან, ბარიდან... დასცხეს მამაპაპურად... იფრინეს მტერი — ვერაგი და საზარი.

შალვა ჩილაჩაგა ლომივით ტრიალებდა ცეცხლის კორიანტელში, თავს არ ზოგავდა, რადგან უკან, ქალარა კავკასიონის გადაღმა ეგულებოდა: თვისი ლამაზი, კომწია საქართველო, ქვეყანა ვარდ-ყვავილებისა, ბაღნარებისა, ჩანჩქერებისა და მზიური სიმღერებისა... ხალხთა დიდი პელადის აღმზრდელი პატარა ქვეყანა...

მტერი მოიწევდა აქეთ, მტერი ლამობდა საქართველოს დასაყრდენად, მაგრამ მის დასაცავად ამდგარიყვნენ მთელი ჩვენი ხალხის ჩრდილო შვილები. მათ შორის — მოწინავე რიგებში იდგა შალვა ჩილაჩავა, რომელიც სამშობლოს უერთგულესი შვილი, როგორც ჯარისკაცი, როგორც მეთაური... დღედაღამე ერთი იყო, მოსვენება არა ჰქონდათ. ცეცხლის წინა ხაზზე — სულ ბრძოლა იყო, სულ შეტევები, სულ იერიშები. შალვას მაინც არ ავიწყლებოდა ოჯახი: მშობლები, მზრუნველი ბიცილა... და „ერთი ვინმე სხვისი შვილი“ — ვენერა, მისი საყვარელი ვენერა, ეგრე კარგი, სანდომიანი, გულკეთილი...

შალვა ხშირად წერდა წერილებს. იტყობინებოდა, რომ ძალიან ნატრობდა ყველას ნახვას... იტყობინებოდა, რომ ძალიან განიცდიდა ამდენ ხანს თავისიანების უნახაობას, მაგრამ იქვე სწერდა:

— ვფიცავ სამშობლოს მზეს, არ დაებრუნდები შინ, არ შემოვალ მშობლიურ ქერქვეშ, ვიდრე არ ამოითხრება მტრის ბუნაგო...

სულ წინ მიიწევდა წითელი არმია, სულ წინ მიდიოდა შალვა ჩილაჩავა — ერთგული ჯარისკაცი ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა...

იგი მიუძღვოდა მებრძოლთა რიგებს.

შალვამ სასტიკ ბრძოლებით გაიარა: მოზღოვი — ორჯონიკიძის მისადგომები, ჩრდილო კავკასიის დიდი და პატარა ქალაქები, შემდეგ კი — ყუბანი, დონი, უკრაინა. იგი მისიღვდა მხეცის სისხლიან ნაკვალევს, ამ გზაზე ეყარა მტრის საომარი ტექნიკის ნამსხვრევები, დახოცილ ფაშისტთა გეამები. ირგვლივ, ვიდრე თვალი გადაწვდებოდა, დაფენილიყო თეთრად მოქათათე მოყინული რუსული თოვლი... ისეე თოვდა... ზოლო ცვივოდა არა თოვლის ფანტელები... მტერი ცეცხლით ანადგურებდა ქალაქებს, სტანიცებს, ხუტორებს. დასაეღეთით ენთო ხანძარი, ბოლი და ალი ცამდე სწვდებოდა... ქარს გადმოჰქონდა ფერფლი და ქვარტილი... შავად ათოვდა რუსულ ზამთრის ყინვაში გაქცეულ მტრის სისხლიან ნაკვალევს.

ძნელი იყო, სასტიკი იყო ეს გზა. მაგრამ სწორედ ამ გზით შეიძლებოდა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა. ხომ ასეთი იყო ის სასტიკი ზამთარიც, როცა 1812 წ. კურტუხოვი ანადგურებდა ბონაპარტის ჯარებს? ასეთი იყო ის ზამთარი, მაგრამ რუსეთის ჯარებმა მაინც დაამარცხეს მტერი. და აი ახლაც ამ სუსხსა და ქარ-ყინვაში საბჭოთა კავშირის სახელოვანი წითელი არმია დასაეღეთით მიერეკებოდა პიტლერელთა ფაშისტურ ურდოებს... სუსხი და ყინვა მძვინვარებდა ირგვლივ, გამთოშავი, შემზარავი... მაგრამ გზა მაინც წინ იდო სავალი. ვაკე-სიდიდან მოკიდებული ამ გზით მოსდევდა მტერს შალვა ჩილაჩავა. თუმცა შალვამ არ იცოდა საით, სანამდე წაიყვანდა ეს ბრძოლის გზა, იგი მაინც მისდევდა ვერაგ მტერს, ურტყამდა ყველგან ძლიერად, უზოგველად.



ასე შიდაცა წითელი არმია ბობრუისკს. აქ შეიქნა ბრძოლა ფიცხელი და სისხლისმღვრელი. მტერი აქ ცდილობდა ფეხის მოკიდებას. მაგრამ ჩვენი ჯარების მიძალებით უკუქცეულ იქნა იგი. შალვამ აქ გამოიჩინა ნამდვილი ვაჟკაცობა, გამჭირაობა, უშიშრობა. მისმა შენაერთმა ყველაზე ადრე

განგრია გერმანელთა ძლიერი გამაგრებული ზღუდე. ამისთვის მთელ მან ბელადის მადლობა.

ეს მოხდა 1944 წლის 12 ივნისს.

ეს დღე ყველაზე უფრო სასიხარულო დღე იყო მთელს მს. კავშირებში. ბელადმა მოიწონა მისი მუშაობა ფრონტზე, ბელადმა მადლობა გამოუცხადა მას მამაციობისათვის. რა შეიძლებოდა უფრო სასიხარულო მომხდარიყო შალვა ჩილაჩავას ცხოვრებაში? სხვა არაფერი... ამხანაგები, თანამებრძოლები ულტრადიუნენ მას ამ გამარჯვებას.

შალვა ჩილაჩავა უბედნიერესი კაცი იყო იმ დღეს მთელს დასავლეთის ფრონტზე.

გადიოდა დღეები, ღამეები...

წითელი არმიის მძლავრი მიძალებით გზაკვალაბნეული მტერი ვერსად იმაგრებდა ფეხს. შალვა ჩილაჩავას განაყოფი ფეხდაფეხ მისდევდა მას. შალვა ყველგან მოწინავეთა რიგებში შეუმართებოდა.

წითელმა არმიამ შეუპოვარი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ გაანთავისუფლა ქალაქი ბარანოვიჩო. აქაც თავი ისახელა შალვამ. მისი განაყოფის უნარიანმა მოქმედებამ დიდათ შეუწყო ხელი ამ ქალაქის კედლებთან მტრის ძალების განადგურებას.

და იმ 1944 წ. 8 ივლისს შალვამ ზელმეორეთ დაიმსახურა ბელადის მადლობა.

ისევ გრძელდებოდა გზა, ცეცხლით გადატრუსული. წითელი არმია ამ გზით განაგრძობდა თავის ძლევამოსილ სელას. იგი მიაღწა მდინარე ბუგს. გაღმა მტერი იყო ჩასაფრებული, გამოღმა ჩვენები. შუაზე გაწოლიყო წყალპირაველი მდინარე.

ძნელი შეიქნა მისი გადალახვა.

ამ საჭმეში ჩაერია საბჭოთა არტილერია. მისი მრისხანე გუგუნე ეფინებოდა მდინარის დასავლეთ სანაპიროებს. ყველაფერი აფორიაქდა. ყველაფერი აირია, ჰაერი გაცხელდა, მდინარე ააღულა ლითონის ცეცხლმა. ყველაფერი ეს ხდებოდა მტრის ტერიტორიაზე, მის ახლო მიხადგომებთან, მისი ფრონტის შეაღედ ზონაში, მის ღრმა ზურგში. ზოლო მდინარის აღმოსავლეთ სანაპიროზე სდუმდა ყველაფერი... სდუმდა, რადგან ახლა ლაპარაკობდა: ომის დმერთი — საბჭოთა ძლევამოსილი არტილერია...

ამ დღემდე კი სულგანაბულად ჩასაფრებულიყვნენ: ჩვენი ქვეითელები, ტანკისტები, მეტყვიაიმტრქვეეეები, მეავტომატეები. აქ ყველანი მზად იყვნენ ნახტომისათვის. ეპვიც კი არავის ებარებოდა, რომ ყველანი გადავიდოდნენ დასავლეთ ნაპირზე. ვინ აღმოჩნდებოდა ყველაზე უფრო მარჯვე, ფეხმარდი, ყველაზე უფრო გამბედავი? ვინ გადაახტებოდა ამ მდინარეს თავზე ყველაზე პირველად?

— „რა თქმა უნდა მე! ჩემი განაყოფი!“ — ასე ფიქრობდა ყოველი მებრძოლი, ყოველი მეთაური, ყოველი ჯარისკაცი სტალინური წითელი არმიისა... ასე ფიქრობდა შალვა ჩილაჩავაც, მდინარის ლელიან სანაპიროზე გამხმარ ლერწმებსა და ლაქაშებში ჩასაფრებული.

ირგვლივ ირყეოდა ცა და მიწა, მაღლა მზულით გადადიოდნენ აღმოდებული ყუშპარები. შალვამ ოღნავ წამოწია თავი, გახედა სივრცეს, მერე მდინარეს დააკვირდა. — ენგური მოაგონდა მრისხანე, მზორგავი, სვა-

ნეთის მთებიდან რომ მოედინებთ გრვეინეთ, ზუგდიდს რომ ჩამოუვლის ხმაურით და ტალღების დგაფუნით.

ენგური ხომ ბევრჯერ გაუცურავს მხარულით? ენგურიც კრეფილად ხომ არა ერთხელ გაუპია მას მკერდით?.. ენგურის არ შეშინებია მისი მადის შალვა შილაჩავას და ახლა ამ მდინარემ, მდორე ზუგმა, უნდა შეაკავოს? არა, არა, არასოდეს! მას — წითელი არმიის მეთაურს, მაიორ შალვა ჩილაჩავას მარცხენა უბის ჯიბეში უდევს ხალხთა დიდი ბელადი — სტალინის მიერ ხელმოწერით ორი მადლობის ქაღალდი: ეს იყო მისი საგზურით მდინარე ზუგის სანაპირომდე, ამ საგზურით გადალახავს იგი ამ ლითონის ცეცხლით აღუღებულ მდინარეს, ამ საგზურითვე გაყვება იგი ამ ომის ქარიშხლიან ვზას... ამ საგზურით უნდა გააპოს მან ცეცხლის კედლები, გაქვეითოს ზღვა და გავიდეს გაღმა...

ზუგი რას დააკავებს მას?..

როცა საბჭოთა არტილერიამ დაასრულა მუშაობა, შალვა ჩილაჩავა თავისი მებრძოლებით მდინარის დასაყლეთ სანაპიროზე იყო. იგი შეპარულიყო გერმანელების განლაგებაში — ფლანგიდან და ტყვიამფრქვევების სეტყვას აყრიდა თავზე ფაშისტებს. მაშინ მისკენ შემობრუნდნენ გერმანელთა ტანკები, ტანკეტები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები, მაგრამ შალვა არ დაიბნა, პირდაპირ მიუყენა მათ ტანკააწინააღმდეგო თოფები.

შეიქნა ბრძოლა ფიცხელი, თავგანწირული. მტრის ტანკები ერთიმეორეზე გამოდიოდა მწყობრიდან. ცეცხლის ქარიშხალში გერმანელები აირიგნენ, უწყსრიგოდ იწყეს უკან დახევა. ფაშისტებმა დიდძალი ჯარისკაცი დაჰყარეს აქ. მათ დაჰყარეს თავიანთი ტყვიამფრქვევები, „ფერდინანდები“, „ვეფხები“, „აეაზები“, თავს უშველეს გაქცევით.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს ფრონტს. ამ მამაცობისათვის მთავრობამ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა შალვა ილიას-ძე ჩილაჩავას.



საჩილაჩავოში არასოდეს არ მოსულა ამიზე უფრო სასიხარულო ამბავი. ხარობდა, ზეიმობდა გმირის თჯახი: დედა, მამა, ბიცოლა, ვენერა... ვეღვანი აღტაცებულნი იყვნენ, მით უფრო, რომ წინაღულებში კონდრას წერილიც მიიღეს. იგი იტყობინებოდა რომელიღაც შორეულ ფრონტიდან: „შალიან კარგად ვარ. ფაშისტების შემუსვრისათვის მთავრობამ ორჯერ დამაჯილდოვა. მივდივარ სულ წინ, დასაყლეთით. ჩემი პრისხანე არტილერია საკადრის პასუხს აძლევს ვერაგ მტერს“...

გადიოდა სიხარულის დღეები.

ერთ მშვენიერ საღამოს ილიასა და მაშვიკოს სახელზე დაღუპული პავეტი მოიბრუნა ფოსტალიონმა. შალვას განაყოფის მთელი პირადი შეპარგენლობა მხურვალე მადლობას უთვლიდა მოხუცებს ასეთი იშვიათი აღამიანის აღზრდისათვის. ილიამ და მაშვიკომ გულთბილი საპასუხო პირადი გაუგზავნეს შვილის თანამებრძოლებს. მაგრამ საქმე ამით ხომ არ გათავლებოდა? შორეულ პრუსიიდან საბჭოთა მებრძოლების მიერ შემოთვლილი მადლობა განა მარტო ილიასა და მაშვიკოს ეკუთვნოდა? იგი იმავე დროს

ეკუთვნოდა ზუგდიდის მთელს პარტიულსა და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყოველ ზუგდიდელებს — პარტიულს, უპარტოს, დიდსა და პატრონის. ამიტომ იყო, რომ იმ დღეებში ხშირად გაიგონებდით ხოლმე ზუგდიდში:

— ჩვენმა შალვამ გეასახელა... ჩვენმა შალვამ გამოგვიჩინა...
 — რატომ ყველა თავისად ჩემულობს შალვას? შალვა მხოლოდ ჩვე-
 ნია და არა სხვისი. იგი ჩვენი კავშირის წევრი იყო, ჩვენთან გაიზარდა,
 ჩვენ კომკავშირულად გავისტუმრეთ იგი ფრონტზე... რა ვუყოთ მერე, თუ
 იქ — ფრონტზე ვახდა პარტიული? ჩვენ გვინდა, რომ იგი მუდამ ჩვენი
 წევრი იყოს, ჩვენი თანატოლი... ჩვენ გვინდა, რომ იგი მუდამ ჩვენს რე-
 გებში იდგეს: მხიარული, მომიღმარი — ლენინის ორდენითა და ოქროს
 ვარსკვლავით მკვრილდამშვენებულს — გაიძაბოდნენ კომკავშირელები.

ზუგდიდის პარტიული ორგანიზაცია სავსებით სამართლიანად ამაყობ-
 და თავისი სახელოვანი შვილით. შალვა ჩილაჩავა, მტკიცე ბოლშევიკი,
 ლენინ-სტალინის დიად იდეების ერთგული დამცველი, ჩვენი ქვეყნის უან-
 გარო პატრიოტი — ხომ მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოზარდა
 კომკავშირის ზუგდიდის ორგანიზაციამ? შალვა ორივეს ღვიძლი შვილია,
 ორივეს ხორცი ხორცთაგანი, სისხლი — სისხლთაგანი? ამიტომ იყო, რომ
 გმირის საპატივემლოდ მათ მოაწყვეს ხალხმრავალი მიტინგი.

ამ მიტინგზე ერთიმეორეს სცვლიდნენ ორატორები. მხურვალე სიტყვე-
 ბით გამოვიდნენ: პარტიისა და კომკავშირის წარმომადგენლები, გმირის
 მასწავლებლები, მეგობრები, ამხანაგები. ყველანი შალვას აქებდნენ, მას
 აღივებდნენ.

აქვე ესწრებოდა ილია ჩილაჩავა. ოთხმოცი წლის ბერიკაცი. იგი გა-
 ბრწყინებული სახით შესტკეოდა მოზეიმე ხალხს, აკანკალებული ხელი
 მიედო ყურზე, ცდილობდა არც ერთი სიტყვა არ გამოპაროდა მის დასუს-
 ტებულ სმენას. როცა უკანასკნელმა ორატორმა სიტყვა მოათავა და ტო-
 შის გრიალი მიწყდა, მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, თავმჯდომარემ
 პრუზაიდუმისაკენ იბრუნა პირი. მერე სახეზე ღვიძლია გადაურბინა და გა-
 წაცხადა:

— სიტყვა ეძლევა გმირის დედას — შაშიკო ჩილაჩავას.

ღარბაზში ისევ ხელახლის ძლიერებით ავარდა ტაშის ქარიშხალი.
 შაშიკოს სახე აღღეწა, შეკრთა, ადგილიდან ზერ დაიძრა... ერთხანს აგრე
 იყო, მაგრამ ნელნელა წამოიწია. თითქოს ტაშმა აიყვანათ ხელზე, მერე
 რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი წადგა წინ. ხმის ამოდება მაინც ვერ მო-
 ხერხა, ასე იღვა მცირე ხანს, მერე თითქოს რაღაცა მოაგონდა, მხარზე
 გადაგდებულ მეგრულ ღირაიას მტკიცეთ ჩამოუსვა ხელი და დაიწყო:

— ამხანაგებო, მეზობლებო, დებო და ძმებო... მე რა უნდა ვთქვა?
 ვხედავ, ამოდ არ ჩაუვლია ჩემს შრომას. ამ მკერდით გამოვზარდე ორი
 შვილი, ორი ვაჟაკი... ორივე სამშობლომ წაიყვანა თავისი განსაცდელის
 უამს... მე როგორც ქართველი დედა, ვალდებული ვიყავი, ოცი შვილიც
 რომ ნყოლოდა, ყველანი ერთად გამეცილებინა იმ დღეს, ჩვენი ქვეყნის
 უბორბტეს მტერთან სალაშქროდ... უსწავლელი დედაკაცი ვარ, მაგრამ
 კარგად მესმის სამშობლოს ღირსეული დედისა და შვილის მოვალეობა.
 კარგი შვილს დედის მანდილი მტერმა ფეხქვეშ ვერ უნდა გაათვლოს.
 ჩვენმა შვილებმა პირნათლად შეასრულეს ჩვენი სახელოვანი წინაპართა
 ანდერძი: საქართველოში მტერი არ შემოიშვეს. თავიანთი სისხლით გა-

მოისყიდეს ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ხალხის ბედნიერა მომავალი. დიდება — დახოცილებს, საუკუნო სხენება მათი გამარჯვება დღემდე ვერ კიდევ იარაღით ხელში შებრძოლთ! ჩვენ ბედნიერა დღემდე ვერ გვექმნიან ამაყად ქატართთ ჩვენი მანდილი... მტერი აქ არ შენდოვს ჩვენმა ლომებმა, ჩვენმა შვილებმა, ამიერიდან მტერი ფეხს ვერ დაადგამს ჩვენს მიწას... მეც ბედნიერი ვარ დღეს. ამ ბედნიერებისათვის მადლობას მოვასხენებ ჩვენს მზრუნველ მამას, ჩვენს დიდ სტალინს... მადლობას მოვასხენებ ჩვენი ლამაზი კუთხის უსაყვარლეს შვილს, ჩვენს ლაგერენტი ბერიას: ჩვენი დაცვისათვის იმ საბედისწერო დღეებში... კიდევ მადლობა დიდ ბელადს, რომელმაც ჩვენს ხალხს მისცა საშობლო და ასწავლა მისთვის თავდადება... ჩემს შვილებს, შალვასა და კონდრას, თქვენთან ერთად მინდა მივწავდნო ჩემი ხმა: მაგრად დასცხეთ ბიჭებო ფაშისტება, გენაცვალოთ დედა... სირცხვილი არ მაჭამოთ... მადლა, სულ მადლა ატარეთ სტალინის დროშა — ჩვენი ქვეყნის ხსენისა და მისი ბედნიერების დიდი დროშა...

ილია ჩილაჩავა გაოცებული იყო თავისი მეუღლის გულადობით. — ჩემთან ორიოდ სიტყვის ერთიმეორეზე გადაბმას ძლივს ახერხებდა და აქ, ამ ზღვა ხალხის წინაშე, რამც გააბედინა გამოსვლაო, — ფიქრობდა თავის გუნებაში ბერიკაცი და მაინც ვერ მიმხვდარიყო.

ილია ჩილაჩავამ, ამ უდიდესი ზეიმის გამო მღელვარე წუთებში, ვერ მოიგონა, რომ მის ხელში მაშეიკოს არასოდეს არ ღირსებია ასეთი სიხარულითა და ბედნიერებით სავსე დღე.



მზე დასავლეთით გადახრილიყო. ოდიშური წარმტაცი საღამო დგებოდა. ნიავეც კი არსაით ჰქროდა. მყუდროება სუფევდა და ურღვევლი:

ზუგდიდ-ორპირის ასფალტიან თემშარაზე მაღალი ხეების ჩრდილი ეფინა. ამ ჩრდილში ნელა მისრიალებდა კრიალა მანქანა. მანქანაში იჯდა ილია ჩილაჩავა. გარს უსხდნენ მისი შალვას მეგობრები: კომკავშირელი ცქრიალა გოგონები და ჭაბუკები. ისინი სახლამდე მიაცილებდნენ გპირის მამას. როცა მხიარული ყრიაშული შესწყვიტეს, ერთი მათგანი შეეკოთხა ილიას:

— ბაბუა, როგორ მოგეწონა მიტინგი? კარგი იყო, არა?

ბერიკაცმა უმაღლეს ზეკასწია ქალარა წარბები, ყურზე მიიღო აკანკალებული ხელი: ხან ერთს მიაჩერდა, ხან მეორეს. ვერ გამოარკვია, რომელი ეკითხებოდა მას... ვერ მიხვდა, უისთვის უნდა გაეცა პასუხი... შერე თვალებზე ისევ გადმოიფარა წარბები და თითქოს თავისთვის დასძინა:

— ამას რას მოვესწარი, ბატონო! ახლა ნამდვილად მჯერა, რომ კარგი საქმე გაუკეთებია ჩემ შალვას... რაკი ხალხი ამზობს — ცხადია, რომ მართალია... ხალხი არასოდეს არა სტყუის, ბაბაჩია...

ა. ს. გრიგორევი და ქართული საზოგადოებრიობა

საქართველოსთან დაკავშირებულია რუსული ლიტერატურის, კორიფეების არა ერთი დიდი სახელი. მაგრამ მათ შორის ყველაზე მკიდროდ ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებულია უდიდესი რუსი პოეტი და დრამატურგი ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი. საქართველოში გაატარა გრიბოედოვმა თავისი მოკლე სიცოცხლას საუკეთესო წლები — შემოქმედებითი მომწიფების ხანა. საქართველოში შექმნა მან არსებითად თავისი უკვდავი კომედია. ჩვენი სამშობლოს საუცხოო ბუნებაჲ, ჩვენმა ცხოვრებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გრიბოედოვის შემოქმედებითს განვითარებაში.

საქართველოში განიცადა პოეტმა უდიდესი ბედნიერება, როდესაც ცოლად შეირთო ქართველი ქალი, ჩვენი სახელოვანი პოეტის ალექსანდრე ქავჭავაძის უფროსი ქალიშვილი ნინო და, ბოლოს, ჩვენს მიწა-წყალზე, ჩვენს დედაქალაქში განისვენა უკვდავმა პოეტმა, რითაც სამარადისოდ დაუკავშირა თავისი სახელი ჩვენს ქვეყანას.

ფართოდ არის ცნობილი, თუ როგორ უყვარდა გრიბოედოვს საქართველო და რამდენი მზრუნველობა გამოიჩინა დიდმა პოეტმა საქართველოს კეთილდღეობისათვის. მეტად მნიშვნელოვანია ამ მხრივ გრიბოედოვის თანამედროვის გრიგორიევის სიტყვები: „Грибоедов любит Грузию так пламенно, так чисто, как редко любят даже свою родину“.

ქართველი საზოგადოებაც არ დარჩა გრიბოედოვის ვალში: მან ღირსეულად დაათასა დიდი მწერლის გულთბილი დამოკიდებულება, ზრუნვა და სიყვარული და მთელ მოწინავე რუს საზოგადოებასთან ერთად სამუდამოდ დარჩა გრიბოედოვის მგზნებარე თაყვანისმცემელი.

აღ. ქავჭავაძის მეოხებით პოეტმა გაიცნო მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოება, რომელიც პოეტის მიმართ დიდი ნდობითა და პატივისცემით იყო აღსავსე. ეს დამოკიდებულება შემდეგში არა თუ გაპქრა, პირიქით, გაძლიერდა და განმტკიცდა. ქართულ პრესაში გვხვდება ასეთი სახელწოდება გრიბოედოვისა: „რუს-ქართველი“, ანდა „ნამდვილი საქართველოს შვილი“.

ქართველი საზოგადოება დიდის პატივისცემით ეხმაურებოდა გრიბოედოვის ყველა საიუბილეო თარიღს და უძღვნიდა პოეტს შესანიშნავ წერილებს, სადაც მუდამ ხაზგასმული იყო გრიბოედოვის მიერ ქართველი ხალხის ნაციონალურ თავისებურებათა შეგნება.

გარდაცვალების 50 წლისთავზე დავით ერისთავი, გრიბოედოვის ნიჭის

დიდი თავგანისმცემელი, 1879 წ. წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა: «Грибоедов был одним из первых, с любовью относящихся к нашему краю; трезво смотрел он на его будущность. Он одним из первых, если не первым, сумел понять, что на Кавказе живут и будут жить люди, достойные симпатии, поддержки со стороны всех порядочных людей русской земли».

1895 წ. იანვარში შესრულდა გრიბოედოვის დაბადებისასი წლისთავი. მთაწმინდაზე, მის საფლავზე, გადახდირ იქნა პანაშვიდი. ჟურნალმა „კვალმა“ (№ 2) აღნიშნა ეს თარიღი საგანგებო წერილით „გრიბოედოვის ასი წლის მოხსენება“, სადაც ნათქვამია: „სახელგანთქმული დრამატურლი გრიბოედოვი, როგორც სიძე ჩვენი ქვეყნისა, გრძობითაც ჩვენ გვეკუთვნოდა. საქართველო არ დაივიწყებს მის გამოსარჩლებას ჩვენი ერის თავისებურობის დასაცველად. აი რას სწერდა ის პასკევიჩს: „აქაურ ხალხს ნუ ახვევ თავზე მის ზნე-ჩვეულებების შეუფერებელს უცხო კანონებს, რომელიც არც არავის ესმის და არც არაფერ ღებულობს. ხალხს დაუყენეთ მისი საკუთარი ამონიეული მოსამართლეები, რომელთაც ის ენდობა. თუ შეიძლება, ნუ შეეხებით მის შინაურ გამგეობას: მის მმართველობაში და სამართალში მხოლოდ მთავრობის მიერ არჩეული დებუტატები დაესწრონ ხოლმე. სხვაფრივ ძალას ღურფერში დაატანთ“. თავდება წერილი მეტად მნიშვნელოვანი სიტყვებით: „ქურთხულ იყოს შენი ხსენება, ნამდვილო საქართველოს შეილო და ერთგულო მოქალაქე შენი ქვეყნისა!“

იმევე 1895 წ. ჟურნალ „კვალის“ მეცხრე ნომერში მოთავსებულია წერილი ასეთი სათაურით: „ალ. გრიბოედოვი და შეუღლე მისი ნინო,“ სადაც პოეტის გამოსარჩლება ქართველი ხალხისა მის მიერ თავის ნაციონალურ თავისებურებათა დაცვის საქმეში ახსნილია ნინოს გავლენით: „მეტად შეტკივროდა გრიბოედოვს გული ქართველებზე და ხშირად ურჩევდა პასკევიჩს, რომ სიფრთხილით მოქცეოდა საქართველოს ხალხს, არ მოეშალა მისი შინაური წეს-წყობილება, ჩვეულება და სამართალი. მიუცილებლად ყოველივე ეს უნდა მიეწეროს სულიერს გავლენას მშვენიერის ნაზის არსებისა“. დასრულებულია წერილი საინტერესო მოსაზრებით: „ექვი არ არის, უტროოდ რომ არ მოეკლათ სპარსეთში, ის შეიქნებოდა საქართველოსა და ვაეკასიის მმართველი. ეს რომ მომხდარიყო, ვინ იცის, იქნება ჩვენ გონებითი წარმატებაც მისი მეოხებით უფრო ბუნების გზაზე დამდგარიყო, მაგრამ, ეტყობა, საქართველოს აქაც ბედმა უმუხთლა“.

1904 წელს „ივერიაში“ გრიბოედოვის გარდაცვალების 75 წლისთავი აღნიშნა საგანგებო სარედაქციო წერილით, სადაც ხაზგასმულია გრიბოედოვისა და საქართველოს ურთიერთსაყვარული: „დღეს რუსეთი და ჩვენც მასთან, — სწერდა გაზეთი, — მწუხარებით ვიხსენებთ მის ღირსეულ სახელს. ბედმა გვარგუნა, რომ მის ჭირისუფლად დღეს ჩვენ ვიყვნეთ მის საფლავზე... თუ რუსეთს თავი მოაქვს ამ პოეტ-მწერლით, რადგან მისი ბუნებრივი შეილია: ჩვენთვისაც არა ნაკლებ სასახელოა ა. ს. გრიბოედოვი, რომელმაც, ვაიცნო თუ არა ქართველი ერი, შეიყვარა, დაუახლოვდა, დაუმეგობრდა კიდევ და ბოლოს თავის ნეშტიც ჩვენს მიწა-წყალს მიიბარა“.

საგულისხმოა, რომ წერილის შემდეგ ნაწილში მეტად მკაფიოდ, საესებით აშკარად გატარებულია იმდროინდელ რუს მმართველთა „მოღვაწეობის“ შედარება გრიბოედოვის მოღვაწეობასთან და პირდაპირ მიითებულება რუს

ჩინოვნიკობისათვის მმართველობას სწორი, გრიბოედოვისებური, გარდაცვალების შემდეგ, ა. ს. გრიბოედოვი, — სწერდა გაზეთში, — როგორც სულიერი და გონებრივი რუს-ქართული, კარგი მაგალითია მის დანაშაულებულთათვის, რომელთაც ქართული ერთობა უნდათ ქართველ ერთან და მისთვის ნამდვილად ჯანსაღი მოსწონებულ მხროლედ ამისთანა გულწრფელ მოღვაწეთ შეუძლიანთ სამუდამოდ განამტკიცონ ძმური სიყვარული და ურთიერთობა ერთის ბედით შეკავშირებულნი ერებისა“.

1914 წ. 23 იანვარს, გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 85 წლის შესრულების გამო, „სახალხო გაზეთში“ გამოაქვეყნა ზეიმის ვრცელი პროგრამა. „ქალაქის გამგეობამ, — სწერს გაზეთი, — დაადგინა: 1) 30 იანვარს პანაშვიდი გადაიხადოს განსვენებულის სულის მოსახსენებლად, 2) შეამკოს გვირგვინით განსვენებულის საფლავი, 3) დაარსოს განსვენებულის სახელობაზე ერთი სკოლა და ჩამოაკიდოს იქ განსვენებულის სურათი, 4) ეთხოვოს სახალხო სკოლების დირექციას, რათა მოსწავლეებს ნება მისცეს პანაშვილზე დასწრებისა, 5) დაევალოს ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიას, რათა ამ დღეს სალიტერატურო დღეში მოაწყოს მოსწავლეთათვის, 6) გადაიდოს 300 მან. ა. გრიბოედოვის საფლავის შესაკეთებლად და 7) დაერქვას მამადავითის მოედანს ა. ს. გრიბოედოვის სახელი და დაიდგას განსვენებულის ბიუსტი“.

გარდაცვალების დღეს, 30 იანვარს (ძვ. სტილით) „სახალხო გაზეთში“ მოათავსა გაზეთის პირველ გვერდზე სამგლოვიარო განცხადება შემდეგი შინაარსისა: „თბილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ იუწყება, რომ დღეს, ნაშუადღევს 2 საათზე, ა. ს. გრიბოედოვის საფლავზე (მამადავითის ეკლესიის ეზოში) მისი სულის მოსახსენებლად გადახდები იქნება პანაშვიდი გარდაცვალების 85 წლისთავზე“. მეორე დღეს გაზეთი იძლევა პანაშვილის ანგარიშს.

საგულისხმოა, რომ გრიბოედოვის შემდეგ პანაშვიდი ვადუბლიათ ილიას საფლავზე. ალბათ, მთავრობის თვალის ასახვევად, ილიას პანაშვილი მორიგობრებულია, როგორც გრიბოედოვის მეუღლის ნათესავისა: „იმის შემდეგ, — ნათქვამია გაზეთში, — ქალაქის გამგეობისავე თაოსნობით, მცირე პანაშვიდი იქმნა გადახდები ილიას საფლავზე იმის გამო, რომ განსვენებულნი ა. გრიბოედოვი ცოლის მხრით ნათესავი იყო ილიასი“.

თუ ასე დიდად აფასებდა ქართველი საზოგადოება გრიბოედოვის დამოკიდებულებას, არანაკლებ იყო დაფასებული საქართველოში გრიბოედოვის ლიტერატურული მემკვიდრეობა:

საინტერესოა კომედიის „ევი ქუჩისაგან“-ის ხელნაწერთა ბედი საქართველოში. დავით ერისთავი გამოსთქვამს დიდად მნიშვნელოვან მოსაზრებას კომედიის ავტორადის შესახებ. მისი აზრით, ავტორადი უნდა ყოფილიყო პოეტის თჯანში, სახელდობრ ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვის ძმისთან, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისთან. შემდეგ ეს ავტორადი, გრიბოედოვის სხვა ქალაქლებთან ერთად, მოუპოვავთ დავითის თჯანშიდან.

დროთა განმავლობაში ავტორადი შეუძენია ცნობილ ბიბლიოფილს, გრიგოლ წერეთელს, რომლისაგანაც იგი გადასულა მისი შვილის ალექსანდრე წერეთლის ხელში. აკაკი წერეთელს ეს ავტორადი თავისი თვლით უნახავს, და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, მასვე უნახავს დასრულებულ-

ლი პოემა „ქართული დამე“. დავით ერისთავს უცდია ამ ჭვირებას ხელნაწერთა ხელში ჩაგდება, მაგრამ, როგორც ის გვამცნობს, ალ. წერეთლის მეგვიდრეებს ისინი აღარ აღმოაჩნდათ თურმე.

დავით ერისთავის ცნობით, საქართველოში ყოფილა აგრეთვე ხელნაწერი, შესწორებული თვით გრიბოედოვის მიერ. ეს ხელნაწერი ეკუთვნოდა გენ. ოპოჩინინს, მაგრამ ისიც დაკარგულა.

მესამე ხელნაწერი ეკუთვნოდა იოანესიანს. იგი საგრძნობლად განსხვავდება ცნობილ რედაქციებისაგან. გრიბოედოვის გარდაცვალების 50 წლისთავის აღსანიშნავად ეს ხელნაწერი გამოაქვეყნა დავით ერისთავმა 1879 წელს. გამოცემას თან ერთვის დ. ერისთავის წინასიტყვაობა და კომენტარები. მისი სიტყვით, ხელნაწერი ვადაწერილია კარგი ხელით, უშეცდომოდ. დ. ერისთავის აზრით, ამის ვადაწერივი კომპეტენტური, პიროვნება უნდა ყოფილიყო და ვადაწერიც თვით გრიბოედოვის მიერ უნდა იყოს შემოწმებული.

თავის გამოცემაში დ. ერისთავმა ვარიანტები ყველა ცნობილ რედაქციებს შეადარა და გრიბოედოვის შემოქმედების ლეტალური ცოდნა და საზოგადოდ ფრიად მაღალი კულტურა გამოამჟღავნა.

1892 წ. ერთი ხელნაწერი კიდევ აღმოუჩინია ვინმე საძაგელოვს გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის ი. სულხანიშვილის საგვარეულო ბიბლიოთეკაში, რის შესახებაც მან ვაზ. „ივერიის“ № 188-ში განაცხადა. ხელნაწერის სათაურის ქვეშ მოთავსებული ყოფილა შემდეგი ლექსი:

«Одна строфа, где пылкий гений
Неподражаемо блеснет,
Поэта память сбережет,
Не улетит в реку забвенья,
Она века переживет».

საძაგელოვის სიტყვით, ხელნაწერი „დიდის მეცადინეობით შესწორებულია და გადასინჯული. არა ჩანს, ვის მიუღია ეს შრომა. იქნება ეს ხელნაწერი შესწორებულია ან გრიბოედოვის ავტოგრაფიდან, ან გრიბოედოვის ხელითვე გასწორებულ ხელნაწერიდან, რომელიც საქართველოში მოიპოვებოდა და შემდეგ დაიკარგა“. ამ სიტყვებიდან ერთხელ კიდევ მტკიცდება ის ფაქტი, რომ ავტოგრაფი, ან ყოველ შემთხვევაში გრიბოედოვის მიერ შესწორებული ხელნაწერი კომედიისა, ყოფილა საქართველოში, მაგრამ, სამწუხაროდ, დაკარგულა.

„ვაი ქუთისაგან“ ითარკმნა ქართულად საგრძნობი დაგვიანებით. პირველი მისი თარგმანი გ. წინამძღვარიშვილს ეკუთვნის, რომელმაც კომედია 1853 წ. პროზით გადმოთარგმნა. თარგმანს, რომელიც მხატვრულად სუსტია, წინ უძღვის წინასიტყვაობა და აგრეთვე ბოლოსიტყვაობა, რაც კომედიის კრიტიკულ განხილვას წარმოადგენს. ამრიგად, მთარგმნელი წინამძღვარიშვილზე გამოვიდა იმავე დროს გრიბოედოვის პირველ კომენტატორის როლში, მან პირველმა აუხსნა ქართველ საზოგადოებას კომედიის პროგრესულ იდეათა მნიშვნელობა.

კომედიის მეორე მთარგმნელად გვევლინება ცნობილი ქართველი დრამატურგი გიორგი ერისთავი, რომელიც თარგმნას 1863 წ. შეუღდა. თარგმანი

დაუსრულებელი დარჩა, რაც დიდად სამწუხაროა, რადგან გადმოთარგმნილი ნაწილები მხატვრულად მაღალ დონეზე დგანან.

უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილ იქნა კიდევ დაუსრულებელი თარგმანი ლექსად და პროზად, რომელიც ალ. ყაზბეგს ეკუთვნის. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმში ინახება. ფიქრობენ, რომ სამოცდაათიან წლებზე გვიან არ უნდა იყოს შესრულებული თარგმანი.

კომედიის სრული ტექსტი ლექსად სთარგმნა მწერალმა ქალმა დ. განდგვილმა 1902 წელს საქართველოს დრამატული საზოგადოების შეკვეთით. ეს თარგმანი რედაქტირებულია ილ. ჭავჭავაძის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვენი განდგვილის თარგმანს საკმაოდ დიდ შეფასებას აძლევენ, უნდა ითქვას, რომ დღეს ვერც ეს თარგმანი შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

საქართველო ჯერ კიდევ ელის გრიბოედოვის უკვდავი კომედიის ღირსეულ მთარგმნელს.

ყოველივე ზემოთქმული საკმაოდ ადასტურებს იმ პატივისცემას, რომლითაც გამსჭვალული იყო ქართველი საზოგადოება დიდი რუსი პოეტისა და გრიბოედოვის მიმართ.

რომის დაინება „ვაი ჭკუისაგან“

გრიბოედოვის სახელგანთქმული პიესის შემოქმედებითი ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სიღ და როდის იქნა შედგენილი მასი აღრინდელი რედაქცია. მაგრამ მიუხედავად ამისა, აქამდის ვერ მოხერხდა ამის თაობაზე საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებების დადგენა.

გრიბოედოვს მეგობარი — დ. ბეგიჩევი თავის მოგონებებში, რომელიც ორმოცდაათიან წლებში დაწერილი, ვადმოგვცემს, რომ 1823 წლის მარტში, როცა გრიბოედოვი რუსეთს ჩავიდა, მას დაწერილი ჰქონდა კომედიის პირველი ორი აქტი, ხოლო დანარჩენი ორი აქტი გრიბოედოვმა დაწერა დ. ბეგიჩევის მამულში (ტულის ოლქი). ამ ცნობის საფუძველზე — პოეტის მთელმა რიგმა ბიოგრაფებმა — ეს გარემოება აღიარეს ფაქტად, მიუხედავად იმისა, რომ ბეგიჩევის ცნობას არცერთი სხვა წყარო არ ადასტურებს.

ამასთან ერთად ჩვენ მოგვემოვება გრიბოედოვის მეორე მეგობრის თ. ბულგარინის ცნობაც, რომელშიაც იგი ამტკიცებს, რომ გრიბოედოვმა თავისი კომედია „დაამთავრა თბილისში 1822 წელს.“ ამ ცნობას აქვს სათანადო საფუძველი. ცნობილია, რომ 1825 წლის დასაწყისში ბულგარინის უშუალო მონაწილეობით, მის ორგანოში დაიბეჭდა ნაწყვეტები უკვდავ კომედიიდან. ცხადია, გამომცემელი ყველაზე უფრო მეტად დაინტერესდებოდა ტექსტის ისტორიით. 1828 წელს გრიბოედოვმა თავის ნაწარმოების გამოცემა მიანდო იმავე ბულგარინს. ამ შემთხვევაში ბულგარინის ცნობა, მიუხედავად მისი საეჭვო რეპუტაციისა, საიმედოდ უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ მარტო ბულგარინი არ გვიდასტურებს ამ საგულისხმო გარემოებას, ცნობილი ლიტერატორი კ. პოლევოი, რომელმაც „ვაი ჭკუისაგან“-ის მეორე გამოცემას (1839 წელი), დაურთო წინასიტყვაობა „გრიბოედოვის ცხოვრებისა და თხზულებათა გამო“, ამტკიცებს იმავეს, — რასაც ბულგარინი. მაგრამ ცხადია, მეცნიერული სიზუსტისათვის არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მარტოდენ პოეტის მეგობრების ცნობებით. აუცილებელია ამ ცნობების დოკუმენტალური დასაბუთება, ამისათვის კი საბედნიეროდ მოგვეპოვება საჭირო მასალები. ისინი დაბეჭდილია ქართულ პერიოდულ პრესაში, მაგრამ სპეციალისტებმა არ მიაქციეს მათ ჯეროვანი ყურადღება.

გასული საუკუნის უკანასკნელ წლების უვლასაჩინო ქართველმა საზოგადო მოღვაწემ საძაგლიშვილმა, — ხელმოწერით გ. საძაგლოვაი-ივერიელი, — გაზეთ „ივერბაში“ 1893 წელს № 188, და უფრო გვიან „Весь Кавказ“-ში, ხელმოწერით „ე. კ.“, გაუზიარა მკითხველებს ცნობები „ვაი ჭკუისაგან“-იდან ვადმოწერილ ხელნაწერის შესახებ, რომელიც ეკუთვნოდა სულხანი-შვილების ოჯახს — სოფელ ცხირძისიდან (გორის მაზრა).

მოჰყავს რა დამახასიათებელ ნაირკითხვათა გარკვეული რიგი და მით შორის „Но мудрено из них один скронтъ—как ваш“, რომელსაც უმრავლეს ხელნაწერში ღიზა წარმოსთქვამს, აქ ამბობს სოფიო. ნაფიქროსი გვებტყობინებს ტექსტის საყურადღებო თავისებურებას — კერძოდ „Кронтъ—какъ вашъ“ წერის ქართული ქრონიკონით „და იწერა საქართველოში ი. ყ. კ. ბ. წელსა“, რაც ნიშნავს 1822 წელს.

თუ გავითვალისწინებთ ამ გარემოებას — მაშინ ცხადი ვახდება — გრიბოედოვის სამოცდაათიანი წლების საუკეთესო მკვლევარის გარუსოვის მტკიცება, რომ „ლოპუხინის ხელნაწერი მისი თავდაბირველი სახით მთლიანად დამთავრებული იქნა 1823 წლის დასაწყისში“. ნათელია, რომ ეს ტექსტი გადმოწერილი უნდა იყოს თბილისში დაწერილ ტექსტიდან. ბეგიჩევის დაუსაბუთებელ მტკიცებას — იმის შესახებ, რომ გრიბოედოვი მის სახლში სწერდა თავის კომედიას, უნდა დაესვას კითხვის ნიშანი. ჯერ ერთი, ყოველგვარი მოგონება, რომელიც ათეული წლის შემდეგ იწერება, არასოდეს არ გამოირჩევა სიზუსტით. ბეგიჩევის მოგონებათა ხარისხს თავის დროზე ყურადღება მიაქცია გრიბოედოვის ცნობილმა მკვლევარმა 90-იან წლებში პროფ. შლიაპკინმა, რომელმაც გამოისცა გრიბოედოვის ნაწარმოებთა სრული კრებული. ეხება რა პრინცი აბას-მირზას, რომელსაც გრიბოედოვი უწოდებდა: „ჩემი დიდი ავსმლომელი“, პროფ. შლიაპკინი შენიშნავს: „ს. ნ. ბეგიჩევის ცნობის მიუხედავად აბას-მირზა ისეთნაირად სცემდა პატივს გრიბოედოვს, რომ დადოდა მასთან მისი მუსიკის მოსასმენად, ესაუბრებოდა ჩვეულებრივ ამბებზე. ხელს უშლიდა მას მეცადინეობაში და სხვა“.

ბეგიჩევის ცნობანი რომ ნაკლებ სანდონია, ამაზე მივუთითებდით ჩვენც, ჩვენს წიგნში, — „გრიბოედოვი საქართველოშია და სპარსეთში“. (რუს.).

იმ აღგილას, სადაც ბეგიჩევი აღნიშნავს, რომ სპარსეთში გრიბოედოვის შთავარი მტერი იყო ალიარ-ხანი — მე. დიკუმენტალურად, საარქივო წყაროებზე დაყრდნობით დავადასტურებ, რომ პირიქით, ალიარ-ხანი იყო გრიბოედოვთან ყველაზე ახლო მყოფი პირი, რომლის მეშვეობით იგი ატარებდა თავის პოლიტიკას ირანში.

ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ „ვაი კჳუსიაგან“ პიესის პირველი რედაქცია დაიწერა თბილისში 1822 წელს.

პიესის ტექსტი, უკანასკნელ ფურცლებზე დაწერილი მთლიანად გრიბოედოვის, მიერ, ინახება მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. პიესის ხელნაწერის უკანასკნელ გვერდს გააჩნია ფირმის ჰვირვი და დათარიღებულია 1821 წლით. ეს უკვე საბოლოოდ გვისაბუთებს, რომ „ვაი კჳუსიაგან“ დიდმა რუსმა დრამატურგმა დასწერა თბილისში 1822 წელს.

იაკობ ბალაბაშვილი

„ვაი ჭკუისაგან“-ის პირველი ქართული თარგმანისა და ნაშრომების გავრცელება

გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში მწერალი ალექსანდრე (მუხლია) ორბელიანი ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი იყო თავის ბინაზე.

მასთან თავს იყრიდნენ: გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ რაზმაძე, ელიზბარ ერისთავი, ზაალ ავთანდილაშვილი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი და სხვები.

წრის წევრნი, საკუთარ თხზულებათა ვარდა, კითხულობდნენ და არჩევდნენ ამ წრეში როგორც ძველ, ისე თავიანთ თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმებს.

ამის გარდა ჯგუფი ეწაფებოდა უცხოეთის ლიტერატურასა და პერიოდიკას.

1832 წლის 21 იანვარს, თბილისში, რომან ივანეს ძე ბაგრატიონის სალონში, რუსულად წარმოადგინეს ბ. ს. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“.

ამ დადგამს გადააწყვეტინა ალექსანდრე ორბელიანის ლიტერატურულ წრეს ეთარგმნა და დაედგა ეს კომედია თავისი წრის ძალებით.

განზრახვა სულ მალე განზორციელებულა. გიორგი ერისთავის ანონიმი შეგობრის გამოთქვეყნებულ მოგონებაში ვკითხულობთ:

„(1832 წელს) დაიწყეს ყაწვილმა კაცებმა თარგმნა კომედიების და რაოდენიმე კიდეც წარმოადგინეს ალექსანდრე ორბელიანის სახლში, სხვათა შორის „გორე ოტ უმა“ გრიბოედოვისა“¹⁾.

ალექსანდრე ორბელიანის წრეს მუშაობა დიდხანს არ დასცალდა. 1832 წლის დეკემბერში „ფარული საზოგადოების“ გახსნის გამო ყრის წევრები დაპატიმრებულ იქნენ.

აღნიშნული წრის მიერ თარგმნილი გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ და-ცარგულია, ყოველ შემთხვევაში ჯერ აღმოჩენილი არ არის.

¹⁾ მოგონება ინახება ელისაბედ დავითის ასულ ერისთავთან. ელისაბედ ერისთავი შეიღობილია დრამატურგ გიორგი ერისთავთან და ასული დრამატურგ დავით გიორგის-ძე ერისთავისა („სამშობლოს“ იეტორისა), აღეშადა ზანდაზმულია და ცხოვრობს თბილისში, საბურთალოსზე. მასთან დაცულია გიორგი და დავით ერისთავების მდიდარი არქივი.

„მერანი“

ქართული ლიტერატურის საგანძურში ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ შევიდა ფილოსოფიური აზროვნებისა და მხატვრული შთაგონების მარადუქნობა ძეგლად. მის გენიალურს სტროფებში მომაჯადოებელი ძალით აელტრდნენ ადამიანური შემეცნების ყველაზე ურთულესი, უმადლესი განცდები და აზრები. „მერანში“ პოეტმა ჩააქსოვა და უმშვენიერესი ფორმებით გამოჰხატა არა მარტო მისი სულის პერსონალური თვითშეფოფობა, არამედ მთელი ქართველი ხალხის ისტორიული სახე, განცდები და მისწრაფებანი. ამიტომ ეს ნაწარმოები, მიუხედავად მისი ლირიკული ინტონაციისა, ღრმად ნაციონალური მოვლენაა. პოეტის სუბიექტურ სამყაროსთან ერთად „მერანში“ ხორცშესხმულია ქართველი ხალხის ეროვნული გულისძეგრა, ნამდვილად სახალხო იდეალები. რუსთაველის გენიალური ქმნილების შემდეგ მთელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში არ გვევლება მეორე ძეგლი, რომელსაც ისეთი ცხოველი ინტერესი გამოეწვიოს და იმდენი მკვლევარი პელოდეს, როგორც „მერანს“. მისი ფილოსოფიური, მხატვრულ-ისტორიული და იდეური ანალიზი ყოველთვის იყო დაუცხრომელი ძიების საგანი. „მერანით“ თითქოს დამთავრდა ბარათაშვილის მთელი მხატვრული შემოქმედება. მასში დასრულებული სახე პოემა იმ განცდებში, ფილოსოფიურმა იტებმა და მხატვრულმა სრულყოფამ, რაც ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ გენიას შეადგენს პირველი ლექსიდან უკანასკნელ სტრიქონამდე. მიუხედავად იმისა, რომ ქრონოლოგიურად „მერანი“ არ არის უკანასკნელი ლექსი. მის შემდეგ პოეტმა შექმნა მრავალი ნაწარმოები და მათ შორის საოცარი ძალის „სული ბორბოტ“. „მერანის“ მაგორული ხმა, მისი პოეტური ინვენტარი, ლექსალური სამკაული, უდრმესი აზრები, გმირული სულისკვეთება, ბრძოლია და გამარჯვების ყიყინა რაღაც უცნაური ძალით იზიდავენ მკითხველს და მის ფიზიკურ არსებაში არ სტოვებენ არც ერთ ნერვს, რომ არ შეარხიონ, არ განაცდევინონ, არ აგრძნობინონ!

სულს რაღაც სპარტანული სიძლიერე და მთლიანობა, გაუტყველი აუბისყოფა და შინაგანი სიდიადე სჩანს ბარათაშვილის შემოქმედებასა და პიროვნებაში. როცა ბარათაშვილას პირად წერილებს ვკითხულობთ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს მისი ჯადოსნური ლექსების პროზაულ თარგმანებს ვეცნობოდეთ. ვკითხულობთ მის ლექსებს და გვგონია, რომ ეს არის მისი განმაცვიფრებელი პირადი წერილების ამეტყველებს უმადლეს პოეტურ ენაზე. ბარათაშვილი მთელი არსებით განსახიერდა თავის დიდ შემოქმედებაში, მისი გონებისა და სულის ყველა ძაფი ისე ორგანულად ჩაექსოვა ყოველ სტროფს და სტრიქონს, ყოველ პოეტურ ნიუანსს, რომ თითქოს იგი ფიზიკურადაც კი შეუერთდა მათ. ასეთი დიდი ამოსუნთქვის

შემდეგ მას თითქოს სუნთქვა აღარ შეეძლო, ხოლო გულსა და გარეგანს — შემოქმედებით წვა. მისი ფიზიკური არსება ამ დიდ შემოქმედებად გადასახიერდა.

ქართველი რომანტიკოსებიდან ბარათაშვილი ყველაზე უფრო ადრე პოეტი და დიდი ფილოსოფოსია. მის მხატვრულ შემოქმედებაში ფილოსოფიური აზრი ისე ორგანულად ექსოვება მხატვრულ სახეს, რომ ეს უკანასკნელი ფილოსოფიურ თეზისად გვევლინება მთელ რიგ ლექსებში. ამ ფილოსოფიას პოეტი სშირად ეხება თავის პირად წერილებშიც. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ 1837 წელს გრაფოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში ბარათაშვილი გამოხატავდა იმავე ფილოსოფიას, რაც მთელი მისი შემოქმედების იდეურ ქვაკუთხედად იქცა. პირადი ცხოვრებით გულგატეხილს, რომელსაც დაუშვსებრავს „ცისარტყელისებურ ოცნებაში“ წარმოდგენილი მომავალი — არც ჯარისკაცი გახადეს და არც უნივერსიტეტში გაგზავნეს, უნებლათ არ წარმოუთქვამს ბელთან ბრძოლის ესტრაგიკული სიტყვები: „...დაუფიქრობილდი ჩემს შკაცრს ბედსა, თუმცა ხანდისხან დავაპირებ ზვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი ან ჩემი სურვილის აღსრულება“. ეს „ან-ან“ ბარათაშვილის პოეზიის იმ ფილოსოფიურ მაჯისცემად იქცა, რომელმაც ერთნაირი ძალით დაუღო სათავე მის შემოქმედებაში იდეალიზმსა და შატერიალიზმს, რომანტიზმსა და რეალიზმს, მსოფლიო სევდას და მშობლიური ქვეყნის გულსტკივილს.

ბარათაშვილი მთლიანი და განუყოფელია, როგორც ადამიანი და პოეტი, მოქალაქე და ზელოვანი. თავისი დროის ქირეარაში იგა გაუბზარავი და გაუტეხელი დარჩა. საერთო მოღუწება მას არ დამჩნევია. მისი გონება შემთხვევით როდი ამჩნევდა და სიხარულით აღნიშნავდა, რომ „საზოგადო სული“ ცოცხლობდა, რომ მაშინაც კი „ქართველთ არ ეძინათ გონებით“. 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ გამეფებულმა საზოგადოებრივმა ინდიფერენტისმმა ვერ მოდრიკა იგო და ვერ ჩაახშო მისი დიდი სულის დიდი ღელვა. ის ყოველ წერილმანშიც კი შალაღი სჩანდა, ყოველ წარმავალში — უკვდავი და გენიალური. ბარათაშვილი ადამიანურ კეთილშობილებას და მოქალაქე-მხატვრის მთლიანობას მოწმობს მისი სამსახურებრივი ინტელერანტობაც. რა უნდა ყოფილიყო ამ გენიოსისათვის „Экспедиция суда и расправы“, ან ის საცოდავი „სტოლონაჩალნიკობა“, სადაც ჰაბუკმა პოეტმა დღეები კი არა, წლები გაატარა. მაგრამ ჩვენთვის აღარ არის გასაკვირი, რომ „ფიქრნი მტკერის პირას“ ავტორი, რომელიც ამ ლექსში საერთოდ ადამიანობისა და კაცურ-კაცობის უმშვენიერეს, უმაღლეს ფილოსოფიას რუსთველური ლექსის სიმღერით გაძლევს, კანცელარიის დაბალი მოხელის პოსტზედაც გვევლინება მალაღამიანად. ამ ფაქტით განცვიფრება მხოლოდ მის უფროსებს პოზენსა და ელზსკის შეეძლოთ. პირად ცხოვრებაში რა დარდიმანდი ან დაუღეგარიც უნდა ყოფილიყო, ბარათაშვილი, თვითონვე სწერდა თავის თავზე: „...ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისებზ სხვისაც მიჯავრება. ქეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ექნა, რა გაეწყობა მსოფლის ბრუნვას...“ ამ „სოფლის ბრუნვას“ ბარათაშვილმა მსოფლიო მნიშვნელობის შედეგები უძღვნა და მთელი ეს ფილოსოფია, დაწყებული პითაგორელების პარამონიული თეორიიდან, დღემდე მვილის ლფიკურ კატეგორიებამდე, უღრმესი ქეშმარიტებით გამოხატა:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი შევდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

ეს ფილოსოფია კულმინაციურ წერტილს აღწევს „მერანეს“ მღელვარე სტროფებში. ამ ფილოსოფიას თავისი დიდი ისტორიული მნიშვნელობა ღრმა ფესვები აქვს. იგი დაიწყო მარტოობის მწუხარე განცდიდან და მივიდა თავგანწირულის სულსკვეთების ფილოსოფიამდე. ბარათაშვილი თავის თანამედროვეთა შორის სულთი თბოლი იყო „ამ საესე და ვრცელ სოფელში...“ ფიზიკური თბობა მისთვის არ არსებობდა, მაგრამ იყო სულთი თბობა, რომელიც მისთვის გადაულახავ დაბრკოლებად იქცა. მან შინც შეინარჩუნა სულის სიმტკიცე და ბრძოლას უნარი. ის ვეტერანი მებრძოლივით აღამართა თავის დემონის წინაშე და დაამსხვრია ადამიანური შიშის ყველა კერპი. ოდესღაც, ჭაბუკობაში ეს დემონი მას იღუმალი სახით ევლინებოდა, რომელიც საშვენ მხვედრს ჰპირდებოდა. მაგრამ ეს დემონი პოეტს ჯერ კიდევ არ ჰყავდა შეცნობილი. მან არ იცოდა, ვინ იყო იგი, მფარველი ანგელოზი, თუ მაცდური ეშმაკი. მაგრამ ჭაბუკი მზად იყო შეხვედროდა მას და ეთქვა:

„ენცა ხარ, მარკვი, რას მომიწყაებ?
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმადებ?
რომ ესენა მე შენი საიდუმლობა,
რომ მხედეს ამ სოფლად ჩემი წილობა“.

მაგრამ საშვენი მხვედრის ძიებას თან დაჰყვა ის „ან-ან“, ეჭვი და მიზანმიუღწეველი სწრაფვა, რაც „ხმა იღუმალიდან“ შემდეგ განიცრთ ბარათაშვილის მთელს შემოქმედებაში. 1836 წელს დაწერილს ამ ლექსში პოეტმა უკვე ვარკვევით გამოჰხატა ის იდეა, რომელიც 1843 წელს „სულთ ბოროტობაში“ მთელი სისტემის სახით ჩამოაყალიბა. რომ ის მხვედრს ვერ ჰპოულობდა, რომ ამის გამო კავშანს ვერ იზორებდა — ეს პოეტისათვის ცხადი იყო 1836 წელსაც. მაგრამ ამ დროს მან ჯერ კიდევ არ იცოდა ეს „შეუწყალის სინიდასის“ დევნის ხმა იყო. თუ სხვა რამ. ყოველ შემთხვევაში, ის ვერ პოულობდა თავის არსებაში საყრდენს ამ უწყალო დემონისას, ვინაიდან გრძნობდა: „მე ჩემში ვერ ვბოვებ ავსა, მის საშფოთელოს და საქენჯანას“. ეს დრამა სწამდა პოეტს. მისი სული მართლაც ისე ფაჭიზი, კეთილშობილი და ჭეშმარიტად გმირული იყო, რომ თავშესაფარს არ მისცემდა ბოროტ ძალას. ეჭვს შეეძლო გამოეძახებინა იგი, მოეთხოვა მისგან პირისპირ დადგომა, ნიღაბებს ჩამოხსნა, მკაცრად დაეპირისპირებინა აღთქმანი და შესრულება, მაგრამ მოკლებული იყო უნარს გაეზზარა პოეტის მაღალი სულას კრიალა სარკე, რომელშიც ჯერ დემონს ვერ ჩაეხედა და რომელსაც სემირამიდის ზღაპრული ბაღის მშვენიერებად ეხატებოდა მომაელი. ისე მაღალი და გმირული იყო ეს სული, რომ დემონმა ოდნავაც ვერ შესძლო მასში შეღწევა, ასე ჩავიდა გენიოსი საფლავში და მას სულის არც ერთბ ჭსოვილი შებღალული არ ჩაჰყოლია.

იღუმალი ხმა პოეტმა 1843 წელს შეიცნო, მაგრამ ბოროტის სახით, რომელმაც მას წაართვა სულის მშვიდობა, მოუკლა ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება და გადაეჭრა „გონებისა და სიცოცხლის აღმამფოთრად“. განა ამას უქადა ეს იღუმალი ხმა მის ცხოვრებას, ყმაწვილ-კაცობას? იგი ხომ ჰპირდებოდა „ამა სოფლად თავისუფლებას“, ტანჯვათ შორის სიამეს და

თვით ჯოჯოხეთის სამოთხედ გადაქცევას. მაგრამ დემონმა არ დაინდო მისი „წრფელი ზრახვანი“. და როგორც უმძაფრეს ბრძოლაში სუსტადი-ლო შეტაკებისათვის აბჯარასხმული რაინდი, ბარათაშვილიც ასევე შეშინდა და ბოროტ სულს:

„სად ხარ იღმშფოთო, მბასუხე, ნუ იმალები,
რატომ გაცუფდა ძალი შენი მომჯადოები?“

ბედთან შეურიგებლობა, თავგანწირული ბრძოლა და ქედმოუხრელობა ბარათაშვილის მთელს პოეზიაში მის პესნიმისტურ მანგებთან ისეა შეკრი-ლი, როგორც აფორიაქებულ ზღვაში სწრაფმავალი ზომალდი, რომელიც ზღვის გააფთრებას და ტალღების გრიალს ოდნავაც არ ემორჩილება, უშინარად სძლევს მათ და განაგრძობს თავის შეუბოვარ სვლას ბუნების სტიქიაში. თუ ლექსში „ფიჭრნი მტკერის პირას“ ბარათაშვილი იონელი ბრძენის სიღინჯით ფილოსოფიურ ასპექტში სწყვეტს ადამიანური დანიშ-ნულების პრობლემას და უქმყოფილების, სულიერ ზრახვათა უსასრულო-ბის, ამაოების კორინტელში გაბედულად პოულობს პრაქტიკულ ცხოვრე-ბასთან დაბრუნების ერთადერთ ჭეშმარიტ გზას, როცა ჩაგვაგონებს უღრ-მეს ჭეშმარიტებას: „მაგრამ რადგანაც კაცნი გექვიან — შეილნი სოფლისა, უნდა კიდევა მივიდით მას, გვესმას მშობლისა, არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს; იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზ-რუნოს!“ ლირიკულ სიმღერებშიც, ყველაზე უფრო სათუთსა და პირადს განცდებშიც იგი ასეთივე ვაჟკაცური, პირდაპირი და უმაღლესობამდე ადა-მიანურია. პოეტი განდგომის ფილოსოფიას არ აყენებს, როგორც ბედისა-გან ან გასაჭირისაგან გაქცევას. სადაც კი ლაპარაკია წუთისოფლის, მშო-ბელი ჭეყენის, საყვარელი არსებობისაგან განშორებაზე, არა ნებნისყოფის სისუსტის ან ბრძოლაში შიშის გამო, არამედ ერთადერთი აზრით — ჰო-ვოს უკეთესი, მაგრამ ჰოვოს არა ლაჩრულად, არამედ ბრძოლით, თავისი ადამიანური ღირსების შესაფერისად. ამიტომ უმშვენიერეს რომანტიკულს ქმნილებაში „მიყვარს თვალები მიბნედილები“ მრავლისმეტყველად გაის-მის პოეტის სიტყვები:

„მივხედი თვალებო, ჩემო მკვლასებო, მკვ თქვენსა ქცევას,
მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდლის, თქვენგან გაქცევას?“

ბარათაშვილისათვის უცხოა ეს გაქცევა და თუ 1842 წელს დაწერილ ამ ლექსში, ლირიკულ სიმღერაშიც მან ჩვეული გაშვებობივ წამოაყენა შეურიგებლობის ეს მკაცრი ფილოსოფია, „მერანში“ იგი უმაღლესობამდე განავითარა.

ადრინდელს ლექსებში ბარათაშვილი ყოველთვის გარკვეულ მიზანს ისა-ხავდა და ეს მიზანი შედარებით უმცირესიდან, პატარა იდეური საწყისი-დან თანდათან ვითარდებოდა და მალდებოდა. ჭაბუკობის დროინდელს ლექსში „ბულბული ვარდზედ“, რომელიც 1834 წელს არის დაწერილი, პოეტი ამბობს:

„შონდა მკირე წადილი, ვერ მივხედი კი ძნელობას;
მურდა გაშლა ვარდისა, არ ვფიჭობდი დაქნობას!“

ერთი წლის შემდეგ დაწერილს ლექსში „ქეთევან“ ისევ ამ ვარსა და სუსხზეა დაბარაჲ: „რად დაძიქენ მე ყვაფილი ყმაწვილობის, ვერ უშლელი?“ — კითხვლობს პოეტი და დიდი რომანტიკოსივით ეტყუებოდეს. პასუხს, გამოსაეილს მღგომარეობიდან:

„ეს ნუგეშს მცემს, საყვარელო,
რომე არის სხვა სოფელი:
ოდეს ჰქნა, რომ ვარ უბრალო,
შოვედ, შოვედ, მუნ მოველი!“

ეს მიზანი პოეტმა ვერ ჰპოვა და იგი „მერანში“ გვაძლევს მღვდვარე სულს. უდიდეს შემბრძოლებას მუხანათ ბედთან, რომელმაც პოეტს სი-
ცოცხლე გაუშწარა და არ მისცა საშუალება ებოვა თავისი მხვედრი.

„მერანის“ პოეტური სახე ისე ღრმა და ორიგინალურია, ისე ნამდვი-
ლად ნაციონალური და თვითმყოფია, რომ ვერც ერთი კრიტიკოსის ძიე-
ბა — ებოვა მისი პროტოტიპი, წარმატებით ვერ დასრულდა. ამოდ შრომად
მოგვაჩინა ასეთი ძიება. კიტა აბაშიძემ სცადა დაემტკიცებინა, თითქოს
ბარათაშვილმა, დიდი პოლონელი რომანტიკოსი პოეტის ადამ მიცკევიჩის
„ფარისის“ გავლენით დაწერა თავისი გენიალური ლექსი. მაგრამ ეს შე-
ხედულება სწრაფად იქნა უარყოფილი, ვინაიდან მას მტკიცე საყრდენი
არ გააჩნია. სამაგიეროდ, ის გარემოება, რომ „მერანში“ ჩვენ არავითარი
გავლენა არა გვაქვს, არც მიბაძვა და არც განმეორება, განა უფლებას
გვაძლევს ვამტკიცოთ, თითქოს რაიმე საერთოდ არ არსებობდეს მსოფლიო
ლიტერატურის ამ ორ უდიდეს ძეგლს შორის? რა თქმა უნდა, ბარათაშვი-
ლის „მერანი“ მაღლა სდგას მიცკევიჩის „ფარისზე“ როგორც ფილოსო-
ფიური საღრმით, ისე მხატვრული სამკაულით. მაგრამ არ არის მართებუ-
ლი ჩვენი ზოგიერთი კრიტიკოსისა და ისტორიკოსის შეხედულება, თით-
ქოს „აბსოლუტურად განსხვავებულია ამ ორი ნაწარმოების პოეტური მო-
ნაფიქრი, იდეური მიზანდასახულება, განცდათა რკალი და მხატვრული
ქსოვილი“. ჩვენის აზრით, „მერანისა“ და „ფარისის“ პრობლემა მსოფლიო
ლიტერატურას მთარული თემაა და თუ რაიმე მსგავსებას ეპოულობთ
მათ შორის, ანდა შილერისა და ეტკოვსკის ანალოგიურ ლექსებში, ეს არ
ნიშნავს გავლენას ან გადმოღებას. დაკვიწყებული ტიმოფევიჩის „მხედარის“
ოდნავი შეპირისპირებაც, თითქოს მან ერთგვარი ბიძგი მისცა ბარათა-
შვილსო, უსაფუძვლოა და არ შეიძლება იმით დავასაბუთოთ, რომ პოეტმა
მას იცნობდა. მართალია, „მერანი“ უაღრესად ნაციონალური ნაწარმოე-
ბია, მაგრამ იქ ისეთი დიდი პრობლემა წამოყენებული, რომ არ იფარგ-
ლება მარტოოდენ ერთი ქვეყნის, ერთი კუთხის მასშტაბით. მასში მსოფ-
ლიო მნიშვნელობას იღებენა გაშლილი უაღრესად ნაციონალური ნაწარმოე-
ბისა, გენიალური შემოქმედებითი ოსტატობით, და ამაშია „მერანის“ ორიგინა-
ლობის უძლიერესი მხარე. მეორეს მხრივ, ლიტერატურის ისტორიის წინა-
შე ტენდენციურ დამოკიდებულებად მიგვაჩნია მტკიცება, თითქოს „მერა-
ნისა“ და „ფარისის“ არც ერთი მხატვრული სამკაული, არც ერთი ეპიტე-
ტი მსგავსი არ იყოს, მაშინ, როცა გვეუბნებიან: „მერანში“ გვხვდება მთე-
ლი რიგი რემინისცენციები სხვადასხვა პოეტური ძეგლიდანო. ჩვენ, პირა-
ქით, გვგონია, „ფარისისა“ და „მერანს“ შორის ზოგიერთი მსგავსება არსე-
ბობს. მაგრამ განა ეს ცუდია ერთისათვის ან მეორისათვის? ეს ოდნავაც

არ ამდაბლებს მათ ღირსებას, ისევე როგორც არაფერს მატებს. ვინაიდან აქ არავითარი გავლენა, არავითარი მიბაძვა არ არის. არის მხოლოდ ზოგაერთი პოეტური სახის უნებლიე დამთხვევა. ასეთ შეხვედრებზე უნდა იქნებოდნენ მაგალითი იცის არა მარტო ლიტერატურის, არამედ გაზოგადი ცენტრების ისტორიამაც. ცნობილია, რომ გენიალურმა ლომონოსოვმა ლაეუაზიეზე ადრე აღმოაჩინა ნივთიერების მარადსობის კანონი, ხოლო მისგან დამოუკიდებლად დიდმა ფრანგმა ქიმიკოსმა ექსპერიმენტით მიიღო ანალოგიური შედეგი. თუ აქ შედეგთა აბსოლუტური ერთიანობა მეცნიერებას არავითარ საფუძველს არ აძლევს ამტკიცოს ლომონოსოვის გავლენა ლაეუაზიეზე, ვანა რამდენიმე მხატვრული სახის უნებლიე დამთხვევა შეიძლება მივიჩნიოთ გავლენად ან მიბაძვად? მეტი შეიძლება ითქვას. ფრანგული პოეზიის ტიუტჩევა, — რენე ფრანსუა არმანმა „მერანის“ დაწერიდან ორი ათეული წლის შემდეგ შექმნა თავისი სახელგანთქმული „ჰენება“, რომელიც ძლიერ უახლოვდება ბარათაშვილის გენიალურ ლექსს. როცა რენე არმანის — სიული პრედომის „ჰენებას“ რუსულ თარგმანს კითხულობთ, ოდნავი ეჭვიც არ გებადებათ, რომ იგი „მერანის“ სრული მიბაძვითაა დაწერილი, თუმცა ჩვენ არაფერი ვიცით — იცნობდა თუ არა ფრანგი პოეტი ქართული გენიოსის ლექსს. უფრო გვეონია, რომ სიული პრედომის ლექსი დაწერილია იმავე მოარულ თემაზე, როგორც ბარათაშვილისა, მაგრამ ფრანგულ ლიტერატურაში ფილოსოფოსად ცნობილმა პოეტმა ეს პრობლემა ისე ვერ გაშალა, როგორც „მერანის“ ავტორმა, თუმცა მათ შორის არა მარტო მსგავსება, ან უნებლიე შეხვედრები, არამედ ხშირად სრული იგივეობაც კი არსებობს. ჩვენ მთლიანად მოვიყვანთ ამ ლექსის რუსულ თარგმანს და გავარჩევთ, თუ როგორია ეს შეხვედრები და მსგავსება.

აი სიული პრედომის მთელი ლექსი „Вскачь“:

„Мчась мой конь, вздымая искры огненным дождем!
По горам и по долинам вихрем промелькнем!
Пусть далеко раздвется стук твоих копыт,
И его собою звонко эхо повторит.
Нам навстречу свищет ветер и журчат струи,
Ты окрасил злой певой удилы свои,
Но вперед летишь ты смело через лес и дол,
Как в своем полете быстром царственный орел.
Так стеной необозримых вольные сани
Мчатся бешено в набеги, удалью полны;
И вперед стремится каждый, мужеством объят.
Для себя не признавая никаких преград,
Уноси меня в пространство! Жажду грудью всей
Я ухнуть на свободе в воздухе полей,
И с какой бы ты ни мчался страшной быстротой,
Я тебя опережаю пылакою мечтой.
Ураганом, конь мой верный, бурей лети,
Сокрушая все преграды на своем пути!
Улетим туда, где слышен крик орлиных стай,
В неизведанную область, в незнакомый край!“

შკიბნევილი დაგვეთანხმება, რომ „პირბის მიმართუნს...“ და „МЧИСЬ, МОЙ КОНЬ“ ერთი და იგივე მიმართვაა. მსგავსებას გვაგრძნობინებენ ეს „ქარი-

შსლები, მთები, „წინ გაბედული ფრენა ტყესა და ველში“. ერთი და იგივე პოეტური სახეა — „შენს ქენებას არ აჭეს სამძღვარი“ და „Дня/ценя не признавая никаких преград“. ფრანგა პოეტი მიმართავს ფრენს ცხენს და უბრძანებს წაიყვანოს სადღაც შორს, სრულიად უცნობ მხარეში, კეთილი ლექსი ძლიერ ენათესაება „მერანს“, მაგრამ სულ სხვია მისი ფილოსოფიური იდეა და სოციალური დიაბაზონი. აქ, პირველ ყოვლისა, თვალში გვეკმათ უკიდურესი ინდივიდუალიზმი და განსაზღვრულობა.

ძირითადად ასე წარმოგვიდგება ამ ორი ლექსის მსგავსება და განსხვავება. არავინ იფიქროს, თითქოს ეს ფაქტი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ რაიმე საერთო, არსებობდეს ბარათაშვილსა და პრუდომს შორის. არა, ეს ფაქტი იმას მერყველებს, რომ „მერანის“ თემა მოარულია და თუ ჩვენ იმით დაინტერესდებით, რომ პარალელები ვეძიოთ, ასეთ შეხვედრებს ყველა ერასა და ხალხის ლიტერატურაში ვნახავთ. მაგრამ ეს ძიება იმასაც გარკვევით გვეტყვის, რომ მსოფლიო ლიტერატურაში „მერანის“ თემა არავის არ მოუცია ისე ღრმად, ძლიერად და უნივერსალურად, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილს. ამ მხრივ „ფაუსტი“ და „მერანი“ განუმეორებელ ძეგლებად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ „ფარისს“. ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ რომ სრულიად სხვა მიზანდასახულების, სხვა მხატვრული და იდეური მონაცემების პოეტური ძეგლია, ვიდრე მიცკევიჩის პოემა, რომ მათ შორის არსებობს მხოლოდ რამდენიმე უნებლიე შეხვედრა, ჩვენს თავს უფლებას მივცემთ მოკლედ დავახასიათოთ „ფარისი“.

მიცკევიჩმა „ფარისი“ მიუძღვნა ტაჯ-ულ-ფეხრს, — რენეგატ გრაფს ვენცესლავ რუჟეფსკის, რომელმაც აღმოსავლეთში სახელი გაითქვა და ემპირის სახელწოდება მიიღო. „ფარისი“ წარმოადგენს კასიდას — იგი პოემის მსგავსი ლექსია, თვით „ფარისი“ კი ნიშნავს არაბ მხედარს. ჩვენს წინაშეა „ფარისის“ პოლონურიდან თარგმანი, რომელიც ნიჟიერმა პოეტმა ბენედიქტოვმა შეასრულა. იგი შეტანილია ადამ მიცკევიჩის თხზულებათა ყრბებულის ცნობილი ოთხტომეულის მესამე გამოცემაში, რომელიც 1913 წელს გამოვიდა.

„ფარისის“ მოკლე შინაარსი ასეთია: ფრილო კლდიდან თავაწყვეტილი მიექანება არაბი მხედარი — ბედუინი თავისი ცხენით და მიჰქრის სადღაც შორს, დასავალში, ეძებს ვარსკვლავების იმ საოცნებარ ქვეყანას, სადღაც ჯერ აღამიანი არ ყოფილა. „ფარისის“ ცხენი მიფრინავს, როგორც ჯადოქრული ზღაპრული რაში:

„Шибче! Шибче! Он скользит,
До песку едва касаясь.
Дальше! Дальше! поднимаясь
С вихрем пыли, он летит“.

მიცკევიჩის ფარისის ცხენი შავია, როგორც ჭექა-ქუხილის მუწყებელი ღრუბელი, შებლზე კი ვარსკვლავი უბრწყინავს, როგორც დღის სინათლე. იგი ასე მიჰქრის, თითქოს

„Конь — огонь; мелькают ноги,
Лес и горы! Прочь с дороги“.

ეს სტრაფი მცირედი ცვლილებით მთელს კასიდაში რეტეჩენი არის ქცეული. ფარისს ზგაზე ზედება პალმა, რომელიც მას ამოდ სთავაზობს ჩრდილსა და ნაყოფს. დაუდგრომულა ცხენი მაინც წინ მისწრაფებს. მალ-მას შერცხვა და თავის თაზისში მიიშალა. უდაბნოს საზღვართან ფარისს შესცქერაინ ფრიალო კლდეები, რომლებიც მას ეუბნებიან ხელ აიღონ გიჟურ და უახრო განზრახვაზე, ვინაიდან იქ, სადაც მხედარი მიისწრაფვის,

„Только скалы там ночуют;
Только звезды там кочуют“.

მაგრამ ფარისი როდი ისმენს ამ შექარას. იგი კვლავ შემოჰკრავს ცხენს და უფრო სწრაფად გაფრინდება. უკან მოიხედავს, მაგრამ სადღა არიან ის ფრიალო კლდეები, — ძლივსლა შესამჩნევი გამბდარან შორს, ჩრდილში. ამ დროს მხედარს წამოეწევა ძერა, რომელმაც გააგონა ფრიალო კლდეების შექარა და დარწმუნდა, რომ ბედუინი დაიდუბოდა და მას ტყვედ ჩაივდებდა. ძერა გამოედუნება მხედარს შესაპყრობად. ფარისის თავზე ის სამჯერ გააკეთებს შავ წრეს. მას ეჩვენება, რომ მსხვერპლს ლეშის სენი სდის და მალე მართლაც ლეშად გადაიქცევა. მისთვის „ეს ცხენიც და ეს მხედარიც ბრავყია“, თორემ არ მოვიდოდნენ ამ ადგილზე, ვინაიდან:

„Только трупы здесь ночуют,
Здесь лишь коршуны кочуют“.

ძერის ბრწყალეობა მხედარს თვალწინ გაუეღვეს. მათ სამჯერ შეხედეს ერთმანეთს. მაგრამ ვინ ვერ გაუძლო ამ ცქერას? ბრძოლაში მარცხდება ძერა, კვლავ იმარჯვებს შეუპოვარი ფარისი. ცხენი წინ მიბრბს. ტყეებისა და მთების შემდეგ ახლა უკან დარჩნენ კლდეები და ფრინველები. თავგამეტებული ფარისი მიჰქრის. აი მზის ქვეშ უცბად გუდივით გამოჩნდა ღრუბელი, რომელსაც ფარისივით სურს მიიღწიოს ცისიერს და ემუქრება მხედარს, რომ ის განწირულია დასაღუბავად. ფარისი არც ამ შექარას იამენს. უფრო სწრაფად მიჰქრის, ხოლო ღრუბლის სრბოლა უფრო დაბალი და სუსტი ხდება. მალე ეს ღრუბელიც, დაღლილი და დამარცხებით გაბორბტებული, ფრიალო კლდეს შეაფარებს თავს. რათა დამალოთ თავისი სარცხვილი. ცხენი კვლავ წინ მიჰქრის. უკან ჩქებიან ვრინველები და ღრუბლები. ფარისი ირგვლივ იცქირება ისე, როგორც მსოფლიო სივრცეში იხედება მზე და უკვე აღარც ერთი მღვვარი აღარ სჩანს. რომ მას შეეჯიბროს, ან დაეჭილოს. ასეთი მეტოქე აღარც მიწაზეა და აღარც ეთერში. აქ მთელი საუკუნეების მანძილზე ბუნებას მარადილი ძილი ჰთავაჯს. აღამიანთა ნაბიჯების ზმაური მას ძილს ვერ უფრთხობს. მსოფლიო სტიქია, უმოძრაო და მუნჯი, მარადიულად სთვლავს სიჩქმეში. ფარისის შიზლოვებაც მას ვერ მოიყვანს მოძრაობაში. მაგრამ ფარისი გრძნობს, რომ იგი პირველი არ არის, ვინც აქ მოვიდა. ქვიშა ვილაცა ამოუთხარია სჩანს ორმოები და მიწაყრილები. მათ ეფარებიან ჩასაფრებული მტაცებლები, რომლებიც მსხვერპლს ელოდებიან. ფარისი ხედავს მხედრებსაც და იჩენებსაც. ისინი იხრწნებიან. უახლოვდება და გრძნობს: უმოძრაოდ ჰყრიან ეძახის, მაგრამ სდუმან. მარტოოდენ ჩონჩხები და გვამებია. ქარიშხლის

მიერ ოდესღაც დაფლული ქარავანია. აი მგზავრის ჩონჩხი აქლემის ჩონჩხზე ზის და უჩუდ, ბოროტი საყვედურით ეჩურჩულება მას: „გაგონებულა ბედნიერი მარტოდ მარტო საით მიფრინავ?“ „ხომ ბედავ ქვეყნების მელებს? აქ ურაგანების სამფლობელოა მძლავრი გრიგალი... მკვლელები!“ მაგრამ ფარისი მასაც უშიშრად ხედება, მაინც წინ მიჰქრის. უკან დარჩნენ გვაშები და გრიგალები. უცებ გამოჩნდება ამ ქვეყნების მთავარი დამანგრეველი, ჭირვეული ურაგანი, რომელიც ფარისს დაღუპვით ემუქრება. ურაგანი აღწფოთებულა, თუ როგორ გაბედა ვინმე ფრენა იმ ადგილებში, სადაც მისი სამფლობელოა. იმართება უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლა. ურაგანი მთელი ძალით დააცხრება მიწას, ისეთი ხმაურით, რომ მთელს არაბეთს შესძრავს. იგი ცდილობს ქვეშაში ჩააფლას თავზედი მხედარი. ნახევრადამარცხებულა ფარისი კვლავ აღიმართება საბრძოლველად. უშიშმესი განსაცდელის წუთებში იგი ძალას იკრებს და როგორც დავითმა გოლიათი დაამარცხა, ფარისი ამარცხებს ამ გიგანტს.

დადლილმა მხედარმა აქ უკვე დაისვენა. იგი ამაყად უცქერის ვარსკვლავებს. ყველანი ოქროს თვალებით შეჰყურებენ მას, ვინაიდან უდაბნოდან ის ერთადერთია, რომლის ნახვაც მათ შეუძლიათ. „მთელი მკერდით ვსუნთქავ, — ამბობს ფარისი, — და მე მგონია, რომ მთელი არაბეთის ველის ჰაერი აქ მცირეა ჩემი გაუმაძღარი სუნთქვისათვის“. მას მხედველობაც უსაზღვროდ გაუფართოვდა. აზრები სულ მაღლა და მაღლა მიდნან. და ისე, როგორც ფუტყარი თავის ნესტარს ღრმად ასობს ხოლმე სხეულში, ხოლო შემდეგ ამ ნესტართან ერთად იქ გულსაც სტოვებს, ფარისის აზრსაც, როგორც კი ის ცისაკენ გაეშართა, უმაღვე სულიც დაედევნა.

ამით თავდება „ფარისი“. ადამიანი შეუერთდა მარადიულს და ფეითონაც მასში გაჰქრა. აზრმა შეიცნო არსი. თავგაშწირული ბრძოლით ფარისმა კოვა პირადი ბედნიერება. ასეთია „ფარისის“ ფილოსოფიური იდეა.

რომ არ ეიგრძნოთ „მერანისა“ და „ფარისის“ ზოგიერთი მხატვრული სახის შეხვედრა, თემატიურა შეხვედრაც, შეუძლებელია. მაგრამ, როგორც ვთქვი, „მერანი“ გაცილებით მაღლა სდგას „ფარისზე“ და აქ არავითარი გავლენა, ან მიბაძვა არ არის.

სულ სხვაა ბარათაშვილის „მერანის“ ფილოსოფიური კონცეპცია. ბარათაშვილის „მერანის“ ფილოსოფია არსებითად აყენებს იმავე ძირითად თეზისს, რასაც გენიალური ლექსი „შემოღამება მთაწმინდაზე“. ეს არის თეზისი აზრისა და არსის, „მესა“ და „არა მეს“ დამოკიდებულების შესახებ და მთელი ლექსი გარკვევით გვეუბნება, რომ მისი ავტორისათვის საესპოებით ცნობილია დებულება: თუ აზრმა არსი, ადამიანმა ბუნება ბოლომდე შეიცნო, მაშინ აზრი გაჰქრება და ადამიანი ითქვიფება ბუნებაში. მაგრამ მეორეს მხრივ, ადამიანის სული უსაზღვროა, იგი მისწრაფვის უმაღლესისაკენ. მას მსურს ჩასწვდეს ამ უმაღლესს. ხოლო თუ ეს სურვილი საბოლოოდ შიზანმიუღწეველია, სამაგიეროდ რჩება მუდმივი სწრაფვა და მისი პოზიტიური შედეგი, რომელიც წინ სწევს, აზრსა და დანიშნულებას აძლევს ადამიანის ყოფას, არსებობას, ცხოვრებას, აშშენიერებს და აკეთილშობილებს მას.

ამ ფილოსოფიას ეყრდნობა პოეტი და ამიტომ არის, რომ „მერანში“ უდიდეს ოპტიმიზმთან ერთად ისმის პესიმიზმის ჰანგიც. რა არის ან რა უნდა იყოს საოცარი იმაში, რომ ბარათაშვილს მეტბრძოლ ოპტიმიზმთან

ერთად თავის მიმე დროს ჰქონდა პენსიონისტური განწყობილება. სამაგიეროდ მან შესანიშნავად იცოდა თავისი მაღალი დანიშნულება, როგორც დიდ ოპტიმისტს, კარგად ესმოდა, რომ ნისლს ყოველთვის მუხსდევს მხიანი დღე, მომავალი არ შეიძლება ნათელი, უკეთესი არ იქნას. მხიანტობების აზრი უკეთესისაკენ არ მიდიოდა. თუ ბარათაშვილს თავის შემოქმედებაში პენსიაში მართლაც არა აქვს, როგორც ზოგიერთი თეორეტიკოსი ფიქრობს, მაშინ რატომ დააყენა მან თავის თავის წინაშე მაშულის, მეგობრების, მშობლებისა და სატრაფოსაგან განშორების იდეა? რატომ დასკირდა მას განშორებოდა ყოველივე იმას, სადაც დაიბადა, დაეატყადა, რასაც შეეზარდა და შეესისხლებოდა, რამაც გამოჰკეცა მისი შავად მღვღვარი ფიქრი, დაუმცხრალი ეჭვი და შეუპოვარი, გმირული თაფგამებება? მაშინ აუხსნელი რჩება თვით „მერანის“ შინაგანი ღელვის მიზეზები.

„მერანში“ დასამულია ის მსოფლიო პრობლემა, რომელიც საერთოდ რომანტიკულმა სკოლამ წამოაყენა ევროპის ლიტერატურაში, ბარათაშვილის, ლერმონტოვისა და ბაირონის შემოქმედებაში. ეს არის კონფლიქტი იდეალსა და სინამდვილეს შორის, და იმის მიხედვით, თუ როგორ წყდება ეს კონფლიქტი, ჩვენ ვღებულობთ განსხვავებულ მიმდინარეობას თვით რომანტიკულ სკოლაში. ეს პრობლემა სულ სხვაგვარად გადაწყვიტეს ტოკმა და ნოვალისმა, ლეოპარდიმ და მიუსემე, ბაირონმა და ბარათაშვილმა, ლერმონტოვმა და ლამარტინმა. ამაშია განსხვავება რომანტიკული სკოლის მიმდევრებს შორის. ბაირონი, ლერმონტოვი, ბარათაშვილი რომანტიკულ სკოლაში ჰქმნიან იმ მეტაფიზიკას და გმირულ სულს, რომელმაც თავის დროსავე აბოლიციონიზმის პრინციპები წააწერა და თავისუფალი, მალალი, სპეტაკი და კეთილშობილი ადამიანის იდეალი განასახიერა. ბარათაშვილი თავის „მერანში“ მიუღებელი სინამდვილიდან ადამიანის განდგომის, მაგრამ არა გაქცევის ყველაზე უფრო ამაღლებულ პოეტურ სახეს გვაძლევს. ეს ადამიანი სინამდვილეს შორდება არა შიშის გამო, ინდივიდუალისტური ან ეგოისტური მიზეზებით, რაკი პირადი კმაყოფილება ვერ ჰპოვა, არამედ აღფრთოვანებულია უმაღლესი, ზოგადკაცობრიული იდეით, რომელსაც მომავლის უანგარო სამსახური ეწოდება. ამიტომ ასე გრუანტელის მომგვრელად გვესმის ჩვენ ბარათაშვილის სიტყვები:

„მარბის, მიმადრენს, უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანი,
უცნ მრჩხავეს თვალ-ბედითი შავი ყოჩანის
გასწი, მერანო, შენს ჰენებას არ იქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღვღვარი!“

რამ მისცა სტიმული ბარათაშვილს, რა ბედნიერი წამი იყო, რომელმაც მას „მერანი“ შთააგონა? ან რა შემთხვევამ დააწერინა ეს გენიალური ნაწარმოები? ამ კითხვებს ხშირად აყენებდა ჩვენი ლიტერატურა. მაგრამ, ისე როგორც სურთ „მერანის“ ორიგინალობა იმით დამტკიცონ, რომ უარპყონ მისი რაიმე მსგავსება რომელიმე სხვა, თუნდაც დიდ ნაწარმოებთან, აქაც იმ მეტაფიზიკური თვალსაზრისით გამოდიან, რომ „მერანის“ სიდიადე აუცილებლად დაუკავშირონ რაღაც ასევე დიად მოვლენას თუ შემთხვევას. განა ჩვენ იმის ცოტა მაგალითი მოგვცა მსოფლიო ლიტერატურამ, რომ ხშირად სრულიად უნებლიე, უშიშვნილო ფაქტს მწერალში ისეთი სულიერი მღვღვარება გამოუწვევია, რაც შემდეგ სტიმულად გა-

დაქვეყნდა კემპარიტად მონუმენტური მხატვრული ქმნილებებისათვის? „ჰაჯი-მურატი“ — რუსული პროზის ეს უბრწყინვალესი შედევრი ტოლსტოის „გადატეხილმა ბირკმა“ შთააგონა. რა უნდა იყოს საეჭვო, დაუჯერებელი, ან გულუბრყვილო იმაში, რომ ბარათაშვილს „მერანის“ დაწერა თავისი ბიძის — ილია ორბელიანის შამილის მიერ დატყვევების გამო? განა ეს ასევერ და ათასევერ უფრო მეტი სტიმული არ უნდა ყოფილიყო, ვიდრე „გადატეხილი ბირკი“? და მაინც არავის შეუტანია ეპიკი ტოლსტოის სიტყვებში, რომ მან ჰაჯი-მურატი ნამდვილად „გადატეხილი ბირკის“ ნახვის შემდეგ გაიხსენა და გადასწყვიტა დაეწერა ეს უმშვენიერესი მოთხრობა. ან რა უფლება გვაქვს არ დაეიჯეროთ პოეტის გულწრფელობით აღსაესე სიტყვები, რომლებსაც იგი ამბობს ასეთი ძლიერი მღვლვარებით და დრმა შინაგანი განცლით?

1842 წლის 2 მაისს ბარათაშვილი სწერდა თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს, თუ შამილს როგორ ჩაუვარდა ტყვედ ილია და რა ვაქაცობა გამოიჩინა მან, როცა დაღესტნის ლეგენდარულ იმამს უშიშრად უბასუხა მის სასტიკ მოქცევაზე, წერილში მთლიანად არის მოყვანილი ლექსი „მერანი“ შემდეგი სიტყვების წამდგარებით: „Вот что поэт думает за Илико“. ამ წერილში ბარათაშვილი თითქოს ერთგვარ განმარტებასაც კი აძლევს გრიგოლ ორბელიანს: „არ ვიცი ეს ლექსები როგორ მოგეწონება, აქ კი ზეჯრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკვირველია იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში, და არა მე. — ილიას დაუჭრა რომ შევიტყვე, ჰსწორე ვითხრა, ძალიან შევწუხდი ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიციდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დაეწერე და თითქოს ამან რაღაც შეება მომცაო. ეცდილობ, რომ ილიას როგორმე მივაწოდო; ვიცი, გულში ჩაიციენებს და არ იქნება, მით არა ენუგუმოს რა“¹⁾.

არა გვეგონია, პოეტის ეს სიტყვები გულწრფელი არ იყოს, არა გვეგონია საჭირო იყოს რაღაც სხვა მიზეზების ძიება. გენიოსის ძალაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პირადი შემთხვევა ასეთ უმაღლეს, ზოგადკაცობრიულს ფორმაში განასახიერა, ისე როგორც ოდესღაც ნიუტონმა მსოფლიო მიმზიდველობის კანონი უნებლიე ფაჭტიდან გამოიყვანა.

ბარათაშვილის დიდ სულიერ ღელვას და მის ბოზბქარ სამყაროს მართოდენ ინდივიდუალურს პრიზმაში არ განუჭკერტია ილია ორბელიანის ტრაგიკული ბედი. მას განზოგადებული სახე მისცა და თავისი სუბიექტური ქვეყნის ჩმაურიც ღრმად ჩააქსოვა. იმიტომ არის, რომ აღამიანურ მორალს, მის სულიერ მღვლვარებას და თავისი თავის დანიშნულების შეგნებას უდრდესი ძალით ეხმაურება შეუბოვრობის, თავგამეტების, თავდადებისა და გმირული ნებისყოფის ის უმაღლესი მხატვრული განსხეულება, რომელსაც ბარათაშვილის პოეტური მაჯისიცემა „მერანში“ პოულობს:

„ვაბაკეთე ჭარი, ვაპე წყალი, გადაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, ვაკურცხლე და შემამოკლე მოთომენელსა სივალნი ღდენი
ნუ შეიფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ივდარსა,
ნუ შემობრალე დაქანცულობით, თავანწირულსა შენა მხედარსა!“

1) იხ. ნ. ბარათაშვილი, „ღელვები“, 1939, გვ. 82 — 83.

ოდესდაც კამლეტი აყენებდა „ყოფნა-არყოფნის“ პრობლემას და მან ვერც თეორიულად, ვერც პრაქტიკულად ვერ გადასწყვიტა ეს თავსატეხი საკითხი. ბარათაშვილიც ლექსში „შემოღამება მთაწმინდის“ მსგავსად აყენებს ამ პრობლემას. პოეტის ფიქრი მიისწრაფვის ცხელსავე, თუმცა ბრწყინვალედ ესმის ადამიანური შეგუენების სუვერენულობა — რომ იქამდის ვერ მიღწევს, პაერშვევ განიბნევა, მიუხედავად იმისა, რომ გულსიტქმა ზენაართ სამყოფს იქით ეძიებს სადგურს, რომ დაშთოს აქ ამოებდა. „მერანო“ ბარათაშვილის შავად მღელვარე ფიქრი და დაუცხრომელი გონება ეძიებს იმ ქვეყანას, ასტრალურ ქვეყანას, სადაც ვარსკვლავებს გაუზიარებს გულის საიდუმლოს:

„რად, მოეშორდე ჩემსა მამულსა, მოგაკლდე მსწორთა და შეგოსარსა;
ნუღა ვიხილავ ჩემთა შშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა, —
საც დამიღამდეს, იქ გამოთენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა შე საიდუმლო“.

ეს საიდუმლო კი უღარესად დიდი, ღრმა და მართლაც მწვევე იყო. ამის შესახებ პოეტი შემთხვევით არ სწერდა მაიკო ორბელიანს 1842 წლის 31 ოქტომბერს, რომ მან ვერ პოვა თავისი სულის მეგობარი, განიცდის ობლობას და სიცოცხლე მოსძულდა ამდენის მარტობათ. მარტლაც, დიდი იყო მისი გულის კენესა, საზღვარი არ ჰქონდა მისი აზრების კეთილშობალ დენას და ყოველივე ეს პოეტმა ასეთი უშვენიერესი მხატვრული სახეებით გამოჰკვეთა:

„კენესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივეც ზღვის მღელვას,
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიყურსა ღტოლვას
გასწი, მერანო, შენს კენებას არ იქვს სამძლვარი,
და ნიავს მივე ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!“

როგორც უდიდესი ტრაგედია და უნაპირო გლოვის ზარი ისე გაისმის პირველი სტროფი, სადაც მღელვარე ადამიანურ განცდას ამალღებულ რეფრენად მიჰყვება დაუმცხრალი მოქმედების, თავგამეტების, ბედთან შეუღივებლობის ოპტიმიზმით აღსავსე სიმღერა. ამ მოქმედებას, მშვენიერ, აღტაცებულ ღტოლვას პოეტი ყველაფერს სწირავს და თავის მჩაგვრელ ბედს არაეითარ შემთხვევაში არ ემონება:

„ნუ დავიმარბო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის,
შავი ყორანი გამოთბრის საფლავს მღელითა შორის ტიალის მინდერის,
და ტარიშხალი ძეგლთა შთენილთა, ზარით, ღრიალით, მიწას მამაყრისს
სატრფოს ცრემლის წილ, შედარას ოხერსა, დამეცემაან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცელად, მივიღლებენ სკანნი მყოვარნი
გაჰსწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედს სამძლვარი,
თუ ატამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი შედარა!“

ეს უდიდესი თავგამეტება და შეტუბოვრობა ბარათაშვილის მთელი შემოქმედების ორგანული თვისებაა. ჩვენ შესავალში აღენიშნეთ, რომ ბარათაშვილის შემოქმედებაში არსად არ გვაქვს სიკვდილისაღმი შიშის გრძობა. პოეტი ყოველთვის შეტუბოვარ ბრძოლას უცხადებს სიკვდილს, უმოქმედო-

ბას, უმოდრობას, სიზარმაცეს, და როცა ასე კეთილშობილურ, უზადო ადამიანურ გრძნობებთან გვაქვს საქმე, არ შეიძლება ჩვენს არსებაში ღრმად არ შეიჭრას უსაზღვრო სიმპატიის გრძნობა პოეტის თავგანწირული, თავგამოდებული შეტაკებისადმი მოსისხლე მტერთან, ვინაიდან ეს შეტაკება ქვეშაირიტად ადამიანური ღირსების დაცვის ერთდერთი კანონიერი გზაა:

„დაე მოკვდეს მე უპატრონოდ მისგან ობერი!
ვერ შემაშინოს მისმა ხასხამმა, მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, შენს ტენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიფს მიღე ფიჭო ჩემი, შვიად მღელვარი!“

მთელი ეს სიცოცხლის განწირვა, უპატრონოდ სიკვდილი, მერანის თავგამეტებული ტენება შთაგონებულია ერთადერთი, უდიდესი, ნამდვილად საკაცობრიო და უმაღლესი მისწრაფებით, რომ პოეტმა ბედნიერება მისცეს არა თავის თავს, არამედ კაცობრიობას, მოძმეთ, მშობელ ქვეყანასა და ხალხს. აქ მართლდება მერანის გიჟური თავგამეტება და ერთი შეხედვით თითქოს უაზრო ტენება უსაზღვრო სივრცეში, კლდესა და ღრეში, სიციხესა და სიცივეში, ქარიშხალსა და მღუმარებაში. პოეტმა იცის, რომ:

„ცოდნად ხომ შინც არ ჩივლის ეს განწირულის სულის კეთობაი
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, შინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მომება ჩემსა სიძნელე გზისა გაუღვივლდეს,
და შეტპობად მას ჰუნე თვითა შევას ბედის წინ გამოუტროლდეს!“

ასეთია ის მაღალი დანიშნულება, რომელიც „მერანმა“ კპოვა თავის თავაწყვეტილსა და ზეადამიანურს ქროლვაში. ეს იყო პოეტური სახეებით გამოხატვა იმ ღრმა ფილოსოფიური აზრისა, რომელიც ასე კარგად შენიშნა ილია ჭავჭავაძემ თავის „წერილებში მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“. ამ წერილებში თერგდალეულთა ბელადმა შემთხვევით არა სთქვა, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ბარათაშვილი „...ერთადერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გადაუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირობოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა დადადება ყოველგვარ სულისკეთებისა და ვნებათა ღელვისა. თ. ნ. ბარათაშვილის დიდი მნიშვნელობა, ჩვენის ფიქრით, ამაშია; ამიტომაც მართალია სთქვა, რომ მის მიერ გავლილი გზა ჩვენში ჯერ უვალი იყო, მან თავის მერანს გადაათელინა და ნავალიც დააჩნვეინა, ვინ იცის ვისთვის და საროდოდ? ამას პასუხს ჩვენ აზრთა ზრდა შემდეგ როდისმე იტყვის“. ბარათაშვილის ეს უანგარო ზრუნვა ამ მაღალი და საკაცობრიო იდეალებისათვის ადამიანის გულსა და სულს ისე ღრმად ეთვისება, რომ ძნელია მისი დავიწყება. მთელი თავისი ნიჭი, ცხოვრება, სანუკვარი ფიქრები და აზრები, თვით სიცოცხლეც კი პოეტს მსხვერპლად მიაქვს მომავლასათვის, კაცობრიობისათვის. და როგორც ქვეშაირიტად დიდ პატრიოტს, მას თავისი ქვეყნისათვის მსურს ყოველგვარი ბედნიერება და სიკეთე, თუნდაც საკუთარი არსების მსხვერპლად მიტანიო. რა საერთოა „ფარისის“ მიზანსა და „მერანის“ საკაცობ-

რომ იდეალს შორის? ჩვენ ვნახეთ, რომ ფარისმა პირადი ბედნიერება ჰპოვა, როცა იგი ასტრალურ ძვეყანაში შევიდა, შეიგრძნო მისი სილამაზე, სიბოო და სიტკობება; როცა მისმა აზრმა არსი შეიცვალა და მხოლოდ ბედნიერებას მიეცა. ამით დამთავრდა ფარისის თავგამეტე მსოფლიოში — პირადი ბედნიერების მიღწევით. „მერანში“ კი სრულიად საწინააღმდეგო იდეასთან გვაქვს საქმე. ბარათაშვილის „მერანს“ თავისი ბრძოლა მოძვეთათვის, თავგამეტებული ქენება არ დაუმთავრებია და შემთხვევითი არ არის, რომ ლექსის უკანასკნელ ტაქტშიაც ჩვენ ვხვდებით რომ:

„მირბის, მიმაფრენს, უგზო-უველოდ, ჩემი მერანი,
უკან მომჩხვიის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ქენებას ან იქნეს სამძლეარი
და ნიავს მიეც ფიჭვი ჩემი, შავად მღელღარი!“

„მერანი“ კვლავ დაუსრულებლად მიჰქრის და თავისი თავგამეტებული ბრძოლით ემსახურება მშობელ ხალხს, ადამიანის ბედნიერ მდგომარეობას, მთელ კაცობრიობას. ამაშია ბარათაშვილის შემოქმედების, კერძოდ „მერანის“ საკაცობრივ მნიშვნელობა. ფაუსტმა ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ, მეფისტოფელისათვის თვით უმაღლესის — სულის მიყიდვის შემდეგ თავისი ცხოვრების დანიშნულება ჰკობების ამოშრობასა და ადამიანებისათვის იქ ახალი, ღამაში ცხოვრების გაშენებაში ჰპოვა. ბარათაშვილის „მერანიც“ თავის დანიშნულებას ხალხისა და კაცობრიობის სამსახურის ში ხედავს. მაგრამ „მერანი“ იდეურად „ფაუსტზე“ მაღლა დგას, ვინაიდან მას, ფაუსტის მსგავსად, მეფისტოფელისა და ბოროტი სულიანთის თავისი სული არა თუ არ მიჰყიდნია, არასოდეს ეს არც განუზრახავს. პირიქით, ბოროტ სულთან, მეფისტოფელთან შეუპოვარ გამართულ ბრძოლაში აღმოაჩინა ეს უმაღლესი კაცობრიული ჰუმანიტება.

ეს იყო ის ჰუმანიტური, დემოკრატიული, ნამდვილად საკაცობრიო იდეა, რომელსაც ბაირონის გენი 1823 წელს აჯანყებულ ბერძნებთან მიიყვანა ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად და მთელი მისი სიცოცხლე შეიწირა. მებრძოლი რომანტიკოსები ამ იდეას არა მარტო ქადაგებდნენ, თავიანთი პრაქტიკული ცხოვრებითაც განასახიერებდნენ. არ შეიძლება თანავე ეტყვიც კი ვიქონიოთ, რომ ბარათაშვილს ასცდებოდა ანალოგიური გზა, მას რომ კიდევ რამდენიმე წელი ეცოცხლნა. ის ბაირონზე ცხრა წლით ახალგაზრდა დაიღუპა. მის არსებაში ისევე გამოკვეთილად სჩანდა მისოლუნგის გმირის მღელვარება, როგორც „მერანში“ შეუპოვრობა.

ბარათაშვილის გენიალური ლექსი ადამიანური სიკეთის, მისი ამაღლებული მორალის, ბედნიერებისა და ნათელი მომავლის მომაჯადოებელი ჰიმნია. ამიტომ მასში ასოლუტურად არაფერია რეტროსპექტიული. აქ ყველაფერი დაკავშირებულია მომავლის ნათელ, ოპტიმისტურ განჭვრეტასთან. ბარათაშვილის პოეტური გენიის უდიდესი სიმღერეც იმაში მდგომარეობს, რომ მან დასწყვიტა „მსოფლიო სევდის“, პესიმიზმის უდიდესი არტახები, ოპტიმისტურად განჭვრიტა კაცობრიობის ბედნიერი მომავალი, რომელიც მხოლოდ თავგანწირული ბრძოლითა და უდიდესი მსხვერპლით მოიპოვება. ამიტომ არის, რომ „მერანში“ ჩვენ გვესმის „ვბოვე ტაძარის“ მელანქოლიაც და „ჩონგურის“ მელოდიაიც. ბედი ქართლისას“ ისტორიული კონცეპციაც და

„ჩინარის“ ფილოსოფიაც. ისე როგორც „მერანში“, ბარათაშვილიც შემოქმედებაშიც აბსოლუტურად არაფერია ფატალისტური. „მერანი“ არის უდიდესი პოემა, რომელშიც განსახიერდა მთელი ქართველი ხელების გამართული სულისკვეთება და ისტორიული პერსპექტივა. მასში განსახიერდა ქართველის ლექსის ძალა და სილამაზე. ამიტომ თუ „მერანის“ მართლაც რაიმე ლიტერატურული ნათესაობა გვინდა დავადგინოთ, აჭ პირველყოფლისა ჩვენს წინაშე აღიმართება „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ეს პირველად შენიშნა პოეტმა სიმონ ჩიჭოვანმა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი უდიდესი პოეტური მოვლენაა არა მარტო ქართულ, არამედ მთელ მსოფლიო ლიტერატურაში. ამიტომ მართებულად არ მიგვაჩნია, თითქოს იგი აღექსანდრე ჰაევჰაჰისა და გრიგოლ თრბელიანის გავლენას განიცდიდა. მათი ახლო ურთიერთობის სფერო და მისი ანალიზი საესტმით ამართლებს დებულებას, რომ ბარათაშვილი თავის მხრივ თვალსაჩინო გავლენას ახდენდა უფროსი თაობის მწერლებზე, რომ არაფერი ეთქვათ იმ მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებზე, რომლებიც მის ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი. პაულე ინგოროყვამ წამოაყენა დებულება, რომ ბარათაშვილის გავლენა ისეთმა დიდმა პოეტმაც კი განიცადა, როგორც იყო ქართული რომანტიზმის ფუძემდებელი აღექსანდრე ჰაევჰაჰე. მისი უკვდავი „გოგჩის ტბა“ ნამდვილად არის დაწერილი ბარათაშვილის გენიალური ლექსის გავლენით. „გოგჩის ტბისა“ და „ფიქრნი მტკერის პირას“ ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ეს გავლენა უდავოდ იყო. „ფიქრნი მტკერის პირას“ არა მარტო ტენდენცია, მხატვრული სამკაულიც და მეტრიც გვაგრძნობინებენ თავის თავს ოთხი წლის შემდეგ დაწერილ „გოგჩის ტბაში“.

„მერანი“ ბარათაშვილის შემოქმედების გენიალურ და გრანდიოზულ აპოთეოზად უნდა ჩაითვალოს, რომელშიც თითქოს უკანასკნელად აღსდგა რუსთაველის ჯადოსნური პოეზიის გრიგალი მეცხრამეტე საუკუნეში და ჩვენს მხატვრულ შემეცნებას გადააფარა ის დიდი კალთა, რომლის დედობრივ მფარველობას მთელი საუკუნის ლიტერატურა გრძნობდა. „მერანი“ არა მარტო ქართული მწერლობის შედეგია, არამედ მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში ლექსალური ორკესტრობით, პოეტური კულტურის სილამაზით და იდეურ-ფორმალური დიაბაზონით იგი ისევე უპავინაყოფ შედის, როგორც „ვეფხისტყაოსანი“ და „ილიადა“, „ევგენი ონეგინი“ და „ფაუსტი“, „ჩაილდ პაროლდი“ და „დაკარგული სამოთხე“, „ლვთაებრივი კომედია“ და „პამლეტი“. ყოველი თაობა „მერანში“ ჰპოვებს დიდ სულიერ ძალას და უმალღეს, უკეთილშობილეს, ნამდვილად საკაცობრივ იდეალებსა და მისი ჰუმანიტარ უანგარო სამსახურის მსოფლიო სიმღერას!

გიგლიობრავია

საქართველო
გეგლიობრავია

აკად. ნ. შარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური
კულტურის ინსტიტუტის მოკლემე, XIV, 1944. საჩინის რედაქტორი—

აკად. სიმ. ჯანაშია, ტომის რედაქტორი —
პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილი

ენიშმის მოამბის სატყეველი ტომი ავ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის
ფილოლოგიის განყოფილებაში (გამგე — ს. ყაუხჩიშვილი) გამოხუტა შრომებზე შეიკვეს.
შალვა ნუცუბიძის „Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита“, რომლითაც ახ-
ნება მოამბე, უამე ცნობილია შკიოხველი საზოგადოებისთვის, რამდენადაც იგი ცალკე
წიგნად გამოვიდა 1942 წელს. დიონისე არიოპაგელის ენაობის გარკვევა საერთაშორისო
მნიშვნელობის პრობლემა და ამდენად აკადემიკოს შ. ნუცუბიძის ახალი თვლია უღ-
რესად საყურადღებო მოვლენად უნდა ჩიითვალოს არა მხოლოდ ქართველოლოგებო თვალ-
სახიისთ.

ი. აბულაძე: „ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გა-
მოძახილი ძველ ქართულ შწერლობაში“. ბიზანტიის გამოჩენილი შწერლობარ-შალვაწის
ი. ოქროპირის (354—407 წ.) ნაწერები ძველიდანვე უხედააა შწერლობის ეველა იმ
ხალხის ენაზე, რომლებიც ბიზანტიის ქრისტიანობით საზრდობდნენ. მით რაცხეს არ
დაკლებიან ქართველებიც. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ი. ოქროპირი ცნობილია
ხდება VII ს-დან: გეორგი აღმესანდრიელმა თავი მოუყარა ეველა ცნობარს და დამოუშვა
„ისტორია-მოკლავობის“ ეანრის ნიმუშთა მსგავსად. იგი უთარგმნით ქართულად. ირ-
კვეთა: არსებულა ირი რედაქცია (უძველესი ნუსხა 968 წლ-სა), ძველი ქართული რე-
დაქცია საყურადღებოა იმ შრავიც, რომ მისი ფარდი ბერძნული რედაქცია არაა შენახუ-
ლი. ი. აბულაძე ამტკიცებს, რომ უფრო ახალი ქართული რედაქცია ემთხვევა ერთად-ერთ
შემონახულ ბერძნულ რედაქციის. ამავე დროს ავტორი არკვევს ამ თხზულების კვალს
გაფლენას ქართულ შავოგრაფიულ ლიტერატურაში. ეს ემნევა გ. შერბულს. დებულემა
ემპეობტანელი ბებნა ორივე თხზულების სტრუქტურული და ენობრივი მხარისა შედარე-
ბითი ანალიზით. ავტორს დასაშვებათ მიანიია გ. შერბული იყოს მთარგმნელი ამ ბერძ-
ნული ნაწარმოებისა. ტექსტურულ მსგავსებათა გარდა, ანგარიშგასაწივითა სურათის წარ-
წერაში მოხსენებული გეორგი, შავრამ ამ დაშვებას გარკვეული დამტკიცება ეღობება:
შეაძლავა ეს გეორგი შართლიც იყოს დედნის ავტორის, გეორგი აღმესანდრიელის სახელი.

მ. ი. კახაძე: „ლიპარიტ ლიპარიტისძე და მისი ახლად აღმოჩენილი თხზულებანი“.
გ. ხუცეს-მონაწილის თხზულებიდან სიასს, რომ ლიპარიტ ლიპარიტისძე, ეს დაუცხრო-
შელი მეამბოხე და ბავარტ IV-ის დაუძინებელი შტერი, ჟოფილა შეეცნაო და ერთ-ერთი
პოპულარიზატორი გ. შთაწმინდელის შიერ ნათარგმნი თხზულებებისა და ამავე დროს ავ-
ტორიც შთაწმინდელისავე მიძღვნილი „შწენიერი ქებისა და შაულობისა“. ავტორი აქ-
ვეყენებს ლიპარიტის ერთს დღეულის უცნობ ნაწარმოებს. ამასთანავე აღწერს ზელნაწერს,
ადგენს ძველის ორიგინალობას და ურცლად არკვევს ლიპარიტის შირიგებებს.

ს. ი. ყაუხჩიშვილი: „ადიშის ხელნაწერის ბერძნული შწერლობისა“. სამეცნიერო ლიტერატურაში
გამოთქმულია აზრი სხვადასხვა შწერლობისა, რომ ძველი ქართული ენის შტად
მნიშვნელოვანი ძველი — ადიშის ოთხთავი (სახარება) სომურლიდანაა ნათარგმნი. ამ აზრს
იმეორებენ დღესაც საზღვარგარეთ. პროფ. ყაუხჩიშვილის ეს ბრწინავად გამოკვლევა
საბოლოოდ წყვეტს „ადიშის პრობლემის“ ამ კარდინალურ საკითხს: ეს ძველი ბერძნული-
თხე მომდინარებთ და, არა, სომურლიდან. ადიშის ბერძნული ლიტერატურული ხასია-
თისა კა არაა, არამედ ისინი მომდინარეობენ, თანამად ავტორის შტოკებისა. — ზოგჯერ
ბერძნული სიტყვებისა და გამოთქმების, იმ ილიომატურ გავგებთან, რომელიც მით ქონ-
დათ უფრო ადრინდელ ბერძნულში და რომელიც უფრო გვიან სთქვენებში შეიძლება
არც კა ცოდნოდათ, არა თუ ქართველ მთარგმნელებს და რედაქტორებს, არამედ თვით

ბერძენულად ხალხი ამ ძველის არმინიზმები ისეთ სიტყვებს ებება, რომლებიც კრძნურში გვხვდება, მაგრამ არა სომხურ ობიექტების შესატყვის ადგილებში; ან და-ეს ისეთი არმინიზმებია, რომლებიც ბერძენიზმებთან შედარებით, გვიანი წარმოშობისად მოიხასიან.

ბ. კ. კ. ელიძე: „ანტიკის გადახაზვები ძველ ქართულ ლიტერატურულ სფეროში არაკვას ანტიკურ წარსლის კვლას ძველ ქართულ პავოგრაფიულ ფერტიკურულ ეპოქაში თვალსაზრისით საინტერესოა „ეგვიპტის წამება“. ეს ქართული რედაქცია იმ მხრივ ექვივალენტურადღებას, რომ მისი უძველესი ბერძენულ შესატყვის რედაქცია დაკარგულია და ამდენად ჩვენი ძველი ბერძენულ ლიტერატურულ ისტორიისთვისაც საყურადღებო და დასვენება. ბ. კ. კ. ელიძე ფიქრობს, რომ ქართული თარგმანი არაბულიდან მომდინარეობს და რთულია. ტექსტი, თორავ ძველის ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ძვარვას ცნობებს ბერძენულ ფილოსოფიიდან, მოთალოგიოდან, იტალიკურენციოდან და ლიტერატორიდან.

ბ. კ. კ. ელიძე: „ძე წელი“. საყურადღებო გამოკვლევაა. დამტკიცებულია, რომ წელი — სიტყვა ძველ ქართულში ჰქონდა ვაგიშვილის მიწვევლობა. სახალიზო სიტყვა ვარტულია ქართული, ბერძენული და სომხური ობიექტების შედარების ფონეტიკურების ტყაისნის პირობებიდან უფრონაღში მოთავსებულია ევკ ბერძენის სიტყვები სიტყვაში: „აკვილინისა და თვითმკვლელობის საკითხისათვის ვეფხის ტყაისნის“ დასმული კითხვის რუსთაველისეულ გავებას ავტორი ახალიზებს ცალკეულ პერსონაჟების მიხედვით. ამ თვალსაზრისით გარკვეული როსტევისი, ავთანდილი, ტარიელი, ნესტანი, ასმათი და შერშადინი, სიტყვაში: „ილია ჭავჭავაძე და ვეფხის ტყაისნი“ გამოკვლილია ილიას საღი შეხედულებები რუსთაველის გენიალურ ქმნილებების გარშემო.

ბ. კ. კ. ელიძე: „— di ნაწილია ქართულში“. გამოკვლეულია ერთი უძველესი ნაწილი-კავანი ქართული ენისა, რომელიც მე-18 საუკუნემდე შემორჩა ენას განხილულია სხვადასხვა მკვლევარის შეხედულებები, გარკვეულია ძის ფუნქცია, დადგინდა ეტიმოლოგია. ჩამდენადაც ნაწილი დამოკიდებულ წინადადების ერთ-ერთი დღემდის გარკვეულია საკითხის გადაწყვეტა, ამდენად რთული წინადადების სინტაქსის დარგში აკადემიკოს ვ. თოფჩიას ამ გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ქართული ხელოვნების შესწავლის ისტორიის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ვახტანგ ბერიძის: „Грузинское искусство в специальной литературе последних 25-ти лет“. აქ გარჩეულია მიუდგომი და სათანადო სიღრმით ყველა შრომა, როგორც შეიძლება-ლოგურად, ისე ფაქტურით მასალის თვალსაზრისით.

ბერძენული საეკლესიო მწერლობის ერთ-ერთი შესანიშნავი მწერალია ასტერი აშა-სიღლი. რომელიც გამოირჩევა ენის სისუფთაობით, სტილის დახვეწილობით და მხატვრული შედარებების იშვიათი ზომიერებით. მის თხზულებებში ხშირად იპოვიან ე. წ. ლიტერატურულ წინადადებას, სადაც ავტორი ამღვანებს ანტიკურ ელტურის ღმერთს ცოდნას. ამ მწერლის ქართულ თარგმანს შედგენება შიბ. კახაბის ამომწურავი და დიდი ყურადღებით შესრულებული გამოკვლევა ტექსტითურთ დახასიათებულია არაბული რედაქციები და მოკლებულია მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრული სურათი.

ქრისტიანობის ხანის ქართული მწერლობის ის ძეგლები, რომლებიც აღმოაჩენდნენ ჩვენში V — IX სს-ში, უმთავრესად წარმოდგენილი არიან ე. წ. „მრავალთავებში“. ამ ენის თხზულებათა ხასიათი განსაკუთრებულად მოთხოვდა ფორმის ვირტოზულად დახვეწას, ენობრივ-სტილისტურ სრულყოფილობას: მხატვრულობას, ფთხავრებად ენის ლიტერატურულ დაცვით. უაღრესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამიტომაც სწორად ამ დარგის მწერლობის საეკლესიო მწერლობის ისტორიაში belles-lettres-ად მიიჩნევენ. ამავე დროს „მრავალთავები“ ქართული მხატვრული მეტყველების არქაულ ვითარებას წარმოგვიდგენენ. მისასაღებელია ილია აბულაძის განზრახვა, რომ მან ხელი მოჰკიდა თბილისის ხელნაწერების გამოკვლევას. აქ დაბეჭდილია პირველი ნაკვეთი. ტექსტს წინ უძღვის გამოკვლევა. ქართული ენის ისტორიისათვის ამ გამოკვლის მნიშვნელობა განუზომელია.

საერეცნო წიგნში გამოქვეყნებულია ბასილი ეზოსმოძლუარის „სხვებზე მეტე-მეტისა თამარი“, — დიდმნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც აღმოაჩინა და გამოსაცემად დაამზადა ჩვენმა სასიჭადლო მეცნიერმა ივ. ჯავახიშვილმა (ივ. ჯავახიშვილის მასალა დასაბეჭდად გამაზადეს ნათელა ჯავახიშვილმა და შიბა კახაძემ). ძველ წამლეარებული აქვს ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა, ადრე გამოქვეყნებული თბილისის უნივერსიტეტის მოამბის III ტომში.

სიპ ყაუხჩიშვილის წიგნი „ბიზანტიური რომანი დელაქტორნი და ეპოს ტოპია“ — მოკვლეულია გლანისტური ეპოქის ბერძენული რომანის ისტორია და, კერძოდ,

გაჩრეულია „ლალიქიონი და ეპისტამია“. როგორც ირკვევა, მისი უსათულო თარგმანი მოუთავსებიათ საკითხავთა კრებულში, რომელიც გადაწერილი ყოფილა დავით აღმაშენებლისთვის. ძველის დახასიათების შემდეგ ავტორი აქვეყნებს რომანის ახალი წესით შესრულებულ თარგმანს.

სარეცენზიო ვერსიის ბოლოს მოთავსებულია აკადემიკოს ს. მ. ჯანაშიას მოკლე ანგარიში აკად. ნ. შარის სახელობის ცნის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის და მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობისა 1936 — 1944 წ. წ. ამ მოკლე ანგარიშში დანაწილად ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მუშაობა ჩატარებია ნ. შარის სახელობის ინსტიტუტის საანგარიშო პერიოდში. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მ. ლ. ბერიძის თანამშრომელი პრინციპულად და თვით სამუშაო გეგმის საკითხები, ასევე ამხ. ბერიძის ცალკეული მითითებები ინსტიტუტის მიერ კოლექტივისათვის საუკეთესო სკოლას შეადგენდა მის წინაშე მდგომი ამოცანების გამორკვევაში. შემდეგშიც თავის უფლებდღიურ მუშაობაში, ინსტიტუტი ყველაზე დიდ დახმარებას რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში პოულობდა“ (გვ. 362).

სასურველი იყო გამოკვლევებს დართოდა ჩუბუჩ რუსულ და ევროპულ ენებზე (აქვს ინგლისურად მხოლოდ შ. ნუტუბიძის წიგნი).

შოთა ძინძუშვილი.

გივი ზაჩიჩილასკე — „ინვლისელი პოეზები“
თბილისი, 1942 წ.

გივი ზაჩიჩილასკის კრებული შესდგება პატარა ლექსებისაგან, რომელთა საშუალებითაც მთარგმნელმა სცადა ანგლო-საქურთი პოეზიის მრავალფეროვნების გადმოცემა. რადგან წიგნი მკითხველს მოცულობისა, ამიტომ უხადია, დასახელოდ ამოცანის შესრულება მთარგმნელს შეეძლო მხოლოდ პატარა ლექსების შერჩევით. მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველად გულმართლებლად მივაქანია პოეტი ქალის ელისაბედ ბრატუნინის გამოთქმება, რომელიც უდავოდ შეიძლება დასახელებულ იქნას ინვლისის ისეთი დიდი და გენიალური მწერლების შემდეგ. როგორც არიან: ჩოსტრი, შექსპირი, მილტონი, შელი და ბაირონი. ამათ უნდა დავუმატოთ შოტლანდიელი მომღერალიც ბერნი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პატარა ლექსი ზშირად შეიძლება არ იყოს დამახასიათებელი სათარგმნელად აღებული პოეტისათვის. შეიძლება მან ვერ მოგვეცეს ნათელი წარმოდგენა პოეტის შემოქმედებაზე. ასეთ შემთხვევაში საჭიროა დიდი ლექსის თარგმანს და, მაშასადამე, წიგნის მოცულობის გადიდება.

ჩვენის აზრით, მთარგმნელის პიროვნება ნაკლებად უნდა სწავდეს მის თარგმანში, რადგან ყოველ თარგმანს ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა შემეცნებითი ღირებულება აქვს. მაგრამ მთარგმნელი უნდა მოიქცეს ისევე, როგორც იქცევა მხატვარი, რომელიც როლს ირჩევს თავისი ამბულას მიხედვით. მისთვის გასაგებია და საგრძნობია უნდა იყოს ავტორის ტემპერამენტი და მისი ნიჭის ხასიათი. მაგალითად, ჩვეულებრივ რომანტიკოსების კარგი მთარგმნელი ძნელად თუ გადათარგმნის რეალისტური სკოლის პოეტებს.

გივი ზაჩიჩილასკის შეტრევივა სწორედ ის ავტორები და ლექსები, რომლებიც მის საკუთარი პოეტური ინდივიდუალობას შეეფერებიან. ეს საესებით გასაგებია. მაგრამ აქედანვე გამომდინარეობს ორი საყურადღებო ნაკლი: 1) გ. ზაჩიჩილასკის მიერ თარგმნილი ლექსები, როგორც ერთი კაცის მიერ შესრულებულნი, მთარგმნელის ინდივიდუალურ ნიშანს ატარებენ, — ისინი ერთი ავტორის ნაწარმოებებს ჰგვანან; 2) გ. ზაჩიჩილასკის გამოუთვრება მისთვის შეუფერებელი პოეტები, თუმცა მას შეეძლო შეენახა ელისაბედ ბრატუნინის ისეთი ლექსები, რომლებიც შეეფერებოდნენ მის საკუთარ პოეტურ ინდივიდუალობას. ამ ნაკლს მთარგმნელი თვითონვე გრძნობს და დაპარაკობს მასზე წიგნის წინასიტყვაობაში. რაც შეეხება კონკრეტულად კრებულში მოთავსებულ ნაწარმოებთა თარგმანის ხასიათს, წიგნის გადაკითხვისას მიღებული პირველივე შთაბეჭდილება ეხადმყოფს, რომ ცნობილი და მაღალი პოეტური ფორმის მქონე პოეტები შესაფერისი ფორმალური ხარისხით არიან

გადმოტანილი ქართულად. პოეტურ თარგმანში ჩვეულებრივ შეუძღვებელია ნაკლებად დაცვა ორიგინალის ადგილობრივი შინაარსისა, ვიდრე მისი შესაფერისი ფორმით ქართულ ლექსწყობაში. პატარა ლექსებში მთარგმნელი უფრო ადვილად ექვემდებარება სტრუქტურულ მოცულობის მხრივ გ. გაჩეჩილაძის მიერ თარგმნილ კლდე-ქვიშა-ქვიშებით შეესიტავენთან ორიგინალის ტექსტს. ორივესი — ორიგინალისა და თარგმანის — ტაქების რიცხვი ერთნაირია. ამ მხრივ გ. გაჩეჩილაძე, როგორც მთარგმნელი, ნაკლებ თავისუფლებას აძლევს თავს და თარგმანის ვიზუალურ-სათვის არ მიმართავს სტრუქტურულ ცვლებადობას.

რაც შეეხება თარგმანის ლექსიკურ სინტაქსს, იგი საერთოდ დამაკმაყოფილებელია. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის სახე თარგმანში შეცვლილია სხვა რომელიმე სახით, რამაც თარგმანში დედნის სახის მაგნიერობა უნდა გასწიოს, აღენიშნავთ ორიოდ მაგალითს.

ოსკარ უაილდის ლექსის „შედის საფლავთან“ ერთი ადგილი გ. გაჩეჩილაძის თარგმანში იკითხება ასე: „ყაყაო გაიზარდა ღარნაყში“. ორიგინალში არის „chialiced poppies“. ქართულად ნიშნავს: „ღინჯინის ღორმის ყაყაო“ ან „გაღშლელი ყაყაო“. სიტყვა ნათარგმნია შეცდომით, რაც სრულად აცლის ორიგინალის მხატვრულ სახეს. ოსკარ უაილდის ყაყაო იზრდება თავისუფლად ბუნებაში, შედის საფლავთან, გ. გაჩეჩილაძის ყაყაო კი — ღარნაყში.

იმევე ლექსში გ. გაჩეჩილაძეს აქვს: „და აბრკვევილებს ღირუზის ზურგს უცხად ხელიკი“. დედანში სწერია: „წერილი ხელიკი აჩენს თავის (ბრკვევილა) ძვირფასი ჭვის დაეს“. როგორც ხედავთ, თარგმანი რამდენადმე განსხვავდება, თუმცა აზრობრივ დამაზინებელთან საქმე არა გვაქვს მთავარ შეცდომას კი, რომელიც ამ ლექსში თარგმანს ახასიათებს, წარმოადგენს დედნის გააზრების არაწორად გაგება. უაილდი, ახასიათებს რა შედის საფლავს კვიპაროსების მახლობლად, მიმართავს ზღვაში დაღუპულ პოეტს, რომ მისი საფლავი უკეთესი იქნებოდა ყოფილიყო ზღვის სიღრმეში, დაღუპულ გემებთან ერთად, და სხე. თარგმანი კი იხეთ შთაბეჭდილებას სტრუქტურს, თითქმის შედის საფლავი მათილად წელის ქვეშ ყოფილიყოს, ზემოთ ჩამოთვლილ საგნებთან ერთად, რაც სრულყოფილ არ უდგება დედნის გააზრებას.

უაილდი კი ბრტყის ლექსში „როცა მოხუცდებ“ ეკითხვობოთ: „და შენი სახის ცვალებამ მწუხარებანი“, დედანში კი ნათქვამია: „შენი ცვალებადი სახის მწუხარებანი“. კიდევ მაგალითი, სადაც მხატვრული სახე შეცვლილია: უაილდი შექაპირი თავის სონეტში შეგვარებულს ხმას იღარებს მუსიკას — მუსიკა საერთო, ზოგადი ცნებაა, გ. გაჩეჩილაძემ კი სთარგმნა ასე: „ოსტატურად დაკრულ კიანურს“.

აბლა ავიდეთ დე-ღ-ამ-ბ-რ-ის ლექსი „ყურის-მადებელნი“. ორიგინალი იკითხება ასე:

„But no one descends to the traveller;
No head from the leaf-fringed sill
Leaned over and looked into his gray eyes,
Where he stood perplexed and still“.

სიტყვა-სიტყვით ისე მთარგმნება:

„მაგრამ არაინ ჩამოვიდა მგზავართან;
და ფოთლით შემოსილ ფანჯრის რაფიდან არაინ გადმოიხედა
და არაინ ჩახედა მას ნაცრისფერ თვალებში,
სადაც იდგა მგზავრი გაკვირებული და ჩემი“.

მთარგმნელს გამოტოვებული აქვს მთელი პქარი:

„ფოთლით შემოსილ ფანჯრის რაფიდან არაინ გადმოიხედა“.

სამკვივროდ ჩამატებული აქვს: „ფოთლით შემოსილ კიბეზე“.
სიტყვა „perplexed“ ვაკვირებულას ნაცვლად ნათარგმნია „იდელებული“.
დე-ღ-ამ-ბ-რ-ის უკანასკნელი სტროფი შემდეგნაირად იკითხება:

„Ay, they heard his foot upon the stirrup,
And the sound of iron on stone“.
„ღიბ, ისმოდა, რომ შესდგა უზანგში ფეხი,
და რკინის (ნალის) ხმა ქვაზე“.

გ. გაჩეჩილაძეს „ay“ ანუ „დიას“ გადაუთარგმნია წამოძახილად „ჰეი“ — და შესასულელად გაშხადებულ მღერმარე მგზავრს იგი „ჰეი“-ს წამოძახებინებდა.

შათაელ ბარნოლდის „ლუერის ნაპირში“ სწერია:

„On the French coast the light
Glams and is gone“.

გაჩეჩილაძის
გადათარგმნა

ესე იგი

„ფრანგულ ნაპირზე სინათლე
ცოცხდობს და ქრება“.

გ. გაჩეჩილაძეს კი უთარგმნია ეს არა როგორც სინათლე ნათურებისა ან ლამპრებისა, არამედ, როგორც მთავარის „ანარეკლი შუქი ჩამოდის ლეკვ ფრანგული ნაპირიდან“, და სხვ. ისეთ შემთხვევას, სადაც ორიგინალის აზრი ან მხატვრული სახე შეცვლილია, რაც დღენის დამახინჯებას იწვევს, გზედებით სხვა ლექსებშიაც.

გარდა ამისა, აქა-იქ სხვა შიორე შეცდომებიც ვაპარავთ მთარგმნელს. მაგალითად: თომას მურის ლექსის „მწუხრის ზარების“ უკანასკნელი პწკარი იკითხება ასე: „That tuneful peal will still ring on“. ესე იგი: „ის, მუსიკალური ან ტკბილი ხმანი ვლერა განავრძობს რევას“.

გ. გაჩეჩილაძის თარგმანში კი ნათქვამია: „ეს ნული ვლერა დარეკავს შწარედ“.

ჩამატებული აქვს მთარგმნელს „ნელი“ და „მწარედ“. „მწარედ“ სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობას აძლევს ლექსს.

თავის ლექსში „Good night“ („ღამე შვეიდობისა“) შეელის ეს სიტყვა გამოყენებულ იქვს ორი მნიშვნელობით. ერთი — გამოსალმების აზრით, როგორც „ღამე შვეიდობისა“, მეორე — როგორც „ქარგი ან შვეიდობიანი ღამე“. ლექსის მთელი მნიშვნელობისა და თავიანთებების დამახინჯებას ექნება ადგილი, თუ ეს ზუსტად არ იქნება გაგებულთ და გარკვეულად გადმოცემული თარგმნის დროს. ორიგინალში ნათლად სჩანს ეს, რადგან ოთოგრაფიულად „ღამე შვეიდობისა“ მოცემულია შემდეგნაირად: „Good-night“, ხოლო „შვეიდობიანი ღამე“: „Good night“. „Good“ ზგზვამულიც კი არის, ეს ლექსი ქართულად ლამაზად არის გადმოთლებული, მაგრამ თითქოს გაურკვეველია და ნათელი არ არის სიტყვების ის თამაში, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ. ეს ლექსი უფრო კარგ მიზანქვს წარმოადგენს, ვიდრე ზუსტ თარგმანს, რადგან სიტყვების თამაშის გადმოტანა თარგმანში არ ხერხდება.

რაც შეეხება თარგმანის ლექსწყობას, უნდა ითქვას შემდეგი: როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ლექსს თავისი საეციოური კანონები აქვს. ამიხედ უნდა ჩითვილოს ყოველგვარი ცდა მოინახოს სავთო მათემატიკური საზომი ამ ორი ენის ლექსთაწყობის შორის. ამიტომ ბუნებრივია, რომ მთარგმნელი გ. გაჩეჩილაძე პირველ რიგში უპირატესობას აძლევს ორიგინალის დამახასიათებელი რიტმისა და მუსიკალობის გადმოცემას. გ. გაჩეჩილაძე ცდილობს მოგვეცეს ისეთი ლექსები, რომლებიც ქართულ მოთხველს განაუდგენენ ესთეტიკურ სიამოვნებას და დაეიწყებენ, რომ ისინი თარგმნილი ლექსებია.

სავთოდ კი ლექსების აღნიშნული კრებულნი დგას თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის სათანადო სიმაღლერზე. ამ პატარა წიგნის მიზანი იყო, შეექმნა ერთგვარი წარმოდგენა ანგლო-საქტური პოეზიის ბრწყინვალეობასა და მრავალფეროვანებაზე. ამ მიზანს გივი გაჩეჩილაძე ნაწილობრივად უთლად აღწევს. მაგრამ ის მთარგმნელის სრულ ოსტატობას მაღლწევს, თუ კვლავ გადაათვალიერებს ლექსებს. შეასწარებს შეცდომებს და დაუმატებს სხვა უფრო დამახასიათებელ ლექსებს ანგლო-საქტური პოეზიიდან.

განგაბა ურუზაძე.

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა



| | |
|--|----|
| ალექსანდრე აბაშელი — ლენინს (ლეკსი) | 3 |
| რაქდენ გვეტაძე — სარდლის ბრძანება (ლეკსი) | 5 |
| ალიო მამაშვილი — 1945 (ლეკსი) | 6 |
| სერგო კლდიაშვილი — ბნელ ღამეში (მოთხრობა) | 7 |
| სანდრო ეული — არწივის ბუდიდან (პოემა) | 12 |
| იოსებ ტატიშვილი — სამშობლოს ბილიყებით (მოთხრობა) | 21 |
| ა. ს. გრიბოედოვი — ვაი ქუთისაგან (თარგ. ს. ფაშალიშვილისა) | 34 |
| ლევან გოთუა — კაცის სვეტის საიდუმლო (ნარკვევი) | 36 |
| ი. პ. პოლონსკი — ნინო ქვეყანაძე-გრიბოედოვა (თარგ. კ. ტიქინაძისა) | 55 |
| თამარ სვანი — მონადირე (ნოველა) | 60 |
| უილიამ შექსპირი — რომეო და ჯულიეტა (პიესა) — თარგ. ინგლისურიდან ვახტანგ ჭელიძისა | 68 |

ქართველები ბრძოლის ველზე

| | |
|-----------------------------------|----|
| პოლიო აბრამია — დიდება (ნარკვევი) | 90 |
|-----------------------------------|----|

ქართული და ლიტერატურის ისტორია

| | |
|--|-----|
| ანა ჩხეიძე — ა. ს. გრიბოედოვი და ქართული საზოგადოებრიობა | 101 |
| ივ. ენაქოლოვაშვილი — როდის დაიწერა „ვაი ქუთისაგან“ | 106 |
| იაკობ ბალახაშვილი — „ვაი ქუთისაგან“-ის პირველი ქართული თარგ-მანისა და წარმოდგენის გამო | 108 |
| გიორგი ჯიბლაძე — „მერანი“ | 109 |

ბიბლიოგრაფია

| | |
|--|-----|
| შოთა ძიძიგური — აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIV, 1944 წ. | 124 |
| ვენერა ურუშაძე — ვივა ვახუშტაძე — „ინგლისელი პოეტები“ | 126 |

ფანო 8 826.

12/9.

45-40/9



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ